

ଅ ମ ବ ଏ କ କ

ତୃତୀୟ ଶ୍ରେଣୀ

ଫ୍ରେଲିଷ୍ଟିଂଡର ମେଟାଲିକ୍ ପିପିଲି

N^o IX

୧୯୦୫ ମସିଥିରେ ମେଲିମାର୍ଗ



ପ୍ରକାଶକ

ମେଲିମାର୍ଗ ମେଲିମାର୍ଗ ମେଲିମାର୍ଗ ମେଲିମାର୍ଗ ମେଲିମାର୍ଗ ମେଲିମାର୍ଗ

1905

შინაარსი

I.—მიზანისა კეთებაშვილი.—ტიტიურისი	83. 1
II.—საპოვნელა—თქმა მირბოსი.—თარგმანი ივ. მა- კაგარიანისა	44
III.—დანაშაული და სასჯეოლი.—რომანი ექვს ნაწილად თ. მ. დოსტოევსკისა, ნაწილი მეხუთე, თავი I—III. თარგმანი ინანისა	71
IV.—მოთხოვბა ახლადელ არეულობაზე საარსე- თსა და საჩართველოში.—ზეჟანელისა.—თარგ. სიმ. ღოღობერიძისა	1
V.—ზერილები საჩართველოს ისტორიიდან—I. მე- ფობის დასაწყისი.—ს. გორგაძისა	29
VI.—ნარევი.—1) როდის უფრო მეტს კითხულობს ადამიანი.— 2) სახალხო თეატრი.—3) ებრაული ენციკლოპედია.—4) ჩი- ნური სკოლა.—5) იაპონური კულტურა.—6) საწუთოს გა- მოხატულობა.—7) ახალი საწვავი მასალა.—8) მოგზაური გამოფენა.—9) პლექის განკურნება.—10) ალიუმინი.—11) ჟიულ აპპერტი.—12) ჩვენი კურნალ-განეთების საყურადღე- ბოდ.	61
VII.—შინაური მიმოხილვა.—გ. რ.	70

შინაარსი

VIII.—მინერალური მიმოხილვა.—ა. კლდიაშვილისა 161—176



ეიტისა პეტეჩაშვილი

(ვუძლვნი ჩემს ო—ს)

I

185... წ. მეთათვის X—ს, მზე კარგად იყო წამოწვევ-
რებული, როდესაც ს. შ—ი გაჩნდა ერთი გუნჯული ბოლი-
სა; მას მიჰყვა მეორე, მეორეს მესამე და პატარა ხანს შემდეგ
ავარდა ალი, გაწითლდა ცა. მთელი შ ა ცეცხლმა მოიცვა.
გაისმის თოფის ხმა, დედა კაცების და ბალლების წივილ-კივი-
ლი. რა იყო, რამ გამოიწვია ასეთი შემაძრწუნებელი ქრია-
მული? რამ გამოიწვია და შამილის დაუნდობელმა, გამხეცვ-
ბულმა და გაშმაგებულმა ჯარმა, რომელიც მოულოდნელად
დაეცა სოფელს და დაუწყო დაუნდობლად დიდ-პატარას ქათ-
მებივით ქლეტა. სოფელში დედა კაცების და ყმაწვილების
მეტი არავარ იყო. კაცები სულ მინდვრად იყვნენ გასულები
სამუშაოდ, გარდა თითო-ოროლასი, რომელიც შინა ვენახებ-
შივე მუშაობდნენ. თუმცა ბევრ ლეკს აუტირეს დედა, მაგრამ
რა გამოვიდა! ერთ მკვდარ ლეკზედ თხუთმეტი და ოცი ქარ-
თველი იყო დახოცილი დედაკაცი და ბალონი, ორლობები
სავსე იყო დაჭრილებით და დახოცილებით. ჩამდენ დედას
ჩაუდეს პირში ლუკმა-ლუკმა დაკუწული ჭვრლის ხორცი, რამ-
დენს დააკრეს ძუძუები და დააკერინეს პირში, რამდენი ორ-
სული დედაკაცი გასჭრეს ზედ შუაზედ და ვინ მოსთვლის რამ-
დენი ამაზედ უარესი მხეცობა არ ჩაიდინა იმ დღეს შამილის
გაშმაგებულმა ჯარმა.

ჯარი ახლა მინდვრად გავიდი და სამუშაოდ გასულ უიაროს ხალხს წაესია. გლეხები, ნამგლებით და ხანჯლებით შეებრძოლნენ, მაგრამ რას გააწყობდნენ თოფ იარაღით დარა ხმულ ჯართან?! რამდენი ვეზაპივით ვაჟკაცი წაიქცა უომრად თავის ყანაში და შემდეგ გახდა ფრინვლისა და ნადირის კერძად... წაუკიდეს ცეცხლი მომკილს და მოუმკელ ყანებს და ერთ წამს მთელი მინდვრები ცეცხლის აღმა მოიცა. ვისიც უომრად დამორჩილება შეიძლეს, ტყვედ წაიყვანეს და ვინც წინააღმდეგობას გაუწევდათ, ქათამივით ჰკლავდნენ, შემოაგლე-ჯავდნენ ტანისამოსს და მიჰქონდათ!..

სხვა მრავალ ტყვეთა შორის წაიყვანეს ერთი ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ბიჭი, სახელად ქიტესა კეთებაშვილი. ქიტესას და მის სამ ბიძას ურმები ჰქონდათ შ – ის ბოლოზედ ძნის წამოსალებად. ის იყო დადებულ ურმებს ჲაპნებს უჭირებდნენ, რომ მოულოდნელად თავს დაეცათ რამდენიმე ლეკი.

ქიტესას ბიძები, გულადი და მკლავ-ლონიერი ვაჟკაცები, უშიშრად დაჰქვდნენ. მისვლისათანავე ლეკებმა მოიწადინეს მათი დაჭერა და ტყვედ წაყვანა, მაგრამ ამაოდ! ტყუილი იმედი ჰქონდათ.

სამივე ძმებმა ზურგი ზურგს მიჰყუდეს და ხანჯლებით იგერიებდნენ მტრის, მაგრამ მტრის რიცხვმა სძლიათ. აგერ, უმცროს ძმას გული გაუპო მტრის ლახვარმა, მაგრამ კიდევ მედგრათ იბრძვის. აგერ მეორედ გაიელვა მტრის ლახვარმა მის მკერდზედ, მესამედ... ამ ჭრილობას კი ველარ გაუძლო, ხანჯალი ხელიდგან გაჰვარდა და დაიძახა:

— მიშველეთ, ძმებო!.. მშვიდობით!.. ილოცეთ ჩემთვის... ამოიკვნესა მან უკანასკნელად და უგონოთ მიესვენა ძმებს. აგერ, ახლა ორი ძმა იბრძვის თავ-განწირულად... იბრძვიან უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. ვერც ესენი გაუმაგრდნენ დიღხანს მტრის. უფროსი ძმაც ჩქარა დაადგა უმცროსის გზას და ერთმანეთს ჩახვეულები დაეცნენ დედამი-წიზედ. დარჩა შუათანა ძმა. გადაიბოტა ძმებზედ და გულ დამწუარი უფრო გააფთრებული იბრძოდა. ბევრი ეცადნენ

ურჯულონი, მაგრამ ვერა გზით ვერ მიუყენეს ხანჯალი. ბოლოს გაბრაზებულმა ერთმა ლეკმა, რომელსაც მოპირდა- პირებ ორი ამხანაგი მოუკლა გვერდში და თვითონაც კარგა საეჭვოდ დასკრა, გაიძრო წელიდგან დამბაჩა და შიგ გულის ფიცარში დააჭედა ტკვია. საბრალოს ხმა არ ამოულია, ისე მშვიდათ დაეშო და დაეკონა ძმებს, მხოლოდ როდესაც ხე- ლები გადაჰვია, დაიძახა:

— მოვდივარ, ძმებო! თავს არ განებებთ. მოდალატე და მხდალი არ დამიძახოთ!..

ესენი რომ გახურებულ ბრძოლაში იყვნენ, ქიტესა სა- ქონელს აძოვებდა ალაზნის პირას ჭალაში. მათმა კიერიაშ ქიტესას ყურამდის მიაწია. გამოვიდა ჭალიდგან და ურმების- კენ გამოიხედა, ეგონა ბიძები მეძახიანო, საქონელი გამოჩე- კეო, მაგრამ სულ სხვა სურათი დაინახა. ურმებთან რამდე- ნიმე კაცი ტრიალებდა და მზის სხივებზედ ხანჯლებს პრია- ლი გაჰქონდა. ამ მოულოდნელმა სურათმა ქიტესა ძალიან გააკვირვა. ჯერ ბატონის გამოგზავნილი კაცები ეგონა ნაო- თხლის ასაღებად, მაგრამ ნაოთხალი კალოდგან მიაქვთო, იფიქრა. ასე, პასუხ მიუცემელი გამოეშურა ურმებისკენ, სა- ქონელს თავი დაანება. რა მიუახლოვდა, აშკარად გაარჩია ყველაფერი, მაგრამ არ იცოდა რა ექმნა, სიით და რანაირად ეშველნა თავისთვის, ისე გაარეტა ამ მოულოდნელმა ამბავმა. ლეკებმა დაინახეს ქიტესა და ერთი მათგანი გამოუდგა მას დასაქერად. ქიტესა ერთი მუხლი გაიქცა, მაგრამ რა დაინა- ხა, რომ ვერ წაუვიდოდა, დალგა და ერთი კარგი მოზრდი- ლი ქვა შიგ გულში მიახვედრა. გამწარებულმა ლეკმა გაიძ- რო ხანჯალი და ის იყო უნდა შემოეკრა მისთვის, რომ ამ- ხანაგებმა დაუძახეს:

— ნუ მოჰკლავ, ნუ!.. დაიკირე!.. ევ კარგი ლუკა გამოგვიჩნდა!.. ორმოციოდე თუმანს მაინც ავაგლევავი მა- გის პატრიონს...

საწყალი ქიტესა დაიკირეს, ბევრი მათრაზიც მიარტყეს, მაგრამ რას გააწყობდა სახრით?.. სამივე ძმებს მარჯვენა ხე-

ლები დააკრეს, რომ შამილისთვის დაემტკიცებინათ თვისი ვაჟ-კაცობა, რაღანაც მაღლობას და ჯილდოს ის მიიღებდა შამილისგან, რომელიც შეტ ხელს მიიტანდა. შესხდნენ ცხენებზედ, ერთმა მათგანმა ქიტესა შემოისო ცხენს უკან, თოკით მიიკრა ზურგზედ, რომ გზაში არ გადმოგვიხტესო და გასწიეს საითაც ეგულებოდათ უმთავრესი ნაწილი ჯარისა; პატარა ხანს უკან საშივ დადებული ურმები აპრიალდა და მერე იქიდგან გაჰყეა სხვა მომკილ და მოუმკელ ყანებს. ბრძოლის ველზედ დარჩენილი იყო რამდენიმე მოკლული ლეკი და ერთ ადგილს სამი ერთმანეთზედ გადახვეული ძმები.

შ—ის მინდვრებიდგან ჯარი გავიდა ალაზანს და შავიაწ—ს. აქ აიკლეს დ. ჭ—ძის სახლი, დაატყვევეს მისი ცოლ-შვილი და აქედგან პირდაპირ დაღისტნისკენ გასწიეს, რადგანაც აოხრებულ სოფლებს მოეშველა რუსის ჯარი. ერთი სიტყვით, რამდენიმე დღეში შამილის ჯარმა ძალიან დიდი დასაკლისი დააკლო კახეთს. ბევრი კარგი ვაჟ-კაცი იმსხვერ-პლეს, რომელთაც არა ღირსებიათ ჭირის-უფლის ცრემლი, ჭრისტიანული და ღირსეული დამარხვა. მინდვრად ნადირი, ძალლი და ფრინველი ჯიჯგნიდა მათ სხეულს. მათი წვერ-ულვაშით და თმით მოდებული იყო არე-მარე და სუბუქი ნიავი ჭაერშიაც აფრიალებდა.

II

ახალგაზრდა ჭიტესა გ—ს კარგ შეძლებულ ოჯახს ეკუთნოდა. კეთება შვილების ოჯახში ხუთი ძმა ტრიალებდა: ჭიტესას მამა თედო და ოთხიც მისი ძმა. ყველაზედ უფროსი ძმებში თედო იყო და სახლო-უფროსობაც მას ებარა. ოთხსავე ძმებს საკუთარი ურმები ჭიონდათ ყევარი საქონლით და ჭირაზედ ძალიან ხშირათ დადიოდნენ. სწორეთ ორი დღით წინ, ჭიტესას წაყვანისა, ერთი მისი ბიძა ჭირაზედ იყო წასული. გ—ან ღვინოები წიიღო სამაზრო ქალაქში. როდესაც დაბრუნდა, გზაში შეიტყო, რომ შამილის ჯარმა აიკლო შ—ა და რამდენიმე

სხვა სოფელი და მინდვრის მოსავალი სულ გადაწვესო. — „ურია წყალს მიჰქონდა და გზაც ის იყოვო“ — იფიქრა ქიტესას ბიძამ და ოვისი ყანებისკენ გამოიარა სანახავად, ისინიც ხომ არ დაწვესო. გამოიარა, მაგრამ ჩემმა მტერმა ნახოს ის, რაც ქიტესას ბიძამ ნახა!... შორიდგანვე დაინახა შავათ გადატუ-სული მინდვრები. ეს შორიდგან და ახლოდგან?!. ახლოდგან უფრო შემაძრწუნებელი და თავ-ბრუ დამსხმელი სურათი ნახა. თვალ წინ გადეშალა მას ბრძოლის ველი, რომელზედაც უსუ-ლოდ ეგდო რამდენიმე კაცი, რომელთა შორის მან იცნო თვისი ძმები. ადგილ-ადგილ დანავლებული ათეულები ეგროვა. სა-მივე ძმები სისხლში ამოსვრილები იყვნენ. სახეზედ არც ერთს არ ეტყობოდა ქმუნვარება, ტუჩებზედ ღიმილი შერჩენოდათ და ისე წყნარად ესვენენ, თითქო დიდ ბრძოლის მცირედაც არ დაუღლიათ, ცოტა ხნით დაუსვენიათ და გამოლოდების უმალვე შეუდგებიან მამაცურად ბრძოლისათ. ამ სურათის დანახვაზედ აბრია, ქიტესას ბიძა, გაშრა, როგორც უსულო საგანი, ისე დადგა. ველარ მოახერხა ფეხის გადადგმა, ველარც დაყვირება, ველარც თვალების დახამხამება და ცრემლები ხომ სრულებით არ მოსვლია მეტი სიმწუხარისაგან. ერთი სიტყვით გაშეშ-მიშდა და ვინ იცის როდემდის იქნებოდა იგი ამ გვარ გამოურკვეველ მდგომარეობაში, რომ „ალლა“-ს დაძახებას არ გამოეფხიზლებინა. ეს „ალლა“ დაიძახა ლექმა, რომელიც იქვე ახლო ეგდო პირქვე და ცდილობდა გადმო-ბრუნებას. თავი სამათ ჰქონდა გაჩეხილი, მკლავი თითქმის მოშორებული ჰქონდა და გვერდიდგან ცალკე გაღმოსდიოდა სისხლის ნაკადული. ებლა, თითქოს ფრთები შაესხაო, აბრია ვეფხვის სიწრაფით გადახტა და ხანჯალ ამოლებული დაადგა მომაკვდავ ლექს თავზედ.

— შენ კიდევ ცოცხალი ხარ, შე ძალლო შენა!.. დას-კუილდა აბრია ლექს, რომელიც იტანჯებოდა ერთის მარივ ჰრილობის ტკივილებით და მეორე მხრით — თვისი უნუგეშო მდგომარეობით. გრძნობდა, რომ ისეც შემოკლებულ სიცო-ცხლეს, რამდენიმე წამის შემდეგ სრულებით მოუსპობდნ.

თვითონ კი აღარა ჰქონდა იმოდენი ძალა და შეძლება, რომ
მოწინააღმდეგესთვის პასუხი გაეცა; ეს უფრო უორეცებდა
ტანჯვას და მწუხარებას. აბრიაც განგებ არა ჩარობდა მის
მოკვლას. უნდოდა ისეც გამწარებული სიცოცხლე, უფრო
გაემწარებინა თვისი ქცევით. ლეკს გულმა ვერ მოუთმინა.
მოკრიბა ძალი და ლონე და უნდოდა ფეხზედ წამოდგომა,
მაგრამ უბედურს ლონე აღარა ჰქონდა, სისხლის დენას სა-
შინლად დაესუსტებინა. გაჯავრებულმა თავის ხელს დაუწყო-
ლრლნა და თან აბრიას უყურებდა ოდესმე მრისხანე, მაგრამ
ეხლა სიცოცხლე გამოლეული, თვალებით.

— ჰაი, შე წუნკალავ, შენა!!! შენ მემუქრები კიდეც...
და აბრიას თავს აცილებული ხანჯალი ლეკს შიგ მარცხენა ძუ-
ძუში ტარამდის ჩაესო. უკანასკნელად გაისმა ჰაერში „ალლა“
და იმ ლეკის გვამიც ყვავ-ყორნის საჯიჯგნი გახდა. აბრიას,
თითქოს ლეკის სისხლმა დაულბო გული და გამშრალი თვა-
ლები, წასქდა თვალთაგან ცრემლის ნაკადული, დაეცა ძმებს
ზედ, ჰკოცნიდა და ჯერ-ჯერით იხუტებდა გულში. ნატრობდა
მათთან სიკვდილს, იგლეჯდა თმას, იკატრიდა სახეს, ახეთქებდა
თავს მიწაზედ და გულის ფიცარს ინგრევდა მუშტის ცემით.
როდესაც გული იჯერა ტირილით, მოიტანა ურემი მიცვა-
ლებულებთან ახლო და რის წვალებით დაასვენა ურემზედ.
საქონელიც, თითქოს გრძნობს პატრონის უბედურობას და
აბრიას თანაუგრძნობს მწუხარებაშიო, იდგა გაჩერებული,
ვიდრე აბრიამ სახრის დარტყმით არ მოიყვანა ისინი მოძრა-
ობაში.

თედოს ძრიელ ეუპირულებოდა ძნაზედ გაგზავნილ ურ-
მების დაგვიანება, მით უფრო, რომ შამილის ჯარი გავიდა
მინდვრათ და ადვილი მოსალოდნელი იყო, რომ მისი ძმებიც
სხვათა შორის გამხდარიყვნენ მტრის მსხვერპლად. სულ გზის-
კენ ეჭირა თვალი, საქმისთვის გული ვერ დაედო. არ
იცოდა რა საქმისთვის მოეკიდნა ხელი, სრულებით უაზროთ
დადიოდა და საქმობდა. მივიდოდა, დადგმულ ფთა-მოქცეულს
დაუწყებდა შლას. როცა ძნა გადმოიშლებოდა, მაშინ მიჰ-

ხვდებოდა, რომ გაკეთების მაგივრად, საქმეს აფუჭებდა. დაანებებდა ძნას თავს, მივიდოდა კევრებთან და დამაგრების მაგივრად, კოხებს აძრობდა. კალოს პირს აგროვებულ ბზეს, კალოზედვე შლილა. ერთი სიტყვით, თვითონაც არ იცოდა რას აკეთებდა. ანგარიშ მიუცემლად დაქერჩეტობდა ეზოში. ბოლოს, მაკრინებ შენიშვნა, რომ თელი სრულებით უსაქმოდ მივიდოდა საბელთან, იქიდგან სათონესთან და ისევ კი ცარიელი ბრუნდებოდა.

— შენ რაღა ინდაურივით აგილია თავი, ადამიანო, და დაეხეტები ამ ეზოში?! — შეუტია ცოლმა. ჰედავ, შე გამოჩერჩეტებულო, შენა, რო აღარსად ჩანან ის კაცები, გამოსწი, წავიდეთ, ვნახოთ რა დაემართათ!..

ის იყო ცოლქმარნი გამოვიდნენ ეზოდგან, რომ ორლო-
შეში გამოჩნდა ქირაზედ გაგზავნილი ურები, რომელზედაც
ესვენა მტრის ლახვრით განგმირული სამი ძმანი. ვინც კი
ტყეში არ იყო გახიზნული, ერთ წამს იქ შეიკრიბნენ ყვე-
ლანი. დიდი და პატარა მიცვალებულთა პატრონის ცოდვით
იწვოდა. სიმწუხარე და შებრალება მათ უფრო უკროვლდე-
ბოდათ, რომ წარმოდვენილი ჰქონდათ, თუ რამდენი ამათ-
სავით ეგდო მტრის ხელით მოკლული და მასთან უპატრო-
ნოთ, ნადირისა და ფრინვლის საჯიჯგნად. ქიტესას დედ-შავას
ორი ერთმანეთზედ უარესი მწუხარება ჰქონდა ასატანი: სამ-
სამი ვაჟკაცის სიკვდილი და შვილის უგეშოთ დაკარგვა. პირ-
ველი მწუხარების მიზეზს თვალით მაინც ჰედავდნენ, ლირსეუ-
ლად მაინც დამარხავდნენ მიცვალებულებს, მეორე მწუხარება
კი გაუნელებელი იყო. არ იცოდნენ სად იყო მათი შვილი,
ცოცხალია თუ მკვდარი. ვინ იცის რას არა ფიქრობდნენ: ხან
წარმოიდგენდნენ, ვითომ ლეკები შეუბრალებლად სცემდნენ და
აწვალებდნენ ქიტესას, ხან წარმოიდგენდნენ, ვითომ ხანჯლით
აკუწული ქიტესა ეგდო უჭირისუფლოდა და უპატრონო მკვდარს.
ფრინველ-ნადირი გლეჯავდა და სხვა... ერთი სიტყვით, ეს ორი-
ვე მწუხარება შეერთებული, გამოუთქმელად უწვავდა გულ-
ლვიძლს და უკლანდავდა ნაწლევებს თედოსა და მაკრინეს.

ხალხი ერთბაშად ქვითინებდა. ხშირად მოისმოდა „ვიშ დედასა“ და „შვილო“-ს ამოკვნესა და თანაც გულში ჩაირტყამდნენ მუშტს. მაგრამ ხალხის ასეთი მწუხარება წუთიერი იყო. მოაშორეს მიცვალებულებს თვალი და ცრემლიც შეაშრათ. ყველა მათგანმა, რამდენიმე სიტყვით „ღმერთმა გაკ-მაროთ მწუხარება, დანარჩენნი გაცოცხლოთ და ოქვენი გული გაამთელოს“, მოაშორა ქრისტიანული და მეზობლური ვალი—ნუგეშისცემა. მეორე დღეს თედო კეთებაშვილის სახლიდან სამი კუბო გამოიტანეს. მთელი სოფელი დრტვინავდა. „ღმერთო, მტერსაც კი აშორე ეგ დღეო“, იძახოდა ხალხი.

III

დავანებოთ ცოტა ხანს თავი კახეთს და გადაჭიდეთ დალისტანში. შამილის ჯარი გადავიდა თუ არა დაღისტანში, შეუდგნენ ნადავლისა და ტყვეთა განაწილებას. ჯილდოს, ვაჟკაცობისდაგვარად იღებდნენ. ქიტესა და ორი სხვა ტყვე ერგნენ ერთ შეა ხნის კაცს, რომლის ერთად-ერთი შვილი კახეთიდან ცოცხალი ვეღარ დაბრუნდა — ტყვის მსხვერპლად გახდა, რის გამოც მან მიიღო სამი ტყვე.

ქიტესას ბატონი, სოქვიტა, მეტად გულ-კეთილი კაცი იყო. არა ჰგავდა ხასიათებით თვის მოძმეებს. თვის ტყვეებს არავითარ შევიწროებას არ აყენებდა, მაშინ როდესაც სხვები პირუტყვებივით ამუშავებდნენ დღე და ღამე თავის ტყვეებს და ნახევარჯერ მშეირი ჰყავდათ. სოქვიტა თვის ტყვეებს ნება-ყოფლობით ამუშავებდა, ყოველ დღე ხორცს აძლევდა, თუ არა და მოხარშულ ხორბალს, ან ხინკალს არ მოაკლებდა. სხვები ნებას არ აძლევდნენ თავის ტყვეებს, რომ ნაცნობი, ან ნათეავი ტყვე ენახათ, სოქვიტა კი თვითონვე ეუბნებოდათ. რომ თუ ვისმეს ნათესავი, ან ნაცნობი გყავთ, წადით სანახავათათ და თუნდ ორი-სამი დღე დაეგვიანათ, მდევარს არ დაადევნებდა, როგორათაც სჩაღიოდნენ სხვები. საუბე-დუროდ, ახლო-მახლო სოფლებში არავინ გამოჩნდა ქიტესას

არც ნაცნობი და არც ნათესავი, რომ თვისი მწუხარება კოტათი მაინც შეესუბუქებინა. რამდენიმე ხნის შემდეგ შამილმა გასცა ბრძანება, რომ ყველას შეეძლო თვისი დახსნა ტყვეობიდგან და შინ წასვლა. ამ განკარგულების შემდეგ ბევრმა პატრიონმა დაიხსნა თვისი ტყვე და ბევრი აღარ დარჩენილა დალისტანში. სოქვიტას ორი ტყვეც ელიტას სამშობლოში წასვლას, დარჩა მარტო ქიტესა, რომლის პატრიონებმა არ იცოდნენ სად იყო იგი, ცაცხალია, თუ მკვდარი, მთხოვ. ბელიც არავინ გამოვიდა. ტყვეების წასვლის შერე, რომელნიც ჯერით უვლიდნენ სოქვიტას ცხვარს, სოქვიტამ თავის ცხვარი სხვას დააზიარა. უიმისობაც დადარდიანებული ქიტესა, უარესად დაანალვლიანა ამხანების დაშორებამ, თუმცა ტყვეობამდის ვერც ერთს მათგანს ვერ იცნობდა კახეთში. მთელი დღე მუნჯივით იჯდა. ერთ სიტყვას არ იტყოდა თვისი ნებით, თუ თვითონ სოქვიტა არ დაეყითხებოდა. ასე მიღიოდა დრო და ხანი ქიტესასთვის. მის ტოლ მეზობლის ბიჭებს გულით უნდოდათ მასთან დაახლოება, მისი თამაშობაში გარევა, გამოცდა ღონებში და სიმარდეში, მაგრამ ქიტესას არავინ ეპიტნავებოდა და არავისთან არა ჰსურდა კავშირის დაჭერა, რაღანაც მის დაჩაგრულ გულს არა ეხალისებოდა რა. სოქვისტას ძლიერ ეკოდებოდა იგი და არ იცოდა, რით გაექარევდინა მასთვის დარდები.

ერთ დღეს ქიტესა იჯდა სახლის კარებთან და დაღონებული თვალებით მისჩერებოდა თვის ტოლ ბიჭებს, რომელნიც გასაკვირველი სიწრიფით ხტოდნენ გაშლილ ნაბადზედ. რამდენიმე საენზედ ისროდნენ ცალი ხელით კარგა ღიდ სიმძიმის ქვას და სხვა ბევრი ამნაირი ვარჯიშობით იქცევდნენ თავს ტოლები. მოსუცებული კაცები სიამოვნებით უყურებდნენ ყმაწვილ ბიჭების თამაშობას. იგონებდნენ თვის ახალგაზღობას, გონების თვალით უყურებდნენ და ადარებდნენ წარსულს აწმუოსთან. ზოგ მათგანს, რომელიმე მოთამაშის ან გამარჯვებაზედ, ან დამარცხებაზედ, ურეოლა იტანდა და გული ეუბნებოდა — ადე, აჩვენე გამარჯვება როგორც

უნდაო. ყველა გატაცებით ადვენებდა თვალს მოთამაშეთა სიცოცხლით სავსე მოძრაობას, გარდა იმათი, რომლის-თვის შეუმჩნევლი იყო მათი ხტომაც, ქვის სროლაც და მხიარული სიცილიც. იგი თუმცა თვალებით მოთამაშეთა წრეს მისხერებოდა, მაგრამ ფიქრით სულ სხვაგან იყო. ერთი სიტყვით, ყველა, დიდი თუ პატარა, თუ მოძრაობით არა, ფიქრით მაინც იღებდა მონაწილეობას თამაშობაში.

— ქიტესავ! ადე, შენც თაბაში გაკითა ბიჭებში. გული არ გაფუჭდა, რო სულ სახლში დაჯდა?!.— უთხრა გულ მტკიცნეულად სოქვიტამ და თან მხრებზედ ხელი დაადო.

— რა მეთამაშება, სოქვიტავ?! ეგენი რომ თამაშობენ, სულ სხვაა! ბედნიერი ხალხია, დედმამასთან, თვის ქვეყანაში და სახლში არიან და რატომ არ ითამაშებენ და არ იმხია-რულებენ?! მე რომ ვითამაშო, რა ჩემი ნათესავებს და დედ-მამას გავახარებ ჩემი ყოჩალობით! ისევ ის მირჩევნია, ჩემ-თვის გაუნძრევლად ვეგდო!...

— ეგენები რათ უთხრა, ქიტესო! შენთამ არ ვიცი, რომ მაგამ ჩემი გული დაკლა?! ვინ არი ჩემი შეილ შენი მეტი?! ერთი შეილი იყო და მაგამაც კახეთში მოქლეს. ცოლიც, სამი წელი იქნა, ზვავმა წყალში წაილო. დარჩა ახლა მარტი მე. სახლია, კარია, ციხეარია ჩემთან, ვინ უნდა წაილა ჩემი დოკლათი!!!.. შენ ნუ უთხრა, ტყვე ვარო. ტყვე კი არა, ჩემი შეილი ხარ, სულ შენია ჩემი ცხოვრება.

— მე შენი შეილი როგორ გავხდები, სოქვიტავ, როდე-საც მე დედ-მამა სხვა მყავს! მე ხომ სულ შენთან არ ვიქნები, ერთხელაც იქნება გაიგებს ჩემი პატრონი, რომ მე ცო-ხალი ვარ და აქ რაღას დამაყენებენ, დამიხსნიან!...

— მე ის არ უთხრა, ქიტესავ, რომ ძალათ წაილა შენი თავი! განა არ ვიცი, რო ძალათ წალება არ იქნა! თუ შენი პატრონი შენ წაილა, მე ძალა არ გაკითა და თუ არ წაილა შენ აქედან, მაშინ ჩემი შეილი უნდა იქნა შენ!!.. კიდევ უთხრა შენთან, ქიტესავ, რო გულში არ იფიქრა — ტყვე გარო!.. იგრე იყავ, როგორც შენ მამის სახლში!.. შენ რო

იტესა გეოგბაშვილი

დარღიანად ნახო, ჩემი გული მოკვდა! ნუ გეშინიან, სახლზე შიაც ჩქარი წავიდა შენ!...

ქიტესამ არ იცოდა რითი ეპასუხნა სოქვიტასთვის ასეთ ალერსიან ლაპარაკზედ, რითი გადაექადნა მადლობა თანა-გრძნობისთვის და ნუგეშის ცემისთვის.

— რა ვქნა, სოქვიტავ, განა მე კი არ მინდა, რომ დალონებული არ ყოყო, მაგრამ რა ვქნა!.. ეს ოხერი გული არ მიდგება აქ. რამდერჯერ მოვინდომე გავერთო რითმე, მაგრამ აბა რით გავერთო, როგორ გადავყარო გულიდგან დარღი, როცა ამ წყეულ გულს არა ესიამოვნება რა!..

— მაშ იქნება შენი გული აქ სოფელში არ დადგა და თუ დაზარდა გული არ მოვიდა, წამოდი მთაში წავიდეთ, ჩევნი ციხევარი ვნახოთ!.. ამაღამ იქ დავრჩეთ და ხვალ ისევ ჩამოვიდეთ. იქნება ტყეულ მაინც გაკითა შენი გულში ხალი-სი!.. — სოქვიტას ლაპარაკმა რაღაც სიამოვნება გამოხატა მის სახეზედ და დასთანხმდა მთაში წასვლახედ.

— წავიდეთ! იქნება მართლა ტყეში მაინც გადავიყარო გულიდგან დარღები!..

მაგრამ ქიტესა ტყეში წასვლაზედ დარღების გასაქარვებლად სრულებითაც არ დასთანხმებია! ტყეში წასვლამ მას სულ სხვა აზრი დაუბადა: წავალ მთაში და დავათვალიერებ გზებს!. ცოთათი მაინც გავიგო აქაური გზები, რომ თუ როგორმე მოვახერხე გაპარვა, არ გამიძნელდეს კახეთში გადასვლა.

— აბა წავიდეთ!.. კიდევ განუმეორა ქიტესამ და აღგა-

ცოტა ხნის შემდეგ ქიტესა და სოქვიტა სოფლის ორ-ლობეში მიღიოდნენ. ბევრ კოშკზედ და სახლზედ დაინახა ქიტესამ ადამიანის გამხმარი ხელი და თავი მიკრული. იცოდა რასაც ნიშნავდა ის, ოდესმე სიცოცხლით სავსე, გამხმარი თავები! ისინი ამტკიცებდნენ სახლის პატრონის მამაცობას. საზოგადოთ მთის ხალხში და განსაკუთრებით ლექებში წესად ჰქონდათ, ვიდრე რუსები დაიკურობდნენ, რომ რამდენ კაცსაც მოჰკლოვდნენ, უკეცელად მისი თავი, ან მარჯვენა ხელი უნდა

სახლზედ მიეკრათ. ქიტესას ცრემლები წამოუვიდა თვალებიდან, სიბრაზისგან არ იცოდა რა ექნა; გულის მოსაფხანად ისე გააკრაჭუნებდა ხოლმე კბილებს, თითქო დაემტვრაო. გავიღნენ სოფელს. სოფლის პირიდგანვე იწყება მშვენიერი ფიჭვის ტყე, რომელიც ქიტესას კახეთში სრულებით არ უნახავს. გაოცებით და სიამოვნებით შეჰქონდებდა თვალ-შეუწვდენელ ქაჩრიან ფიჭვის ხეებს. მართლაც, ქიტესას დაღვრემილი სახე მშვენიერი ტყის და იალალის დანახვამ სრულებით გაამხიარულა. მარტო ტყემ როდი გააკვირვა იგი! უზარ-მაზარმა ხეებმა, რომლებიც მთებში თოვლის თეთრი ზოლებივით დაჭიმულიყვნენ, ურიცხვმა პატარა ანკარა წყაროებმა, მომეტებულად გაახალისეს დაჩაგრული და სევდით მოცული გული ქიტესასი. მგზავრები მივიღნენ დანიშნულ ადგილას მთაში. მეტყვარეს გადაებოტნა ფეხებ შეკრულ ცხვარზედ და ჰკრეჭდა. იქვე ახლო, ძმნებში დანაყული ნახშირი ჰქონდა გამოკრული, რომ თუ როგორმე ტყავიგაეჭრა, დაეყარა და არ გაარჯლებოდა. ჩვეულებრივ მისალმების მეჩე, სოქვიტამ ჰკითხა მეცხვარეს:

— იბრაიმ! ბატყანი ხომ კარგათ არის, ან ავათმყოფობა ხომ არა გაჩნდა რა ცხვარში?!

— არაფერი ზარალი არა არის-რა ცხვარში, სოქვიტავ, ბატყანი ხომ რაღა გითხრა, ისე კარგა არის, რომ ჯერ არ მახსოვეს ამისთანა ბატყანი!.. ბალახი კარგია და ამინდები, სხვა რაღა უნდა?!

— იბრაიმ, ხვალ აღრე გაათავებ პარსევას?!

— თუ ვუბეჭითე, შუადლემდის გავათავებ!

— მეორე დუქარდი*) არა გაქვს, მეც გიშველი!

— არის, მაგრამ გასაჩარხია და იწვალებ!

— არა უშავს რა, სიფხოლით ვიხმარებ!

ერთ წამს შემდეგ სოქვიტასაც გადაებოტნა ცხვარზედ და დუქარდს გაჰქონდა „ჩხაკა-ჩხუკი“. ესენი რომ თავის საქმით

*) დუქარდი — ცხვრის საკრეჭი მაკრატელი.

ქიტესა გეოგბ შეიდა

იყვნენ გართულნი, ქიტესა მისჩერებოდა ერთ დაკლაკნულ ბილიქს, რომელიც დაბლა სოფლიდგანვე იალაღის წვერიმ-დისვე იყო დაქნილი და თვალს არ აშორებდა, თითქოს ზო-მავსო, იალაღის წვერიდგან დააყოლებდა თვალს სოფლამდის და სოფლიდგან ისევ ამოაყოლებდა. არა სწყინდებოდა უთვა-ლავად იმნაირად თვალის აყოლ-ჩაყოლება.

— ქიტესაგ! მოდი ერთი ნახშირი მომაწოდე, ტიყავი გა-კრა ციხვართან!.. — ქიტესას სრულებით არ გაუგია სოქვიტას დაძახება, ვიდრე მეორეთ არ გაუმეორა. სოქვიტამ რამდენი-მე ცხვარი გაპარსა საღამოდის. საღამოთი ცხვარი დაბინა-ვეს და თვითონ ვახშმის მზადებას შეუდგნენ.

— აბა, იპრაიმ, ჩევნ ვახშამს რა ჰქვიან ამაღლამ?!.

— ყველია და კარგი ყალი.*)

— ყალი როდინდელი გაქვს?!

— იმ დღეს ქვა მოპევდა ერთ თოხლს, **) ორივე წინა ფეხები შამოამტვრია და დავკალ!..

— არა უშეგს რა, ჩემო იბრაიმ! ცხვარი უხარჯოთ არ გადარჩება მთაში. აბა მაიტა ჩავყაროთ ქვაბში!.. ქიტესა ლაპარაკში და ვახშმის მზადებაში არც ავად და არც კარგათ არ ერეოდა, თუ განგებ არ გამოელაპარაკებოდნენ. დალა-პარაკებით ქართულად ელაპარაკებოდნენ და უცოდინრობის გამო ძალიან ამახინჯებდნენ სიტყვებს; ხშირად მეორედ და მესამეთ გაუმეორებდნენ აზრს. თუმცა ქიტესამ შეისწავლა ლეკური ლაპარაკი, მაგრამ ათასში ერთხელ დაელაპარაკებოდა ხოლმე ლეკურადა.

ივახშეს და გაეხვივნენ ტყავ-ნაბდებში. გაუფრთხა ქიტესას ძილი. წავიდა ფიქრებში. ბევრი ფიქრის შემდეგ გადასწყვიტა კახეთში გაპარვა, მაგრამ ოოგორ და რა გზით, ვერ მოეფიქ-რებინა. დააპირა იმ ლამესვე გაპარვა, მაგრამ უსისხლოდ წასვლა არ უნდოდა. ვინ უნდა მოეკლა?!.. სოქვიტა?!..

*) ყალი—მარილში და ბოლში გამოსული ხორცი.

**) თოხლი—ერთი წლის ცხვარი.

მაგრამ სოქვიტა როგორ მოეკლა, როდესაც მასთან სიკეთის მეტი არა მიუძღვდა რა!... გაიფიქჩა იბრაიმას მოკვლა, მაგრამ შესრულება ისეთი ადვილი არ იყო მისთვის, როგორც მოფიქრება. ბევრი იწვალა, იპორგა; უნდოდა კიდეც და ვერც გაეტედნა, მაგრამ ბოლოს ისევ შურის ძიებამ დასძლია; ადგა კანკალით და ფრთხილათ მიიპარებოდა თოვის ასაღებად. იბრაიმას, როგორც გარეთ მყოფ კაცს, მთის ადამიანს, ყური ძალიან ცქვიტათ ჰქონდა ძილშიაც და ქიტესას ადგომა არ გამოეპარა.

— რათ ადგა, ქიტესო! სად წავა შენ!.. დაეკითხა და თვითონაც ადგა ცხვრის დასათვალიერებლად. ქიტესა გაშრა, აღარ იცოდა რა ექნა, კანკალმა უფრო მოუმატა. ეწყინა თვისი უხერხობა.

— არსად!... ავდექ, რაღაც ხმა მომესმა და ცხვარი უნდა მენახა, ხომ არამ დააფრთხო მეთქი!...

შერცხვენილი და მასთან ბრაზ მოსული უკანვე გამობრუნდა.

— შენთან სიცივე ხო არ არი, ქიტესო, რათ კანკალობ!... იბრაიმა სრულებით ვერ მიშვდა ქიტესას ადგომის მიზეზს და დაიწყო ზრუნვა.

— თუ ცივა, ეხლავე დავანთებ ცეცხლს და ჩიქარა სიცხეც მოვა შენთან, ვალლა *)!..

ქიტესა რაღას იზამდა, დასთანხმდა — მცივაო! დაანთხს ცეცხლი და მოუსხლენენ ორივენი. მთელი ღამე იტანჯებოდა ქიტესა, სწყვევლიდა თავის თავს, გამოუცდელობას და უხერხობას!... იყო ღიღ სინანულში, ვაი თუ ვეღარ ჩავიგდო ხელში ამისთანა შემთხვევა, რა მინდოდა გავპარულიყავ, რა დროს სისხლის აღება იყო!... ამნაირათ გაათენა ქიტესამ. მეორე ღილით ისაუზეს და წარმოიდნენ შინ ქიტესა და სოქვიტა.

— იბრაიმ, ხვალ შენვე ჩამოიტანე მატყლი, მე ნუღარ ამომიყვან!...

*), ვალლა — ღმერთმანი, ჩემმა მზემ.

— კარგი! ფქვილი აღარა მაქვს მართლა, მოამზადე!...
გავშორდნენ ერთმანეთს. მთელი გზა მუნჯივით მოდიოდა
ქიტესა, ხმა არ ამოუღია. სულ იმ ღამის შემთხვევაზედ ფი-
ქრობდა. უფრო მოემატა გაპარვის სურვილი, მაგრამ სოფ-
ლიდგან გაპარვა არ შეიძლებოდა, რადგანაც მდევარს დაადე
ვნებდნენ. უცბად მოუვიდა აზრათ, რომ სოქვიტას ვთხოვ ცხვარ-
ში გამგზავნოს და იქიდგან ადვილად გავიპარებიო. მოიფიქ-
რა, მაგრამ თქმა ვეღარ მოახერხა და მასთან ვერც გაუტედა,
რამდენჯერმე დაწყობილი ლაპარაკი თვითონვე გადასხვა-
ფერა, ვაი თუ სოქვიტამ გამიგოს განზრახვაო, ვახშამზედ კი,
როგორც იყო, გაბედა და შორიდგან დაუწყო ლაპარაკი.

— სოქვიტავ! შეცხვარეს რას აძლევ ან რამთვენი ხნით
გიჟირავს?

— რა უნდა მიცა, ქიტესო, პური არ მიცა და ფული-
ციხვარი ზიარათ მიცა. ხარჯი ერთი თვე ჩემი წაილა, ერთი
თვისისა!.. მატყლი და ყველიც შეაზედ გაყო უნდა.

— ტყუილათ არ მიაქვს მაგოდენი წილი! მოდი დაი-
თხოვე!

— რო დავითხოვო, ქიტესო, ვინდა წავა ციხვარში?

სიხვაც ამ პირობით დადგა და ბედენა არ არი. თუნდა
მაგამ წაილა და თუნდა სიხვამ!..

— შენ ისა თქვი, შეგიძლიან თუ არა, რომ უვადოთ
გამოართო ცხვარი და მერე მე ვიცი...

— იქნა კი, ვალლა, იქნა დათხოვა, მაგრამ ციხვარი
ვინდა წაილა მთაში!..

— ცხვარში მე წავალ და მაგაზედ კარგათაც მოუვლი!..
სახლში ყოფნა მომწყინდა. ჩემზედ ?ატაჩები უვლიან ცხვარს
და მე რაღა დამემართება, ვერ მოუარო?!

— შენ როგორ წავა ციხვარში! იქნება შენი პატრონიმ
ჩიქარა წაილა შენ, მაშინ ისევ სიხვას უნდა მივცე! თუნდა
ეგეც არ იყოს, ქიტესავ, შენ ჩევნი ტუკეში და იალაზში გი-
ზები არ ვიცი, როგორ წაილა და წამაილა ციხვარი!..

— ჯერ არა მგონია, ჩვენებმა მე გამომიხსნან, რადგა-
ნაც არ იციან ცოცხალი ვარ თუ მკვდარი და თუ გამომი-
ხსნიან, რასაკვირველია, სხვას უნდა ჩიაბარო. გზებისა, უნდა
გითხრა, რომ ძალიან ჩქარია შევისწავლი. გლეხი კაცის შვი-
ლი არა ვარ, ტყეში და მინდორში გაზრდილი!..

— მაშ თუ შენთან ციხვარში წავიდა, გული მივა, ეს
ზაფხული იბრაიმასთან დარჩი, კარგა ისწავლა და ნახო აღგი-
ლები!..

— ერთი სიტყვით, სოქვიტავ, მე ძალიან მინდა ცხვარში
წასულა და ხვალ იბრაიმას გავყვები, თორემ მე აქ ვეღარ
გავძლევ!..

— კარგი, კარგი! ხვალვე გაჲყე იბრაიმას, მეც მალე,
მალე ნახო, არ დაგივიწყა!..

ქიტესას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რომ საქმე
ასე მოახერხა. ვახშის მერე სიამოვნებით დაწვა და მიეცა
ათასნაირ ფიქრებს. სიზმარში ნახა, ვითომ იბრაიმას გაეპარა,
გზა ვერ გაიგო საით წასულიყო; ბევრი სიარულის მერე,
მიადგა ერთ გაუვალ ხევს. შიშით ვერც გასულიყო და დაბრუ-
ნებაც არ უნდოდა; ბოლოს, როგორც იყო, დასძლია შიშს,
იშვირა ფეხები და გადავიარდა წყალში. დიდ ხანს ვერ გასძლო
ტალღებთან ბრძოლა. ის იყო იღრჩობოდა, რომ დაიყვირა
მთელი ხმით, ვაიმე, მიშველეთო!.. სოქვიტას გამოეღვიძა ამ
დაყვირებაზედ.

— რა იყო, ქიტესავ, რას დაიყვირე?!

— არაფერს, სიზმარში ვირჩობოდი და შემეშინდა!..

— არა უშაგს რა! აი შე უხეირო, გულში ჩაგყოლია
დღეს რომ წყლებზედ გადმოვიარეთ!.. აი შე მშიშარავ, შენა!
დაწექ, დაიძინე!.. ქიტესას აღარ დაუძინია, მხოლოდ ფიქრებში
იყო დაკარგული და ამ მდგომარეობით გაათენა ღამე. მზემ
კარგათ მაღლა წამოიწია ცის კამარაზედ. საუზმეზედაც დას-
ხდნენ სოქვიტა და ქიტესა, მაგრამ იბრაიმა არსადა ჩანდა.
ქიტესას თვალები გზისკენ დააწყდა. სამხრობის ღროს ძლიერ
გამოჩნდა იბრაიმა, რომელსაც მატყლით დატვირთული ვირები
მოჰყანდა. მეცხვარეს წინ მიეგება და ჰკითხა:

— რათ დაიგვიანე, იბრაიმ, აკი ადრე უნდა მოსულიყავში?

— ადრე მოვიდოდი, მაგრამ ეს ოხერი ერთი ვირი და-
მექარგა, ბევრი ვეძებე და ძებნაში დამიგვიანდა!.. ამათ ლაპა-
რაკის დროს სოქვიტაც გამოვიდა სახლიდვან. ვირებს ჩამო-
ჰხადეს მატყლი და შეიტანეს სახლში.

— ვე, იბრაიმ, ქიტესოსთან ცხვარში წავიდა გულია და
შენ რა უთხრა? მოდი ესეც წაიღა დიღეს შენთან, აქ ზალიან
დალონებულათ არი!...

— ვალლა, ზალიან კარგიანი ფიქრია!.. ბატკანში და
ციხვარში ერთი კაცი ცოდო მოვა, ეგ ბატკანში იქნა და მე
ციხვარში. ხან მე ლამეც ბინასთან არ მოვა და ეგ დარჩება
ბინაში.

— ჯერ წამოვიდე და მაგისი მე მეცოდინება ბინაში დავ-
რჩები თუ სადაც წავალ, გაიუიქრა ქიტესამ თვის გულში.
გადაწყვეტილი იყო წასვლა, მხოლოდ გზაზედ დადგომალი
იყო საჭირო, რომელსაც მოუთმენლად ელოდა ქიტესა.

— აგე, ქიტესო, ჩხაზედ ორი ხელი იარაღი ჰკიდია,
რომელიც გინდა, ჩიმოიღე! იქ შენთვინ საჭირო იქნა იარაღი.
ბევრჯელ მარტოკა დარჩა შენ და ნადირი რომ დაგეტანოს,
უიარალოთ რა გაკითა?!

ქიტესამ ჩამოიღო ჩხიდგან თოფი და დამბაჩა თვისი იარა-
ღით. პატარა ხნის შემდეგ ს ქვეტას ეზოდგან გამოვიდნენ
ფქვილით აკიდებული ვირები, რომლებსაც უკან მისღევდნენ
იბრაიმა და ქიტესა.

¶ გავიდა თითქმის სამი კვირა, რაც ქიტესა მთაშია. ეხლა
მას არამც თუ დიდი გზები, არამედ პატარა ბილიკებიც არ
გამოეპარება, რომლითაც მას იდვილათ შაექლო კახეთში
გადასვლა, მაგრამ ერთმა მოულოდნელმა შემთხვევამ გაუყირა
მას ფეხებში ბორკილი, ბორკილი უხილავი, რომლიდგანც
განთავისუფლება აღვილათ კი არა და თითქმის არას გრით
არ შეექლო. იბრაიმასთან ყოფნის დროს ლეკურუ და
კიც გაიტეხინა, აღარ ეჩოთირებოდა წინანდებურად.





✓ ერთ დღეს, ქიტესამ, ჩვეულებრივად, გააშორა ბატკნიშვილის მსხვილ ცხვარს და შეჭრინა იალაღის მწვანე კალთებს. მშვენიერება რამ იყო, როდესაც ბიქა-ბატკანი რამდენიმე კამარას გააკეთებდა, გადაელობებოდა ამანაგებს წინ, დაუკნევდა თავს, ისინიც დიიწევდნენ უკან. შემდეგ კიდევ გააკეთებდა რამდენიმე კამარას, მოუბრუნდებოდა გამარჯვებული, შეც-გებოდა უკანა-ფეხებზედ და ვიდრე გაჯავრებული ამხანაგები თავით არ დაეტაკებოდნენ, იდგა ისე გაჩრდებული. პატარა ბატკნებმა ჩქარა მოისურვილეს მწვანე ბალახის ძოვნა, თამა-შობა და შევიღნენ ტყე ში. ქიტესაც შორი-ახლო მისდევდა. ბატკნები დაეყარნენ ხეგბის ქვეშ, მხოლოდ თვითო-ოროლი მათგანი, რომელნაც მოუსცენარი იყო, წამოხტებოდა, რამ-დენიმე ამხანაგს გადაახტებოდა თავზედ და ისევ დაიჩოქებდა დასაწოლათ წინა ფეხებით.

✓ ქიტესამ ამ ტყანში შეამჩნია ერთი ბილიკი, რომელიც მიიხლაკნებოდა კახეთისკენ. მას უცებ გაპარვის აზრშა გაურ-ბინა. მთაკონდა თვისი გადაწყვეტილება. გაპარვის სურვილმა უფრო იმატა, მით უფრო, რომ თავი დაიმარტოვა. იქამდის იბრაიმა თვალს არ აშორებდა, სულ თვის ახლო დაჰყვანდა, დღეს-კი დაანება თავი მარტოს, შორს გარეკა ცხვარი თვი-თონ. დიდ ხანს იყო ქიტესა ჩობახზედ დაურღნობილი და ჩაფიქრებული ჩასცემისა, თითქოს მისგან მოე-ლოდა ნების დართვას. იტანჯებოდა ზნეობრავად, გრძნობდა, რომ ცუდი საქციელი იქნებოდა უპატრონოდ დატოვება ბატკნებისა. ეს არ შეჭვენოდა სოქვიტას სიკეთეს, მაგრამ სარშობლოს ნახვის სურვილი უფრო ძლიერი იყო. გადასწ-ყვიტა წასვლა.

— არა, უეჭველათ უნდა გავიპარო, თორემ ვინ იცის იქნება ველარ ჩვიგდო ასეთი თავისუფალი დრო!!... რაც იქნება, იქნება!...

ჩაიქნია ხელი, მიიხედ-შორიხედა იქეთ-იქით და დაადგა ბილიკს. უკანასკნელად კიდევ მოჭხედა ბატკნებს გამომშვი-დობების ნიშნად და მოეფარა ხეებს. გაჩქარებული, საშინელის



გულის ცემით მიაბოტებდა თავქვე. უცბად ხევიდგან მოესმა თოფის ხმა. შედგა, შეეშინდა, იბრაიმის ან მონადირეს ვისმეს არ წავაშყდეო. შედგა ცოტა ხანს და ყური დაუგდო. ხევიდგან მოესმა წვრილ ხმაზედ კივილი.

— ნამდვილათ ქართველი ქალი გამოეპარათ მაგ წყეულებს და მდევარი დაედევნა!. წავიდე მივეშველო!..

დაეშო ხევისკენ და მიაშურა იმ ადგილს, საიდგანაც ისმოდა ხმა. ერთი ორი ნაბიჯიც და ქიტესამ ცხადათ დაინახა ვინ, ან რად კიოდა. იბრაიმის შეეპყრო, როგორც პირის სახე უმტკიცებდა, თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ქალი, რომელიც არა ნებდებოდა მის პირუტყვული გრძნობის დასკმაყოფილებლად, თავ-განწირვით იქნევდა ხელებს და აკაწრიდა პირის სახეს. ქიტესას ამ სურათის დანახვაზედ აემღვრა სისხლი და არ იცოდა რა ექნა!.. ეს ქალი იცნო ქიტესამ. ძალიან ხშირად დადიოდა სოქვიტის სახლის წინ წყალზედ და თვესი სიღამაზით ქიტესას ყურადღება მიიქცია. რაც უნდა დალონებული ყოფილიყო და ეს ქალი დაენახა, ძალა უნებურად სიამოვნება გამოეხატებოდა ხოლმე სახეზედ!... იბრაიმი ჯერ ვერ შეამჩნია ქიტესა, ვიდრე ლეკის ქალმა არ დაიძახა:

— მიშველე!..

ამ სიტყვების გაგონება და ქიტესას ვეფხვივით გადახტომა ერთი იყო. იბრაიმამ ეხლა შეამჩნია ქიტესა, რომელიც მის ხელებს აშვებინებდა.

— შე ძალოთ, აქ რა გინდა?!... ბატყნებს რათ დაანებე თავი!. შენ რა გინდა, რა ხელებს იფათურებ, მამშორდი!..

გაიძრი ხანჯალი და მოუქნია, ცალი ხელი კი მაინც არ გაუშვა ქალს. ქიტესა განზედ გადაუხტა, ხანჯლის წვერი ოდნად მოჰქვდა ჩოხეს. ვიდრე იბრაიმა მეორედ მოუქნევდა, მან დაასწრო და შიგ მარჯვენა მკლავში დაარტუა. იბრაიმის ხანჯალი ხელიდგან გავარდა. ქიტესა უძრავად იდგა და შეჰყურებდა სისხლის შაღრევანს, რომელიც გაჭრალი მკლავის ძარღვებიდგან ამოსჩეფდა. უცებ შეჰყედა, რომ იბრაიმის

მუხლი დაეჭირებინა ქალისთვის გულზედ და ხანჯალს ეპოტინებოდა ასაღებად საბრალო. ქალი ძლივსლა ხრიალებდა ყელში, სუნთქვა უძნელდებოდა. ქიტესა თვალების ბრიალით და კბილების კრაჭუნით დააფრინდა და შავარდენივით შიგ გულში ჩაასო ტარამდის ხანჯალი. იბრაიმი ყელში ხრია. ლით გადავარდა უკან. ქიტესა მიგარდა წაქცეულ ქალს, რომელიც გრძნობა დაკარგული ეგდო დედამიწაზედ, როგორც იყო მიიყვანა წყალთან და დაუწყო ციფი წყლის სხმა პირზედ. აახილა თვალები და რა დაინახა, რომ ვიღაც უცხო კაცის მუხლებზედ იწვა, წამოიწია, შემკრთალმა, ასადგომათ, მაგრამ ქიტესამ გულ შემატკივარის კილოთი უთხრა.

— მოიცა, ქალო, შეისვენე! დალლილი ხარ ძალიან. ქალი მაინც არ დადგა მის მუხლებზედ, მიწაზედ დაჯდა. კარგა ხანი გავიდა. არც ერთი მათგანი არ იღებდა ხმას, ახლო-მახლო არავითარი ხმაურობა არ იყო, გარდა წყლის ჩხრიალისა და მათის საშინელის გულის ცემისა. ორივენი მოულოდნ ელმა და უბედურმა შემთხვევამ საშინლად დააფიქრა. ვერც ერთს მათგანს ვერ დაერღვივნა სიჩუმე. ორივენი თავ-ჩალუნულები ჩაყურებდნენ დედამიწას. ბოლოს, როგორც იყო, ისევ ქიტესამ გაბედა და დაეკითხა:

— ვინა ხარ შენ, ქართველი, თუ ლეკი?!

თუმცა ქიტესამ კარგით იცოდა ვინც იყო, მაგრამ ლაპარაკის მიზეზად ეს მოიგონა.

— განა ვერ მატყობ, ვინცა ვარ?! ტანისამოზედ მაინც ვერა მცნობი ქართველები ესე იცომენ?!. მე კი გიცნობ შენ ვინცა ხარ და...

წარმოსთქვა ხმის კანკალით ქალმა.

— აქ რა გინდა შენ მარტოს?!

— ჩვენ აქ ახლო ბინა გვაქს ცხვრისა. მამა ჩემი მსხვილ ცხვარს უვლის და მე და დედა ჩემი—ბატკანს.....

— აქ რა გინდოდა ეხლა შენ, აბა ბატკანი სადა გყავს?

ბატკანს აქ რა უნდა, ბინასთან ახლო აძლევებს დედა-ჩემი. მე დედაჩემა წყალზედ გამომგზავნა.....

ველარ გაათავა ლაპარაკი. გაწითლდა და თვალებზედ
ხელი მიიფარა.

— მერე, მერე! — მითხარ როგორ იყო საქმე. მე ხომ,
კარგათ იცი, შენთვის კეთილი მწალიან, თორემ არც გამო-
გესარჩეობოდი. მიამბე, ნურას დამიმალავ!...

— როგორ იყო და აი ყური დამიგდე! წყალი ამოვილე
და აიმ ადგილის რომ მოვედი, გაუშვირა ხელი, რაღაც ხმა
მომესმა უკანიდგან. მივიხედე და ზევით გვერდობზედ მორ-
ბოდა ეგ ძალლი. მე ფეხი ავაშურე. დავაცადე და ფეხის ხმა თან
და თან მიახლოვდებოდა, თანაც დამიძახა დადექიო, მაგრამ
მე რას დავდგებოდი. შესაშინებლად თოფი მესროლა. კოკა
გადავაგდე და რაც ძალი და ღონე მქონდა, გავიქეცი. თან და
თან დამიახლოვდა და თან მიყვიროდა: დადექ, დადექიო,
შიშმა უფრო ამიტანა, მუხლები მეკეცებოდა, კიდევ რამდე-
ნიმე ფეხი გადავადგი, უცბად ქორივით დამეცა და პატარა
ჩიტივით შევრჩი ხელში. ის იყო უკანასკნელად მოვიკრიფე
ღონე საბრძოლველად და ჩემ მხსნელად, თითქოს დედამიწაშ
გაგაჩინა, შენ გამოჩნდი. შენ თუ არა, მე იმის მსხვერპლი
გავხდებოდი და მერე აღარც ვიცოცხლებდი თავს. ეხლა
ნება მომეცი შენს მარჯვენას ვაკოცო ჩემი განთავისუფლების-
თვის და გთხოვთ მხოლოდ შენ იყო და ეს ხეები ამ საქმის
მოწამე... მივიდა ქალი, საკოცნელად გამოართო ხელი და
თვალთაგან ურიცხვ ცრემლის კურცხლები ცვიოდა. ქიტესამ
კოცნის ნება არ მისცა, მოსციდა ხელი და უთხრა:

— მე არ ვარ ღირსი კოცნისა! მადლობა მე კი არა,
ღმერთს ეკუთვნის, რომ ამ დროს აქ ვიმყოფებოდი!.. თუმცა
ერთი უბედურება შემემთხვა — კაცი შემომაკვდა, — მაგრამ
შეორე გავაცოცხლე — შენ გიშველე, დაგიხსნ უბედურობი-
საგან!... ამ საქმის გამხელისა რაღა გითხრა?!. ისე იყავ
არხეინად და მენდე, როგორც შენს თავს!... შენ კი რა
გიშავს, მაგრამ მე ვარ საფრთხეში. მაგის ნათესავებმა რომ
გაიგონ, ერთ დღეს არ მაცოცხლებენ... გთხოვ სრულებით
დაივიწყო ეს შემთხვევა... ფიქრითაც არ იფიქრო ხშირად,
რომ სიზმარში მძინარამ არ დაიწყო ლაპარაკი.

ცოტა ხანს ისევ ილაპარაკეს და როცა გული მოიბრუნა ქალმა, ადგა და წასვლა დააპირა.

— მშვიდობით!... ეხლა კი დროა წავიდე!...

ტირილით დაწილებული თვალებით შეკხედა ქიტესას და თავჩაღუნულმა გასწია მწვანე ბალაზი დახლაკნულ ბილიკზედ. ქიტესამ შეამჩნია, ქალმა რომ არა ჩვეულბრად შეკხედა. ძალა უნებურად მოაშორა თვალები, თითქოს შერცხვაო, ხმა ვეღლარ ამოიღო, გაშრა!... უცებ აიხედა და ქალი ტყის პირში იყო უკვე მისული. თვისდა უნებურად გააღო პირი და დაიძახა:

— მოიცა, ქალო!...

ქიტესას შერცხვა, როდესაც დაინახა, რომ ქალი შედგა და მოჰქედა. არ იცოდა რისთვის დაუძახა და რა უნდა ეკითხნა. ბოლოს, როგორც იყო, ლუღლულით წარმოსოდეს:

— თქვენი ბინა შორს არის?!

— ჩვენი ბინა აი ამ პატარა სერს იქით არის!...

ქალმა ისევ განაგრძო თვისი გზა. ქიტესა გაჩერდა ერთ ადგილის და კარგა ხანი იყო გაშტერებული. ერთხელ კიდევა ძალაუნებურად, შეეფეთა მის თვალებს მიმავალი ქალი, რომელიც ჩქარა ფაუმალეს ხშირმა ხეებმა ქიტესას თვალებს... გავშორდა ქალს, მაგრამ მისი სახე კი სამუდამოდ ჩაეჭრდა გონებაში. სრულებით გამოეცვალა ფიქრები. მისი საფიქრებელი ახლა მარტო ეს გაცნობილი ქალი გახდა. შინ წასვლა სრულებით გადაავიწყდა. სრულებით ანგირიშ მიუცემლაც გადადგა არადენიმენაბიჯი იმ ბილიკზედ, რომლითაც ქალი წავიდა. მაგრამ, თითქოს ხელი მოსჭიდესო, შედგა უცბად.

— არა, ჯერ დავმალო საღმე და მერე გამოუდგები.

გათხარა კარგა ღრმათ ბარულათი მიწა და მივიდა იბრაიმისა გაყინულ ხსეულთან. საშინელმა შიშმა აიტანა, თვალებ დაქუეტილი და კბილებ დაკრეჭილი რომ დაინახა. ვერა ბედავდა ხელის მოჭიდებას. შიშმით კანკალებდა. ასეთმა მოულოდნელმა შემთხვევაშ სრულებით გამოაშტერა. გიჟივით აქეთიქით იყურებოდა, ხეებისაც კი ეშინოდა, არ გამცენო. ცდა

აღარ შეიძლებოდა, შიში უნდა დაეძლივა, მოიკრიბა უკანა-სკნელიდ მხ ეობა, გაიმაგრა გული, მიათრივა ხარომდის იბრა-იმა და თვისი იარაღით ჩაგდო შიგ, ზედ მიაყარა მრავალი ხერგი. ქალის გამოკიდება გვიანდა იყო. ცხვარი უპატრონოდ იყო დატოვებული. სისხლიანი ტანისამოსი გამოირეცხა და გასწია პირდაპირ ბატქნებისკენ. ბატქნები უკვე აშლი-ლიყვნენ და გაფანტულიყვნენ აქე-იქით. შეაგროვა ერთად და ფეხ-მარდათ გარეკა ფარეხისკენ, რომ ახლა მსხვილი ცვარი, რომელიც უპატრონოდ ეგულებოდა, მოერეჯა ბი-ნაზედ, მაგრამ განცვიფრებული დარჩა, როდესაც ფარეხში დამწყვდეული დაპხვდა ცხვარი. ეხლა მიხვდა ქიტესა, რომ წინადვე ჰქონია გადაწყვეტილი იმ ქალის გაუპატიურება. გაბრაზებულმა ხელის დაქნევით წარმოსთქვა.

— მაღლია, ძალის ძალურად ჩახრჩობა! .. ძალი იყო და ძალურადვე ელირსა სიკვდილ...

„დააბინავა ცხვარ-ზატკენი თავის ადგილას და თვითონაც ფარეხის კარებთან მიწვა დასაძინებლად, მაგრამ ძილს რა მოჰვერიდა მის თვალებს!... ვინ იცის, რამდენ ნაირი ფიქრი არ უტრიალებდა თავში. განუშორებლივ თვალ-წინ ეჯვა მას ტან-წერწეტა ქალი, ცოცხალი სახით და შავი მაყვალივით თვალ-წარბით.

მალ-მალ მოესმოდა, თითქო ვიღიცა დაელაპარაკაო, წამოდგებოდა, მაგრამ რისთვის?: ტყუილად! ყურმა მოა-ტყუა!... ერთ წამს არა ჰქონია მოსვენება იმ ღამეს. ჩან ტკბილი ოცნებით სტკბებოდა, ხან კი შიშის ზარი დაეცემოდა: მოეჩენებოდა იბრაიმა თვისი დაჭვეტილი თვალებით და გასი-სხლიანებულ სხეულით. რამდენჯერმე ხანჯალ გაში შვლებული წამოვარდა: თითქო დაეცნენ მოსაკლავად და უნდა მოიგერი-ოსო, მაგრამ რა მიიხედ-მოიხედავდა, რომ არავინ იყო, თვთონ-ვე შეეშინდებოდა თვისი ქცევისაგან... იტანჯებოდა სულით!.. მაგრამ ამ შიშისგან იხსნიდა ხოლმე ისევ თვისი ახლად გა-ცნობილი ქალი, წაფილოდა ისევ ტკბილ ოცნებებში!.. კახეაში წასვლა სრულებით გადაავიწყდა!..

— არა, ჯერ ჩემი წასკლა არ იქნება! უნდა პირი უკი-
თხო მაგასაც, თუ დამთანხმდა, მაგასაც წავიყვან და თუ არა,
ძალით მოვიტაცებ!.. რაც უნდა დამიჯდეს, რამდენი ხანიც
უნდა დამიგვიანდეს, ჩემ აზრს მაინც შევასრულებ!.. ახ! რა
ღმერთი გამიშურა, რამ გადამავიწყა, რომ სახელი არა ვკითხე
რა ჰქვიან!.. არა, არ შემიძლიან, ხვალ დილით იქით უნდა
გავრეკო ცხვარი. იქნება ვნახო როგორმე!.. ყველაფერს და-
ვთმობ და უმაგისობა კი არ შემიძლიან!.. ეს არის მორჩა,
ჩემობა უნდა ერქვას!..

V

ალიონი დაიძრა. მიძინებულმა ბუნებამ გამოიღოდა.
დღის სინათლეში შთანთქმა ლამის სიბნელე. ფრინველებმა გაა-
ბეს თვისი მოუწყინარი და ჩვეულებრივი ჭიკვიკი. ჭიტესამ
ჩვეულებრივზედ აღრე გამოშალა ცხვარი ფარეხიდგან და
ბინის ახლო-მახლო მიატარ-მოატარა. მოაბრუნა ჩეარა და
მოწველი. წველის შემდეგ ცხვარ-ბატყანი აურივა ერთმანე-
ოში და პირდაპირ თვის გადაწყვეტილ გზას დაადგა. გადავი-
და ერთ სერს. მეორეზედ რომ შაეფინა ცხვარი, მაღლა
წვერზედ ვიღიაც გამოჩნდა, რომელიც თან და თან უახლოვ-
დებოდა ცხვარს. ჭიტესამ მომავალ მგზავრში სოქვიტა იცნო.

— გამარჯობა შენი, ჭიტესო! მიესალმა სოქვიტა მისვ-
ლისთანავე.

— გაგიშარჯოს, ჩემო სოქვიტავ! — უთხრა დიდურ ენაზედ.
სოქვიტას ძალიან გაუკვირდა, რადგანაც პირვერად ესმოდა
ჭიტესასგან დიდურ ენაზედ ლაპარაკი.

— რატომ აქამდის არა ლაპარაკობდი დიდურათ, თუკი
იცოდი? როდის ისწავლე?!...

— მაგისთვის მიყურებდი გაოცებული?! განა აქამდის კი
არ ვიცოდი, მაგრამ არ მინდოდა გამომეჩინა, რადგან კარგათ
არ ვიცოდი, ეხლა კი უფრო კარგათ ვისწავლე იბრაიმში...
ასაგან...

იბრაიმას გახსენებაზედ ენა დაუდგა, გაწითლდა და მე-
ორე მხარეს მიბრუნდა, რომ სოქვიტამ არ შემატეს.

— მართლა, იბრაიმა სად არის?! ეხლა მომავონდა! ან
ცხვარ-ბატყანი ჩად დაგირევნიათ ერთათ?!.. ქიტესამ აღარ
იცოდა რა მოეხერხებინა. პირში ნერწყვი ვაუშრა და თავბრუ
ესხმოდა. თითქმ ვერ კაიგონაო, მიტრიალდა და ცხვარს დაუ-
ძახა:

— ტრანზიტ, ჰე! აბა, გასწი და გადაეყუდე მაგ კლდეში!
შე მოუსვენარო, ბალახს სხვაგან ვერა ჰქედავ, რომ კლდის
პირის არ მიეხეტო?..

შემდეგ მიუბრუნდა სოქვიტას და ჰკითხა:

— სოფელში ძალიან ცხელა?..

— აქამდის კი არა ცხელოდა, მაგრამ ამ ორ-სამ დღეს
ძალიან ჩამოცხა!..

— აქაც კი, უნდა ვთქვა, რომ ამ ორიოდე დღეს წინან-
დელზედ ძალიან ჩამოცხა!..

— ქიტეს! წელან გყითხე და პასუხი არ მოვეცი. იბ-
რაიმა სად არის?! შინ ხომ არ წავიდა?!..

— იბრაიმა?!. იბრ.. .ი...მმმა. გუშინდელ აქეთ თვალით
არ გამიცდია! არ ვიცი რა... რა იქნა... თოფი აიღო ხელ-
ში და მითხრა, რომ ცხვარს თავს ნუ დაანებებო, მინამ მე
მოვალო!.. იქნება სანალიროთ წავიდა!.. სწორედ არა უთქ-
ვამს რა ჩემთვის!..

— ის ოხერი, თავს რომ განებებდა გამოუცდელ კაცს
ამ უცნობ ადგილას და ამ ცხვარ-ბატყანს შენ ანაბრობაზედ
ანებებდა თავს, რა ჭკვაში მოსდიოდა! კიდე კარგი მე ამო-
ვედი!.. წველვაში მარტო შენ რას იზამ! ამ დილია მოწვე-
ლე თუ არა?!

— როგორ არა, მოვწველე, როგორც იყო!..

— ხომ კარგათ იწველება ჯერ კიდევ? ან ხომ არა და-
გკლებია რა, ან ნადირი ხომ არ გეტანება ღამ-ღამე?!

ქიტესამ აღარ იცოდა სიხარულით რა ექმნა, რომ სოქ-
ვიტამ იბრაიმაზედ ლაპარაკს მალე დაანება თავი და დაუწ-

ყო სხვა საგანზე ლაპარაკი. ვიდრე იბრაიმაზედ ლაპარაკს გაა-
თვებდა, ქიტესას ეგონა, ეს არის დავილუპე და ისე ჩამომე-
კიდა, რომ ნამდვილათ შემატყობს მკვლელობასაო. მას ეგო-
ნა, მთლად ცეცხლის ალი მაქვს შემორტყმულიო. შიშისა-
გან სოქვიტა ორად ეწვენებოდა და თვალთ უჭრელდებოდა.

— რა უყო, რომ თავი დამანება!.. მე არაფერიც არა
მიქირს რა!.. ეხლა აღარ მეშინიან გზის დაკარგვისა, კარგათ
შევისწავლე ყველა ბილიკებიც კი. ცხვარი ჯერ კარგათ იწ-
ველება და არც ჩქარა გაშრება. დაკლებია არც არა დაგვ-
კლებია რა, მხოლოდ ერთს თოხლს რეტი დაემართა და ის
დავკალით!.. ნადირისაგანაც არა დაგვკლებია რა, თუმცა
გვეტანება, მაგრამ ძალლები არ უშვებენ. აი, იმ დღესაც
დაახრჩეს ერთი მგელი. წვიმიანი და ბნელი ღამე იყო, ფა-
რებში ისე შეგვპაროდა, რომ ვერ გავიგეთ ვერც ჩვენ და
ვერც ძალლებმა, ვიდრე ცხვარი არ დაფთხა ფარებში. ცხვ-
რის გრიალზედ ჩვენ გამოგველვიდა და ძალლებიც იმავ წამს
ზედ მისცვივდნენ. ფარებიდგან გადმოგვიხტა, მაგრამ შორს
ვერ წაუვიდათ, ძირს ბილიკზედვე დაიჭირეს და მეორე დღეს
ყელ გამოგლეჯილი ვნახეთ.

— ბინა, თუ იყი, ხომ არავის არ აქვს აქ ახლო?!

— არ ვიცი სწორედ, ბინა არსად არ მინახავს!..

— მაშ აქ, ახლო-მახლო ჩვენი ცხვრის მეტი არ არის?!

— როგორ არა! ხანდახან იმ მინდვრიანის თავში გად-
მოდის ხოლმე ერთი ფარა ცხვარი. არ ვიცი სად აქვთ ბინა,
ან ვასია!..

ქიტესამ ესეც დაუმალა, თუმცა იცოდა ვისიც იყო ის
ცხვარი. უცბად, ლაპარაკის დროს, სოქვიტამ გულის პირზე
მოსჭიდა ხელი და ჰკითხა:

— ეს რის სისხლი გაცხია, ქიტესო!?

ქიტესას ფერი ეცვალა. აღარ იცოდა რა პასუხი მიეცა
სოქვიტასთვის. მთლად აირივ-დაირივა. ბოლოს, არც კი იცო-
და როგორ მოახერხა და ან რამ აფიქრებინა, ნაწყვეტ-ნა-
წყვეტად უთხრა:

ჭარესა ჭარება-შვალი

— ეს... ე... ეს სის...ხლი რეტ დაცემული თოხლისაა. ცუდათ ვიდექი დაკვლის დროს და სისხლი შიგ პირის სახე-ში შემომასხა... .

— ეს ამ ორი-სამი დღისასა ჰგავს და შენ კი სოქვი, თოხლი იმ დღეს დავყალითო!..

— ჰო და გუშინ-წინ დავყალით თოხლი!..

— გაუ ხორცი გვექნება ამაღამისთვის?..

— ხორცი ერთი ჩიჩქნა ილარა გვაქვს! ლიმე ძალლებს ჩამოელოთ და სულ შეეჭამნათ. ჩვენ ერთი სადილი და ვახ-ჯამი შეგვრჩა!..

ქიტესას თვითონვე უკვირდა მერე, როგორ მოვახერხეო. იგი იწოდა და იტანჯებოდა სულიერად, რომ სულ ტუუ-ლებს ელაპარაკებოდა. იგი ვერ წამოიდგენდა, თუ სოქვიტა ვერ შეატყობდა სახეზე დანაშაულს. თვითონ სულ სხვანაი-რად გრძნობდა თავის თავს. მას ეგონა, სოქვიტა წაიკითხავდა მის შუბლზე: „ტყუის, ეს არის იბრაიმის მკვლელიო“, მაგ-რამ, მისდა სასიხარულოდ, სოქვიტამ არამც თუ ვერ შეამჩნია ტყუილი, არამედ ეჭვიც კი ვერ მიიტანა მის ლაპარაკის სი-ყალბეზე. სოქვიტამ ისევ სხვაზე დაუწყო ლაპარაკი და ქი-ტესამ თავისუფლად ამოისუნთქა... მოაგონდა ქიტესას წუ-ხანდელი განძრახვა, სად მიდიოდა ამ დილით, მაგრამ არ იცოდა ჩანაირად მოეხერხებინა თვისი განზრახვის აღსრუ-ლება. მოიფიქრა, ბოლოს, ერთი გზა, რომლითაც შეეჭლო უეჭველად წასვლა თავის გზაზედ.

— იცი, სოქვიტავ, რა გითხრა! მოდი გადავაყოლოთ ცხვარი ამ სერებს. ბალახი შევათვალიეროთ, თორემ ჩვენ გინის ახლო-მახლო, ხეირიანი ბალახი აღარ არის და თუ ადგილი მოგვეწონა, ბინაც გადავიტანოთ. ჰა! რას იტყვი, სოქვიტავ?..

— რა უნდა ვთქვა, ქიტესო! ძალიან კარგი იქნება. მძიმე-მძიმეთ გადავაყოლოთ, ძოგნრთაც მოვაძოვებთ და ბა-ლახსაც შევათვალიერებთ. კარგა ხანია, რაც ეს ცხვარი იქა-ტრიალებს: ზვავიც არ არის, რომ სიცხეში ბატყანი ზედ



დაეყაროს!.. აბა, მოუკაროთ და შევაყოლოთ ზემოთკენ!...
მოუდგნენ აქეთ-იქით ცხვარს და შეაყოლეს სერებს!...

VI

ცხვრის ფარა გადავიდა ერთ სერს, შეფინა მეორე სე-
რის ფერდობებს!.. ოგერ გადავიდა იმასაც და გადაეფინა და-
ბლა ხეობის ფერდობებში. ამ ხეობის დანახვაზედ ქიტესა
შეფიქრდა. ეს ის ხეობაა, რომელშიაც იბრაილი იყო და-
მარხული.

ცხვარმა გადაუხვია ბილიკებს და გაიშალა ხევში. სოქვი-
ტა და ქიტესა ჩაჰვინენ მოსაბრუნებლად. სოქვიტა ერთ აღ-
გილის შეჩერდა და დააკვირდა. კარგა ხანს უყურა, შინჯა
მუქაში აღებული მიწა და შემდეგ დაუძახა ქიტესას.

— ქიტესო, აბა აქ მოდი!..

— ქიტესას ფერი ეცვალა. აღარ იცოდა რა მოეგონე-
ბინა და რა ეთქვა. მეტი გზა და ხსნა აღარ იყო უნდა ისევ
ტყუილისთვის მიემართნა.

— აბა ერთი ნახე, ქიტესო, ეს რის სისხლია?!..

ჰკიოთხა სოქვიტამ და თან ფეხით აჩვენა სისხლით მობა-
სრული მიწა და ბალახები.

— ეს ნადირის სისხლი უნდა იყოს!..

და თან ფეხით დაუწყო ქექვა მიწას.

— ნადირისა?! აბა მაშ მივუვეთ! დაჭრილი აქ ახლო-
შახლო საღმე ეგდება!.. და თან გაპყვა სოქვიტა სისხლის
წვეთებს. ქიტესა კი მუხლების თახ-თახით უკან მისდევდა.
მან კარგათ იცოდა საღაც მიიყვანდა სისხლი. შესწყდა სი-
სხლის წვეთები იმ ადგილას, საღაც ხერგები იყო მიყრილი.
სოქვიტამ რამდენჯერმე შემოუარა გარს ამ საეჭვოდ დაგრო-
ვებულ ხერგებს და კარგად დაჩტმუნდა, რომ სისხლი სწო-
რედ იქა სწყდებოდა.

— აქ რაღაც ამბავია, ქიტესო! ნამდვილად კაცი მოუკლავს ვისმე და აქ ჩაუფლავს! სწორედ ეს ხერგები უამბოთ არ არის დაყრილი!..

— კაცი?! კაცს ვინ მოჰკლავდა?!..

და ჩააცერდა ქიტესა დედა მიწას.

— ვინ მოჰკლავდა და გამოპარული ტყვეები. ნამდვილათ ტყვეებს დაჭხვდა ჩვენი კაცი მოულოდნელად, შეეშინდებოდათ არ გაგვცესო, მდევარი არ დაგვადევნონო, მოჰკლავდნენ და მიწაში ჩაჭულავდნენ. აბა მოლი მიშველე, ხერგები გადმოვყაროთ და ვნახოთ რა არის!..

ქიტესამაც, ვითომ არა ვიცი რაო, დაუწყო სოქვიტას შველა ხერგების გადმოყრაში. გადაქექებს მიწა და ამოიღეს იბრაიმა. სოქვიტას პირაში ნერწყო გაუშრა.

— აյი ვთქვი, რომ კაცი იქნება მოკლული მეოქი. ნეტავ ვიცოდე ვინ არის ამის მომკვლელი. ეს ხომ ვიცი, ნამდვილად გამოპარული ტყვეებისგან არის მოკლული და ნეტავ ვიცოდე შორს არი ან თუ ახლო, დავედევნებოდი ეხლავ მარტო მე!.

— ეჭ! რას გააწყობ, სოქვ ტავ! ვინ იცის ეხლა, სად არიან მაგის მკლელები! თუ მარლთა ტყვეებისაგან არის მოკლული, ეხლა ისინი სამშვიდობოს იქნებიან გადასულნი!..

— რაღა ეშველება! მეც ვიცი, რომ ვეღარას ვუშველი, ვეღარ გავაცოცხლებ! ეხლა უნდა მოუაროთ!.. მოლი მიშველე, წყლის პირას მოვიტანოთ!...

იბრაიმა გარეცხა, გაასუფთავა სოქვიტამ თვის რჯულზედ!. იცი, ქიტესო! ეს მიცვალებული მაღლა ხეზედ შევდოთ, ცხვარი გადავაყოლოთ იქით სერებზედ; მერე იქიდგან მე სოფელში წავალ, შევატყობინებ იბრაიმას პატრონებს, რომ ამოვიდნენ და წაილონ, შენ ისევ უკან გამორეკე ცხვარი ბინაზედ. იბრაიმა შედეს მაღლა ხეზედ და ცხვარი, რომელიც მოჭუენოდ ტყეს, გაირეკეს წინ. გადავიდნენ დიდ სერს, საიდგანაც დაინახეს ერთ სერზედ ცხვრის ბინა, რომლის ახლოც ერთი ქალი მოჩანდა. ქიტესა ბინის და ქალის დანახვაზედ გაათროთოლა და ჩააცერებდა ქალს.



— ერიშ! აქათ ბინა პეტონიათ! ნეტავ ვისი იქნება?! აგურ
ქალიც ჩანს, ეტყობა, მთელი სახლობა ამოსულა. აბა ერთი
დაუძახოთ, გავიგოთ ვინ არის!..

ქიტესა ისე იდგა, თითქო არ ესმის სოქვიტას ლაპარაკიო,
მხოლოდ მისჩერებოდა ქალს და ვერც კარგათ არჩევდა ვინ
იყო!.. სოქვიტამ დაუყვირა ქალს და ტყავის ქუდით ანიშნებდა
„აქეთ წაშოდიო.“ ქიტესა ამ დაუყვირებამ გამოიყვანა გაშტე-
რებიდგან. ქალმა ხმის გაგონებაზედ შუბლზედ მაიღო ხელი,
გამოიხედა იქითკენ, საიდგანაც ეძახოდნენ და რო დაინახა
მეცხვარები, გამოსწია პირდაპირ მათკენ. ქიტესას სიხარულს
საზღვარი აღარა ჰქონდა.

— უმ! ფატიმა ყოფილა! გამარჯვება შენი, ფატიმ! როდის
ამოხვედით?..

მიაძიხა სოქვიტამ დედაკაცს, რომელიც ჯოხისა და ცალი
ხელის შუბლზედ ბჯენით მოდიოდა ფერდოზედ. აქამდის სი-
ხარულით განათებული სახე ქიტესასი შეიქმუხნა. ვის მოე-
ლოდა და ვინა ნახა?! ქალის მაგირვად დედა!...

— გადლერძელოს და უაგიმარჯოს, სოქვიტავ! ჩვენ კარგა
ხანია, რაც იქ ამოვედით. რაკი ბოტორო დადგა, ველარ
გავძელით.

— შენი ქალიც აქა გყავს?!

— ისიც აქა მყავს! მაშ მარტო ხმა არ დავანარჩუნებდი
სოფელში?!

ქლის ხსენებაზედ ქიტესა შეკრთა.

— ეხლა სად არის, ბინაშია?!

— არა, ეხლა აქ არ არის; გუშინ წყალზედ გავგზავნე.
წაქცეულიყო და კოკა გაეტეხნა. დღეს სოფელში გავგზავნე
კოკისთვის!...

ვიდრე ფატიმა ლაპარაკს გაათავებდა, ქიტესა შიშით გა-
აცივ-გაცელა. იმას ეგონა, ან ეხლა იტყვის აბრაიმას მოკ-
ვლის, ან ეხლაო, რადგანაც დარწმუნებული არ იყო, რომ
ქალი მოხერხებდა დაფარვას და მასთან ესე ხელოვნურად.

— შენ რისთვის ამოსულხარ?.. დაეკითხა ფატიმა.

— მე?! შენი არ იყოს, ჯერ სიცხემ შემაწუხა და ახლა ცხვრის ნახვაც მინდოდა, მაგრამ უნდა იკოდე, ფატიმ, რა სამწუხარო ამბავი დამხვდა!...

— რა ამბავი, ცხვარი ხომ არ დაგზარალებია?!

— ეს! ცხვრის დაზარალებას ვინ იჩივლებდა, ოლონდ უკან მდევნელი არ დამზიანებოდა!...

— ვინ უკან მდევნელი?!

— იბრაიმა!... გუშინ დილით ამ გამოუცდელი ბიჭისხვის ჩაუბარებია ცხვარი და თითონ წამოსულა აქეთ. დღეს ამ სერს იქით ხევში ხერგებ ქვეშ იყო ჩამარხული. უნდა შევა-ტყობინო იმის თავისიანებს, წაილონ სოფელში!..

— რას ამობ, სოქვიტავ! იბრაიმამ გუშინ დილით ჩვენი ბინის ზევიდგან გადმოიარა, არ ვიცი სად მიდიოდა. კარგა ხანი იდგა, უყურებდა ჩვენ ბინას და მერე გაჩქარებით წავიდა. ნეტავ ვინ მოჰკლავდა?! რა უნდა ქნას იმისშა პატრონმა ეხლა?!

— ვინ მოჰკლავდა! მე გამოპარულ ტყვეებს ვაბრალებ და ნამდვილიც არის!...

— სწორეთ მაგრე იქნება! ის გადაუდგებოდა წინ, წას-ვლის ნებას არ მისცემდა და ისინიც გაჯავრებულები მოჰ-კლავდნენ!...

— შენი ქმარი სად არის?!

— ალალზედ გარეკა ცხვარი. სალამომდის იქ დარჩება!..

— ეს სერები სულ თქვენ გიჭირავთ?!

— ჩვენ გვიჭირავს, მაგრამ არ გვინდება. ცხვარი ცოტა გვყავს ჩვენ და ამხანაგიც ვერავინ ვიშოვნეთ!...

— თუ ამხანაგი გინდეთ, აი მე მოგიამხანაგდებით. ეს ბიჭი გამოუცდელია და ამოდენა ცხვარს ვერ მოუვლის უცნობ მთაში!.. და თან აჩვენა ხელით ქიტესაზედ, რომელიც მისჩე-რებოდა ერთ წერტილს და თვალს არ აშორებდა. მის თავში ათასნაირი ფიქრები ირეოდნენ.

— ვინ არის ეგ, რომელი სოფლიდგან არის?

— არ ვიცი?! კახელია. პატრიონი არა ჰქითხულობს, შინ ყოფნა მოსწყინდა და ცხვარში ყოფნა მოინდომა.

— მე მიკვირს, სოქვიტავ, შენ როგორ ენდე მაგ ქართველს. არ გეშინიან, რომ ოინი გიყოს, დირექტოს ცხვარი და გადარეკოს კახეთში?

ფატიმას ეგონა ქიტესამ არ იცის ლექური ლაპარაკიონ და ხმა მალლა უთხრა ეს სოქვიტას. სოქვიტამ გაიცინა, რითაც ქიტესას დაანახვა, რომ მე ამ აზრისა არა ვარ შენზედათ და უთხრა ფატიმას:

— ჩემო ფატიმავ, მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ბიჭი თავის დღეში მაგ უსვინდისობას არ ჩაიდეს და ცხვარსაც, ჩემზედ უკეთესად თუ არა, ნაკლებ არ მოუვლის!..

კიდევ კარგა ხანი ილაპარაკეს სოქვიტამ და ფატიმამ. მერე გამოეშვილობა და უთხრა:

— ამაღამ ვეტყვი, სოქვიტავ, ალიას, რომ ამხანაგობა გინდა და მერე შეგატყობინებთ!... მიაშურა თავის ბინისკენ.

— გარეკე, ქიტესავ, ცხვარი ბინაზედ და ხვალ მეც ამოგეშველები. როგორც იყოს, ამაღამ იმარტოვე და, იმედია, ბინას ჩქარა გაღმოვიტან ილიასთან!..

ქიტესა და სოქვიტა გაიყარნენ. ქიტესამ გაირეკა ცხვარი ბინისკენ, სოქვიტა კი დაეშო სოფლისაკენ მიმავალ ბილიკზედ!.. ფატიმაც გავიდა თავის ბინასთან და სათვითოვოთ შეაგროვა გაფანტულ-გამოფანტული ცხვარი.

VII

შებინდდა! ალიამ, ფატიმას ქმარმა, ცხვარი ფარებში მორეკა და დააბინავა. სოფელში გაგზავნილი ქალიც მოუვიდათ. პატარა, წნელით მოხლართულ, ქოხში შეიკრიბა პატარა ოჯახობა.

— ზენო, — დაუძახა მამამ, — ერთი ცეცხლი ააბუუ, ვახშამი მოვამზადოთ ჩქარა, თორემ ძალიან მეძინება.

ქალიც წამოხტა, აიღო მამის ტალ-კვესი, ჩამოაკვესა აბედზედ და ცეცხლ მოკიდებული აბედი შეახვია ხმელ ფოთლებში, რომელიც ერთ წამს პტრიალდა. პატარა ხანიც და ბნელ უკუმეთ ქოქი გიზგიზებდა ცეცხლი, რომელზედაც ხის შამფურებზედ აგბული ცხვრის მწვადები შიშხინებდა. ცეცხლის მოშორებით ისხდნენ ცოლ-ქმარნი, რომელთაც წინ ედგათ ხონჩა ხმიადით და ყველის ნაკრებით. ზენო შამფურებს ატრიალებდა, რომ მწვადები არ დამწვარიყო და გემრიელათ შეეწო.

— სოფელში რა ამბავია, ზენო! ძალიანა ცხელა?!

დაეკითხა ალია, რომელიც ხონჩაზედ მწვადს სკრიდა.

— ეხლ აღარა ცხელა, აქამდის ცხელებული ძალიან! ჩვენი ყანებიც შეყვითლებულა!..

— რა მაგ სიტყვის პასუხია და იცით მე დღეს რა ამ-ბავი გავიგე? სთქვა და განაგრძო ფატიმამა — დღეს სოქვიტი იყო აქ და მითხრა, რომ იმის მეცხვარე იბრაიმა მოუკლავთ!.. დღეს თითონ სოქვიტას და იმასთან რომ ქართველია მიწაში დამალული უპოვნიათ. როგორც იმანა სთქვა, გაპარულს ტყვებს მოუკლავთ!..

ზენო ამ ლაპარაკის დროს დაიფანტა. შიშის კანკალმა აიტანა და ცივი ქრუანტელი უვლიდა მთელ სხეულში. მოა-გონდა ის წუთები, როდესაც იგი თავის თავს ცოცხლად არა სთვლიდა. ბევრნაირად ცდილობდა, რომ დედ-მამას არ შეემჩნივნათ მისთვის ასეთი მდგომარეობა. ამისთვის ადგა, შემოიტანა გარედგან შეშა, დააყარა ცეცხლს და თვითონაც ახლო მოუჯდა, რომ სიცივე მოსტეხოდა.

— როგორ თუ იბრაიმა მოუკლავთ!

გაოცებით ჰკითხა ალიამ და პირში ლუკმა გაეყინა — იბრაიმა, გუშინ იყო თუ გუშინ-წინ, ვნახე.

— მეც გუშინ დილით ვნახე! ჩვენ ზემოთ გადმოიარა, მაგრამ...

ფატიმამ აღარ დაათავა სიტყვა და მიუბრუნდა თავის ქალს.

— რა არის, ზენო?! როგორ გაკანკალებს, გცივა?!..

— ჰმ, როგორდაც შემცივდა, არ ვიცი რათა!.. არა
მიშავს რა, გავთბები და დამეკარგება სიცივე!..

მოიშორა დედა, რომელიც ისევ ალიას მიუბრუნდა.

— აი, ესე კი არი! მოდი ეხლა ტყვეები დაინდოს კაც-
მა! რაც შეიძლება, უნდა აწვალოს ეგენი!..

— უჰ! საწყალი იბრაიმა! — დაიწყო ალიამ — რა უნდა
ქნას იმისმა პატრონმა!? ერთი სიტყვით, ეგ ტყვეები უნდა
შერეკოს კაცმა ერთ სახლში, წაუკიდოს ცეცხლი და ამო-
ბუგოს!.. მაშ ეხლა სოჭვიტას ცხვარს ვინ მოუვლის?

— მაგაზედ მელაპარაკა. ერთი გამოუცდელი მეცხვარე
ჰყავს და მე მოთხრა, ეგები მიმიამხანაგოთ და ჩემი ცხვარიც
თქვენთან იყოლიოთო. საბალახეშიაც, რასაკვირველია, მო-
გიდგებითო. მე უთხარ, ამაღამ ალიას დავეკითხები მეოქი და
ხვალ, ან ზეგ ამოგა პასუხის შესატყობათ!..

— ძალიან კარგი! მივიამხანაგებ, მაინც ამდენი მთა არ
მოგვინდება. ეხლა მაინც ყანის მოსამკელად უნდა წავიდე
და მინამ ამოვალ, იმის მეცხვარეს ჩავაპარებ ჩვენ ცხვარსაც.
იქნება მე ვერა ვნახო და შენ უთხარ, როცა უნდა, გადმოიტა-
ნოს ბინა ჩვენთან!..

კარგა ხანი ილაპარაკეს ცოლ-ქმარმა და მერე ყველანი
დაწვნენ დასაძინებლად.

ზენო დაწვა იმ ღამეს, მაგრამ თვალი არ მოუხუჭნია
სიხარულით, რომ მისმა მამამ გამოაცხადა თანხმობა ბინების
შეერთებაზე და იმ ღამესვე განიზრახა ქიტესასთან წასვლა
სახარებლად. განიზრახა და წამოდგა კიდეც გარეთ გამოსა-
სვლელად, მაგრამ მის იღბალზედ, დედას არა სძინებოდა.

— სად მისდიხარ, ზენო, რათ ადექი?!

— გარედან რაღაც გრიალი შამომესმა; იქნება ნადირი
მოვარდა, გავხედავ!.. მოასწრო ზენომ.

— შენ ნუ გახვალ, კიდევ არ შეგცივდეს და ავად არ
გახდე! ნადირი რომ იყოს, ძალები დაიყეფავდნენ!..

და თვითონ გამოვიდა გარეთ. ზენოს ეწყინა, რომ ვერ
მოახერხა გაპარეა. დაწვა, მაგრამ მეორე დილით კი უმ-
ჭველად განიზრახა წასვლა და ისეთი მტკიცე იყო მისი გან-
ზრახვა, რომ არავის შეეძლო მისი გაკავება და წინდადგო-
მა!..

ქიტესა რაღას აკეთებდა?!

მორექა თუ არა ცხვარი ბინაზე, ფარებში შერექა, სა-
ლაფავი აქამა ძალებს და თვითონ კი პურუშელი მიწვა
ფარების კარებში დასაძინებლად, მაგრამ რა დააძინებდა!
დარღისაგან აღარ იცოდა რა ექმნა. ტყუილად შერჩა სია-
რული. თვალწინ სულ თვისი სატრფო ედგა. ძალად დახუ-
ჭულ თვალებს მალ-მალ გააჭყეტავდა, მიიხედ-მოიხედავდა,
რაღგანაც ყურებში რამდენჯერმე, თითქო ვიღაცამ ჩასხახა:
„ძლივს არ გიპოვნე“, მაგრამ რა დარწმუნდებოდა, რომ მო-
ვტყუვდიო, ისევ დახუჭავდა თვალებს და გული მომეტებუ-
ლად აევსებოდა ხოლმე ბოლმით. იქნება ზენოს სრულებით
გადაავიწყდა ქიტესა და ის კი ისე იტანჯებოდა მისდამი სიყვა-
რულით!?

არა! ზენო უარესად იტანჯებოდა. მისს ქიტესასადმი სი-
ყვარულს საზღვარი არა ჰქონდა. იგი ყოველ წამს ცდილო-
ბდა ქიტესას შეხვედროდა, ცდილობდა წასულიყო მასთან,
მაგრამ ვერ მოეხერხებინა. პირველ დღესვე, როდესაც ქიტესა
და იგი გაშორდნენ ერთმანეთს, გზაზედ გაურბინა თავში
აზრმა: „დავბრუნდები და სამუდამოთ მასთან დავრჩებიო“, — მა-
გრამ მოაგონდა დედ-მამა, სვინდისი, მოვალეობა და ისევ
არჩია თავისუფალი დროთი სარგებლობა. ორთავეს ის ანუგე-
შებდათ, რომ ჩქარა ბინებს შევაერთებოთ და ყოველ დღე
ერთად ვიქნებითო. ქიტესამ კიდევ განიზრახა მეორე დღეს
ალიას ბინაზედ გადასვლა იმ მიზეზით, რომ შეეტყო, ალიამ
თანახმობა გამოაცხადა თუ არა ბინების შეერთებაზედ!..

VIII

შეე კარგათ მაღლა იყო წამომდგარი ცის კამარაზე, რო-
დესაც ქიტესას ცხვარი გავიდა ერთ ვიწრო ხეობას და შეფინა-
მწვანე სერებს. ცხვარმა ხარბათ დაუწყო ბალახს ძოვნა. ქი-
ტესა კარგა ხანს იდგა გრძელ შვინდის კავზედ დაყრდნობილი,
უცბად, თითქო მუხლო მოეკვეთაო, დაეშო მწვანე ბალახის
ტბაში, რომელშიც მხრებამდის ცურავდა, მიჰყუდა ზურგი
ერთ ხეს, წელში გარემული სალამური იმოიძრო ქამრიდგან
და დაუკრა ტკბილის ხმით, დაუკრა კი არა—აატირა! თითებს
უგრძნობლად — მეხანიკურათ — ათამაშებდა ზედ, თვალ გაშტე-
რებით გაიყურებოდა ცხვრისკენ, თუმცა ვერც ერთს ვერა
ჰხედავდა, ისე იყო დაფანტული, დაკარგული ფიქრებში. ხან
ისე წავიდოდა ფიქრებში, რომ თითები დაუდგებოდა და მხო-
ლოთ სალამური ამოიკვნესებდა, თითქო ეწყინა თითების და-
ყენებაო, მაგრამ ქიტესას ისევ ან ცხვრის ბლავილი, ან ჩი-
ტის დაფთხრიალება გამოარკვევდა ფიქრებიდგან და ააკვნე-
სებდა ხოლმე (სალამურს) ისე როგორც კვნესოდა მისი
გული. ბოლოს სალამურმა ერთი უკანასკნელათ გასწიწინა
ჰაერში, გაფანტა ზარივით ხმა ბალახებში, ხის ტოტებში და
შესწყდა სრულებით, მხოლოდ უძრავით ეწყო ზედ ქიტესას
მსხვილი თითები და ტუჩები ოდნადლა ჰხვდებოდა მის ენას.
ქიტესა დაიკარგა ფიქრების ტალღებში!..

— დაუკარ, დაუკარ! რალას გააჩუქრე?

ვიღამაც ნაზის ხმით წამოსჩურჩულა უკანიდგან და თა-
ნაც რაღაც შეხება იგრძნო. ქიტესა გამოერკვა, მიიხედა უკან
და მეტის-მეტი განცვიფრების გამო გაშრა, ქანდაკებას დაე-
მგზავსა. მისი „ოცნება“ დაჩოქილი იდგა მის უკან და თვისი
პატარა, კოხტა ხელები ქიტესას განიერ ბეჭებზედ დაეწყო.
ერთ ხანს უძრავად იყვნენ, ხმას ვერ იღებდნენ, მხოლოდ
შეჰყურებდნენ ერთმანეთს აღზნებულის თვალებით. უცბად
შეტოვდნენ ორივნი, თითქოს აქამდის ნებართვას ელოდდნენ.

ვისგანმეო, გატაცებით მისცვივდნენ ერთმანეთს „უსურ-გაზის წნელივით“ ჩაგრიხეს მკლავები. ვერც ერთი ვერ აძლევდა თავის თავს პასუხს, თუ რათა შვრებოდნენ ამას, მხოლოდ წყაროსაებრ გადმოსდიოდათ ორივეს ცრემლები.

კარგა ხანს იყვნენ ასე, სვესავით ჩიხვეულნი და ვერც ერთი ვერ ახერხებდა ხელების გაშვებას. არც ერთი არ იღებდა ხმას, მხოლოდ უმატებდნენ სუნთქვას. ბოლოს ისევ ქიტესამ დასძლია გრძნობას და გაუშვა ხელები ქალს. მან წარმოიდგინა იბრაიმას მოკვლის მიზეზი და თავის თავს თვითონვე დაუწყო კილვა — ასე არ უნდა მოვქცეულიყო.

— როდის მოხვედი, ჩემო სიცოცხლევ! რატომ ვერ გავიგე შენი მოსვლა?!?

— მე კარგა ხანია მოვედი და აქა ვდგევარ. შენ სალა-მურს უკრავდი და ძალიანაც მომეწონა, რის გამოც არ გაგარიცვეტინე. ნალვლიანმა და სევდით სავსე სალამურის ხმამ მთლად დამშალა და დამიღუმა ენა! ძალიან იყავ ფიქრებში წასული! ნიტავ რასა ფიქრობდი?!

— შენმა ფიქრმა გამიტაცა, ჩემო სიხარულო, და სალა-მურიც იმისთვის გაჩუმდა. თითები აღარ დამემორილნენ და ვინ იცის, როდის გამოვერკვეოდი ამ ფიქრებიდგან... რა გულით მინდოდა შენი ნახვა, მაგრამ ვერა გზით ვერ მოვახერხე, გუშინ ვიყავ თქვენს ბინასთან, მაგრამ შარტო დედაშენი ვნახე, შენ სოფელში წასულიყავ. დღეს მინდოდა თქვენკენ გადმოვლა, მაგრამ შენ დამასწარი!.. მე ის უფრო მიკლავდა გულს და მტანჯავდა, რომ შენი სახელი არ ვიცოდი! ყოჩალ, ჩემო კარგო, რომ ჩვენი საიდუმლო დამალე! გუშინ დედაშენმა მე და სოჭიტას გვითხრა, რომ ჩემი ქალი სოფელში გავგზავნე კოკის ამოსატანად, გუშინ წყალზე გავგზავნე და გაეტეხნაო, მე მაშინვე მივხვდი, რომ შენი გამოგონილი იყო და ყოჩალ, ძალიან კარგათ მოგიხერხებია!..

— მაშ გიუი ხომ არ ვიყავ, რომ დედაჩემისთვის ისე მეთქო, როგორც მოჰხდა! შენ იყავ ჩემი ფიქრი; სრულებით მოულოდნელად და ჩემდა უნებურად მოვფრინავდი ფიქრებით



შენკენ! არ ვიცი, რა მიზეზი იყო, რომ შენ ვერა გხედავდი, მაგრამ ვერა გზით ვერ მოვახერხე აქ წამოსვლა. წუხელ დავა-პირე წამოსვლა, მაგრამ დედაჩემმა შემიტყო, რომ მოვდიოდი!. ეხლაც წყალზედ წამოვედი, კოკა ხევში დავდგი და მე აქეთ გამოვიქეცი. ცხვარს თვალი მოვკარ და ვიცოდი, რომ შენ აქ იქნებოდი. მე უნდა გახარო, რომ ბინა ჩვენთან. უნდა გადმოიტანოთ. ეხლა სოჭვიტამ გამოიარა ჩვენი ბინისკენ და გვითხრა, რომ იბრაიმას ჩავიტანთ სოფელში და მე ისევ ამოვალ ხვალაო. ბინას ხომ გადმოიტანთ და იმთვენი უნდა ვეტარნეთ, რომ ჩემმა დედ-მამამ არ აიღოს ეჭვი ჩვენზედ. შენ ცალკე გაიკეთე ქახი. თუმცა მამაჩემი გეტყვის, ჩვენთან იცხოვრეთ, მაგრამ შენ არ დათანხმდე. შენი ცალკე ცხოვრება ძალიან კარგი იქნება ჩვენთვის.

კარგა ხანი ისხდნენ ორივე გაჩუმებულნი და არც ერთი არ იღებდა ხმას. ზენო თავ-ჩაღუნული ჩაჰყურებდა დედა მიწას და სწიწკნიდა მწვანე ბალახს. ქიტესას გაშტერებოდა თვალები და უგრძნობლად მისჩერებოდა ზენოს.

— ახლა წავალ, თორემ დამიგვიანდება. წყალიც წვეთი არ გვიდგა, ჩქარა უნდა მივიტანო!..

წამოდგა ზენო წასისვლელად.

— დაიცადე! კიდევ ისე მიდიხარ?

— როგორ?!

— ისე, რომ სახელს არ მეუბნები!...

— ჩემი სახელი აქამდის არ იცოდი? მე ზენო მქვიან! მე კი ვიცი შენი სახელი და!.. სოჭვიტასაგან გავიგე!.. მშვი-დობით, უნდა წავიდე, თორემ დედაჩემ! ჩემკენ ექნება თვალ-გული!.. სოჭვიტას უთქამს, რომ იბრაიმა გამოპარულ ტყვეებს მოუკლავთ და ეშინიან, მარიგებს ფთხილათ იარე, შენც არსად შეგხვდნენ და არ მოგკლანო!..

— ზენო! უჟ, ჩემო სიცოცხლევ, ჩემო ნუგეშო, ჩემო სულო!.. იცი რა გითხრა?.. მაგრამ არა, წალი ისა სჯობია?..

თუმცა სათქმელი არა ჰქონდა რა, მაგრამ მიზეზათ ეს მოიდო, ეგებ ცოტა ხანს კიდევ გაჩერდესო!.. ზენომ რამდენიმე

ფეხი გადადგა, და უცბად ვიღაცამ შეაჩერა. მიიხედა უკან, უნდოდა დაენახა ვინ მოსჭიდა ხელი და ამ დროს მისი პატარა, ვარდის ფერი ტუჩები ქიტესამ ჩაიწოდნა. რამდენჯერმე აკო-ცა, რომლითაც უპასუხა თვისი მხრით ზენომაც და ატყარ-ტყარებულმა გასწია თავის გზაზედ. ხევის ბილიკმდის მია-ცილა ქიტესამ თვალებით ზენო და რა დაემალა მის თვალებს, აიღო ხელში თვისი შინდის კავი და ცხვარი კარგ ბალახიან სერზედ გადარეკა. ეხლა, ცოტა არ იყოს, ქიტესას გული დაუტშეიდა, რომ ზენო ნახა, მასთან, ბინაც ერთად ექნებო-დათ ამის შემდეგ. გაიგო, რომ მისი სიყვარულით ტანჯვა არ იყო ფუჭი, დარწმუნდა, რომ ზენოც სრული თანახმაა მისი აზრისა და გულის ცემისა, რის გამოც სრულ სულიერ კმა-ყოფილებას გრძნობდა, რაკი იპოვნა თანამგრძნობი სიყვა-რულში.

ქიტესა გატაცებული იყო იმ-ფიქრებით, თუ როგორ შეეძლო ზენოსთან იხლო კავშირი ექონია დედ-მამის შეუმჩ-ნევლად. იდგა თავ ჩაქინდრული და თვისი კავით ერთგულათ გლეჯავდა ბალახებს ძირიანად!.. დაიკარგა ქიტესა ფიქრების უფსკრულში; თვალებ ახილებული კაცი ვერასა ჰედავდა; ცოცხალი კაცი უსულო ქმნილებას ემგზავსებოდა; გაიხსენა, ამ რამდენიმე დღის წინათ რა გადასწყვიტა, რა აზრით წა-მოვიდა მთაში და ეხლა კი რასა ფიქრობს? მის გონებაში ფიქრები ორ დასათ გაიყო. მომხრე შვილობრივი მოვალეო-ბისა, დედ-მამის სიყვარულისა და სატრფოს სიყვარულისა. დიდ ტანჯვაში იყო და არ იცოდა, რომელი მხარისთვის და-ეთმო პირველი ადგილი. ეს რომ ამ ფიქრებში იყო, დაბლა ხეობიდგან ამოვიდა ერთი კაცი, რომელიც მოულოდნელად შეეფეთა ქიტესას. ის ფთხილათ გატრიალდა უკანვე და ამოე-ფარა ხეს, ქიტესა ლეკი ეგონა და ამის მიზეზით იმალებო-და. რამდენიმე ნაბიჯი კიდეც გადადგა უკან წასასვლელადვე რომ ქიტესამ ხმა მალლა დაილაპარაკა:

— არა, არ შიმიძლიან თუ კახეთში არ წავედი დედმა-მასთან. წავალ, ჩქარა წავალ უეჭველად. ზენოს ვეტუვი, თუ



ნებით გამომყვა, კარგი იქნება, თუ არა და მოტყუებით მო-
ვიტაცებ. არა მეონია უარი მითხრას! უმაგისოთ კი არ შე-
შეძლიან წასვლა!..

— უჲ! ქართველი ყოფილა!.. აბა მივალ, გავიგებ ვინ
არის! . დაბრუნდა უცნობი კაცი და მივიდა ქიტესამთან.

— გამარჯობა შენი, ძმობილო!..

თითქოს ძილიდგან გამოაფხიზლესო, ქიტესამ ეხლა აი-
ხედა და შეჭედა უცნობ კაცს, რომელიც მის წინ იდგა.

— გავიმარჯოს ღმერთმა!..

ეს სიტყვები ისე ცივათ უთხრა, რომ აშკარად შეეტ-
ყო, არ ესიამოვნა იმ კაცის მისვლა. უცნობი დააცქერ-
და ქიტესას სახეზედ, როგორლაც ეცნო სახე—არა, ამას
ლექის იერი არა აქვს, ქართველსა გავსო, გაიფიქრა მან.

— ძმობილო, შენ გატყობ ქართველი ხარ და, მითხარ,
აქ რა გინდა მეცხვარედ?!..

— არა ხარ მოტყუებული! მე ქართველი ვარ და მოგი-
ყვები კიდეც ჩემ ამბავს.

ქიტესას თუმცა პირველად არ ესიამოვნა იმ კაცის მი-
სვლა, მიგრამ მისმა გულშემატკივარ კილოთი კითხვებმა და
მოყვრულ თვალით ყურებამ, ცოტა არ იყო, გული გამოუ-
ცვალა.

— მეცხვარედ უბედურმა შემთხვევამ გამხადა. ტყვეთა
ვარ წამოყვანილი, ეს რვა-ცხრა წელიწადი. პატრინები არა
მკითხულობენ და მეტი არ შემეძლო კახეთში წასვლა. ჩემი
აქაური ბატონი მეტად კარგი აღამიანია, ძალიან კარგათ მი-
ნახავს. სხვა ტყვეებივით არა ვყევარ შეწუხებაში. სოფელში
ყოფნა რომ მომწყინდა, ცხვარში წამოველ...

ქიტესას არ დაეთავებინა ლაპარაკი, რომ მგზავრი მი-
ვარდა და გადაეხვია.

— ქიტესავ, შენა ხარ, ძმაო?! საიდგან, როგორ?! ბიჭო,
შენც ტყვეთა ხარ?!

ქიტესა განცვალებული უყურებდა და ჰკვირობდა იმ
კაცის ქცევას.

— ბიქო, რა ჯაკვირვებით მიყურებ, ვეღარა მცნობ შიოს? „შიო“-ს გაგონებაზედ ქიტესა გადაეხვია და დაუწყო კოცნა მგზავრს.

— შიო, რაღას იდექ და არ მეუბნებოდი? თუ მე ვერ გიცან, შენ რაღა დაგემართა?! რანაირად გამოცვლილხარ, სრულებით ვეღარ გიცან!

— პირველად ვერც მე გიცან, თორემ რას დაგემალებოდი! ძლიერ მოვიგონე შენი სახის იერი. მე მეუბნები გამოცვლილხარო და შენც ძალიანა ხარ გამოცვლილი. პირველ შეხედვით ვერავინ ვერ გიცნობს...

ეს შიო იყო ქიტესაანთ მეზობელი, მარტო-ხელი კაცი.

— დაჯექ, შიო, შენი ქირიმე, ცოტახანი ვილაპარაკოთ! შენ რანაირათლა მოჰქვდი ამ წუნკალების*) ხელში?

— რანაირათ და ტყვეთ წამომიყვანეს მეც, მაგრამ არა შეონია, ძმაო, თუ ჩემისთანა დღეში ერთი მაინც იქნებოდა ჩვენი კაცი ძალიან შემაწუხა ჩემმა ბატონმა და აი, ეხლა შეწუხებული, გამოვიპარე, კახეთში მივდივარ, თუ არ დამედევნენ და არ დამიკირეს. შენ ჯერ ლეკი მეგონე, უკან გავიპარე, სხვა გზით ვაპირებდი წასელას, მაგრამ შენ რომ ქართულად დაილაპარაკე, ისევ დავბრუნდი, ერთი სიტყვით, აბა რა გითხრა, აქამდის სულ შიშის თვალით ამოვახწიე და ვინ იცის ჩავახწევ თუ არა კახეთამდის მშვიდობით, ღმერთმა იცის!...

მოულოდნელათ შეხვედრილმა მეზობლებმა უამბეს ერთმანეთს თვისი თავ-გადასავალი, რამდენადაც კი დრომ და ადგილმა ნება მისცათ.

— აი ეხლა, ქიტესავ, მე მივდივარ შინ, შენც იღბალზედ შემხვდი, მოდი და ორივემ ერთათ ვიმგზავროთ, გავიპარნეთ. ამისთანა დროს ხომ ყოველთვის ვერ ჩაიკდებ ხელში და მგზავრსაც ვინ იცის იშვეგი თუ არა, მარტოკა კაცისთვინ კი ძნელია წასვლა. დროს ნუღარ დავკარგავთ, წავიდეთ,

*) წუნკალებს ეძახიან დიდოებს.

რომ თუ გაიგეს და მდევარი დაგვადევნეს, ჩვენ მანძილი გავიაროთ!

შიომ ისე იმოქმედა თვისი ლაპარაკით, რომ ქიტესას გაურბინა ფიქრმა— მოდი წავალო, მაგრამ უცბათ მოაგონდა თვისი გადაწყვეტილება და სოქვა:

— არა, ეხლა ვერ წავალ! უზენოვოთ როგორ წავიდე! თუ იმას წავიყვან, სულ ერთია, თუნდ დღეს წავსულვარ, თუნდ მერე!...

— რას ჩაფიქრდი, ქიტესავ, დრო ჩვენ ხელთ არის, ნულარ ვიგვიანებთ, წავიდეთ!...

— ეჭ, შიო! ბედნიერი ხარ, რომ მიდიხარ და ჩვენ მშვენიერ ქვეყანის ნახავ!... მე ეხლა არ შემიძლიან წამოსვლა!...

— რატომ არ შევიძლიან, ბიჭო, რა გიშლის, რისა გეშინიან, წამოდი!...

და თან ხელი მოსჭიდა, თითქო ძალით უნდა წაიყვანოს.

— არა, შიო, აკი გითხარ, ეხლა არ შემიძლიან წამოსვლა! წადი ეხლა შენ და მეც ჩქარა ჩამოვალ ჩვენ კახეთში!... ჩემი ბატონი დამპირდა, თუ პატრონებმა არ მოგიყითხეს, ყურქნობას მე თითონ წაგიყვან კახეთშიო!... აბა შენ თითონ იფიქრე, უსვინდისობა არ იქნება, კაცი შვილივით მენდობა და ეხლა მე უპატრონოთ დავყარო ამოტელა ცხვარი!... ერთი მითხარ, სიკეთის მაგიერია?!!

— აბა რა ვიცი, ძმაო, თუ მართლა ისეთი პატიოსანი კაცია, როგორც იქებ, შვილივით გიყურებს და დაგპირდა კიდეც წაყვანას, გაპარვა უსვინდისობა იქნება. რაკი წამოგიყვანს, თუნდ დღეს ყოფილა და თუნდ ხვალ!... მაშ მშვიდობით, ქიტესავ, მე მაინც წავალ, თუ ღმერთმა ხელი მომიმართა!... და გადაეხვივნენ ერთმანეთს საკოცნელად.

— მშვიდობით, შიო, მშვიდობით! ღმერთმა ხელი მოგიმართოს და მშვიდობის მგზავრობა მოგცეს. გოიკითხე ჩვენები და უთხარ, კარგათა ვარ, ნახვითაც, თუ ღმერთი შემეწია, ჩქარა ვნახავ!...



ამ სიტყვებით მიაცილა ქიტესამ მიმავალი შიო ხევის სიტყვების, რომელიც მიაშურებდა თვის გზას, და თვითონ გადაწვა გულ-აღმა მაღალ ბალახებში.

— საწყილი ჩევნები, ვინ იცის იქნება გადამიგლოვეს კიდეც და ეხლა რომგაიგებენ ჩემ ამბავს, რა ყოფა შეუდგებათ!... მე ვიცი, მეორ-მესამე დღესვე მამაჩემი აქეთ წამოვა, ჩემ წასა-ყვანათ. ეხლა უნდა ვეცადო, მამა ჩემის მოსვლამდის ზენო დავიყოლიო წასვლაზედ. ვიცი, ზენო უარს არ იტყვის, მა-გრამ საქმე იმის დედ-მამაა, არ დამანებებენ!... მაშინ, მეტი გზა აღარ არის, უნდა ძალით წავიყვანო, მოვიტაცებ!... მა-გრამ უბედურება ის არის, ვაი თუ მამაჩემაც არ ინდომოს! მაშინ რაღა ვუყო?!. როგორ მოვიქცე?.. უჰ! ეს რა ოხერი ფიქრი მომივიდა!... არა, არა მგონია, თავის დღეში მე დედ-მამა უარს არ მეტყვიან ზენოს შერთვაზედ!... ქართულად მოინათლება, სილამაზით ქალი ვერ შეედრება და სხვა რა-ღა უნდათ?!

— ვნახო ზენო და ვუთხრა ჩემი აზრი. იმედია, დამთანხმ-დება ყველაფერზედ!...

საღამოთი ჩვეულებრივ დროს მორეკა ცხვარი ბინაზედ. უკანასკნელი ლამე იყო ეს ქიტესასთვის ბინაში მარტო ყრიფნისა.

მეორე დღეს სოქვიტა ამოვიდა და ალიასთან გადაიტანეს ბინა. იმ, დღის მერე ალიას და ქიტესას სულ ერთად დაჭყავ-დათ ცხვარი იალაღზედ. ფატიმი და ზენო კი, ჯანდაგ^{*}) ცხვრებს უვლიდნენ. ეხლა ქიტესა და ზენო ყოველ ღამე, როდესაც კი ალია და ფატიმა დაიძინებდნდნ ხოლმე, გავი-დოდნენ, ფარეხის ახლო დასხდებოდნენ ჩუმათ და ტკბებოდ-ნენ ერთმანეთის სიყარულით. ასე გაიარა მათთვის მოელმა ზაფხულმა. მეორე ზაფხულშიაც ერთათ ედგათ ცხვარი ქიტესას და ალიას.

ტიტიკო

(შემდეგი იქნება)

^{*}) ჯანდავი—გამხდარი, დავარდნილი.

ს ა პ ო ვ ნ ე ლ ა

ოქტოგ მირბასი

აგერ დაღამდა და უან გენილმა კი ვერა იშოვნა-რა. რას
იზამდა? შინ უნდა დაბრუნებულიყო მშიერ-მწყურვალი. ში-
ნაო, რომ იტყოდა, მართლა შინ კი არ მიღიოდა: სად ჰქონ-
და მაწანწალის სახლი? ერთი თვე იყო ბაღში ეძინა, წამლის
ქვეშ, სკამზედ.

ბულვარზედ იდგა გულდაწყვეტილი. მეტოქეებმა და-
ჯაბნეს, უბრალო შემთხვევა იყო, თუ მუხლების ტკივილი,
საშოვარი დღიოთ-დღე უმცირდებოდა და დღეს დილით სა-
ლამომდე ხეტიალმა ისე ჩაუარა, რომ პურის ფასი ვერ იშოვ-
ნა; ერთა რაღაც უცხო ქვეყნის ფული მისცეს, რომელსაც
არავინ იღებდა.

— ღმერთი არ არის, — ჩიოდა მაწანწალა, — რაღა მე მა-
ტყუებდა ის მამა ცხონებული! ცარიელ პურსაც კი ვერ ვი-
ყიდი ამ ფულით! ხუმრობის გუნებაზე იყო? ერთი მეცა მკი-
თხავდა და!

და თვალ-წინ წამოუდგა მშვენიფრად ჩაცული ბურეუა,
რომელმაც გამოუსადეგარი ფული აჩუქა: ჩასუქებული, ღი-
პიანი ბურეუა, თოვლივით სპეტაკ გულის-პირით, თეთრ ყელ-
სახეევით და ოქროს ტარიან ჯოხით.

თვალ-წინ წარმოუდგა მაძლარი, კმაყოფილი ბურეუა და
მხრები-ლა იწია. ძალიან კარგი, მაგრამ ასე მშიერი წავიდეს
შინ? იმ სიშორეზედ? კიდევ კარგი, რომ ბაღში უკვე იცნო-
ბენ პოლიციელები, ებრალებათ და არ იწუხებენ, — ეგდოს
თავისთვის სკამზედაო.



რა უბედური დღე დაუდგა! სამი კვირაა, ასე ცუდად არსად უვლია! წიხდა ქვეყანა, გაწუწყდა, გაკადა, აღარც სიბრძოლულია, აღარც საწყალი კაცის განკითხვა! ერთი ორი შაური მაინც ეშოვნა: ამაღამაც იჯახშებდა და დილისთვი-საც გადაარჩენდა პურის ფულს. სულ ორი შაური, მეტი კი არა! იქნება შეხვდეს ვინმე ღვთისნიერი და მოწყალება გაი-ლოს... ისევ შინისკენ წასვლა სჯობიან: თუ ბედი სწყალობს, ღვთისნიერს გზაშიც შეხვდება.

ცალკე სიმშილი, ცალკე კიდევ მუხლის ტკივილი!.. კაცი თრი შაური ენატრებოდეს! ღვთისგან გაჩენილს ადამიანს ორი შაური არა ჰქონდეს, რომ პური იყიდოს! ეგ არის სამართა-ლი?

ნელ-ნელა მიაბიჯებდა დამშეული შინისკენ, მაგრამ ღვთის ნიერი კი არავინ სჩანდა. იმედი დაეკარგა, სიმშილი მოერია. ამ დროს ფეხი რაღასაც რბილს წაჲჭა. ვაიმე, ტალახში ჩა-გარდიო,—სთქვა, მაგრამ კუქმა შეუტია: რას მიჲჭარავ, საჭ-მელიაო! მართლაც და განა არ შეიძლება ლარიბ-ლატაკსაც გადმოხედოს ბედმა და საჭმელი აპოვნინოს რამე? შარშან არ იყო, ცხვრის ბარებალი კი არა და, იქნება ხბოს გული იყოს, ან ძროხის ღვიძლი... ძალლებისთვის იყიდდა ვინმე...

— ვნახოთ, ვნახოთ! — იძახდა იმედიანად შაწანწალა და დასწვდა ასაღებად...

— ერიპა! რომ ვამბობ, უბედური დღე დამილამდა-მე-თქი!

ქუჩაში არავინ იყო, პოლიციელებიც კი არსადა სჩან-დნენ.

ხელში პატარა, კოპწია, ვერცხლით შეკედილი პორტფე-ლი ეჭირა. გახსნა, ჩაიხედა; ერთს განკუთვილებაში ბანკის ბილეთები ელაგა, ქინძისთავით შეკრული ათას ფრანკიანი ბილეთები; გადაოვალა, ათი იყო... ათი ათასი ფრანკი ეპოვ-ნა მაწანწალას!

— მოდი ეხლა და ღმერთს სამართალი სთხოვე! დალო-ცვილი,—ზოგს იმდენს აძლევს, რომ ჯიბეში ვერ ეტევა, და

ზოგისთვის კი ცარიელი პურიც არ ემეტება! ეს, ღმერთი რომ იყოს, ხომ არც ამოღენი უთანასწორობა იქნებოდა, ფიქრობდა უცბად გამდიდრებული მაწანწალა.

ერთხელ კიდევ გადასინჯა პორტუელი, მაგრამ სხვა ვერა იპოვნა-რა: არც რამე წერილი, არც მოსაკითხი ბარათი; არავითარი კვალი, რომ ფულის პატრონისთვის მიეგნო როგორმე.

— უბედურს კაცს ქვა აღმართში მიეწევაო, — სთქვა გენილმა. — მოდი შენა და ახლა პოლიციისკენ გაბრუნდი! დალალული, მშიერ-მწყურვალი გაუდეგ იმოდენ გზას!

გამობრუნდა მაწანწალა და პოლიციას მიადგა. ბოქაული იყითხა... ახედ-დახედეს პოლიციის მოხელეებმა ძონძებში გახვეულს და შეუტიეს — შენთვის არა სცალიან ბოქაულსაო. მაგრამ იმდენი სთხოვა, იმდენი ეხვეწა, მეტად საჭირო და დიდი საქმე მაქსო, რომ ბოქაულის ნახვა აღირსეს.

აი ბატონო, — მოახსენა მოწიწებით თავის დახრით გენილმა, ეს არის ეხლა ვიპოვნე ქუჩაში ეს პორტფელი და თქვენკენ გამოვეშურე.

— რაო? რა იპოვნე?

— ეს პორტფელი, ბატონო.

— შიგ კი-არა იქნება რა და! დიდი რამ კი გიპოვნია!

— თქვენ თითონვე ნახეთ, ბატონო.

ბოქაულმა ჩამოართვა პორტფელი, გახსნა, ამოილო ბილეთები, გადათვალა და გაცვიფრებით დაშტერდა მაწანწალას.

— ათი ათასი ფრანკი!.. იცი, რამოდენი ფულია!.. მთელი თანხაა, სრულიად საკმარისი... სიმდიდრეა და განცხომა!

— დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი! — სთქვა მაწანწალამ, მე ლუკმა პური მენატრება და ამ ფულის პატრონს კი იქნება ასი ამდენი კიდევ სხვა ჰქონდეს.

ბოქაული კვლავ გაშტერებით სინჯავდა მაწანწალას და ეტყობოდა, მის საქციელში სისულელეს ხედავდა და არა ლირსეული კაცის მიერ თავის მოვალეობის ასრულებას.

— ამოდენი ფული იპოვნე და... პატიოსანი კაცი ყოფილ ხარ სწორედ! სამავალითო კაცი ყოფილხარ! არა, გმირი ყოფილხარ, გმირი!

— რას ბრძანებთ, ბატონო!...

— გეუბნები, გმირი ყოფილხარ მეთქი, გმირი! არა, მშიერმა კაცმა ფული იპოვნოს... ამოდენი ფული... მთელი სიმღილრე და... რომ გეუბნები, გმირი ყოფილხარ მეთქი! საკვირველი კაცი ყოფილხარ, სამავალითო კაცი ყოფილხარ!.. ამ გვარი საქციელი დაჯილდოვებულ უნდა იქმნას! დიალ, სწორედ რომ ჯილდოს ლირის ხარ!.. შენი სახელი?

— უნ გენილი, ბატონო.

— შენი ხელობა?

— ჩემდა საუბედუროდ, ხელობა არაფერი მაქვს, ბატონო.

— როგორ თუ არაფერი?! მაშ მამული გექნება, ან ფული?

— არა, ბატონო, მოწყალებით ვცხოვრობ, თუ ჩემი ცხოვრებაც ცხოვრებად ითქმის.

— ერიძა! ფთხილად, თორემ საქმეს წაახდენ,— დაიღრია ბოქაული. წელინდელი აღტაცება უცბად გაუქრა და ცოტა არ იყოს უკმეხად ჰკითხა:

— მაშ შენ მთხოვარი ხარ?

— დიალ, ბატონო, მთხოვარი გახლავარ.

— ჰომ?

ბოქაული ჩაფიქრდა.

— შენი ბინა? ჰკითხა ფიქრის შემდეგ.

— ვინ მომაქვავა, ბატონო? რა ბინა უნდა ჰკონდეს მთხოვარს?

— მაშ ბინა არა გაქვს?!

— საუბედუროდ, არა.

— რავქნა! მასხარად მიგდებ, თუ?! როგორ იქნება, ბინა არა გქონდეს?

— არა მაქვს, ბატონო, და რავქნა?



— შერე განა არ იცი, რომ მაგით კანონს არღვევს? განა არ იცი, რომ კანონის ძალით შენ უნდა გქონდეს და-დებული ბინა?

— უნდა მქონდეს, ბატონო, მაგრამ შეც მაგას ვჩივი, რომ არა მაქეს. კანონი მიბრძანებს, — გქონდესო, — და გაჭი-რება კი ნებას არ მაძლევს. რა წყალში გადავარდე? საქმე ველარა ვიშოვნე რა, ცხოვრების საღსარი მე არა მაქვს რა და... რა ვქნა, შეც დავდივარ ასე ხელგაწვდილი... თუ გა-მიკითხავს ვინმე და შავ ფულს მიწყალობებს, ხომ კარგი; თუ არა, ვარ ასე მშიერ-მწყურვალი... ხან კიდევ უცხოურს ფულს მომცემენ ხოლმე... გარდა ამისა დავბერდი კიდეც, ბატონო, დაესნეულდი...

— დაბერდი და დასნეულდი, ვინ გიშლის? ოლონდ ბი-ნას ნუ მოიშლი, და თუნდა თან გადაჭყვევ შენს სნეულებას! საქმე შენი სიბერე კი არ არის! საქმე ის არის, რომ შენ უბინაო, ესე იგი მაწანწალი ხარ, და მაწანწალებს კი ძალიან სასტიკად ეპყრობა კანონი. არა, წელანაც გითხარ და ეხლაც გეტყვი, რომ გმირი ხარ, ნამდვილი გმირი! მაგრამ ამისთან მაწანწალიალიცა ხარ! დიალ, მაწანწალი! გმირთათვის არავითარი კანონი არ ისეგბობს და მაწანწალებისთვის კი ფრიად სასტიკი კანონებია დადგენილი და შეც, რასაკვირველია, კანონისამებრ უნდა მოგვექცე. არა, ძალიან ვწუხვარ, ღვთის წინაშე, ძალიან მებრალები, რადგან შენი საქციელი სწორედ რომ სამაგალი-თოდ არის დასადები, მაგრამ რას იზამ? სად წაუხვალ კა-ნონს?! კანონი არ ისებობს და მისი დარღვევა უოვლად შეუ-ძლებელია!.. არა, სიმშილით კუჭი მეწვოდეს, ფული ვიპოვ-ნო და... ღმერთმა დამიფაროს! არც სიბერე მინდა და არც ასეთი გამოტვინება!

პორტფელი ხელში ეჭირა და ათამაშებდა.

— ფული იპოვნე... სხვა რომ ყოფილიყო შენს ალაგას, ჩემკენ კი არ გამოეშურებოდა!.. პატიოსანი კაცი ყოფილ-ხარ და სწორედ ღირსეულად მოიქეც, მართალია... მე განა ვგმობ შენს საქციელს? ღმერთმა დამიფაროს! პირიქით, მე

რომ მკითხო, ჯილდოს მოგცემდი... და მიიღებ კიდეც...
თუ ვიპოვნეთ ამ ათიათასი ფრანგის პატრონი, მე თითონა
ეთხოვ, რომ ერთი ხუთი ფრანგი... გაჩუქოს თუ ვიპოვნეთ,
რასაკვირველია. ეგ აგრე, მაგრამ განა აქედგან ის დასკვნა
გამოდის, რომ შენ ბინა არა გქონდეს? საქმე შენი პატიოს.
ნება კი არა, საქმე შენი ბინაა, ბინა! თავით ბოლომდე რომ
გადასინჯო ჩვენი კანონები, ვერსად ამოიკითხავ, — კაცი ვალ-
დებულია ქუჩაში ნაპოვნი ფული პატრონს ჩააბაროსო, მაგ-
რამ იმას კი არა ერთხელ ამოიკითხავ, რომ კაცი ვალდებუ-
ლია ბინა იქონიოს. არა, შე კაი კაცო, სხვის ფულის პოვ-
ნას, შენი ბინა გეპოვნა, ის არ გერჩივნა.

— რავჭნა, ბატონი?..

— მეც რავჭნა?. კანონი კინონია. ამაღამ აქ დარჩი, პო-
ლიციაში, და ხვალ ციხეში გაგგზავნი.

ბოქაულმა დარეკა და შემოსულს ორ მოხელეს ანიშნა
— გაიყვანეთო.

მაწანწალა კი ჯერაც ვერ მოსულიყო გონებაზედ: ვერ
გაეგო: რა დააშავა ნეტავი, რომ დაიჭირეს და ციხეში ამ-
წყველევენ? მაშ უნდა დაემალა ნაპოვნი?

ივ. მაჭაგარიანი.

დანაშაული და სასჯელი

(რომანი)

ექვს ნაწილიდან თ. მ. დასტოეგსკისა.

ნაწილი მაცეთი*)

დუნეჩეკასთანა და პულხერია ალექსანდროვნასთან უბედურ მოლაპარაკების შემდეგ პეტრ პეტროვიჩიც გამოფხიზულდა თითქოს. მის-და საუბედუროთა და დიდად საწყენად, იძულებული იყო დაეჯერებინა და ნამდვილ, უკვე მომხდარ ამბად ელიარებინა ის, რაც ერთის დღის წინად შეუძლებელათ და ოცნებათ მიაჩნდა. თავმოყვარეობა-მოშხამულს მთელი ღამე შავი გველივით რაღაც უღრღნიდა გულსა. წამოდგა თუ არა მეორე დღეს დილით, მაშინვე სარკეში ჩაიხედა. ეშინოდა, ნაღველა ხომ არ გამისივდაო? მაგრამ ამ მხრივ ჯერ-ჯერობით საშიში არა ჰქონდა-რა; პირ-იქით, თავისს თეთრისა და კეთილშობილს, ამ ბოლოს დროს ცოტათი ჩასუქებულს, სახეს რომ შექმედა, ერთს წამას იმედიც-კი მიეცა, რომ სხვაგან სადმე იშოვიდა საცოლესა და იქნება დუნეჩა. ზედ უკეთესსაც-კი; მაგრამ გამოერკვა მაშინვე და გულიანად გააფურთხა გვერდზედ, რის გამოკ თავისს მეგობრისა და ერთად მცხოვრებ ანდრეი სემიონიჩ ლებეზიატნიკოვის ჩუმი დაცინვაც გამოიწვია. შეჭირუა პეტრ პეტროვიჩმა, რომ დასკინა ახალგაზრდა მეგობარმა და გულში ჩაეჭრა, დაიხსომა; თუმცა აქამდისაც ბევრი რამ ჰქონდა უკვე ამ

*) იხ. „მოამბე“ 1905 წ. №№ I, II, III, IV, V, VI, VII, VIII.

მოკლე ხანში დახსომებული. უარესად იწყინა და გაბრაზდა, რომა მოისაზრა უცბად, რომ გუშინაც ტყუილ-უბრალოდ შეატყობინა ანდრეი სემიონის თავისი მარცხი. ეს მეორე შეცდომა იყო გუშინ, რომელიც სიუიცხით ჩაიდინა გაბრაზებულმა და გაჯავრებულმა... იმ დილითაც უსიამოვნობა უსიამოვნობას მოსდევდა, თითქოს განვებაო. სენატშიაც-კი რაღაცა უსიამოვნობა შეემთხვა საქმის გამო, რომლისთვისაც შეუძლებელია. ყველაზედ მეტად-კი აბრაზებდა სახლის პატრიონი, რომლისგანაც ქორწინების მოლოდინში პინა იქირავა და თავისს ხარჯზე აკეთებინებდა ახლა: არ სთანხმდებოდა ი ვიღაცა გამდიდრებული ნემეცი ხელოსანი იყო და სთხოვდა, პირობის დარღვევისათვის წერილით დადებული ჯარიმა სავსებით გადაეხადნა, თუმცა პირობა სულ რაღამდენიც დღე იყო დაეჭირათ და პეტრ პეტროვიჩიც სრულიად გაახლებულს ბინას აბარებდა პატრიონსა. ასრევე მოექცნენ მაღაზიაში, სადაც სახლის მოწყობილობა იყიდა, მაგრამ ჯერ-კი არ წამოეღოთ; არც ერთს გროშს ბერ მიღებულ ფულიდამ უკან აღარ უბრუნებდნენ.

„სახლის მოწყობილობისათვის ხომ არ შევირთავ ცოლსა!“ იმეორებდა კბილების ღრკიალით გულმოსული პეტრ პეტროვიჩი და თან რაღაცა იმედი არ სცილდებოდა კიდევა: — „ნუ-თუ მართლა ყველაფერი სამუდამოდ გაჰქია? ნუ-თუ ცდა ვერას გახდება?“ დუნეჩაზედ ფიქრი კვლავ გულს მაცდურად უღიტენებდა. საშინელის ცანჯვით მოინელა ეს წამი და გულ-დაშამულმა გადასწყვიტა, ერთის ნატვრით გაეთავებინა რასკოლნიკოვი, თუ-კი რომ მოახერხებდა.

„გარდა ამისა, შევცდი იმითაც, რომ ფული სრულიად არ მიმიცია,“ ფიქრობდა იკი დალონებული, ლებეზიატნიკოვის ქოხში დაბრუნებისას. — „ან რამ გამაქრიფანგა ისრე? ან-გარიშიც-კი არა მქონია-რა, ისე მომიხდა როგორლაც! მინდოდა, გაკირვებულები ყოფილიყვნენ, რომ ღვთის განვებათ ჩავთვალეთ და იმათ-კი, ჰედავთ, რა ქნეს!.. ფუჭ!.. არა, მე რომ ერთი ას ორმოც-და-ათი თუმანი ფული მიმეცა მზი-

თვისათვის: საჩუქრებისთვის, სხვა-და-სხვა კოლოფებისა, პირფარეშო რაგინდა-რეგბისათვის, გულის ქინძისთავებისა, მატერიებისა და კნოპისა და ინგლისურ მაღაზიის ხურდა-მურდისათვის, მაშინ საქმე უკეთ იქნებოდა... და უფრო მტკიცედაც! ასრე ადვილად უარს ვეღარ მეტყოდნენ მაშინ! თითონ ხალხია ისეთი, ვერ შეინარჩუნებდნენ და მოვალედ ჩასთვლიდნენ თავსა, საჩუქარიც, ფულიც, ყველაფერი უკან-ვე დაებრუნებინათ. უკან დაბრუნება-კი სამძიმოც იქნებოდა და დაენანებოდათ კიდეც! სინდისიც შეაწუხებდათ: როგორ გვაგდოთ კაცი, რომელიც აქამდის ასე გულუხვი და თავა-ზიანი იყოვო?.. ჰმ! შევცდი და ეგ არის!“

და ერთხელ კიდევ გააღრმიალო პეტრ პეტროვიჩმა კბი-ლები, ტუტუციუწოდა თავისს თავსა, რასაკვრელია, გუნება-ში მხოლოდ.

ამ გარდაწყვეტილებისა და დასკვნის შემდგომ ერთი ორად გაბოროტებული და გაბრაზებული დაბრუნდა შინა. მაგრამ კატერინა ივანოვნას ოთახში გაჩაღებულმა შესანდობარმა სამზადისმა უნებურად მიიპყრო მისი ყურადღება. ზოგი რამ გუშინაც ჰქონდა გაგონილი ამის შესახებ; ახსოვს, ვითომ იმასაც ჰპატიურობდნენ; მაგრამ იმდენი რამ ჰქონდა თვითონაც საზრუნავი, რომ დანარჩენს როგორლაც ყურადღება აღარ მიაქცია. გამოჰკითხა საჩქაროდ ქნის ლიპვევებ-ზელსა, რომელიც კატერინა ივანოვნას მაგივრად (სასაყლა-ოზედ იყო) რიგს აძლევდა სუფრის გაშლაზედა და შეიტყო, რომ ქელახი საკმაოდ რიგიანი უნდა ყოფილიყო; რომ მიწ-ვეული ჰყავდათ თითქმის ყველა მდგმურები და იმათგან ისე-თებიც-კი, რომლებსაც განსვენებული სრულიად არ იცნობდა; რომ მიწვეული იყო აგრეთვე ანდრეი სემიონიჩ ლებე-ზიატნიკოვიც-კი, რომელთანაც ნაჩეუბარი იყო კატერინა ივანოვნა და თვითონ პეტრ პეტროვიჩიც; რომ მას, პეტრ პეტროვიჩს, როგორც ყველაზედ საპატიო სტუმარს, ყველა-ზედ მეტად ელოდნენ. თვითონ ამალია ივანოვნაც დიდის პატივით იყო მიწვეული, თუმცა უსიამოვნობა მუდამა ჰქონდათ

ურთმანერთში; ამიტომაც საგანგებოდა სკდილობდა, ყველაფერი რი რიგზედა ყოფილიყო. თან სიამოვნებასა ჰერძნობდა და ამაყობდა, რომ მთლად ახლებსა და ფარისეულობაში გამოწყობილს შეეძლო თავი საკმაოდ მოეწონებინა. ყველა ამ ფაქტებმა და ცნობებმა რაღაცა ფიქრი აუძრეს პეტრ პეტროვიჩსა და ისაც ფიქრში წასული თავისს, ე. ი. ანდრეი სემიონიჩ ლებეზიატნიკოვის, ოთახში შევიდა. როგორც შეიტყო, მოწვეულთა შორის რასკოლნიკოვიც უნდა ყოფილიყო.

რაღაცა მიზეზით ანდრეი სემიონიჩიც მოეტი დღე შინ იჯდა. უცნაური დამოკიდებულება ჩამოუვარდა პეტრ პეტროვიჩს ამ კაცთანა, თუმცა ერთის მხრივ ბუნებრივიც იყო ეს მათი დამოკიდებულება: შესძულდა და შეეზიზდა იგი პეტრ პეტროვიჩს იმ დღიდანვე თითქმის, რაც მასთან დასახლდა, მაგრამ იმავ დროს თითქოს ეშინოდა კიდეც მისი. მარტო კრისანგობა და ფულის დაზოგვა არ იყო მიზეზი, რომ პეტრბურგში ჩამოსვლისათანავე მასთან ჩამოხტა; თუმცა უმთავრესი მიზეზი მაინც ეს იყო. იყო მის გარდა კიდევ სხვა მიზეზიც, რომელმაც აიძულა ასე მოქცეულიყო. ჯერ ისევ პროვინციაში პეტრ გაგონილი, რომ მისი აღზრდილი, ანდრეი სემიონიჩი, მოწინავე ახალგაზრდათა და პროგრესისტათ ითვლებოდა... რაღაცა საქმაოდ ზღაპრულსა და დიდმიზვნელოვანს წრეებშიაც გავლენა პეტრ ვითომ. ელდასავით ეცა პეტრ პეტროვიჩს ესა. და ი, სწორედ ეს ყოველისფრის მცოდნე, ყველის მოძულე და გამკიცხველი მძლავრი წრეები აშინებდნენ პეტრ პეტროვიჩსა და რაღაცა გაურკვეველს შიშის ზარს სცემდნენ. რასაკვრელია, თვითონ და ისიც პროვინციაში, ვერას გზით ვერ წარმოედგინა, თუნდაც დაახლოვებითაც, აშ გვარი რამ. გაეგონა მხოლოდ, რომ პეტერბურგში არიან ვიღაც პროგრესისტები, ნიგილისტები, გამკიცხველები და სხ. და სხ., მაგრამ სხვებსავით ისაც მხოლოდ აზვიადებდა და სასაცილოდ ამახინჯებდა მათს აზრსა და მნიშვნელობასა. მაგრამ ყველაზედ მეტად, რამდენიმე წელიწადი იყო აგერ, ეშინოდა მხილებისა და გაჭიცხვისა და ესვე იყო უმთავრესი

მიზეზი, რომ მუდმივ შიშობდა და მოუსვენრობდა, როცა კი განსაკუთრებით თავისს მოღვაწეობის პეტერბურგში გადატანა-ზედ ოცნებობდა ხოლმე. პატარა ბავშვივით დაშინებული იყო ამ მხრივა. რამდენისამე წლის წინად, პროვინციაში, თვითონ იყო მოწმე ორის სეფთ შემთხვევისა, როდესაც სასტიკად იქმნა გაიცხული და მხილებული გუბერნიაში დიდმნიშვნელოვანი ორი გვამი, რომელთა კალთის ქვეშაც იმ დრომდის მფარველობასა ჰქონებდა იგი. ერთის მათგანისათვის როგორ-ლაც მეტად სახათაბალოდ გათავდა, მეორე-კი კინაღამ მთლად შერცხვა. აი, რატომ გადასწყვიტა პეტრ პეტროვიჩმა პეტერბურგში ჩისგლისათანავე დაუყოვნებლივ გაეგო ყველა-ფერი და თუ საჭირო იქმნებოდა, ამ „მოწინავე ახალგაზრ-დობის“ გული ადრევე მოეგო. ამ მხრივ-კი ანდრეი სემიო-ნიჩის იმედი ჰქონდა დიდი, რომ დაეხმარებოდა. რასკოლნიკოვთან ყოფნითაც შესაფერად ისარგებლა; ისწავლა, სხვისა ნათქვაში და სხვისგან განაგონი როგორ გამოეთავისებინა...

რასაკვრელია, მალე გაიცნო, რა უგვანო და უბრალო კაცუნაც იყო ანდრეი სემიონიჩი. მაგრამ მაინც ვერ დააჯერა და დაამშვიდა ამ გარემოებამა. თუნდ დაეჯერებინა და და-რწმუნებულიყო კიდეც, რომ ყველა პროგრესისტები მისებრ ჩურჩუტები იყვნენ, მაინც ვერ დამშვიდდებოდა იგი. მასთან ამ შათის მოძღვრებისა, აზრებისა და სისტემებისა (რომლები-თაც ანდრეი სემიონიჩი მიესია მას) სულ ვერა გაიგო-რა. პეტრ პეტროვიჩს თავისი საკუთარი მიზანი ჰქონდა: გაეგო, რაც შეიძლება მალე, როგორ და რა ნაირად მოხდა აქ ყვე-ლაფერი? აქვს რამ ძალა ამ საჭხესა, თუ არა? არიან რითმე მისთვის საშიშონი თუ არა? ამხილებენ, რომ დაიწყოს რამე, თუ არა? და თუ ამხილებენ, სახელდობრ, რისთვის? ან რის-თვის ამხელენ ხოლმე ამ უამაღა? გარდა ამისა: არ შეიძლება როგორმე დაუახლოვდეს და ყინულზედ გააცუროს, თუ მარ-თლა ძალა რამე აქვთ? საჭიროა ესა, თუ არა? არ შეიძლება იმათით როგორმე წინ წაიწიოს, საქმე გაიკეთოს? ერთი სი-ტყვით, მრავალი ასეთი კითხვა დაებადა უცბად.

ანდრეი სემიონიჩი ლებეზიატნიკოვი იყო ტანათ დაბალი, გამხდარ გამხდარი, სატკბურიანი კაცუნა; გასაოცრად ქერა წვერი კატლეტივით ორათა ჰქონდა გაყოფილი, რითაც მუშამ ამაყობდა იგი. გარდა ამისა, თვალებიც თითქმის მუდამ სტკიოდა. გული ჩჩილი ჰქონდა და კეთილი, მაგრამ ლაპარაკი იცოდა მეტად რიხიანი, ზოგჯერ-კი დიდგულადაც, რაიცა მის გარეგნობასთან შედარებით თითქმის მუდამ სასაცილოდ მოსჩანდა ხოლმე. მაინც ამალია ივანოვნას მდგმურებში ყველაზედ პატივცემულად ის ითვლებოდა, რაღაც არა ჰსეამდა და ოთახის ქირასაც დროზედ იხდიდა მუდამ. მიუხედავად ყველა ამ თვისებისა, ანდრეი სემიონიჩი მაინც ჩურჩუტი იყო ცოტა. სამსახურით სადღაცა მსახურებდა, მაგრამ პროგრესსა და ამ „ახალს თაობას“ აჰკვიატებოდა მეტად. ეს იყო იმ მრავალ რიცხვოვან, უგვან და გადამღრძვალ უდღეურთაგანი, რომლებიც რიგზედ ვერის შეისწავლიან ხოლმე, მაგრამ საამდროვო, ზერელა აზრებს-კი უცბად შეითვისებენ, რომ იმავ წამს გაახეიბრონ და დაამახინჯონ, რომ უცბად გაასასაცილოვონ ყველაფერი, რასაც-კი ზოგჯერ გულწრფელად ემსახურებიან ვითომ.

მიუხედავად იმისა, რომ გულკეთილი იყო ლებეზიატნიკოვი, მაინც შესძულდა თავისი ძველი მზრუნველი და ახლა მასთან მცხოვრები პეტრ პეტროვიჩი. როგორლაც უნებურად და უცბად შესძულდათ ორთავეს ერთმანერთი. უბრალო რამ იყო ანდრეი სემიონიჩი, მაგრამ მიჰევდა მაინც ნელ-ნელა, რომ ატყუებდა პეტრ პეტროვიჩი და ჩუმად სძულდა კიდეც იგი, — რომ „სხვა იყო ნამდვილათა და სხვად აჩვენებდა თავსა“, თვალებს უბამდა. სკადა როგორლაც ლებეზიატნიკოვმა და დაუწყო ფურიეს სისტემისა და დარვინის თეორიის გაცნობა, მაგრამ პეტრ პეტროვიჩმა, განსაკუთრებით ბოლოს დროს, როგორლაც სასაცილოდ აიგდო თითქმის და ჩხუბიც-კი დაუწყო. საქმე ის იყო, რომ ალლო აიღო, რომ ბ-ნი ლებეზიატნიკოვი მარტო უგვანი და ჩურჩუტი კი არა, მატყუარაც იყო და არავითარის გავლენისა და კავშირის



მქონე არ იყო თავისს წრეში, მხოლოდ სხვებისაგანა ჰქონდა ზოგიერთა რამ გაგონილი; გარდა მაგისა, თვითონ საპრაპარატო საგანიც თითქოს არ იცოდა კარგად, როვორ-ლაც ხშირად იძნეოდა; მაშისადამე, რის მამხილებელი უნდა ყოფილიყო. მართლა, შევნიშნავთ აქვე, რომ ამ კვირა ნახევ-რის განმავლობაში, რაც ანდრე სემიონიჩითანა სცხოვრობდა პეტრ პეტროვიჩი, არ უარობდა და ხილისიანად იღებდა მუ-დამ მისს, ზოგჯერ მეტად უცნაურს, ქებასა; ე. ი. ჩუმად ისმენდა, მაგალითად, როდესაც ანდრე სემიონიჩის სჯეროდა, რომ პეტრ პეტროვიჩი მომავალს სახოგადოებას ხელს შეუ-წყობდა და სადმე მეშჩანსკი ქუჩაზე ახალს „გომუნას“ დაა-არსებდნენ; რომ, მაგალითად, დუნების ხელს არ შეუშლი-და, თუ ქორწინების შემდგომ პირველს თვეზედვე საყვარელს გაიჩენდა; ან შეილებს არ მოანათვლინებდა და სხ. და სხ. ჩვეულებისამებრ, არ ეწინააღმდეგებოდა პეტრ პეტროვიჩი და ნებას აძლევდა ექო და ედიდებინა, თუნდ ასეც, —იქამ-დის სასიამოვნო იყო მისთვის ქება.

რაღაცისათვის ხუთ-პროცენტიანი ფასიანი ქაღალდები დაეხურდავებანა პეტრ პეტროვიჩის იმ დილითა, მისჯდომოდა მაგიდასა და შეკრულს ქაღალდის ფულსა და სერიებს ითვლი-და. ანდრე სემიონიჩი-კი, რომელსაც არასოდეს თითქმის ფული არ მოეპოვებოდა, ოთახში გადი-გამოდიოდა და ისე უჩვენებდა თავსა, ვითომ გულგრილადა და ზიზღით უყუ-რებდა ამ ფულებსა. მაგრამ ვერ დააჯერებდა ვერასოდეს პეტრ პეტროვიჩსა, რომ მართლაც შესძლებდა ანდრე სე-მიონიჩი და გულგრილად დაუწყებდა ცქერას ამდენა ფულს; ამიტომაც გულნატკენმა გაივლო ფიქრად, იქნება ასე ჰგო-ნია პეტრ პეტროვიჩსა და განგებ ამოალაგა მის წინ ამოდენა ქაღალდის ფული, რომ გაებრაზებინა და ეგრძნობინებინა, რა არარაობა რამ იყო იგი, ან ერთმანეთისაგან რით გან-სხვავდებოდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ანდრე სემიონიჩმა საყვარელ „კომუნაზე“ გაუბა ლაპარაკი, პეტრ პეტროვიჩი მაინც არა-

ვითარს ყუჩადღებას არ ძეცვედა და ჰლელავდა კიდეც თი-
თქმის. ნაწყვეტ-ნაწყვეტი შენიშვნები, რომლის ღირსაღაც
საანგარიშო ჩითქის ჩხაკუნში ჰელიდა იგი ანდრეი სემიონიჩისა,
მოურიდებელი და განზრახ უზრდელი დაცინვა იყო მხოლოდ.
„დარბაისელი“ ანდრეი სემიონიჩი გუშინ დელს მარცხს აწერ-
და მაინც მისს ასეთს სულიერს განწყობილებასა და ნატრობდა,
როგორმე მალე ლაპარაკი ისევ ამ საგანზედ ჩამოეგდო: უნ-
დოდა, ცოტა რამ საპროპაგანდო და პროგრესიული ეფექტი
ამის შესახებ და პატივცემული მეგობარი როგორმე ენუგე
შეგინა, რომ მისს მომავალ განვითარებისათვის „უცემელად“
რამ სარგებლობა მოეტანა.

— რაო, ქელებსა ჰმართავს, ე... ქვრივია ვიღაცა? —
ჩაეკითხა უცბად პეტრ პეტროვიჩი და საყურადღებო აღგი-
ლას შეაწყვეტინა სწორედ ანდრეი სემიონიჩს ლაპარაკი.

— ვითომ-და არ იცით; გუშინ არ იყო, მე თვითონ
გელაპარაკებოდით ამაზედ და ჩემი აზრიც გამოვსოქვა ყვე-
ლა ამ ჩვეულებათა შესახებ?.. გარდა ამისა, თქვენც მიწვე-
ული ხართ; თორემ, არ იყო, თქვენ თითონ ელაპარაკებოდით
გუშინა...»

— არ მეგონა სწორედ, თუ, ე ტუტუცი გლახა მთელს
თავისს ფულს, რომელიც ასეთისავე ტუტუცისაგან მიიღო,
ქელებს მოანდომებდა... გავკვირდი სწორედ, რომ გამოვი-
რე აბლა: ისეთი სამხადისი აქვთ და ღვინოები!.. რამდენიმე
კაცი მოუწვევიათ, — ეშმაქმა იცის, რა ამბავია! განაგრძობდა
პეტრ პეტროვიჩი და თან რალაცა აზრით სულ ისევ ამ სა-
განზედ ეკითხებოდა: — რაო? მეც მიმიწვიეს? — დასძინა უცბ-
ად და თავი იღო მაღლა. — როდის, როდისა? არ მახსოვეს.
სულ ერთია, არ წიგალ. რა უნდა გავაკეთო? გუშინ ისე,
გავლით, ვუთხარი ორიოდე სიტყვა, რომ, როგორც ლარიბ-
ლატაკს ქვრივს მოხელისას, შეეძლო ერთ-დრუულ დახმარე-
ბათ წლიური ჯამიგირი მიეღო როგორმე. იქნება ამიტომაც
მიმიწვია? ხე-ხე-ხე-ხე!

— არც მე ვაპირებ შასვლასა, — უპასუხა ლეპეზიატნი-
კოვმა.



— რასაკვრელია, ვერ წახვალო! თქვენ არ იყავით, საკუთარის ხელით მიექცეთ! ეპვი არ არის, გერცხვნებათ და იმიტომ ვერ წახვალო. ხე-ხე-ხე!

— ვინა, ვინ სცემა? ვისა? — გაწიწმატდა და გაწითლდა უცბად ლებეზიატნიკოვი.

— ვინა-და, თქვენა, კატერინა ივანოვნას, ამ ერთის თვის წინათა, ვგონებ! გავიგე, გავიგე, გუშინ მითხრეს... ესაც თქვენი რწმენა და აზრები! დედათა კითხვასაც ხომ პატივი ეცით, ხე-ხე-ხე-ხე!

და ნუგეშცმული პეტრ პეტროვიჩი ჩოთქის ჩხაკუნს მოჰყვა ისევა.

— ყველაფერი ეგ სისულელე და ცილისწამებაა! — აენთო ლებეზიატნიკოვი, რომელსაც შიშის ზარს სცემდა მუდამ ამ ისტორიის მოგონება. — და არც აგრე იყო საქმე! სულ სხვაა... სხვა ნიირათ გაგიგონიათ; ცილი და ჭორია ეგა! მე მხოლოდ თავს ვიცავდი მაშინ თითონვე მომგარდა გააფთრებული... კინალამ წვერი მთლად ჩამომაშიწყნა... მგონია, ყველას იქვს უფლება თავი დაიცვას. გარდა მაგისა, არავის ნებას არ მივსცემ ძალმომრეობისას... პრინციპის ძალით. იმიტომ, რომ მტარვალობა და ბატონობაა ეგა. რა უნდა მექნა, მაშა, ვმდგარიყავი და მეცქირა? ხელი ვკარი მარტო, მოვიშორევი.

— ხე-ხე-ხე-ხე! — დასცინოდა მწარედ ლუქინი.

— ეგ იმიტომ მოგდით, რომ თვითონ ხართ გაბრაზებული და გულნატკენი... თორემ ყველა ის, რაც გაგიგიათ, სისულელეა და დედათა კითხვასაც სრულებით არ შეეხება! არც საქმე გესმით რიგზედ; მე-კი ასე ვფიქრობდი, რაკი ქალი ყველაფრით თანასწორია კაცისა, ლონითაც-კი (ხომ ამტკიცებენ), მაშისადამე, იქაც უნდა თანასწორი იყოს მეთქი. რასაკვრელია, მერე ვიფრქევი, ასეთი კითხვა სრულიად შეუძლებელია-მეთქი, ვინაიდგან მომავალს საზოგადოებაში ჩხუბს ადგილი არ ექნება... და მეორეც, სასაცილო და უცნაური იქნებოდა სწორედ, ჩხუბში ვისმე თანასწორობის ძიება

დაეწყო... არც ისეთი ტუტუცი ვარ... თუმცა, მართალია, ჩეუბი... ე. ი. შემდგომში აღარ იქნება, მაგრამ ჯერ-ჯერობით კიდევ არის... ფუქ, ეშმაკა! თქვენთან მოლაპარაკე მთლიად გადირევა! იმიტომ-კი არ ვამბობ უარსა, არ დავე-სწრები ქვლეხსა-მეთქი, რომ უსიამოვნობა შემემთხვე. არა, პრინციპის გულისათვის არ წავალ, რომ ასეთს სათაკილო და საზიზლარ ცრუმორწმუნოებას არ დავესწრო, აი, რატომ! თუმცა, შეიძლებოდა წავსულიყავი კიდეცა, მაგრამ იმიტომ მხოლოდ, რომ დამეცინა... მგრამ ვაი, რომ მღვდლები არ ეყოლებათ. მღვდლი-კი რომ ჰყავდეთ, უთუოდ წავიდოდი.

— ეს იგი, სხვისა პურ-მარილი სკამოთ და იქვე შეუ-გინოთ? შეურაცხვყოთ იგრევთვე ისინიც, ვინც მიგიწვიათ! ასეა თქვენი აზრი, თუ არა?

— იმიტომ, რომ წინააღმდეგობა გავუწიო და არა იმი-ტომ, რომ პურ-მარილი შევუგინო. ისიც ისევ სარგებლობის გულისათვისა და სიკეთით. ამითი ისევ განვითარებისა და პროპაგანდის საქმეს მოვუმართავდი სელსა. ყველა მოვალეა, განვითარებისა და პროპაგანდის საქმეს ემსახუროს და იქნება მით უკეთესი და სამჯობინოც იყოს, რამდენადაც მწვავედ და მოურიდებლად გაუწევს წინააღმდეგობას ასეთ საქმეს. მე მხოლოდ იდეას მივცემ, თესლს მოვაბნევ.. მერეთვითონ გადაიქ ცევა ფაქტად. რითო, ან როგორ შეურაცხვყოფ, განა? პირვე-ლად, მართალია, ეწყინებათ, მაგრამ მერმე უთუოდ მიჰხედებიან და დაინახებენ, რომ სარგებლობა მოვუტანე მხოლოდ. აი, ჩვე-ნშიაც ბევრს ამტყუნებდნენ ტერებევის (კომმუნაშია ახლა), რომ ოჯახს თავი დაანება და... მისწერა მამას, — აღარი მსუ-რს ასეთ ცრუმორწმუნოებათა შორის ცხოვრება, სამოქალა-ქო ქორწინებით სხვას მივდევთ; ვითომ მეტად სასტიკად მოიქცა; ხომ შეიძლებოდა, მამის ცოტა სხვა რიგიდ მოჰკვრ-ობოდა და რბილად როგორმე მიეწერაო. ჩემის აზრით-კი, სის-ულევე სულ ესა, პირ-იქით, წინააღმდეგობა უთუოდ პირ-დაპირი და მოურიდებელი უნდა იყოს. იგრეა, ვარენტამც შვიდი წელიწადი ქმართან იცხოვრა, მაგრამ ორ-ორი ბავ-

შვის პატრონმა უცბად ქმარს ასეთი წერილი მისწერა: „შევიგნე და მივხვდი, რომ თქვენთან ბეღნიერად არასოდეს არ ვიქმნები. ვერასოდეს ვერ გაპატიებთ, რომ მომატყუეთ და არ შემატყობინეთ, რომ არსებობდა ქვეყნად სხვა რიგი ცხოვრებაც, კომმუნის წესით. ამ ბოლო დროს-ლა შევიტყე მხოლოდ ერთ დიდსულოვან ადამიანისაგან და გადავწყვიტე, ერთად კომმუნა დავაარსოთ. გწერთ პირდაპირ, რადგანაც არა მსურს უპატიოსნობა ჩავიდინო და მოგატყუოთ. იყავით, როგორც გერჩიოთ. ნულარც ჩემის დაბრუნების იმედი-ლა გექმნებათ. გვიან-ლაა. გისურვებთ ბეღნიერადა სცხოვრობდეთ.“ აი, ხომ ჰედავთ, როგორა სწერენ ასეთს წერილებსა!

— ეს ის ტერებევაა, რომ იძახდით, მესამედ იქორწინა სამოქალაქო წესითაო?

— მხოლოდ მეორედ, თუ ნამდვილი გინდათ გაიგოთ! მაგრამ თუნდ მეოთხეთა და მეთხოთმეტედაც იყოს, სისულე-ლეა, რა უშავს! მეც, თუ ოდესშე სანანურათა მქონია, რომ დედ-მამა დამეხოცა, რასაკვრელია, ახლა მაქვს სანანურათა. რამდენჯერმე მიოუწენია უკვე, ცოცხლები რომა მყოლოდა, როგორ დაცხებდი პროტესტსა! განგებ მოვაწყობდი ასრე... ეს რა არის კიდევა, უჳა! ვაჩვენებდი! გავაკვირვებდი პირდაპირ! ესწუხვაო სწორედ, რომ არავინა მყავს!

— რომ გაეკვირვებინათ! ხე ხე-ხე! დე, როგორც გნებავდეთ, თუნდ აგრე იყოს,—გააწყვეტინა პეტრ პეტროვიჩ-მა,— მაგრამ მითხარით ერთი: ამ განსვენებულის ქალს, გამხდარ-გამხდარს, იცნობთ ხომა! მართალია, მაშ, რასაც ამბობენ იმაზედა? ჰა?

— რა არის მრჩე რომა? ჩემის აზრითა და პირადის რწმენით სრულიად ბუნებრივი მდგომარეობაა ქალისა. რატომაც არაო ვითომ? ესე იგი განვსაჯოთ. დღევანდელს საზოგადოებაში, რასაკვრელია, ბუნებრივი არ დაერქმევა ასეთს მოვლენასა, იმიტომ, რომ ძალდატანებითია იგი, მაგრამ მომავალში-კი ბუნებრივი შეიქმნება სრულიად, ვინაიდგავ

თავისუფალი იქმნება. ახლაც-კი უფლება ჰქონდა: ქალი იტანჯებოდა, ეს მისი სიმღიდრე და ფონდი იყო, მაშა-სადამე, უფლებაც ჰქონდა, როგორცა ჰსურდა, ისე მოე-ხმარა. რასაკვრელია, მომავალს საზოგადოებაში ფონდები საჭირო აღარ იქმნება; მაგრამ დანიშნულება მისი სხვა იქმნება, რაციონალურად გარკვეული. რაც შეეხება პირადად სოფია სემონოვნასა, ჩემის აზრითა და შეხედულობით, ეს მისი საქციელი ცოცხალი და გაბედული წინააღმდეგობაა დღევანდელ საზოგადოებრივ წყობილებისადმი მიმართული, და ამიტომაც ლრმად პატივსა ვსცემ მასა; ეხარობ თითქმის, რომ ვუცემრა!

— მე-კი მითხრეს, ვითომ თქვენ გაგედევნოთ ნომრები-დამა!

გაცეცხლდა, გამძვინვარდა ლებზიატნიკოვი.

— ეგაც ჭორია ისევ! — შეჰყვირა. — აგრე არა ყოფილა სულაც! გეუბნებით, არა-მეთქი! კატერინა ივანოვნამ იცრუა მაშინ, იმიტომ, რომ ვერა გაიგო-რა! სრულიადაც არ ავკვი-ატებივარ და ივყოლივარ სოფია სემონოვნასა. ვსცდილობდი მხოლოდ, გამევითარებინა, რომ პროტესტი გამოეცხადებინა... მე მხოლოდ პროტესტი მინდოდა გამომეწვია, მაგრამ თვი-თონ სოფია სემონოვნასაც აღარ შეეძლო ნომრებში დარჩენა!

— რატომაო? კომმუნაში ხომ არ იწვევდნენ?

— თქვენ კიდევა! დაიცინებით სულა, მაგრამ უნდა მო-გახსენოთ, უაღგილოთა და უაზროდ მეტად. არა გესმისთ-რა! კომმუნაში ასეთი დანიშნულება არავისა აქვს. პირ-იქით არსებება იმიტომ, რომ ასეთი მოვალეობა არავისა ჰქონდეს. კომმუნის დროს ყველაფერი ეს გამოიცვლება და რაც ახლა სისულელეთ ითვლება, მაშინ გონივრული შეიქმნება; რაც დღევანდელს გარემოებაში არა-ბუნებრივია, იქ სრულიად ბუნებრივს სახეს მიიღებს. იმაზეა ყველაფერი დამოკიდებული, რა გარემოებასა და ხალხში ტრიალებს ადამიანი. საზო-გადოებაზეა ყოველივე დამოკიდებული; თავისს-თავად კი კა-ცი არა-რა არის. სოფია სემონოვნასთან კი დღესაც კარგი

განწყობილება მაქვს, რაც, ეჭვი არ არის, ამტკიცებს, რომ მტრათა და შეურაცხმყოფელად არა მთვლის იგი. მინდა ახლა კომმუნაშიაც შევიყვანო, მაგრამ სხვა პირობებით სულა! რა არის აქ სასაცილო? გვინდა, საგანგებო კომმუნა დავაარსოთ, მაგრამ მეტის თავისუფლებით უფრო, ვიღრე უწინდელს კომმუნებს ჰქონდათ. იმიტომ, რომ თავისუფალის რწმენისახი გართ უფრო და მეტსაც უარვყოფთ! დობროლუბოვი რომ სამარიდამ წამომდგარიყო, შევეკამათებოდი სწორედ. ბელინსკის ხომ მოლად ბრეს გავადენდი! ჯერ-ჯერობით-კი სოფია სემონოვნას განვითარებას განვაგრძობ ისევ მშვენიერისა და საუცხოვო ბუნების ადამიანია სწორედ!

— მერე, ჰსარგებლობთ თქვენც ამ მშვენიერის ბუნების ადამიანითა, ჰა? ხე-ხე-ხე?

— სრულიადაც არა! არა და არა! პირ-იქით!

— აბა, მაგას-კი ნუ იტყვით ტყუილად! ხე-ხე-ხე-ხე! ვერ ჰქედავთ, რა სოქვა!

— მენდეს-მეთქი! მითხარით, გეთაყვათ, ან-კი რისთვის დაგიმალავდით? პირ-იქით, მე თვითონ როგორლაც უცნაურად მეჩვენება: როგორლაც დარცხვენით და უმანკუდ არის ჩემთანა, თითქოს ეშინიანო.

— და თქვენ-კი, რასაკვრელია, სცდილობთ განავითაროთ, ჰა?.. ხე-ხე-ხე! უმტკიცებთ, რომ დარცხვენა და სხვა ამ გვარი მოკრძალება სისულელეა, განა?..

— სულაც არა! სულაც არა! ოჰ, რა უხამსად და თი-თქმის — მაპატიეთ-კი — სულელურად გესმისთ სიტყვა: განვითარება! სრულიად არა გესმისთ-რა! ოჰ, ღმერთო, როგორ მოუმზადებელი ხართ ჯერ კიდევა! ჩვენ ვსცდილობთ გავანთავისუფლოთ ქალი, თქვენ-კი სხვის ფიქრობთ სულა... უმანკოებასა და ქალურს მოკრძალებას სრულიად არ ვეხები, როგორც ცრუმორწმუნოებრივსა და უსაჩერებლო საგნებსა, მაგრამ შესაძლებელადა ვთვლი, უმანკო იყოს ჩემ შინა, რადგანაც ეს სრულიად მისი უფლება და ნებაა! რასაკვრელია, თვითონვე რომ მითხრას: „მინდა, შენ მყავდიო,“ ბედნიერად

და გამარჯვებულად ჩავთვლიდი თავსა, იმიტომ, რომ მოწონს ძალიანა; მაგრამ ახლა-კი ისე ვეპყრობი, რომ ჩემზეც უფრო ზრდილობიანად და პატივით სხვა არავინ მოვყრობოდა არასოდეს... მე მხოლოდ ვუცი და ვიმედოვნებ, სხვა არასფერი!

— რაკი აგრეა, სჯობს, მაშ, აჩუქოთ რამე! დაგენაძევებით თუნდა, რომ ფიქრათ არ მოგსვლით ესა.

— გეუბნებით, არა გაგეგებათ-რა-ჰეთქი! რასაკვრელია, ისეთს მდგომარეობაშია, მაგრამ საქმე მაინც სხვა ნაირად არის! თქვენ გძულთ იგი. თქვენ მხოლოდ სიძულვილის ღირსს ფაქტსა ჰქედავთ შეცდომით და ივიწყებთ იმას, რომ ადამიანის არსებას ლმობიერად და თანაგრძნობით უნდა მოვყრობა. არ იცით, რა ბუნების ადამიანია! მწყინს მხოლოდ, რომ ამ ბოლოს დროს ნაკლებ კითხულობს მეტათა და წიგნები აღარ მიაქვს ჩემგანა. წინად-კი მიჰქონდა ხოლმე. სანანურია სწორედ, რომ მაინც კიდევ იმოდენად დამოუკიდებელი და უარმყოფელი არ არის, რომ ყველა ცრუმორწმუნობასა და სისულელეს უცბად ჩამოჰშორდეს... მიუხედავად ამისა, ზოგიერთა საგანი მაინც მშვენივრად ესმის. მშვენივრად შეითვისა, მაგალითად, ის, რომ ქალს ხელზედ არ უნდა ჰკოცნიდნენ, თუ არა ჰსურთ შეურაცხველნ და იგრძნობინონ, რომ მამაკაცის თანასწორი არ არის იგი. ამ საგანზედ უკვე გვქონდა საუბარი და ავუხსენ კიდეულა. მუშათა ასოციაციის შესახებაც, საფრანგეთში, ყურადღებით ისმენდა. ახლა იმაზედა მაქვს საუბარი, შეიძლება თუ არა მომავალს საზოგადოებაში დაუკითხავადა და თავისუფლად სხვისა ოთახში შესვლა.

ეგ რაღა არის? რაო?

— ლაპარაკი ჩამოვარდა ამ ბოლოს დროსა: შეუძლიან თუ არა კომმუნის წევრს სხვა რომელსამე წევრთან, კაცი იქმნება თუ ქალი, ერთია ორივ, მუდამ უამს თავისუფლად შესვლა, რა დროც უნდა იყოს, და გადავწყვიტო, რომ შეუძლიანო...

— მერე, იმ ფამად რომ სწორედ საჭირო რამ მოთხოვ-
ნილება ჰქონდეს, ხე-ხე-ხე!

გაჯავრდა ანდრეი სემიონიჩი.

— თქვენ კიდევ! მარტო ე დაწყევლილი „მოთხოვნი-
ლებანი“-ღა გახსოვთ! — შეჰყვირა ზიზლით. — ფუჭ, რა გული
მომდის და ვნანობ, რომ ჩვენის სისტემის გაცნობის დროს
უდრო-უდროვოდ ე დაწყევლილი მოთხოვნილებანი ვახსენე!
ეშმაკმა იცის ჩემი თავი! ყველა თქვენ მაგვარისათვის კისერ
სატეხი ქვა ეს არის სწორედ; ყველაზედ აღვილათა და მტკი-
ცედ ამას დაიხსომებენ ხოლმე, ვიდრე საგანს გაიცნობდნენ
ნამდვილათა! და მართლაც თითქოს არა სტყუოდნენ! თითქოს
ამაყობენ კიდეცა! ფუჭ! იმ აზრისა ვიყავი მუდამ და ვამტკი-
ცებდი, განა არა, რომ ახლებს უკანასკნელიდ უნდა გავა-
ცნოთ-მეთქი ასეთი რამა, როდესაც უკვე მთელი სისტემა
შეთვისებული აქვთ და მტკიცედ არიან გარკვეულს მიმართუ-
ლებაზედ განვითარებულნი. მაგრამ რაო მაინც, რასა პნედავთ
სამარცხვინოსა თუნდ უწმინდურობის ორმოებშია? მე პირვე-
ლი ვარ მზათა, რანაირიც გინდათ უწმინდურობის ორმოები
დავხვეტო! აქ თავგანწირვაც-კი არსად არის! აქ მხოლოდ
კეთილშობილური და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრო-
მა და მუშაობა, რომელიც ბევრს სხვას არაფრით ჩამოუ-
ვარდება და ვიღაც რაფაელისა და პუშკინის ნაშრომზედაც
ბევრით მაღლა სდგას, უფრო სასარგებლო.

— და კეთილშობილურიცა, განა, პა? ხე-ხე-ხე-ხე!

— რა არის კეთილშობილური? არც-კი მესმის აზრი
ასეთის სიტყვისა, რომელიც ვითომ-და ადამიანის მოქმედებას
ასურათებს. „კეთილშობილურია“, „დიდსულოვანიო“, ყველა-
ფერი ეს სისულელეა და ძველი ცრუმორწმუნოებრივი სიტ-
ყვები, რომლებსაც უარესოფთ! ყველაფერი, რაც კი რამ სასარ-
გებლა კაცობრიობისათვის, კეთილშობილურიც არის უთუოდ.
მე მხოლოდ სიტყვა სასარგებლო მესმის! იხითხითეთ, რამდე-
ნიც გნებავდეთ, მაგრამ ეს ასე არის!..

ასე არ ფიქრობდა სრულიად გამეღავნებასა, მაგრამ შოუხდა, რას იზამდა.

თავდავიწყებული სონა წამოვარდა გიჟივითა და შუა ოთახამდე ხელების მტვრევით მივიდა; მაგრამ მობრუნდა უცბად და რასკოლნიკოვს დაუჯდა გვერდით ისევ, ისე ახლო, რომ მხარი მხარს მიადო თითქმის. უცბად, თითქოს გაპგმირა რამებაო, შეხტა საშინლადა, შეჭყვირა და მუხლის თავებზედ დაეცა მის წინ.

— რა გიქნიათ ეგა, რა გიქნიათ! — შეჭყვირა სასოწარ-კვეთილმა.

და წამოხტა, ყელზედ შემოეხვია, მაგრა მიიხუტა გულზედა.

რასკოლნიკოვმა უკან-დაიწია, ნალვლიანად გაულიმა.

— უცნაური ხარ, სონა, — მეხვევი და მკოცნი, როცა ასეთი საზარელი ამბავი გაგიმულავნევი. ეტყობა, აღარასა ჰვრძნობ, აღარა გესმის-რა.

— ქვეყნად შენზედ უბედური ვინ-და იქნება ახლა! — შეჭყვირა გადარეულმა და თავდაუჭერელი ქვითინი აუვარდა, აღარა გაუგია-რა, რა უთხრა რასკოლნიკოვმა.

დიდის ხნის ნაცნობი რამ გრძნობა ტალღასავით მოაწვა გულზედ, უცბად საშინლად აუჩვილა. ვეღარა გააწყო-რა: ორად ორო ობოლი ცრემლი მარგალიტივით ჩამოეკიდა წამწა-მებზედა.

— არ დამტოვებ, მაშ სონა? — ეკითხებოდა და თან თვალებში შეჭყურებდა იმედიანად.

— არა, არა; არასოდეს! — შეჭყვირა სონამ. — წამოგყვები ყველგან, საცა-კი წახვალ! ოჲ, ღმერთო! .. ვაი, მე უბედურს! .. რატომ წინადვე არ გიცნობდი! რატომ არსად მოხვედი? ოჲ, ღმერთო!

— ვი, ვკი მოვედი.

— ახლა-ლა? რა იქნება!.. ერთად ვიყვნეთ, ერთად! — იმეორებდა თავდავიწყებული და თან მაგრა იკრავდა გულში. — კატორგაშიც-კი!

უცბად თითქოს მთლად აირია, გააურეოლა, უწინდელი, ზიზღით სავსე, ამაყი ღიმი შეუთამაშდა ტერებზედ.

— ჯერ იქნება არც-კი ვაპირებ, სონა, კატორგაშია, — უპასუხა.

სონამ საჩქაროდ შემხედა.

ტანჯვითა და ვნებით იძსავსე პირველის თანაგრძნობის შემდეგ მკვლელობის საზარელმა ფიქრმა მოიცვა ისევ. რა-სკოლნიკოვის კილოგამოცვლილს სიტყვებში უცბად მკვლე-ლის ხმა მოესმა. განცვიფრებული შეჰყურებდა. არა იცოდა-რა ჯერ კიდევ, რათა, როგორ და რისთვის ჩაიდინა მკვლე-ლობა. ყველა ეს კითხვა უცბად აღეძრა სონასა. ვერ დაეჯერებინა კიდევა: „მკვლელი იყო ისა, მკვლელი! ნუ-თუ ეს შესაძლებელია?“

— რა არის ესა! სადა ვარ, ნეტა! — კითხულობდა გაშტე-რებული და გონება დაბნეული სონა. — ან როგორ, როგორ გაპბედეთ... ასეთი საქმე?.. რათაო, რაო!

— რათა-და იმიტომ, რომ გამეძარცვა. ქმარა, სონა! — უპასუხა როგორლაც გულნატკენმა და დალლილობით ღონე მიხდილმა რასკოლნიკოვმა.

სონა თავზარდაცემული, გაბრუებული, იდგა. მაგრამ უცბად შეჰყვირა:

— მშიერი იყავ უთუოდ! გინდოდა .. დედისათვის გე-შველა, განა?

— არა, სონა, არა, — ბუტბუტებდა თავდახრილი რა-სკოლნიკოვი და თან პირს არიდებდა, — არა მშიოდა, ისე... მინდოდა მართლა დედისათვის მეშველა, მაგრამ... არც ეს არის მართალი... ნუ მტანჯავ, სონა.

სონამ უცბად ტაში გაჭკრა.

— ნუ-თუ, მაშ, ყველა ეს მართალი არის? ღმერთო, მართალია ესა! ვინ დაიჯერებს?.. როგორ მოხდა, მაშ, რომ უკანასკნელს გროშს სხვას აძლევდით და თვითონ-კი აღამიანსა ჰელავდით, რომ გაგეძარცვათ! ოჟ!.. — შეჰყვი-რა უცბად. — მაშ, ის ფულიც, კატერინა ივანოვნას. რომ მიეცით... ის ფულიც... ღმერთო ჩემო, ნუ-თუ ისაც...

— არა, სონა, — გააწყვეტინა საჩქაროდ, — ის ფული არა ყოფილი, დამშევილი! დედამ გამომიგზავნა ერთი ვაჭრის ხელით. ავად ვიყავი, რომ მივიღე, იმ დღეს სწროვედ, რა დღესაც კატერინა ივანოვნას მივეცი.. რაზუმინინმა ნახა.. მიღებითაც იმან მიიღო ჩემ მაგივრად.. ჩემი საკუთარი ფული იყო, ჩემი!

უგდებდა ყურს სონა, გაშტერებული და რიღასიც მოსაზრებასა სცდილობდა.

— ის ფული-კი.. თუმცა არც ვიცი ნამდვილად იყო-კი ფული იქა, — დასძირა ჩუმად, დაფიქრებულმა თითქოს, — ყელი-დამ ჩამოვხსენი მაშინ მეშის ქისა.. მთლად გატენილი.. მაგრამ არ მინახავს, შიგ რა იყო; ვეღარ მოვასწარ ალბად.. ნივთები-კი, სულ რაღაცა ძეწკვები და დასაბმელი ღილები (запомни) იყო, ნივთები და ქისა სხვისა ეზოში დავფალი, ვ—ს პროსპექტზედ, ქის ქვეშა, მეორე დღეს დილითვე... ახლაც იქ არის ყველა-ფერი...

სმენად გადაქცეული სონა ყურს გაფაციცებით უგდებდა.

— მერე, რათაო... რათა სთვით, მაშა: მინდოდა გამე-ძარცვაო და აღარა იღეთ-რა კი? დაეკითხა საჩქაროდ, ისე სწორედ, როგორც წყალწალებული დაეჭიდება ხოლმე ხავსსა და ჰგონია, მიხსნისო.

— არ ვიცი... ვერ გადამიწყვეტია კიდევ — ავიღებ რო-დისმე იმ ფულსა, თუ არა, — ჩაიღაპარაკა ისევ ისრე ჩაფიქრე-ბულმა, მაგრამ გამოერკვა უცბად და გაეცინა. — ეჭ, რა სისუ-ლელე ესთქვი?

სონას უცბად ფიქრმა გაუელვა: „გიურა იქნებაო?“ მაგრამ იმავ წამს განდევნა ისევ: „არა, აქ უთუოდ სხვა რამ არის დაფარული.“ მაგრამ რა, ვეღარა გაეგო-რა საწყალს?

— იცი, სონა, — უთხრა უცბად როგორლაც აღტაცებუ-ლმა, — იცი, რას გეტყვი? მართლა რომ იმიტომ მომექლა მარტო, რომ მშიოდა, — განაგრძობდა რასკოლნიკოვი და თან თვითეულს სიტყვას გარკვევით ეუბნებოდა როგორლაც, საამი-ცანოდ, მაგრამ გულწრფელად შეჭყურებდა, — მაშინ ახლა... ბედნიერი ვიქნებოდი! იცოდე ესა! ან შენ რა გინდა



ვითომ,— შეჰქვირა ერთის წამის შემდეგ როგორლაც სასო-წარკვეთილმა,— რას გამორჩებოლი, თუნდ ახლავ გამოვტყედ, რომ ცუდათა ვქმენი! რა იქნებოდა ვითომ, რომ ისე ტუტუ-ცურად გაგემარჯვნა ჩემზედ? ოჯ, სონა, ნუ-თუ იმისთვის მოვედი ახლა!

კიდევ უნდოდა სონას რილასიც თქმა, მაგრამ გაჩუმდა.

— იმიტომაც გიშვევდი გუშინ, რომ მარტოდ-მარტო შენ-ლა მყევხარ.

— სად მიშვევდი? — დაეკითხა სონა.

— რასაკვირველია, არა საქურდლათა და ვისსამე მოხა-კვლელად, ნუ სწუხარ, იმიტომ არა,— გაუცინა მწარედ, — სხვა-და-სხვა ვართ ხასიათითა... იცი, მერე, სონა, ახლა გავიგე და მივხვდი მხოლოდ: სად გიშვევდი გუშინ! გუშინ-კი, რომ გიშვევდი, მეც არ ვიცოდი, არ მესმოდა, სადა. მარტო ერთისთვის-კი მოველი, ერთსა გთხოვდი: თავი არ დაგენებებინა... მარტოს არ გამიშვებ, განა, სონა?

სონამ მაგრა ხელი მოუჭირა ხელზედ.

— მაგრამ რათ ვუთხარ, ნეტა, რათ გავუმხილე! — შეჰქვირა სასოწარკვეთილმა ერთის წამის შეძდევ და უსაზღვრო ტანჯვით დუშტუა ცქერა.— აი, ახლაც იმას ელი, რომ აგიხსნი, სონა! ზიხარ და მიცდი, ვხედავ ამასა; მაგრამ რას გეტყვი, განა? ვიცი, ვერას გაიგებ, გაიტანჯები მარტო... ჩემის გულისათვისა! აი, კიდევა სტირი და მეუვევი,— მაგრამ რათაო, რათ მეხვევი? იმიტომა, რომ მევე ველარ ავიტანევი და სხვას ავეკიდე: „იტანჯე ჩემთან და მეშელავათება-მეთქი!“ მერე, შეგიძლიან, განა, შეიკვარო ისეთი საზიზლარი იდამიანი?

— მერე, განა, შენ-კი არ იტანჯები? — შეჰქვირა სონამ.

იმავე გრძნობამ კვლავ ტალღასავით დაპრია ხელი, ერთს წამს კიდევ აუჩილა გული.

— სონა, იცოდე, ბოროტი გულისა ვარ; ბევრი რამ ამითი აიხსნება. იმიტომ მოველ, რომ ბოროტი ვარ. არიან ისეთებიც, რომლებიც არ მოვიდოდნენ. მე-კი მშიშარა ვარ და... საზიზლარი, სულმდაბალი! მაგრამ... დე! ყველა ეს

კიდევ არაფერია... თქმა არის ახლა საჭირო და მე-კი ვერ
მომიხერხებია...

შედგა რასკოლნიკოვი, შეფიქტდა.

— ე-ებ, სხვა-და-სხვანი ვართ ხასიათითა! — შეპყვირა
კვალიად.—ერთმანერთის ფარდი არა ვართ. მაგრამ რისთვის
მოვედი, რისთვისა? ვერასოდეს ვერ ვაპატიებ ჩემს თავსა!

— არა, არა, კარგია, რომ მოხვედი! — ეუბნებოდა სონა, —
უმჯობესია, ვიცოდე! უმჯობესია ბევრათა!

გულმტკივნეულიად შეწედა რასკოლნიკოვმა.

— იქნება მართლაც იგრეა! — ჩაილაპარაკა გონის-მოსულმა
თითქოს, — ასე იყო დიახ! იი, რა, არის: მინდოდა ნაპოლეონი
გავმხდარიყავი, იმიტომ მოვკალი... ახლა ხომ გესმის?

— არ-რა, — მიუგო გულუბრყვილოთა და მოკრძალებით
სონამა, — მაგრამ... მითხარი, მითხარ! მივხვდები, ჩემებურად
ყველაფერს მივხვდები! — ეხვეწებოდა სონა.

— გაიგებ? კარგი, მაშ, ვნახოთ!

გაჩუმდა რასკოლნიკოვი, კარგა-ხანს რაღასაც ფიქრო-
ბლა.

— საქმე რაშია, გეტყვი: ერთხელ ჩემს თავს ასეთი კითხვა
მივეცი: როგორ მოიქცეოდა-მეთქი ჩემს ადგილას ნაპოლეონი,
რომ სახელის გასაკეთებლად ჯერ არც საღმე ტულონისა და
ეგვიპტის სენება ყოფილიყო, არც მონბლანისა და ამ უკვდავ
საქმეების ნაცვლად სადღაც სასაცილო რეგისტრატორის ნა-
ქვრივალი ბებრუხანა ჰყოლოდა მხოლოდ, რომელიც უნდა
მოეკლა და გაეძარცვა (რომ სახელი გაეკეთებინა, საქმე დაეწყო
გესმის?); როგორ მოიქცეოდა, ნეტა, გაბედავდა და იზამდა
ამას, თუ არა, რომ მეტი გზა არა ჰქონდა მეთქი? — ხომ არ
დაირცხვენდა, რომ ასეთი წვრიმალი რამ იყო და... ცოდვაც?
ასე რომ დიდხანს ვიტანჯე, დიდხანსა მეტად ამ საგნის გადა
წყვეტაზედ; იქამდის დიდხანს, რომ შემრცხვა კიდეც ბოლოს,
რომ მივხვდი (უცბად როგორლაც), რომ არ დაირცხვენდა-
კი არა, ფიქრად არც-კი მოუვიდოდა, თუ ეს წვრიმალი რამ
იყო... პირ-იქით ვერც-კი მიპატებოდა: რა იყო აქ დას არც



ხვენი? ექვი არ არის, თუ სხვა გზა არა ჰქონდა, მიაღრძობდა
ისე, რომ ერთ წამსაც არ დაფიქტლდნდა, ხმასაც არ ამოა-
ლებინებდა! და აი მეც... ფიქრიდამ გამოვერკვი.. მივაღრძე
ისრევე... როგორც ამას ნაპოლეონი იზამდა. ასე იყო სწორდ
ყველაფერი! გეცინება? დიახ, სონა, იქნება ისაც იყოს ყველაზედ
მეტად სასაცილო აქა, რომ ასე მოხდა საქმე...

მაგრამ ფიქრადაც არ მოჰსელია სონას გაცინება.

— სჯობს, პდირდაპირ მითხრათ .. უმაგალითებოდ, —
შესთხოვა უფრო მოკრძალებითა და ჩურჩულით თითქმის
სონამა.

რასკოლნიკოვმა პირი იბრუნა, ნალვლიანად შეჭედა,
ხელი დაუჭირა.

— მართალი ხარ, სონა, ყველაფერი ეს სისულელეა და
ყბედობა მხოლოდ! ჰედავ: კარგად იცი, დედაჩემს არა აქვს
რა. დამაც შემთხვევით მიიღო განათლება. ახლა-კი კარ-და-
კარ უნდა იაროს აღმზრდელათა. ერთად-ერთი ჩემი იმედი
ჰქონდათ მხოლოდ. ესწავლობდი, მაგრამ თავი ვეღი შე-
ვინახე უნივერსიტეტში და იძულებული ვიყავი, დროებით
თავი დამენებებინა. თუნდა ასეც ყოფილიყო საქმე, მაინც
შემეძლო, ათი-თორმეტი წლის შემდეგ (თუ გარემოება ხელს
შემიწყობდა) მასწავლებლის ან მოხელის ადგილი მეშოვნა, ასი
თუმანი ჯამაგირი მქონდა... (ლაპარაკობდა, თითქოს ზეპი-
რად აქვს დასწავლილია). იმ დრომდის-კი მუდმივის ზრუნ-
ვისა და მწუხარებისა გამო დედა მთლიად ჩამოხმებოდა, ვეღა-
რასტრით ვანუგეშებდი, დას კიდევ... ვინ იცის, უარესიც
დაპირის მეტადა!.. მაგრამ რა მოთმენა უნდა მქონდა ან-კი,
მთელი ჩემი სიცოცხლე გარეწერად გამეტარებინა, ყველა-
ფრისათვის ზურგი შემექცია, დედაც დამევიწყნა, დის შეურა-
ცხყოფაც მორჩილებით მომეთმინა? რისთვისაო? იმიტომ მხო-
ლოდ, რომ ისენი დამემარხა და სამაგიეროდ სხვები—ცოლ-
შვილი—შემეძინა და ისინიც ულუკმა-პურიდ დამეტოვებინა,
ღარიბ-ღატაქნი? და... აგერ, გარდავწყვიტე, ბებრუხანას ფუ-
ლები სწავლაზედ მომებმარა, დედა არ შემეწუხებინა, უნი-



ვერსიტეტს შემდეგაც ფეხი როგორმე მომემაგრებინა პირველად,—და ყველაფერი ეს ისე მომეწყო, რომ ფართე და დამოუკიდებელი გზა გამხსნოდა... აი... ჰედავ, ეს იყო სულა... რასაკვრელია, ბებრუხანა რომ მოვკალი,—ცუდი ვქმენი... მაგრამ მორჩა, გათავდა!

როგორლაც ღონე-მიხდილმა დათავა ლაპარაკი, თავი ჩაჰვიდა.

— ოჲ, არა, არა, არა — იძახდა შეწუბებული სონა,— შესაძლებელია, განა... ასე არ არის, არა!

— თვითონა ჰედავ, რომ ასე არ არის!.. თუმცა მართალია ყველაფერის რაც რომ გითხარი!

— ოჲ, რის მართალი! ღმერთო!

— მე მხოლოდ მკბენარი მოვკალი, სონა, უსარგებლო, საძაგელი, მავნე მკბენარი.

— როგორ, კაცია მკბენარი!

— ეგ ხომ მეც ვიცი, რომ მკბენარი არ არის,— მიუგო რასკოლნიკოვმა და თან როგორლაც უცნაურად დაუწყო ცქერა.— მაგრამ ესტუური, სონა,— დასძინა მაშინვე,— დიდი-ხანია ესტუური... ის არ არის; მართალს ამბობ ჟენა. სხვა მიზეზი იყო აქა, სხვა მიზეზი!.. დიდი ხანია, სონა, აღარავისთან მილაპარაკნია.. თავი მტკიცა საშინლადა.

თვალები ციებიანსავით ცეცხლივით უხურდა. ჰბოდავდა თითქმის. ტუჩზედ მოუსვენარი რამ ღიმი უქროდა. უკვე ეტყობოდა აღელვებულსა, რომ საშინლად დასუსტდა, ღონე გამოეცალა. მიჰევდა სონა, როგორ იტანჯებოდა რასკოლნიკოვი. ამისაც თავი ბრუ დაეხვა. უცნაურია სწორედ. ისე ლაპარაკობდა, რომ გასაგები იყო ვითომ, მაგრამ... „როგორ! როგორ მოხდა! ოჲ! ღმერთო!“ და სასოწარკვეთილი სონა ხელებს იმტკრევდა.

— არა, სონა, ისე არ არის ესა! — დაიწყო ხელ-ახლად და თავი მაღლა ასწია უცბად, თითქოს ახალმა ფიქრმა გაუელვა და გამოაფხიზლაო, — ისე არ არის! უმჯობესია...



იფიქრე (მართლაც რომ უმჯობესია), იფიქრე, რომ თავმოყვარება ვარ, მოშურნე, ბოროტი, საძაგელი, შურის მძიებელი, დიახ.. და იქნება შეშლილიც. (დევ, ყველა ერთად იყოს! * შეშლილობას-კი წინადაც ასახელებდნენ, შეენიშნევი). მართალია, გითხარი წელან, უნივერსიტეტში თავის შენახვა ვეღარ შევძელი-მეთქი. მაგრამ იქნება შემეძლო კიდეც? დედა ლექციების ფულს გამომიგზავნიდა შესატანად, ჩაცმა-დახურვისა და ჭამა-სმისათვის-კი მეც ვიშვიდი უთუოდ, ვიმუშავებუი, გაკვეთილები ამინდა; ათ-ათ შაურს იძლეოდნენ. ასე არა მუშაობს რაზუმისინიც! მაგრამ გავბრაზდი, აღარ ვინდომე. დიახ გავბრაზდი (კაი სიტყვაა სწორედ!). ობობასავით ოთახის კუთხეში მივიკუნე, მივიმალევი. ხომ იყავი ჩემს ხუხულაში გინახავს ხომა?.. იცი, მეტე, სონა, რომ დაბალი და ვიწრო ოთახები სულსაც და გონებასაც ავიწროვებენ! ოჯ, როგორა მძულდა ეს ხუხულა ქოხი! მაინც არ მინდოდა გამოვსული-ყავი, თავი დამენებებინა განგებ არ მინდოდა! მთელის დღე-ობით შინ ვიყავი, მაგრამ არას ვაკეთებდი, არა მინდოდა-რა: არც სმა, არც ჭამა. ერთ-თავად ვიწევი. მომიტანდა ნასტასია— ვსკამდი, არა-და—ვიყავი ისე მთელი დღე და ღამე წამოწოლილი. გაბოროტებული განვებ არ ვკითხულობდი ხოლმე საკმელსა! ღამ-ღამობით სანთელი არ მენთო ხოლმე, ვიწევი ბნელაში და მუშაობა-კი არ მინდოდა, რომ სანთელი მეყიდნა. ჩემთვის სწავლა იყო საჭირო, წიგნები-კი ყველა დავყიდე. მაგიდაზედ ნაწერებსა და რვეულებს დღემდისაც თითის სისქეზედ მტვერი აძევს. მიყვარდა უფრო წოლა და ფიქრი. და მეც ვფიქრობდი ერთ-თავ:დ... სიზმრებსაც სულ უცნაურებსა ვთელავდი, სხვა-და-სხვა ნაირებსა, სათქმელად არც-კი ღირან! მაგრამ მაშინვე მელინდებოდა, ვითომ.. თუმცა არა, ასე არ იყო! ისე არ გიამბობ კიდევ! გესმის, რა არის, ვეკითხებოდი სულ ჩემს თავსა: ისე ტუტუცი რათა ვარ, რომ ნიცი, ყველანი ტუტუცები არიან და მე-კი მაინც არ ვცდილობ გონიერება მოვიკრიბო-მეთქი? ვავიგე ბოლოს ისიც, სონა, რომ დი ტხანს მომიხდებოდა მეტად ცდა, სანამ ყველანი

გონის მოვიდოდნენ... გავიგე კიდევ ბოლოს, რომ არასოდეს
ეს არ მოხდებოდა; რომ ხალხი არც გამოიცვლებოდა, არც
გადაკეთდებოდა, ცდა ამაო იქნებოდა! დიახ, ასეა სწორედ!..,
კანონია მათვის ასეთი... კანონი, სონა! ასეა, დიახ!.. ახლა-
კი ვიცი, სონა, რომ ის არის მათი მშრძანებელი და ბატონი,
ვინც სულითა და ჭურუ ძლიერია! ვინც მეტს გაპედავს,
სიმართლეც იმისკენ არის. ვინც მეტად აიგდებს ყველაფერს
აბუჩათა, კანონმდებელიც ის არის; ვისაც მეტის გაბედვა
შეოძლიან, მართალიც ის არის! ასე ყოფილა აქამდის, ასე
იქნება ამას იქითაც! მარტო უსინათლო თუ ვერ გაარჩევს
ამასა და ვერ დაინახავ!

ეუბნებოდა რასკოლნიკოვი სონასა და თან პირში შე-
სცეროდა, მაგრამ აღარ ჰზრუნავდა არასფერსა, გაიგებდა,
თუ არა ნათქვამსა. გააცია მთლადა. როგორლაც ატაცებუ-
ლი იყო. (მართლაც რომ დიდი ხანი იყო არავისთან ელაპა-
რაკნა). მიუხვდა სონა, რომ გული ჰქონდა საშინლად გატე-
ხილი და ყოველივე რწმენა დაკარგული რასკოლნიკოვსა.

— მიეცვდი მაშინ, სონა,— განაგრძობდა კვალად გატა-
ცებით, — რომ მის ხელთ არის უფლება მხოლოდ, ვინც დაე-
წოდება და აიღებს. ერთია მხოლოდ აქ საჭირო: გაპედოს
კაცმა. ერთი აზრი წარმომიდგა მაშინ, ჩემს სიცოცხლეში
პირველად, რომელიც ფიქრად არავის მოჰსნელია უწინ! არავისა!
დღესავით ნათლად წარმომიდგა უცბად, რატომ აქამდის არავის
გაუბედნია და ყველა ამ სისულელისათვის ბოლო ამ
მოულია-მეთქი! და... აგრძელებულ მე გამებედა და მოვ-
კალი... მე მხოლოდ გაბედვა მოვინდომე, სონა, მეტი
არასფერი!

— ოჟ, გაჩუმდით, გაჩუმდით! — შეჰყვირა სონამა და ხელი
ხელს გაჰკრა. — ღმერთს გაუდექით და აკი დაგსაჯათ კიდეც,
ეშმაკი აგიძლოლათ!..

— მართლა, სონა, ბნელაში რომ ვიწევი ხოლმე და ერთ-
თავად რაღაცა მელანდებოდა, ეშმაკი მაცდენდა არა?

— გაჩუმდით! ნუ დაიცინებით, ულმერთოვ, არასფერი
არ გაგეგებათ! ოჟ, ღმერთო! ვერას გაიგებს, ვერასა!

112

— არა, სონა, არ ვიცინი! მე თვითონ ვიცი, რომ ეშვაკი მაგულიანებდა. ჩუ, სონა, ჩუ! — გაუშეორა დაღვრეშილმა მტკიცედ. — ყველაფერი ვიცი. ყველაფერი ეს ათასჯერა მაქვს ნაფიქრი და ნახურჩულევი ჩემ თავად, მარტო რომ ვიწევ ხოლმე ბნელაში.. ვინ იცის, რამდენჯერ ჩემს თავსვე შევკა- მათებივარ თვით უმნიშვნელო წერიმალების შესახებაც-კი, ყველაფერი ვიცი, ყველაფერი! ისე მომწყინდა, ისე მომბე- ზრდა მაშინ ეს ყბედობა, რომ! მინდოდა, ყველაფერი დამე- ვიწყნა და შერე ისევ ხელ-ახლად დამეწყო, სონა, მინდოდა, ყბედობისათვის თავი დამენებებინა! იქნება გგონია, ჩურჩუტი- ვით მოუფიქრებლად წავედი? ნუ იფიქრებ. პირ-იქით, წავედი, როგორც ჰკვიანი და ამან დამლუპა სწორედა! ან იქნება გგონიათ, არ ვიცოდი, მაგალითად, რომ, რაკი კითხვა დაუწყე ჩემს თავსა: მაქვს თუ არა ნება და უფლება-მეთქი? — ამიტომ აღარ ვიცოდი, რომ უფლება არა მქონდა. ან, რომ ვეკითხებოდი ჩემს თავსა: მკბენარია კაცი, თუ არა- მეთქი? აღარ ვიცოდი, რომ მკბენარი არ იყო ჩემთვის კაცი? მკბენარია იმისთვის მხოლოდ, ვისაც ფიქრადაც არ მოსდის ამ- გვარი კითხვა და პირდაპირ მიდის წინა... თუ ამდენი ხანი ვიტანჯე და ვფიქრობდი: მოჰკლავდა ნაპოლეონი, თუ არა- მეთქი? სჩანს, ნათლად მიგრძნია, რომ ნაპოლეონი არ ვი- ყავი... ყველაფერმა ამან, ვინ იცის, როგორ დამტანჯა, სონა; მოვინდომე ამიტომ, როგორმე თავი დამელწია ამ უბედურო- ბისათვის; მოვინდომე, სონა, მომეკლა პირდაპირ, დაუფიქ- რებლივ, მომეკლა ჩემთვის, მხოლოდ და მხოლოდ ჩემთვის! არ მინდოდა მეცრუა თვითონ ჩემ წინაშეც! იმიტომ-კი არ მოვკა- ლი, რომ დედისათვის მეშველა რამე, — არა, სისულელეა! არც იმისთვისა, რომ ფული და უფლება ჩამეგდო ხელთა და კა- ცობრიობისათვის კეთილისმყოფელი გავმხდარიყავი. არა, არა, სისულელეა! ისე მოვკალი უბრალოდ; ჩემთვის მოვკა- ლი, საცდელათა! მერე-კი, მართლა ვისიმე კეთილისმყოფე- ლი შევიქმნებოდი, თუ მთელი ჩემი სიცოცხლე იმას ვეცდე- ბოდი, რომ ობობასავით ქსელში გამება ყველა და უკანასკ-

ნილი სისხლი გამომეწოვა, ამას სწორედ არ დაგიდევდით იმ უამაღ!.. არც თუ ფული მინდოდა მარტო, სონა, რომ ვკლავდი; იმდენად ფული არ მინდოდა, როგორც სხვა რამ... ახლა უკვე ყველაფერი ვიცი... გამიგონე: იმავე გზით რომ მეარა, იქნება ოღარც გამემეორებინა ოდესმე მკვლელობა. სხვა რამ მინდოდა გამეგო, სხვა რამ მაიძულებდა; მინდოდა გამეგო მაშინ და გამეგო საჩქაროდ, მკბენარი ვიყავი მხოლოდ, როგორც სხვანიც, თუ ადამიანი მართლა? შევძლებდი დაბრკოლებათა გადალახვასა, თუ ვერა? გავბედავდი, დავწოდებოდი და აჩელო, თუ ვერა? მშიშარა რამ ქმნილება ვიყავი, თუ უფლება მქონდა...

— მოგექლა? უფლება რომ ხალხი გეხოცა? — გაასავსავა ხელები სონამ.

— ე-ეჭ, სონა! — შესძიხა გაბრაზებულმა და უნდოდა რაღაცა ეთქვა, მაგრამ გაჩუმდა. — ნუ მაწყვეტინებ, სონა! მინდოდა მხოლოდ ერთი რამ დამემტკიცებინა შენთვის: რომ ეშმაკმა წამიცდინა და მერე-ლა ამიხსნა მხოლოდ, რომ უფლება არა მქონდა ასე მოვქცეულიყავი; რომ მეც ისეთივე მკბენარი ვიყავ სწორედ, როგორც სხვანი. სასაცილოდ ამიგდო, ერთი სიტყვით, და აი, მოვედი შენთანა! მიმიღე სტუმრიდ! რომ მართლა მკბენარი არა ვყოფილიყავი, მოვიდოდი, განა, შენთანა? ყური დამიგდე: ბებრუხანასთან რომ წაველ მაშინ, საცდებად წავედი მხოლოდ... დიახ, იცოდე, საცდელათა!

— და მოჰკალი-კია, მოჰკალი!

— დიახ, მაგრამ როგორ მოვკალი? განა, ასე ჰკლავს ვინმე? განა, მიდიან ასე მოსაკლავად, როგორც მე წაველ მაშინ? თორემ გიამბობ როდისმე, როგორ წავედი! მერე განა, ბებრუხანა მოვკალი? ჩემივე თავი მოვიკალ და არა ბებრუხანა! ასე დავლუპე ჩემი თავი უცბად, სამუდამოთა!.. ბებრუხანა-კი ეშმაკმა მოჰკლა და არა მე... კმარა, სონა, კმარა! თავი დამანებე! — შეჸყვირა უცბად აცახცახებულმა და დალონებულმა, — თავი დამანებე!

დაეყრდნო მუხლის თავზედა და თავი მაგრა ჩაბლუჯა
ორთავ ხელითა.

— როგორ იტანჯები! — ამოშხდა გულიდამ შწუხარებით
სონასა.

— რა ვქნა ახლა, მითხარი! — დაეკითხა უცბად რასკოლ-
ნიკოვი და თავი მაღლა ასწია, სასოწარკვეთილებისაგან სა-
შინლად დაღრეჯილმა თვალი თვალში გაუყარა.

— რა ჰქნა! — შესძახა და წამოხტა უცბად, აქამდის ნამ-
ტირალევი, ცრემლით სავსე თვალები უცბად როგორლაც გა-
უბრწყინდა. — წამოდექ! — უთხრა (და მხარში ხელი ჩავლო.
წამოდგა რასკოლნიკოვიც, გაკვირვებული შეჰყურებდა). —
წადი ამავ წამს, დადექ ჯვარედინა ქუჩაზე, თაყვანი ეც და
ეამბორე ჯერ დედამიწას, რომელიც შენ შეაგინე, მერე
მთელს ქვეყანას ოთხსავე მხარესა და ხმა-მაღლა უთხარ ყვე-
ლასა, რომ შენ შოჟეჭადი! ღიერთი მაშინ კვლავ გაპატიებს
სიცოცხლეს. წახვალ? წახვალ? — ეკითხებოდა შიშისაგან
მთლად აცახცახებული სონა და თან რასკოლნიკოვის ხელები
დაებლუჯა მაგრა, თითქოს მუხრუქს უკერსო, ცეცხლივით
აღგზნებულის თვალით შეჰყურებდა.

გაუკვირდა და ეოცა საშინლად რასკოლნიკოვსა სონას
ასეთი უცები აღტაცება.

— კატორგაზედ მეღაპარაკები, სონა? მევე დავასმინო
ჩემი თავი? — დაეკითხა დაღვრემით.

— ტანჯვა იკისრო და ცოდვა შეინანიო უნდა, აი, რა
არის საჭირო.

— არა! არ წავალ, სონა.

— მერე, სიცოცხლეს როგორ აპირებ! როგორ აპირებ
სიცოცხლესა? — ეკითხებოდა სონა. — ნუ-თუ შესაძლებელი ლაა?
როგორ უნდა ელაპარაკო დედას? (ოჲ, იმათ რაღა დაემარ-
თებათ!) მაგრამ რას ვამბობ, ნეტა! ხომ უკვე მიატოვე დე-
დაც და დაცა. თავი დაანებე, განა? ოჲ, ღმერთო! — შეჰყვი-
რა სონამ. — მაგრამ ხომ თვითონაც კარგად იცი ესა! რო-
გორ გინდა, მაშ, უადამიანოთ იცოცხლო! რა მოგელის!

— ნუ ბავშვობ, სონა,—ეუბნებოდა წყნარად რასკოლნიკივი.—რითო ვარ იმათთან დამნაშავე? რათ წავიდე! რა უნდა ვუთხრა? ყველა ეს მხოლოდ აჩრდილია და მოჩენება. თვითონ რომ მილიონობით სტანჯავენ ხალხსა და თან ქველობადაც ითვლიან ამას. გაიძერები არიან და ფლიდები ყველა, სონა!.. არ წავალ. მერე, რაო? ვუთხრა, რომ მოვკალი და ფულის აღება-კი ვეღარ გავპედე, ქვის ქვეშ დავმალე-მეტქი?—დასძინა მწარედ დაცინვით.—მაშინ ხომ თვითონვე დამიწყებენ დაცინვასა: ჩურჩუტი ყოფილხარ, რომ არ აგიღიაო. მაღალი ყოფილხარ და ტუტუპიო! ვერ გაიგებენ, სონა, რათ ვქვენი ესა, და არც თუ არიან ღირსნი გაიგონ. ნუ ბავშვობ, სონა...

— გაიტანჯები, გაიტანჯები!—უმეორებდა სასოწარკუეთილის მუდარით სონა და თან ხელებს აწვდიდა რასკოლნიკოვისკენ.

— იქნება თვითონაც გავეცი თავი,—შეპნიშნა დაღვრებილმა და ფიქრში წასულმა,—იქნება კიდევაც კაცი ვარ და არა მებენარი და დავჩირდი მხოლოდ, თავი გავიმტყუვნე? ვიბრძოლებ ჯერ კიდევ.

და მედიდურად როგორლაც გაიღიმა.

— როგორ? გინდა ასე იტანჯო მთელი სიცოცხლე?..

— მივეწვევი.. —ჩალაპარაკა მოღუშულმა, დაფიქრებულმა.—გამიგონე, —დაიწყო ერთის წამის შედეგ, —კმარა ტირილი, დროა საქმეს შევუდგეთ: მოვედი სათქმელად, რომ უკვე მექებენ, მდევნიან ..

— ოჭ!—შეპნები სონამ შეშინებულმა.

— რაო, რა იყო, რათ შეპნები! გინდა, კატორგაში წავიდე და შეგეშინდა-კი? აი, რას გეტუვი მხოლოდ: არ დავნებდები. შევებრძოლები, ვერას მიზამენ. ნამდვილი სამხილებელი საბუთი არა აქვთ-რა. მეგონა, გუშინ მთლიად დავიღუბებოდი, მაგრამ დღეს უკვე გამოკეთდა საქმე. ყველა მათი საბუთები ორპირია და ორაზროვანი, პირდაპირ ხელს ვერ დამადებენ; პირ-იქით, შემიძლიან ყველა მათი ბრალდება

ისევ ჩემდა სასარგებლოდ გამოვიყენო, გესმის? და ასეც ვიზამ. იმიტომა, რომ ვისწავლე უკვე... მაგრამ დაპატიმრებით კი დამაპატიმრებენ. ერთს შემთხვევას რომ არ შეეშალა ხელი, იქნება დღესაც დავეპატიმრებინეთ; თუმცა შეიძლება ქადევაც დამაპატიმრონ... არა უშავს-რა, სონა: ვიჯდები, გამომიშვებენ... იმიტომ, რომ არც ერთი დამამტკიცებელი საბუთი არა აქვთ და არც თუ ექმნებათ, გარშმუნებ. იმითი-კი, რაც ხელთა აქვთ, კაცის დალუპვა არ შეუძლიანთ. კმარა, მაშ... ეს მარტო შენთვის გეუბნები, რომ იცოდე... დედასა და დას კიდევ ისე როგორმე დავარწმუნებ, რომ არ შეშინდენ.. ჭ მგონი, უზრუნველყოფილია უკვე.. მაშასადამე, დედაც... მორჩა და გათავდა. ფრთხილად იყავი მაინც. მნახავ ხოლმე, ციხეში რომ ვიჯდები?

— ოჰ, რასაკვრელია, გნახავ!

ისხდნენ ორივენი ერთად, მოწყენილები, დახოცილები, თითქოს სადმე უადამიანო ზღვის ნაპირად გაურიყნია ქარიშხალისაო. უცქეროდა რასკოლნიკოვი და ჰერმანბდა, რომ მეტად უყვარდა სონასა; ეუცნაურა უცბად და ემძიმა, გული ეტკინა თითქმის, რისთვის უყვარდათ იგი. დიახ, უცნაური იყო და საზარელი ეს გრძნობა! სონასთან რომ მოღიოდა, ჰერმანბდა, რომ ის იყო ერთად-ერთი მასი იმედი, იმისი ხსნა; ევონა, ცოტა მაინც არის მეშეღავათებათ და ახლა-კი, როცა მოინადირა უკვე სონას გული, იკრძნო და შეიგნო უცბადა, რომ წინანდელზედ მეტად იყო საბრალისი, უბედური.

— სონა,— შესთხოვა რასკოლნიკოვმა, — სჯობს არა მნახო, ციხეში რომ ვიჯდები.

არ უპასუხნია სონასა. სტიროდა რამდენმამე წამმა ასე განვლო.

— ჯვარი არა გაქვს გულზედა? — დაეკითხა ბოლოს სონა, თითქოს ეს არის გაახსენდაო.

ვერ გაიგო თითქოს პირველად რასკოლნიკოვმა, რას ეკითხებოდნენ.

— არა გაქვს, განა? — აჭა, დაიჭი ე კვიპაროზის ჯვარი. მე მეორეს გავიკეთებ, სპილენძისას, ლიზავეტას ნაქონსა. მე და ლიზავეტამ ჯვარები გაფცვალეთ: იმან თავისი მომცა, მე ხატი მივეცი. ახლა მე ლიზავეტასას ვატარებ, შენ ჩემი გქონდეს, დაიჭი, აჭა... ჩემია! გესმის, ჩემია! — შესთხოვდა სონა. — ერთად ვკისრულობთ ტანჯვასა, ერთადვე ვზიდოთ ჯვარიცა!..

— მაიტა! — უთხრა რასკოლნიკოვმა.

არ უნდოდა ეწყეინ ებინა. მაკრამ გაწვდილი ხელი იმავ წამს უკან წაიღო.

— მაგრამ ახლა არა, სონა! სჯობს, მერე იყოს, — დასძინა მაშინვე, რომ დაემშვიდებინა.

— მართალია, მართალი, მერე სჯობიან, — გაიმეორა გახარებულმა, — ტანჯვას რომ შეუდავები, მაშინ გაიკეთე. მოხვალ, ჩამოგვიდებ, ვილოცავთ ორივენი და წავალთ.

სწორედ ამ დროს კარები ვიღომაც დააკაკუნა სამჯერ.

— სოფია სემონოვნა, შეიძლება შემოვიდე? — მოისმა ვიღოსიც ნაცნობი, ზრდილობიანი ხმა.

შეშინებული სონა კარებისაკენ გაქანდა. ოთახში შემოვიდა ქერა ლებეზიატნიკოვი.

V

შეფშოთებული იყო როგორლაც ლებეზიატნიკოვი.

— თქვენთან გიახელით, სოფია სემონოვნა. უკაცრაოდ... განა, არა, ვფიქრობდი, აქა გნახავდით უთუოდა, — მიჰმართა უცბად რასკოლნიკოვსა, — ესე იგი, არა მიფიქრია-რა... იმ გვარი... მაგრამ მევონა მაინც... კატერინა ივანოვნა ჭკუი-დამ შეგვეშალა, — მიახალა უცბად სონასა.

სონამ შეჭყვირა.

— ესე იგი, ასეა ვვონებ. თუმცა... აღარ ვიცით, რა ვუყოთ! დაბრუნდა შინა, — მგონია, საიდამლაც გამოუგდიათ და უცემიათ კიდეც... ჩვენ მაინც ასე გვეჩვენა... სიმონ

ზახარიას უფროსთანა ყოფილა, შინ არ დაპირედრია; ვიღაცა გენერალთანა ყოფილა სადილათა... წარმოიდგინეთ, ამდგარა და პირდაპირ იქით გაქანებულა, სადაც სადილათ იყო... ესე იგი მეორე. გენერლისასა, და წარმოიდგინეთ,— როგორც ყოფილა, გამოუწვევია სიმონ ზახარიას უფროსი. მგონია, სუფრიდამ აუყენებია. შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ ახლა, რა ამბავი იქნებოდა. რასაკვრელია, გამოუგდიათ; კატერინა ივანოვნა-კი გვიამბობს, ვითომ თვითონ გაულანძლია და რაღაცა უსვრია კიდეც. თუმცა შესაძლებელიც არის... რატომ არ დაპერინეს-კია, არ მესმის! ახლა ყველას უამბობს და ამალია ივანოვნასაც, მაგრამ ვერა გაგვიგია-რა, ყვირის და აქეთ-იქით ეგლება... ჰო, მართლა: იძახის და ყვირის, რაკი ყველამ თავი დამანება, წავიყვან ბავშვებსა და ქუჩა-ქუჩა ვივლი არღინითა, ბავშვებს ვათამაშებ და ფულს ისე მოვკრებ, გენერალისაც ყოველდღე ფანჯრის წინ გავუვლებამოვუვლიოთ... „ნახონ დეე, მოხელის კეთილშობილი შვილები როგორ დარჩიან ქუჩა-ქუჩა და გლახაობენო“. ბავშვებსა სცემს ერთ-თავად, ისინიც სტირიან. ლენის „Хуторокъ“-ის სიმღერას ასწავლის, ბიქს თამაშობას, პოლინა მიხაილოვნა-საც; კაბებსა ჰქევს, რაღაცა ქუდებს უკეთებს არტისტებივითა, თვითონ ტაშტის წალებსა პირებს, რომ მუსიკის მაგივრად აბრახუნოს... არავის რას უგონებს... როგორ ვქნათ ახლა? შეუძლებელია ასე!

კიდევ არ შესწყვეტდა უთუოდ ლებეზიატნიკოვი ლაპარაკა, რომ სონას, რომელიც სულს ძლივს-და იპრუნებდა, უცბად წამოსასხმისა და ქუდისათვის არ დაევლო ხელი და ოთახიდამ არ გავარდნილიყო. მირბოდა და თან იხურავდა ქუდსა. რასკოლნიკოვიც მაშინვე უკან გაჰყვა. რასკოლნიკოვს ლებეზიატნიკოვი მიჰყვა თანა.

— ქუუიდამ შეიშალა სწორედ! — ეუბნებოდა ლებეზიატნიკოვი რასკოლნიკოვს ქუჩაში, — არ მინდოდა მხოლოდ სოფია სემონოვნა შემეშინებინა, იმიტომ ვეუპნებოდი „მგონია-მეთქი“. ალარავითარი ეჭვი არ არის. ამბობენ, ქლექიანს

ტვირზედ მუწუკებს გამოჰყის ხოლმეო; ვაი, რომ მკურნალობისა არა ვიცი-რა. მაინც ვეცადე, დამერწმუნებინა როგორმე, რომ არა არის-რა, მაგრამ ყურს აღარავის არ უგდებს.

— მუწუკებზედ ელაპარაკებოდით?

— არა, მუწუკებზედ-კი არა. რას გაიგებდა, აბა! იმას ვამბობ, რომ რო დავარწმუნოთ აღამიანი, სატირალი არა გაქვს-რაო, მართლაც გაჩუმდება, შესწვევტავს ტირილი. აშკარაა ესა. თქვენა, თქვენ როგორ გგონიათ, არ გაჩუმდება?

— მაშინ ხომ მეტად ადვილი იქნებოდა ქვეყნიდ ცხოვრება,—უპასუხა რასკოლნიკოვმა.

— მოითმინეთ, მოითმინეთ! რასაკვირველია, კატერინა ივანოვნას დარწმუნება ძნელი საქმეა; მაგრამ მოგეხსენებათ, ნეტა, თუ არა, რომ პარიზში უკვე სცადეს: შეიძლება თუ არა შეშლილების წამლობა მარტოლ-მარტო ლოგიკურის ჩაგონებითა და რწმენითაო? ერთმა ამ წინაზედ გარდაცვლილმა ცნობილმა მეცნიერმა და პროფესორმა დაიწყო შეშლილების ასე წამლობა. დედა აზრი პროფესორისა ის არის, რომ შეშლილების ორგანიზმში არავითარი საიმისო ცვლილება არ არის ხოლმე; აქედამ, მაშასადამე, შეშლილობა ლოგიკური შეცდომაა მხოლოდ მსჯელობისა, შემცდარი აზრია მხოლოდ. ნელ-ნელა თურმე უმტკიცებდა ავადმყოფს შემცდარს აზრსა და, წარმოიდგინეთ, ამბობენ, არჩენდათ! მაგრამ რაკი ამავე დროს წყლითაც სწამლობდა, ეწვობენ, რომ შთაგონებას და მტკიცებასა ჰქონდეს აქ მხოლოდ ძალა... ასეა საქმე...

დიდი ხანი იყო უკვე აღარ უგდებდა ყურს რასკოლნიკოვი. მივიდა თუ არა თავისს სახლიანა, დაუქნია თავი ლებეზიატნიკოვსა და ეზოში შეუხვია. ლებეზიატნიკოვიც გამოფხიზლდა, მობრუნდა, შინისაკენ გაიქცა.

მივიდა რასკოლნიკოვი თავისს ქოხში და შედგა შუა თოახში. „რისთვის დაბრუნდა, ნეტა?“ გადაჭედა ჩაყვითლებულს, აგლეჯილს შვალერს, სქლად ნადებს მტვერს, თავისს ტახტსა... ეზოდამ რაღაცა გამაყრუებული, განუწყვეტელი

კაკუნი ისმოდა: სადღაცა ლურსმანს ურკობდნენ თითქოსა... მივიდა ფანჯარასთანა, შედგა თითის წვერებზედა და დიდ-ხანს რაღასაც ათვალიერებდა ეზოში უურადლებითა. მაგრამ ცალიერი იყო ეზო, არ სჩანდა, ვინ აკაკუნებდა. მარცხნივ, გვერდიდამ მიღმულს შენობაში აქა-იქ ლია ფანჯრები მოსჩანდა. ფანჯრებზედ უკადრისა მცენარის ქვაბ-ქოთანები იდგა. ზოგან საცვლები გამოეფინათ.. ყველაფერი ეს ზეპირად იცოდა უკვე-მიბრუნდა, დივანზედ დაჯდა.

არსად სხვა დროს არ უგრძვნია ასეთი საზარელი მარტოობა!

დიახ, იგრძნო ერთხელ კიდევა, რომ შეეძლო მართლაც შეეძულებინა სონა და სახელდობრ ახლა როდესაც, უარესად გააუზედურა.

„რათ მივიდა, ნეტა, და აატირა? რათ უნდოდა, რომ იმისთვისაც მოეწამლა სიცოცხლე? ოჟ, სულმდაბლობაც!“

— დავრჩები მარტო! — წარმოსთქვა უცბად გარდაწყვეტით, — და ოღარც ციხეში ივლის!

ხუთიოდე წამის შემდეგ თავი მაღლა ასწია და უცნაურად გაიღიმა. უცნაური იყო სწორედ ეს აზრი.

„იქნება მართლაც კატორგაში სჯობდეს“, გაიფიქრა უცბად.

არ ახსოვდა, რამდენს ხანს იჯდა ასე გაურკვეველს ფიქრებში წასული. უცბად გაიღო კარები და შემოვიდა ავდოტია რომანოვნა, და ჯერ კარებში შედგა და ისე შევსედა ძმასა, სწორედ ისე, როგორც სონას უყო წელან რასკოლნიკოვმა, შევიდა მერე და სკამზედ დაუჯდა პირდაპირ, იმ აღვილას სწორედ, საცა გუშინ იჯდა. ჩუპად შევსედა როგორდაც რასკოლნიკოვმა, მაგრამ არა უფიქრია-რა.

— ნუ გაჯავრდები, ძმაო, ერთს წამს შემოველ მხოლოდ, — უთხრა დუნიამა.

ჩაფიქრებული იყო როგორდაც ავდოტია რომანოვნა, მაგრამ ნათელი და წყნარი თვალები უმტკიცებდნენ, რომ ესაც სიყვარულის გრძნობას მოეყვანა ძმასთანა.

— ძმა, ახლა ყველაფერი ვიცი უკვე, გვედაფერი. დიმიტრი პროკოფიჩა მიამბო და ამისხანა ყველაფერი. ვიცი, გდევნიან და გრანჯავენ რაღაცა სულელურ და საზიზლარ ეჭვის გულისთვის... დიმიტრი პროკოფიჩა მითხრა, საშიში არა არის რა, ტყუილადა სწუხს ასეო. რასაკვრელია, მესმის კარგადა, როგორ უნდა იყო ალელვებული და განრისხებული, ან როგორ იმოქმედებს შენზედა. მეც სწორედ ამისი მეშინიან არ გამტყუვნებ იმისთვის, რომ თავი დაგვანებე და არც შემიძლიან გაგამტყუვნო, მაპატიე ისიც, რომ მაშინ გისაყველურე. მეც რომ ასე რამ ამიჩნდეს საწუხრად, ვგრძნობ, რომ ასრევე მოვიქცეოდი, გაშორდებოდი ყველასა. დედას აშის შესახებ არასერს ვეტყვი, მაგრამ დავაიმედებ-კი შენ ს სახელით, რომ მალე მოხვალ. ნუ იწუხებ მისთვის, ნურას იდარდებ, მე დავამშვიდებ; მაგრამ ნურც შენ გასტანჯავ საწყალსა და ერთხელაც არის მოდი სანახავადა. ნუ დაივიწყებ, რომ დედაა შენი! ახლა-კი მოვედი იმიტომ, რომ მეთქვა (და ადგომა დააპირა), თუ-კი რაშიმე დაგვირდება ჩემი თავი, როგორმე საჭირო ვიქნები... მთელი ჩემი სიცოცხლე შენ-და ჭირის სანაცვლო იყოს... შემატყობინე-კი და მოვალ მაშინვე მშვიდობით!

მიბრუნდა საჩქაროდ ავდოტია რომანოვნა და კარებისაკენ გასწია.

— დუნია! — შეაყენა რასკოლნიკოვმა. — ეს დიმიტრი პროკოპიჩი, რაზუმიხინი, კარგი კაცია ძანა.

დუნია ოდნავ გაწითლდა.

— მერე! რა იყო, — დაეკითხა პატარა ხანს უკან.

— რა-და ისა, რომ საქმის კაცია, შრომის მოყვარე, პატიოსანი და მოსიყვარულე დიდად... მშვიდობით, დუნია.

მთლიად აენთო დუნია, მერე-კი შეშფოთდა უცბად:

— რას ამბობ, ძმა, ნუ-თუ მართლა სამუდამოდ ვშორდებით ერთმანერთსა, რატომ მეუბნები იგრე?..

— სულ ერთი არის... მშვიდობით...



და ზურგი შეაქცია, ფანჯრისაკენ გასწია. პატარა ხანს კიდევ უცქირა შეშფოთებულმა დამა და დაძმარებული და შეწუხებული გავიდა ოთახიდამა.

არა, გულცივად როდი მოჰკვრობია დასა. პირ-იქით, იყო ისეთი წამიც (უკანასკნელად), როცა მოუნდა საშინლად მოჭხვეოდა მაგრა და გამასთხოვებოდა, თითქმის ეთქვა კიდეცა, მაგრამ ხელის გაწოდებაც-კი ვერ გაპერდა.

„ვინ იცის, შეკროვს მერე, რომ მოიგონებს, როგორ მოვეხვევ და ვაკოცე; იტყვის, კოცნა მომპარაო,“ გაიფიქრა რასკოლნიკოვმა!

„ისა, ის-კი აიტანს, ნეტა?“ დასძინა რამდენისამე წამის შემდეგ თავისთვის.— „არა, არა, ვერ აიტანს! აშისთანები ვერასოდეს! ვერ იტანენ, ვერა!..“

გაიფიქრა სონაზედ.

ფანჯრიდამ გრილმა ნიავშა დაპერა. გარეთაც ისე აღარ ნათელოდა. დაავლო უცბად ქუდს ხელი და გარეთ გამოვიდა.

რასაკვირველია, არც შეეძლო და არც უნდოდა თავისს ავადმყოფობაზე ეზრუნა რამე. მაგრამ ეს ამოდენა განუწყვეტელი შფოთი და საზარელი სულიერი ტანჯვა, ეჭვი არ არის, გავლენას იქონიებდა. მაინც, თუ აქამდისაც ლოგინად არ იწვა და ხურვება არ დაემართა, იმიტომ ისევ, რომ ეს შინაგანი, განუწყვეტელი შფოთი ამაგრებდა როგორლაც ხელოვნურად და გონებას არ აკარგვინებდა, თუმცა დროებითი იყო ეს გმისი ასეთი მდგომარეობა.

უაზროდ დაძრწოდა როგორლაცა. მზე ჩადიოდა. რაღაცა დალვრემილობა შეეპარა ამ ბოლოს დროსა. საგანგებო და მწვავე, მართალია, არა იყო-რა ამ გრძნობაში, მაგრამ ატყობდა, სამუდამოდ უნდა შეპრჩნოდა იგი; რომ მისს მომაკვდინებელს, ცივს ნაღველს მთელს თავისს სიცოცხლეში თავს ვეღარ დააღწევდა. ამ საღამო ეამს ხომ როგორლაც ჩვეულებრივზედ მეტად შეაწუხა ამ გრძნობამა.

— მოდიდა ამ სულელურს, რაღაცა მზის ჩასვლაზედ დამოკიდებულს ფიზიკურს სისუსტეს გაუმაგრდი! აღდგები და სონას მაგივრად დუნისთან ამოჰკოფ თავსა! წაიბუტბუტა ზიზლით.

უცბად უკანიდამ ვიღამაც დაუძახა. მიიხედა, ლებეზია-
ტნიკოვი წამოეჭია.

— წარმოიდგინეთ, თქვენსა ვიყავი, დაგეძებდით. შეუ-
სრულებია, წარმოიდგინეთ, თავისი განზრახვა და ბავშვები
წაუყვანია! მე და სოფია სემონოვნამ ჩის ვაი-ვაგლახით ძლივას
ვიპოვნეთ. დაუჭერია ტაფა, უბრავუნებს და ათამაშებს ბავ-
შვებსა. ბავშვები სტირიან. ჯვარედინა ქუჩებზედ, დუქნებს
წინ ათამაშებს. უკან ხალხი დასდევს. წავიდეთ, გეთაყვათ.

— სონა? რაღასა შვრება? — დაეკითხა შეშფოთებული
რასკოლნიკოვი და საჩქაროდ ლებეზიატნიკოვს გაჰყვა უკანა.

— გადარეულია პირდაპირა. ესე იგი, სოფია სემონოვნა-
კი არა, კატერინა ივანოვნაა გადარეული; თუმცა სოფია
სემონოვნაც გადარეულია. კატერინა ივანოვნა-კი მთლად
გადარეულია. გეუბნებით, სულ მთლად შეშლილა ჭკუიდამა.
პოლიციაში წაგიყვანენ უთუოდ. წარმოიდგინეთ, როგორ იმო-
ქმედებს მერე... არხთან არიან ახლა — ის ხიდთანა, იქვე, სოფია
სემონოვნას მახლობლად.

არხთან, ხიდის მახლობლად, ხონას სახლიდამ სულ
რაღაცა თრის თუ სამის სახლის მოშორებით ხალხი შეერო-
ვილიყო. თავი მოყვარათ განსაკუთრებით გოგო-ბიჭებსა. ხრინწიანი,
ჩახლეჭილი ხმა კატერინა ივანოვნასი ხიდიდამვე
ისმოდა. მართლაც უცნაური სანახავი იყო ყველა ესა, ქუჩის
ხალხს, ეჭვი არ არის, მიიზიდავდა. დრადედამის შალში გახვე-
ული კატერინა ივანოვნა თავისს ძველის კაბითა და დაგლეჯილის
ჩალის შლაპით, რომელიც გვერჩედ მოჰქცეოდა სოკოსავითა,
მართლაც რომ გადარეულიყო მთლადა. დალლილიყო, ძლიე-
ლა ჰსუნთქავდა. გატანჯული, დაქლექებული სახე უფრო
გაპირობებული (მით უმეტეს, რომ ქუჩაში და მზეზედ
ჭლეჭიანი უფრო შესაზარი სანახავია); მაგრამ არა სცხრებოდა
მაინცა და თან-და თან უფრო ჰლელავდა. არ უსვენებდა ბავ-
შვებსა, დასკუიოდა, არიგებდა და ასწავლიდა იქვე, ხალხის
თვალ წინა, როგორ უნდა ეცეკვათ და რა ემდერათ. უსნიდა,
რისთვის იყო ყველაფერი ეს საჭირო, სასოწარკვეთილებას

ეძლეოდა, რომ ვერ გაეგოთ ბავშვებსა და სუემდა... მაშინვე ახლა ხალხს მიჰმართავდა და შეკნიშნავდა ოუ არა ცოტათი რიგიანად ჩატყულს გამვლელსა, რომ შედგებოდა და დაუწყებდა ცქერასა, იმავ წიმს უხსნიდა, რომ გაჭირვებამ „კეთილშობილ, თითქმის არისტოკრატულ ოჯახობის“ ბავშვები აქამდის მიუყვანა. მაგრამ გაიგონებდა ოუ არა ბრბოში სადმე სიკილსა, ან გულმოსასვლელ სიტყვასა, მაშინვე ახლა ამ თავხედებს მიესეოდა ხოლმე და დაუწყებდა ლანძღვასა. ზოგი მართლაც იცინოდა ხოლმე, ზოგი-კი მხოლოდ თავს აქნევდა სიბრალულითა; ყველას უნდოდა ამ შეშლილისა და იმის გულგახეთქილ ბავშვებისათვის შეეხედა. ტაფა, მართალია, არსად უჩანდა, როგორც ლებეზიარნიკულმა უხახრა რასკოლნიკულსა, მაგრამ გამხმარ ხელებით-კი ტაშს ერთგულად უკრავდა, პოლეჩიას ამღერებდა და ლენასა და კოლას კიდევ ათამა შებდა; თან თითონაც ეშველებოდა ვითომ მღერასა, მაგრამ მაშინვე საშინელი ხველა უვარდებოდა და აწყვეტინებდა, რაც საშინლად აბრაზებდა და აწყვევლინებდა თავ-ბედა. ყველაზედ მეტად-კი კოლასი და ლენას ტირილი და შიში აბრაზებდა. მართლაც-და ქუჩის მომღერლებივით მუერთა ბავშვები. ბიჭს წითელი რაღაცა ეცვა და თავზედ თეთრი დოლანიდი ჰქონდა შემობორბლილი, სამალო იყო ვითომა; ლენას კიდევ წითელი ჩაჩი ეხურა რიღაცა განსვენებულის სიმონ ზახარიჩის ნაქონი, რომელშიც სირაჭლემას თეთრი ფრთის ნაგლეჯი ჰქონდა გარკობილი. ეს ფრთაც კატერინა ივანოვნას ბების ნაქონი იყო და ყუთში ჰქონდა მძიმედ შენახული, როგორც საგვარეულო რამ იშვიათი განძი. პოლეჩიას თავისი ჩვეულებრივი კაბა ეცვა. შეჰყურებდა საცოდავი მოკრძალებით დედასა, არ ჰშორდებოდა, ცრემლებს ჰმალავდა და მიხვედრილი იყო, რომ დედა შეშლილი იყო, აქეთ-იქით მოუსვენრად იყურებოდა. ქუჩამა და ხალხის ბრბომ საშინლად დააფრთხო და შეაშინა საცოდავი. სონა უკან დასდევდა დედასა და ტირილით ემუდარებოდა ერთ-თვალი, შინ დაბრუნებულიყო. მაგრამ არ უგონებდა დედა.

— გაჩუმდი, სონა, გაჩუმდი! — უყვიროდა სხაპა-სხუპითა და თან სულს ძლივს-ლა იბრუნებდა, ახველებდა. — არ იცი, რასა მთხოვ, ბავშვი იყო თითქოსა! არ გითხარი, არაფრის გულისათვის ამ ლოთ ნემეც დედაკაცთან აღარ დავბრუნდები-მეუქი. დეე, ყველამა ნახოს, მთელმა პეტერბურგმა ნახოს თავისს თვალითა, როგორ თხოულობენ მოწყალებასა ბავშვები კეთილშობილ მამისა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ერთგულს სამსახურში გაატარა და თითქმის სამსახურშივე დალია სული. (უკვე შესთხზა კატერინა იგანოვნას ავადმყოფმა ოცნებამ ესა და დაიჯერა კიდეცა. დეე, დაინახოს იმ საძაცელმა გენერალმა. ტუტუცი ხარ სწორედ, სონა: მითხარ, რა უნდა ვსჭამოთ? კმარა, რაც გაწამეთ, აღარა მსურს! თჲ, როდიონ რომანიჩ, თქვენა ხართ! — შემყვირა უცბად, დაინახა თუ არა რასკოლნიკოვი და მისკენ გაქანდა, — ჩაგონეთ როგორმე, გეთაყვათ, ამ ტუტუცისა, რომ უკეთეს სხეს ვერას მოვი-საზრებთ! ქუჩის მეარლნებიც-კი ლუქმას შოულობენ, ჩვენ ხომ უცბად გაგვარჩევს ყველა, ყველა გაიგებს, რომ კეთილშობილ ოჯახიდამა ვართ ღირიბი ქვრივ-ობლები. ამ გენერალს ხომ უთუოდ ადგილიდამ დაითხოვენ, თორემ ჰნახავთ! ყოველ დღე ფანჯრებ წინ გავუვლ-გამოუვლით და გამობრძანდება თუ არა ხელმწიფე, მაშინვე დაუუჩიქებ და შეეჩივლებ. მათაც წინ დავიყენებ და ვუჩენებ: „დაიფარე-მეუქი, მეფეო!“ ის არის მამა ობლებისა, მათი მოწყალე მფარველი? და დაგვიფარავს კიდეცა, თორემ აი, ჰნახავთ; გენერალს-კი... ლენა! Tenez vous droite! შენც, კოლა, ახლავ იცეკვებ, რასა სლუუნებდ? კიდევ? აბა, ჰა, რისა გეშინიან, ტუტუცი! ღმერთო ჩემო, რა უნდა ვუყო, ნეტა, როდიონ რომანიჩ? რომ იცოდეთ, რა უგნურები არიან? ამათან, აბა, რას გავიწყობ?..

და ასე ტირილით (რაც სრულიადაც არ უშლიდა მისს სხაპა-სხუპით ლაპარაკს) აქვითინებულს ბავშვებზედ უთითებდა. სკადა რასკოლნიკოვმა, დაერწმუნებინა როგორმე, რომ შინ დაბრუნებულიყო და ისიც-კი უთხრა, ვითომ თავმოყვარეობის გულისათვის, რომ მას, როგორც კეთილშობილ დედათა პანსიონის მომავალს გამგეს, არ შექვეროდა მეარლნესავით ქუჩა-ქუჩა სიარული, მაგრამ ვერას გახდა...



— პანსიონისა, ხა-ხა-ხა! იმედიც კარგია! — შეჰვეიტინა
კატერინა ივანოვნამა ჭიქვე სიცილის შემდეგ ყველა აუფარდა. —
არა, როდიონ რომანიჩ, გაჟერა ოცნება! ხველამ თავი მიგვანე-
ბა!.. ამ გენერალს-კი... იცით, როდიონ რომანიჩ, სამელნე
ვესროლე პირდაპირა, — იქვე ლაქიის ოთახში იდგა მაგიდაზედა
და ქალალდიც გვერდით ედვა, რომ ხელი მოეწერა ყველასა;
მოვაწერე მეცა, მიგახალე სამელნე და გამოვიქეცი. ოჲ,
გაიძვერა საზიზღრები! თავში ქვა უხლიათ, ახლა თვითონ მე
ვაჭმევ თუნდ პურსა, არავის ქედს არ მოუჭრი! საკმაოდ
ვტანჯეთ! (სონაზედ მიუთითებს). — პოლეჩა, მიჩვენე, რა-
მდენი შევკრიბეთ! როგორ? ორი კაპიკი მარტო? ოჲ,
საზიზღრები! არას იძლევიან, გამოუგდიათ ენა და უკან
დაგვდევენ მხოლოდ! აი, თუნდ ეს ყურყუტი რას იცინის!
(და ვიღაცაზედ უჩვენა ბრბოში). ეს სულ იმიტომა, რომ
კოლკამ ვერა შეიგნო-რა, გამაწვალა! რაო, პოლეჩა, რა
გინდა? ფრანგულად მელაპარაკე, parlez moi franeais. აკი
გასწავლიდი, რამდენიმე წინადადება აკი იცოდი!.. აბა, უმი-
სოდ, მაშ, როგორ გიცნონ, რომ კეთილშობილ ოჯახიდამა
ხართ და არა უბრალო ქუჩის მეარღნები: „პეტრუშკას“
ხომ არ ვათამაშებთ ქუჩაში, კეთილშობილთა რომანსი ვიმ-
ღეროთ... დიახ! მაგრამ რა ვიმღეროთ? აზრს ნუ მარე-
ინებო, ჩვენც.. პხედავთ, გავჩერდით აქა, რომ ამოვირჩიოთ,
რა ვიმღეროთ, როდიონ რომანიჩ, ისეთი, რომ კოლკასაც
შეეძლოს იცეკვოს... იმიტომ მოგვდის ასე, რომ მოუმზადებ-
ლად გამოვედით; უნდა შევთანხმდეთ, რომ ყველაფერი გა-
ვივარჯიშოთ, მერე-კი ნევის პროსპექტზედაც გავალოთ, სადაც
ხალხიც მეტია და მაღალი საზოგადოებაც, ბლობად. უცბად შე-
გნიშნავენ. ლენამ იცის „Хуторокъ“, მაგრამ ერთ-თავად „Хуто-
рокъ“-ის მღერა არ ივარგებს, იმიტომ, რომ ყველა იმასა
მღერის თითქმის! უნდა კეთილშობილური რამ ვიმღეროთ...
აბა, არა მოიგონე-რა, პოლეჩა; დედას როგორმე დაეხმა-
რებოდი! მეხსიერება მთლად დავკარგე, ველარა მომიგონია-
რა! „Гусарь же на саблю опираясь“-ს ხომ არ ვიმღერებთ!

მართლა, მართლა, ფრანგულად ვიმღეროთ „Cinq sous“! აკი გასწავლიდით, არ გახსოვთ? უმთავრესი-კი ის არის, რომ მაშინვე გიცნობენ, რომ კეთილშობილი აზნაურის შვილები ხართ, უფრო ძლიერ იმოქმედებს ყველაზედ... შეიძლებოდა „Malborough s'en va-t-en guerre!“-ც გვემღერა, მით უმეტეს, რომ საბავშვო სიმღერაა და ყველა არისტოკრატულს ოჯახში მიღებული. ბავშვებს აძინებენ ხოლმე ამ სიმღერითა:

Malborough s'en va-t-en guerre

Ne sait quand reviendront...

დაიწყო მღერა.— მაგრამ არა „Cinq sous“ სჯობიან! აბა, კოლა, დოინჯი შემოიყარე, შენც ლენა, მეორე მხარეს დაუარე; მე და პოლეჩქა კიდევ ვიმღერებთ და ტაშს დავუკრავთ!

„Cinq sous, cinq sous

Pur monter notre ménage.

ქხი-ქხი-ქხი! (და ხველამ კინალამ დააღრჩო). კაბა გაისწორე, პოლეჩქა, მხრები ჩამოგჩაჩვია,—შევნიშნა ხველის დროს.—განსაკუთრებით უნდა სცდილობდეთ ზრდილობიანად გეჭიროთ თავი, რომ ყველამ დაინახოს, კეთილშობილები ხართ. არ იყო გეუბნებოდი, ლიფი ცოტა გრძელი უნდა გამოსქრა-მეთქი და ორპირადა. აგრე იცი ხოლმე, სონავ, შენი ბრალია სულა: „მოკლე იყოსო და მოკლე“, აგრა, თითქმის მთლიად დაგამიხინჯეთ ბავშვი... აბა, რა იყო, კიდევა სტირით ყველანი! რა იყო, ოქვე ტუტუცებო! აბა, კოლა, დაიწყე ჩქარა, ჩქარა-მეთქი, ჰა! ოჲ, რა საძაგელი ბავშვი ხარ!..

Cinq sous, cinq sous—

ი, კიდევ ჯარის კაცი! რაო, რა გინდა?

მართლაც ბრბოში პოლიციელი გამოჩნდა მაგრამ ამ დროს სწორედ ვიღაცა ორმოც-და-ათის წლის დარბაისელი მოხელე გამოჩნდა, ვიცმუნდირში გამოწყობილი,—ყელზედ ორდენი ეკიდა (იამა საშინლად კატერინა ივანოვნასა და პოლიციელზედაც გავლენა იქონია), მიუახლოვდა და კატერინა ივანოვნას ხმამოუღებლივ ხელში მწვანე სამ-მანათიანი ქაღალდის ფული ჩაუდო. ეტყობოდა სახეზედ მოხელესა,

და ემართა ამ წინაზედა, თვითონ მე ვიყავ მნახველი. ჭიქა ნა-
ხევარი სისხლი ამოუვიდა... რა უნდა ვუყოთ მაინც, ახლავ
მოკვდება.

— აქეთ მოიყავთ, აქეთა! — ემუდარებოდა სონა. — აი, აქა
ვცხოვრობ! ... აგერა, მეორე სახლია აქედამა... ჩემსას წავი-
ყვანოთ ჩქარა! .. — შესთხოვდა ყველას. — ექიმი დავიბაროთ...
ოჲ, ღმერთო!

მოხელის მეტადინოებით, როგორც იყო, მოეწყო საქმე:
პოლიციელმაც-კი ხელი წაახმარა, რომ კატერინა ივანოვნა
სახლში გადაეყვანათ. თითქმის მკვდარი შეიტანეს სონასთანა
და ლოგინზედ დააწვინეს. სისხლი ჯერ კიდევ სდიოდა, მაგ-
რამ, ეტყობოდა, გონს მოდიოდა... ოთახში შევიდნენ ერთად,
სონას გარდა: რასკოლნიკოვი, ლებეზიატნიკოვი, მოხელე და
პოლიციელი, რომელმაც ხალხი გაძფანტა ჯერა. ბევრი მათ-
განი კარებამდის მიჰყეა თითქმისა. პოლექამაც ლენა და
კოლა შემოიყვანა, რომლებსაც ხელი-ხელს ჩაეკიდნათ და
ცახცახებდნენ, სტიროდნენ შეშინებულნი. კაპერნაუმოვე-
ბიდამაც თითქმის ყველამ აქ მოიყარა თავი: თვითონ კოჭ-
ლმა და დაკვლანჭულმა კაპერნაუმოვმა, უცნაურის გარე-
გნობის, ღორის ჯავარივით აბურძენულის თმებითა და ბაკენ-
ბარდებით; კაპერნაუმოვის ცოლმა, რომელიც კურდღელივით
მუდამ დამფრთხალი გამოიყურებოდა და მათმა რამდენმამე
პირდაღებულმა ბავშვმა. უცბად საიდამლაც სვიდრიგალოვიც
გაჩნდა. გაოცებული შეჭყურებდა რასკოლნიკოვი და ვერ
გაეგო ვერას გზითა, საიდამ გაჩნდა, როცა ბრბოში არსადა
სჩანდა.

ექიმი და მღვდელი ახსენეს. მართალია, ჩასჩურჩული მო-
ხელებ რასკოლნიკოვსა, რომ სულ მეტი იყო ახლა ექიმი,
მაგრამ მაინც უბრძანა მოეყვანათ. ექიმის დასახახებლად კა-
პერნაუმოვი გაიქცა.

კატერინა ივანოვნამაც სული მოიბრუნა ცოტათი, სის-
ხლის დენა ალარა ჰქონდა. სნეულებრივის, ღრმად გამმსჭვა-
ლის თვალით აკვირდებოდა გაფიორებულსა და აცახცახე-



ბულს სონას, რომელიც შუბლიდამ ოფლსა სწმენდდა ცხვირ-სახოცითა. ითხოვა ბოლოს წამოესვათ. ლოგინზედ დასვეს, ორთავ მხარეს ხელით ეჭირათ.

— ბავშვები სად-და არიან? — იკითხა სუსტის ხმით. — შენ მოიყვანე, პოლეჩქა? ოჲ, ტუტუცებო!.. რას გარბოდით... ოჲ-მე!

გამხმარს ტუჩებზედ ჯერ ისევ სისხლი ეცხო. მიიხედ-მოიხედა, თვალიერება დაიწყო.

— აი, თურმე როგორა სცხოვრობ, სონა! არსადა ვყო-ფილვარ ხომ შენთანა.... ახლა ხომ გნახე...

და ტანჯვის გამომეტყველი თვალი ღრმად დააშტერა.

— მთლად გამოგწოვეთ, სონა, თუ რამა გქონდა... პოლეჩქა, ლენა, კოლა, მოდით აქა... აი, სონა, გებარებო-დეს... მე-კი, კმარა, რაც ვიცოცხლე... გათავდა ბალი! ექ!.. დამაწვინეთ, ნება მომეცით მოსვენებით დავლიო სული...

ბალიშე მიაწვინეს ისევა.

— რაო? ლვდელიო?... არ არის საჭირო... სადა გაქვთ მოჭარბებული ფული, რომ მისცეთ?... მე ცოდვა არა მაქვს რა!... ისედაც უნდა მაპატიოს ღმერთმა... იცის, როგორც ვიტანჯებოდი!... არ მაპატიებს და არ არის საჭირო!..

თან-და-თან მოუსვენარად ჰბოდავდა. დრო-და-დრო ხტო-და კიდეცა, აქეთ-იქით იხედებოდა და ერთს წამას სცნობდა კიდეცა ყველასა, მაგრამ მაშინვე გონებას ჰკარგავდა ისევ, ბოდვის იწყებდა. ახრიალებდა ყელში, ძლივას ჰსუნთქავდა; ყელში თითქოს რაღაცა უჩუხჩუხებდა.

— ვუთხარი: „ თქვენო აღმატებულებავ!..“ ჰბოდავდა და თან ყოველი სიტყვის შემდეგ აქოშინებდა. — ეს ამალია ლუდვიგოვნა... ოჲ! ლენა, კოლა, ღოინჯი გაიკეთეთ, ჩქარა, გლისსე-გლისსე, პა-დე-ბასკ! ფეხები ააბაკუნე... მოხდენილად იცვეცვე.

Du hast Diamanten und Perlen...

მერე რაღაა? ვიმღეროთ, აბა...

Du hast die schönsten Augen...

Mädchen, was willst du mehr?..



დიახ, ვითომ-და! was willst du mehr,—გამოუგონია ყურ-
ყუტხა!.. ჰო, მართლა, იი, კიდევ რა:

Въ полдневный жарь, въ долинѣ Дагестана...

— ოჲ, როგორ მიუვარდა... გავიუებით მიუვარდა, პოლეჩქა,
ეს რომანსი!.. იცი, მამაშენი... ჯერ ისევ საქმრო იყო, რომ
მიმღეროდა ხოლმე... ოჲ, ბეღნიერო დროვ!.. მოდი, ვიმღე-
როთ! აბა, როგორა, მაშა, როგორა... დამავიწყდა... მომა-
გონეთ, როგორ უნდა?

ჰლელავდა საშინლადა, სცდილობდა წამოეჭია. ბოლოს,
როგორც იყო, დაიწყო საშინელის ხრინწიანის. ჩახლეჭილის
ხმით, თან ყოველი სიტუაცის შემდეგ სული უგუბდებოდა,
ახველებდა, შიში ემატებოდა:

Въ сполдневный жарь!.. въ долинѣ!.. Дагестана!...

Съ винцомъ въ груди!..

— „თქვენთ აღმატებულებავ! — შექვივლა უცბად გულგამ-
გმირავის ქვითინითა. — ობლები დაიფარეთ! სიმონ ზახარიჩის
პურ-მარილი გაიხსენეთ!.. თითქმის რომ არისტოკრატისა!..
ჰა! — შეხტა უცბადა, თითქმის რაღაცა გაახსენდათ და შეში-
ნებულმა დაუწყო ყველის ყურება. მაგრამ მაშინვე იცნო სო-
ნა. — სონა, სონა! — დაუწყო წყნარიდ, ალერსინად, თითქმის
გაიკვირა, რომ გვერდით ჰსედავსო. — სონა, საყვარელო,
აქა ხარ შენცა?

წამოსვეს ისევ.

— კმარა!.. დრო არის!.. მშვიდობით, ბეჭმავო!.. ძლივს
არ აკმარეს ჯანდაკა!... მშვიდობით, ვკვდები! — შეჰყვირა
სასოება დაკარგულმა ზიზლითა და ბალიშხედ დაეცა.

დავიწყებას მიეცა ისევ, მაგრამ დიდის ხნით აღარა.
გაფითრებულ-გაყვითლებული, გამხდარი სახე უკან გადაეკიდა,
პირი გაელო, შეაერეოლა, ფეხები გასჭიმა. ერთი კიდევ
ამოიქშინა ლრმადა და სული წალი. სონა პირდაპირ ზედ
დაეცა დედის გვამსა, მოჭხვია ორთავ ხელები და მაგრა
მიეკრა გამხმარს გულზედა. პოლეჩქაც მაშინვე დედას ეცა და
მწარედ აქვითინებულმა ფეხებზედ დაუწყო კოცნა. კოლამ და

დანაშაული და სასჯელი

ლენამ უცბად ვერა გაიგეს-რა, მაგრამ იგრძნეს, რომ საზარელი რამ ამბავი მოხდა, ერთმანეთს მხარში ხელები ჩაავლეს, დააღეს პირი და ბლავილი მორთეს. ორსავე ქუჩის ტანისამოსი ეცვა ისევა: ერთს დოლბანდი ჰქონდა შემობორბლილი, მეორეს სირაკლების ფრთიანი ჩაჩი ენურა.

მაგრამ როგორ მოხდა, ნეტა, რომ „ქების ფურცელი“ უცბად კატერინა ივანოვნას გვერდით გაჩნდა, ლოგინზედა? იქვე იდო, ბალიშთანა. დაინახა რასკოლნიკოვმა.

რასკოლნიკოვიჭუთხეში მიდგა. ლებეზიატნიკოვიც მაშინ-ვე გვერდით ამოუდგა.

— გათავდა! — უთხრა ლებეზიატნიკოვმა.

— როდიონ რომანიჩ, ორიოდე საჭირო სიტყვა მაქვს თქვენთან სათქმელი,— მიმმართა უცბად სვიდრიგაილოვმა.

ლებეზიატნიკოვიც მაშინვე თავაზიანად ჩამოეცალა. გა-ოცებული რასკოლნიკოვი უფრო შორს, კუთხეში, გაიყვანა სვიდრიგაილოვმა.

— ყელაფერს ხარჯს, რაც-კი დასასაფლავებლად იქმნება საჭირო და სხ. მე ვკისრულობ. იცით, რა არის, ფული იყოს, თორემ... მე-კი, გახსოვთ, გითხარით, მეტი ფული მაქვს-მეთქი. ამ ორ პატარა ბავშვსა და პოლეჩქას სადმე ობლების თავშესაფარს სახლში მივცემ გასაზრდელადა; უკეთესი იქნება, ვგონებ, და თვითეულს ათას ხუთას მანეთს ფულს შევუტან ბანკში, რომ სოფთა სემონოვნა მოსვენებული იყოს. იმასაც ხელს შევუწყობ, რომ ამ გარყვნილების წუმპეს თავი დააღწიოს, იმიტომ, რომ კარგი გოგოა! ასე, მაშ, გადაეცით, ავდოტია რომანოვნასა, რომ იმისი ათასი თუმანი ასე მოვიხმარე.

— რა აზრი გაქვთ, რომ აგრე გაქველმოქმედდით? — ჩაეკითხა რასკოლნიკოვი.

— ე-ე! უნდო კაცი ხართ! — ჩაიცინა სვიდრიგაილოვმა. — არ გითხარით, მეტათა მაქვს-მეთქი ეს ფული. არასფერი, რა აზრი უნდა მქონდეს, ადამიანობა მაიძულებს; შეუძლებელი რა არის? „მებენარი“ხომ არ იყო (და თითით ანიშნა

იმ კუთხეზედ, სადაც განსვენებული იწვა,) ვიღაცა მევახშე-
ბებრუხანასთანა. დამეთანხმეთ, მაშ, რა უფრო სამართლი-
ანია: „ის, რომ ლუქინი სკოცხლობდეს და ვინ იცის, რა
საძაგლობას არ სჩადიოდეს, თუ ბებრუხანა მოკვდეს?“ და რომ
არ მეშველა, „პოლექაც ხომ იმავ გზას დაადგებოდა“...

ეუბნებოდა სვიდრიგაილოვი და თან თითქმის მხიარულად
ეშმაკურად თვალს უშერებდა, არ აშორებდა. გაფიტრდა
რასკოლნიკოვი, გაიყინა უცბად, თავისი სიტყვები რომ გაი-
გონა. საჩქაროდ უკან დაიწია და მრისხანედ შეჰქედა სვიდრი-
გაილოვსა:

— საიდამ იცით თქვენა? - ჩიიჩურჩულა ოძნავ. სულს
ძლივს-ლა იბრუნებდა.

— მე ხომ აქვე ვცხოვრობ, კედელს იქით, ქალბატონ
რესლიხისასა. კაპერნაუმოვი აქეთა სდგას, რესლიხი იქითა,
ჩემი ძველის-ძველი მეგობარია. მეზობელი ვარ.

— თქვენა?

— დიახ მე, — განაგრძობდა სვიდრიგაილოვი და თან სი-
ცილისაგან მთლად ირხეოდა, — და შემიძლიან დაგარწმუნოთ
კიდეც, საყვარელო როდიონ რომანიჩ, — გეფიცებით პატი-
ოსნებასა, — რომ საშინლად მიიპყარით ჩემი ყურადღება. არ
იყო გითხარით, კიდევ შევხვდებით-მეთქი ერთმანერთსა, — ხომ
გიწინასწარმეტყველეთ, — და აი, შევხდით კიდეცა. ჭნახავთ
როგორ შევეწყობით ერთმანეთსა. ჭნახავთ, რომ ჩემთან ცხო-
ვრება შესაძლებელია კიდევ...

ენ-ანი.

(გავრძელება იქნება)

მოსხოდა აცლადეს არეულობაში

სარსებრ და საქართველოში

შეისონელისა

(ფრანგულით ნათარგმნი)

მთარგმნის ღისა გან.

პირველი ნაწილი შეისონელის თხზულების დაიბეჭდა „ივერიაში“ 1879 წ. №№ 78, 79 და 80 და 1884 წ. № 9. ის შეიცავდა აღმოსავლეთის და დასავლეთის საქართველოს გეოგრაფიულ და ისტორიულ მოკლე აღწერას. ასდა მთარგმნელი ურდის მკითხველ საზოგადოებას შეთრე ნაწილს „მთარგმნელი ურდის მკითხველი არეულობაზე სპარსეთის და საქართველოში“. რადგან იმ დროს ჩენი საშინაო მშენდლობით შეკავშირებული იყო სპარსეთის, — ამ თრთა ურთიერთზე ზედგავლენა კონის ეკვს გარეშე და მათთვი ისტორია ერთმანეთზე გადაბმულია, — მთარგმნელი ამ სპარსეთის ისტორიის საქართველოში მთხოვდა აშებს მთგვითხრობს, — მთარგმნელი საჭიროდ დაინახა იმისიც გადათარგმნა. საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიის უკანასკნელი ხანა ერთობრთულია და არც მოიპოვება ცალბე წიგნად შედგენილი, გარდა არითებე მონაცემისა. მთარგმნელი არ ჰქონდა იმედს, რომ ამ ხანას ასე თუ ისე შექმნა მთხოვდნენ შეისონელის სპარსეთის ისტორიაც. —

ამ მეორე ნაწილს დართული აქვს ორი უკავალიგიური შტო ქართლისა და კახეთის შეფეხბისა, თუმცა, საწერებართ, ის სისწო-

როთ ვერ არის შედგენილი. მთარგმნელი ურჩევს მკითხველის შეკავშირის დარცს და შეასწოროს ის ბროსისების საქართველოს ისტორიის მე-II ტომის, ქართულად თარგმნილს, რომელსაც დამატებული აქვს უფრო გრუელი და შესწორებული ჩვენი შეფერების და მთავრების გენერალი გადა. შენიშვნები მთარგმნელს ეკუთვნის. ავტორი, რომელსაც ეს მოთხოვთა ირაკლის მეფობის პირველ სანებში დაუწერია, დიდი იმედებით ადვიროდებულია იმის მოღვაწეობისა კამო და თავის წინა-წინასიტუაციას წინასწარმეტეველობს, რომ ირაკლი შეიძლება სპარსეთის ტახტზედაც ავიდესთ. სამწყსაროდ, მომავალში ვერ გაამართდა ეს იმედები... ერთის მხრით შინაურმა კანხეთქილებამ ქართლ-კახეთში—ერთისთავების და ბატონიშვილების ურჩობამ და განდგომილებამ, მეორეს მხრით ვერაგულმა პოლიტიკამ ავანტურის-ტის ტოტლებენისა და გუდოვინისამ, როცა ირაკლი დაუძინებულ თავის მტრების—სპარსელების და ოსმალების შემთხვევის დროს ტრაგტატების ძალით გამოითხვდა მათ დახმარებას და არა გულ-წილებულმა მოქმედებამ გაჭირების დროს წევნში შემთხიზულ ერებისას—უფრესულის ნაპირამდე მითიქის ერთ დროს დასხ მძღვანი და სახელოფანი ადმინისტრაციით სახელმწიფო... თვით პარა კახიც გარდად გრძნობდა ამ შემაძრწუნებულ პოლიტიკურ მდგრადიარებას და მწარე ცრემშებით შესხივდა პოეტის სიტყვით თავისს ერთგულს სთლომონ მდივანს:

„მაგრამ, აბა სთქვი, ქართველთა რა ჰყონ
 ამ უბედობის და დარღვევის დროს?“
 ამიერიდან გაქვემდებული
 მამალ-ხანისა მოსისხლე გული
 არ დაგვაწყნარებს სიამაყითა,
 იგი სარგებლობს კარგი უამითა.
 ეს ხმა ლეკტაცია აგვიყაყანებს,
 ოსმალი მხოლოდ დროსა უყურებს,
 და მტერნი მაშინ ძლიერ მოგვატყდენ,
 როს ძენი ჩემი ურთიერთს ბრძარვენ.“

შეფერებულის ჭრინდა ხელსაურელი შემთხვევა შემოერთებინა დასავლეთი საქართველო ადმინისტრაციისას, როცა 1790 წ. იმერეთის დიდებული დესპანები: (ექვთიშვილისთვიზე ქუ-

თათელი, სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, პაატა მიქელაძე, სახლ-ხუცესი ზურაბ წერეთელი, სენია წულუკიძე, ივანე აბაშიძე, ივანე აგიაშვილი, ქაიხოსრო ჩიჯავაძე და ფიცის-კაცინი—ღორთქითანიძე, იოსელიანი, ავალიანი და სხვანი.) სოლომონ II გამეოვებაშვილე წალსდგენ მის წინაშე ამ შეერთების თხოვნით და ემუდარებოდენ „ერთობით გაძლიერდებით ჩვენით და გაგიაძლიერებთ თქვენით.“

დესპანნი არწყენებდენ ირაკლის, რომ „ეოვლადი სამეფო იმპერითის მოელის სიქადულით და მიარულებით საქმის ამის დასასრულს; თვით მთავართა გურიისას და ღვიძლისას ჭიშრთ და ჭიშურიანი ესე, მცხოვრებთა გრემითაც იციან ესე და უსარისო ბატონისა თქვენი იმერეთისა, მტერთაგან ჯვარისა განხრებულსა.“

საქმის რჩევაში პირველი და მდინარი ხმა ერთობისათვის იყო ჭიბუა ანუ ითანხმებოდებოდა, რომელიც აკურთხებდა აზრთა ამით, ზეგარდამც შთაგონებულთა დესპანთადმი და იმერთა ერისა. მას შეედგენ კათადიკოსი ანტონი, სარდალი დავით გაფლანიშვილი, სოლომონ ლეთიძიძე, ზაქარია მოურავი ქიზიძისა, ანდონიკაშვილი, ჯარდან ხოლაუშვილი, იოსებ ბარათაშვილი და სხვანი.

მაგრამ დედოფალი დარეჯან სულ თავისას გაიძახდა და კიდეც დააჭირა ირაკლი, რომ „ჩვენს შეიდის შეიდის, სოლომონის ერგება იმერეთის გვირგვინით, რომლის ხელიდან მას უკრ გამოგეწიორავთ;“ ამ სახით საქართველოს შეერთების განზრახვაშ ჩაილდას წევდი დალა... „წელთა ღონი წაუზარებული“, ირაკლი სულ წრდილოეთისაგნ გაიგურებოდა, იქედან ელოდა შეედას და ხშარად იტეოდა ხოლო:

„მან საფარს ქვეშე ხოლო რუსეთის
ამოიყაროს ჯავრი სპარსეთის.“

სოლო, როგორც სამართლიანად შენაშენას პ. ავალიშვილი თავისს წიგნში „При соединение Грузии съ Россieй“, როცა მცირე და დასუსტებული ერთ დიდს რეკულიარულ ჯარით აღჭურვილ სახელმწიფოს „საფარს შინა“ შედის, ეს მფრველობა თითქმის ეთეველთვის შემთხვერებით, ანნექსიით თავდება ხოლმე...

მოეტი გრარწმუნებს, რომ მაშინაც ივეკნ ირაკლის განზრახვის მოწინააღმდეგნი — საქართველოს ჰერი თავისი დემოსტენები



და ფოკითნები, როგორც ძველ ჰელლადის მაყედონიასთან შეერთების ღრის.

ჩექი სასიქადულთ მკისანს თანზიციის მეთაურად გამოჭეუას სთლომონ მდივანი (დეონისი), რომელსაც წარჩინებულად შესწავლული ჰქონდა მასინდელი საქართველოს პლატიკური მდგრმარეობა და ადგ როლს თამაშებდა როგორც ირაკლის და სთლომონის მეტობის ღრის, აგრეთვა დადანთანაც, როგორც „ნიჭია პეთალთა უნეად მორჟესული“. ის ედნათაც იუდ პეტერბურდში და როცა დაბრუნდა იქიდან, მას შთხოვეს რამე ექსპრომტი წარმოეთქვა; მან შემდეგი სიტუაციით დაასურათა იქაურობა:

„ენახე რუსეთი
ველნი-ვაკენი,
ქალნი უნიტხო,
ქაცი მაკენი,
თაეს ხურავთ ჩაჩი

მათნი სა ქენი საარაკონი“...

ნ. ბარათაშვილი ამ სთლომონ მდივანს ალაპარაკებს ირაკლის განზრახვაზე.

„ჯერ სამაგისო რა გვემართება,
რომ განვისყიდოთ თავისუფლება ?
იცი, მეფეო, რომ ივერნი
იქნებიან რუსთ ხელთ ბედნიერნი ?
ხელმწიფებასა ერთობა სჯულის
არა რას არგებს, ოდეს მათ შორის
თვისება ერის სხვადასხვაობდეს.
ვინ იცის მაშინ როგორ მოუხდეს
რუსეთის ძალა ქართლს აწინდელი.
ვით შეითვისოს რუსმა ქართველი,
ვით შეიწყნაროს რუსთ მეფობამა,
რაც მოისურვოს ქართველობამა.“

შეფეხსთან საუბარი საუბრადებე დარჩა და პოტი დაღონებული დასძენს:

„მაგრამ ამაო იყო ყოველი:
დიდი ხანია რომ ბედი ქართლის
გარდაიწყვიტა გულმა ირაკლის...“

მთარგმნელი მრაქცევს მკითხველის ურადდებას მას, რომ
პეისონელი,—რომელიც ირაკლის თანამედროვე ცნობილი მწერალი
იყო და რამელსაც სხვათა შთრის ბუტყვაც იხსენიებს თავისს
„Замѣтки объ исторіи Кавказа“,—მუდამ დიდის ქებით და
დიდებით იხსენიებს ირაკლის. მთარგმნელი სიხთვის მკითხველს
შეადარს ავტორის მთხოვთბა დაუსაბუოებელ ჭერტალთას ქიშ-
მიშევისას და ეზოვისას. ამ უკანასკნელმა მატრაბაზმა სივრცით
დის უზარმაზარი წიგნი in-folio დასრუმბა „Сношенија Петра
Великаго съ армянскимъ народомъ“, სადაც სიმხების გმირად
გამოჟევს ავანტივრისტი, chepexlier d'industrie, ისრაელ თრი,
და მთხვეს ჯრნგულათ ტექსტი, საიდამაც რუსებმა უნდა შეიგ-
ნონ ის ჭეშმარიტება, რომ თუ მათ სურთ დიდი როლი ითამა-
შონ ღმოსავლეთის პოლატიკაში, უნდა დაამუარონ სომხის ეროვ-
ნებაზე: სოლო ირაკლის გზა კი სასაცილოდ აგდებას არ აქმარებს.
რის მექონი მეფე იყო, რა გააჩნდათ. უახნის მიერ დაექნებული გამ-
ბმ იყო, რა სამეფო შეეძლო რუსებისათვის გარდაეცა, ადა-მაჭ-
მად-ხანის მიერ ტფილისას ათხრების შემდეგ ირაკლიმ თა თახა-
ში სომხის დარჩია ბებუაშვილის სახლში მთკუნტულმ, თავი შეი-
ვარათ და სხვა. ნ. მდგვილი ისტორია, თუ გნებავთ, ეს არის ი
მთარგმნელი იმედოვნებას ამ შეუძარებელს ეზოვის გამოკვლევას და
ბ. ქრ. ჭერმიშევის მიერ გამოქმნაგებას და შესხმით ქებას თავისუ-
ფალ ღრცეს უძღვნას ერთი წერილი და გამოამზუროს იმითი ვი-
თომც სამუცნიერო გამოკვლევა. მაზანდარელი თათარი გრძელს თავს
შემცირათ, ეს არის სწორედ. მთარგმნელი საჭიროდ სთვლის აგ-
რეთვე თრითე სიტუაცია დასძინოს ამ უკანასკნელ ღრცეს გავრცე
ლებულ გულგრილთაზე ჩვენი ერის წარსულის შექმავლის შესა-
ხებ. „ხონელი ფილოსოფისების“, თუ ზოგიერთ აგრეთ წოდე-
ბებდ, დაბადების ქადაგების მეთხებით დაგმობილი შეიქნა ერის
ბრძნელი ანდაზა:

დედა ნახე, მამა ნახე,
შეილი ისე გამონახე.

საზოგადოებაში მთხვეინეს აზრი,—რომელსაც ისტორია თავისს
სივრცე-სიგანით სრულიად უარჟეოთს, —ვითომც რის წარმომდი-

ნარეთბას და წარსულ იმის ცხოვრებას არა ჭერნდეს იმდენი მნიშვნელობა ასალი წეს-წეთბილების დამუარების ღრთსათ. მტკნარი შეუგნებლობაა! წმინდა ხიშერაა! ფიზითლობრივი გვასწავლის, თუ მუშაობის გერ იგუებს, საჭმელს, ეს უპარასეკნელი მოუნებელები დარჩება სტომაქში და ვნების შეტეს ვერა რას შესძენს მას. მსოფლიო ისტორია საჭიროა ერთა შეუსაგსებელ ცელისათა შემთღებით და უტესარი საბუთებით გვიმტკაცებს, რომ, თუ ისინი არ შეესაბამებიან სალის სასათს, ისე არ შეიკარებიან მას, როგორც კედელს ცერცეი... ერთი უსუსური ამ ასალ მოძღვრებთა განი შარშან საჭაროდ დადაღებდა, „წარსული გველივით მეზიზდებათ“ (sic). ახლად გამომტკაცნი ქადაგი გვაგონებენ იმ გადაგვარებულ მანდილოსნებს, რომელიც შოეტის სიტევით ზიზღით წამოიყარტავდებენ ხოლმე:

„რის ქართველობა, რა ქართველობა!

გითომ რას გვარგებს უცხო ტომიბა?“

ევლურებმა, ოდონდაც, როდი იციან რაიმე თავისის წარსულის ცხოვრებისა. სამწუხაროდ, ამ ბოლო ღრცეს თავი იჩინა ჩეკეშაც ამ 24 საათის განმავლობაში კაციბრიობის სვებედის გარდამკეთებლობის მიმართულებამ. ასალი მდადადებლები ამ შემთხვევაში ადარ ერწმუნებიან თავიანთ შეთაურებს, არც ბებელს და არც კაუტსკის და როგორც ეტეობა, ისინი დამუარებულან შრედონის ცნობილ სოფიზმები: „ნაციონალური შოლიტიკა სალის წინააღმდეგიათ.“ ჩვენ ღრმად დაწმუნებული ვართ, რომ უფრო დადი უკრალდების დირსია ერთის ზნე-ჩვეულების და წარსული იმის ცხოვრების შესწავლა, რომელიც გაუადილებს საჭირო ცელილებას შემთღებას შრეგრესის გზაზე, როთაც ისინი უფრო ფეხებს მოიგიდებენ, როგორც ერთის ნიადაგზე აღმოცენებულია. კლასიკები ირწმუნებოდნენ, რომ ისტორია ცხოვრების მასწავლებელი არის (magister vitae): თუმცა გადაჭარბებით ნათქვამია, მაგრამ იმაში სინამდვილეც იძოვება. sapienti sat!

მთარგმნელი სიმ. ღოღობერიმე.

მეორე ნაწილი,

რომელიც შეიცავს მოთხოვას არეულობაზე სპასეტისა და საქართველოში ნადირ-შაჰის სიკვდილიდან დაწყებული დღე-განდღამდე*).

თავი პირველი.

აღილ-შაჰის ასვლა ტახტზე 1747 წ. სამ-მირზის აჯანყება.
ხაზარელ თათრების დამარცხება.

ნადირ-შაჰის ცხოვრება იმდენად ცნობილია, რომ იმის ახალი ისტორიის დაწერას აღარ შევუდგები; მე განვიზრახე დაწვრილებით მოთხოვა სპარსეთისა და საქართველოში ამ-ბებისა, რომელიც ნადირ-შაჰის სიკვდილის შემდეგ 1753 წ. ნახევრამდი მოხდა.

თავრიზელ ხანმა მუჰამედმა და იმის შვილიშვილმა, ალი-ყული ხანმა შეიითქვეს, მოპკლეს უზურპატორი**) და გაან-თვისუფლეს აღმოსავლეთი იმ მტარვალობისაგან, რომლითაც ნადირ-შაჰ ამდენ წლის განმავლობაში მას ანადგურებდა; იმისი ჯარი შესდგებოდა სპარსთა და ავღანთაგან, რომელთა შორის მოხდა შეტაკება — სპარსებმა დაამარცხეს უკანასკნელნი. სპარსეთის ჯარის უმთავრესი სარდლები შეუერთდენ მუჰამედ-ხანს, წაიღეს ნიშნად გამარჯვებისა ნადირის თავი მისართმევად ალი-ყული-ხანისთვის, რომელიც ხორასანს იმყოფებოდა და წინაუძღვოდა სამოცი ათასს ჯარის-კაცს. გზაში თავდაესხნენ უკან დაბრუნებულნი, რიცხვმრავალნი

*) ე. ი. 1753 წ., როცა ავტორს თავისი თხზულება პარიზს გა-მოუცია.

**) ავტორი ნადირ-შაჰს უზურპატორად, ტახტის მიტაცებულად იხსენიებს.

ავღანთ მოლაშქრენი და წართვეს მათ ნადირ-შაპის თავი, რომელიც თან მიჰქონდათ.

მუჭამედ-ხანი, მტარვალის თავის მოტაცების შემდეგ, იძულებული შეიქნა იმის გვამი აქლემზე აეკიდნა და განეგრძო გზა მეშედისაკენ. ალი-ყული-ხანი იმის მისვლის უმაღლ წასდგა თავის ბიძის ცხედართან, რომლის მოკვლის უმთავრესი განმზრახველი თვით იგი იყო; ჩვეულებისამებრ გამოიტირა, გაასვენა, შემდეგ დაიდგა თავზე გვირგვინი და სპარსეთის დიდებულების და სარდლების მიერ აღიარებულ იქმნა მეფედ აღილ-შაპის სახელით, რაც ნიშნავს სამართლიან მეფეს. ის იყო იბრაჰიმ მირზას შვილი—შაპ-ნადირის ძმისა.

იმის მეფობის დასაწყისი დიდ იმედებს იძლეოდა. მან განათავისუფლა ხალხი ყველა ხარკისაგან სამი წლის ვადით; მიუბოდა სპარსეთის წარჩინებულთ უხვი საჩქრები და თანახმად სპარსეთის სამეფო კარის ჩვეულებისა მღიდარი ტანი-სამოსით გამოაწყო ისინი; დაამტკიცა მუჭამედი თავრიზის მმართველად, რომელსაც მიუმარა ხოის ქალაქი და იმის შემოსავალიც მას მიუბოდა; შემდეგ გარდაასვენებინა ნადირის გვამი მეშედში, სადაც მას თავისი სამარხი ჰქონდა ოჩეული. სპარსეთში აქამდე ახირებული გარდმოცემა დაცული: ხალხი დარწმუნებულია, რომ მისმა სამარხმა არ მიიღო იმისი გვამი; ვითომც ყოველი ლონისძიება იხმარეს იმის იქ დასამარხავად, მაგრამ ამაოდ,—მიწამ არ მიიკარა იგი—და ვითომც იმისი კუბო დღესაც რკინის ჯაჭვებით იყოს ჩამოკიდებული იმის აკლდამაზე. ეს ამბავი მოთხრობილია ერთ წიგნში, რომელიც მე გადმომცა უმთავრესმა სარდალმა, ახმეტ-ფაშამ, რომელიც თითონ დასცინოდა ამ ახირებულ ცრუ-მორწმუნეობას.

აღილ-შაპ მივიდა მეშედში, საიდამაც გაგზავნა თავისს მოადგილედ ძმა თვისი, იბრაჰიმი. გმირი ასლან-ხანი, მეჭმეტ აღი-ხანი, სალეჯ-ხანი და ავგანის ხანი ალლაიარი წავიდენ თავრიზს ადერბაჯანის დასაპყრობლად. ხოლო აღილ-შაპი ადნახლებით ქოჯაია მეჭმეტ ციცისა, მეშედის ხანისა, გაე-

შურნენ კელატი. კელატი არის კოშკი, კლდეში აგებული და ღიბულული ტევრით. შაპ-ნადირს ძლიერ მოსწონდა ეს ადგილი და აირჩია იგი თავისს განძეულობის დასაცავად; მან გააფართოვა კოშკი, მოუმატა ძეველ სიმაგრეებს ახლები, თუმცა ეს ადგილი ისედაც ძალიან გამაგრებული იყო საკუთარის მდებარეობით. შიგ გამოათხრევინა ოთხ სართულიანი სარდაფი, პირველი სართული გამოავსო ნემსებით, რომლის საიდუმლოებას აქამდე ვერ მიმხვდარან. ამბობენ, ვითომც ის ცრუ მორწმუნებას გაეტაცნოს და მიმხრობოდეს რომელიმე მოვფთა თვალთ-მაქცობას, რომლის მოძღვრება დიდად გავრცელებულია აღმოსავლეთლებთა შორის და იქაც დიდ ხმარებაშია, როგორც ყველგან. ხოლო დანარჩენი სამი სართული მან გიმოტენა ოქრო-ვერცხლითა და ძვირფას თვლებით; სწორედ აქ შეიკრიბა როგორც აუარებელი სიმღიდრე მოგოლისა, 1) რომელიც შაპ-ნადირმა გამოიტანა ინდოეთიდან, აგრეთვე სპარსეთისა, რომელიც მან გაანადგურა, როცა აღილ-შაპ მივიღა იქ, უბრძანა კარები გაელოთ; მან იქვე მოაკვლევინა შაპ-ნადირის თორმეტი შვილი, რომელნიც დამწყვდეულნიიყვნენ და დაეპატრონა განძეულობას. უმჯობესი იმის ნაწილი მეშედმი შესანახავად გაატანა მექმეტ ზიზი-ხანს, რომელსაც ჩააბარა აგრეთვე ხალ-გაზდა ბატონის შვილი შაპ-როკი, ნეზრალლახ მირზისა — შაპ-ნადირის შვილისა, — და შაპ-თამაზის, — უკანასკნელი კანონიერი სპარსეთის მეფის-ჰალისაგან ნაშობი. მან ჩააბარა კელატის შართვა სულიმ-ხანს და წავიდა მაზანდარანში.

1) აღილ-შაპს პირველად მეტოქედ გაუხდა და აუჯანცდა სამ-მირზა, სამ-სავარის გვარისა, რომელიც რუსტემის შთამომავალი იყო. 2)

1) დიდი მოგოლი, თემურ-ლენგის შთამომავალი ინდოეთის და იყო. ნადირ-შაპიმ დაამხო ეს იმპერია. ამ გალაშვრებაზე მას თან ახლდა ახალგაზდა „პატარა ჭანიც“, რომელმაც ვაუკაცობით და მახვილ გონიერებით თავი მოაწონა ნადირ-შაპს და მან დანიშნა ირაკლი კახის ბატონად, ხოლო მამა მისი თემურაზი — ქართლის მეფედ.

2) რუსტემი სპარსელების ლეგენდური გმირი იყო. იმისი პოება ქართულშიაც არის ნათარჯმის რასტომიანად.

ის გამოვიდა ზეზდის მიღამოებიდგან დიდ-ძალ ჯარით და განაცხადა თავისი უფლება სპარსეთის ტახტზე, რომელიც „მე მეკუთვნისო და ჩემ წინაპარებს ეცირათო.“ სამ-მირზამ დაიპყრა ადერბაჯანი, მაგრამ ემირ არსლან-ხანი წინალუდგა მას. დაამარცხა, შეიპყრა და მისგვარა ადილ-შაჰს, რომელმაც მოწყალებით მიიღო იგი, დაუბრუნა თავისი მაზრის მართვა — გამგეობა და გამოსაცხადებლად მოწყალებისა შინ გაგზავნა. ადილ-შაჰი, რაკი ეს მოქიშვე მოიშორა, გაიღო შეკრა თათარ — ხაზარებზე, რომელიც მას აუჯანყდნენ ფეტ — ხანის წინამდლოლობით. ადილ-შაჰმა სრულიად შემუშარა ისინი ერთ ბრძოლაში, საღაც შვიდი ხანი მოკლულ იქმნენ. ამ სახით დაიმორჩილა ეს ერი და დაადგა მას ხარკი. შემდეგ ის დაბანაკდა კასპიის ზღვის დასავლეთის ნაპირებზედ, მდინარე კურკიანის მიმოყოლებაზედ.*). მან მიანდო ამა მხარის მართვა ემირ ალი-ხანს, თავისს მდარეთ უხუცესს და დაახლოვებულ პირს და ამასთანავე მეპეშეტ შაჰის, მოგოლის მეფის ასული მას მოათხოვა. ეს ის ქალი იყო, რომელიც შაჰ-ნადირმა თან წამოიყვანა ინდოეთის დაპყრობის შემდეგ და რომელიც თან უწვდა მას კარავში იმ ღამეს, როცა ის მოპკლეს. ადილ-შაჰმა ცოტა ხნის შემდეგ გაგზავნა ემირ ალი-ხანი და თან გაატანა ისპაანს ათი ათასი მხედარი მისა შველებლად თავის ძმისა, იბრაჰიმისა.

თავი მეორე

ამბობება ემირ არსალნ-ხანისა და იბრაჰიმისა. ადილ-შაჰის სიკვ-დილი 1748 წ. ბოლოს.

ემირ-არსლან-ხანი რიცხვ-მრავალს და მშვენივრად გაწყობილს ჯარს წინაუბდოდა, რომელიც მან შეაგროვა მეამბოხე სამ — მირზის საბრძოლველად. მას კარგად ესმოდა,

*) აქ მტკვარი უნდა იგულისხმებოდეს.

თუ რა ძალა შესწევდა მას და განიზრახა მით ესარგებლებინა. მისმა თავმოყვარეობამ ამხილა მას ამბოხების ატეხა და პირველი წარმატებამ იგი გაამხნევა. ის კარგად იცნობდა თავისს ჯარს, ხოლო გამოცდილებით იგი სპარსეთის უმჯობეს სარდლიად ითვლებოდა, და როცა დარწმუნდა, რომ თავრიზის მკვიდრნი,—რომელთაც ის მართვიდა, მას მიემხრობიან, განიზრახა ტახტზედ ასვლა. ჯერ მრავალი წინააღმდეგობა აღმოუჩინა შაჰს, დაარბია ცეზდი და მოსთხოვა იქ მოვაჭრე ინგლისელებს დიდალი ფული, მაგრამ ის განდევნილ იქმნა იქიდან მეფის ჯარების მიერ. რაკი დარწმუნდა, რომ მარტო საკუთარის ძალით ვერ მიაღწევდა თავისს მიზანს, არაფერი დაიშურნა იბრაჰიმის, ადილ-შაჰის ძმის გადასაბირებლად.— დიდი ხანია, რაც მან თავისი მლიქვნელობით მოახერხა და შუღლი ჩამოაგდო ძმათა შორის. ის ნიადაგ ხელს უწყობდა განხეთქილებას. ბოლოს მან დაარწმუნა იბრაჰიმი ნილაბი იხადნა. იბრაჰიმმა თავის აჯანყების მიზეზად მოიდვა ბატონის შეილის, მოგოლის ასულის მითხოვება ემირალი-ხანზე. მან განაცხადა, რომ ნადირ-შაჰიმ მას აღუთქვა იმისი თავი, ხოლო ძმამ მას არჩია თავისი დაახლოვებული პირი. ნამდვილი მისი წინააღმდეგობა წარმოსდგა იმისგან, რომ ადილ-შაჰი დაეპატრონა ნადირის ყველა სიმდიდრეს და არავითარი წილი იმაში არ დაუდვა. იბრაჰიმმა იწყო მით, რომ თავიდან მოიცილა ემირი ალი-ხანი, ვითომც მაგიერი გარდუხადა იმ შეურაცხყოფისთვის, რომელიც მიაყენა მას,— უფრო კი სურდა მოეცილებინა ის, ვითარცა საეჭვო პირი, რომელიც ადილ-შაჰიმ, ყოვლის ეჭვს გარეშე, გაგზავნა ისპაჰანს ათი-ათასი ჯარით შესაჩერებლად და დასაზვრავათ იმის განზრახვისა. იბრაჰიმმა მოაკვლევინა ალი-ხანი და იმისი თავი მეფეს გაუგზავნა. ეს იყო ამბოხების ნიშანი. ადილ-შაჰიმ ამ ამბისა გამო გარდააყენა შპა ისპაჰანის გამგეობისაგან და უბრანა მას ექსორიათ გასვლა. ხოლო იბრაჰიმ არ დაემორჩილა იმის ბრძანებას და მისწერა ემირ ასლან-ხანს და რამოდენიმე აჯანყებული მოვიდნენ დერშუზის აღგილზე, ჰაშიდა-

ნის ახლო იმასთან შესაერთებლად და განსამტკიცებლად იმათი დახმარებისა, აღუთქვა, რომ თუ დამარცხა თავისი ძმა და ტახტზე ასვლას მიაღწია, იყი მისცემს მათ სამართველოდ სხვა და სხვა მხარეებს და გაუნაშილებს მათ აუარებელ სიმ-დიდრეს შაპ-ნადირისას.

სამოცი ათასი აჯანყებულნი შეიკრიბნენ დანიშნულ ადგილზე. ეს ამბავი რომ მიუვიდა ადილ-შაპს კაბჯეაკის ბანაკში, საშინლად განრისხდა და მაშინვე განიზრისა გარ-დაყენება იბრაჰიმისა. ის ერთობ დარწმუნებული იყო თავის ჯარის ძლიერებაზე და თავისს სიმდიდრეზედ. ქო-დჯეია მუსტაფა-ხანი, მისი პირველი ვეზირი, იყო კაცი ბრძენი და გამოცდილი და არ ეთანხმებოდა მეფეს ბრ-ძოლაში შებმას. მან მოახსენა მეფეს, რომ „დიდი უბედურება მოელის სახელმწიფოს შებრძოლვისა გამო ასრე მძლავრთ მეფისა და ბატონი შვილისა; ის ურჩევდა იბრაჰიმზე გალა-შკრების მაგიერ დაცუადა: თვითონ იმის თავდასხმას და შინ დახვედრის ამჯობინებდა. მან მოახსენა, რომ იბრაჰიმი ვერ შე-სძლებს დიდხანს ჯარის შენახვის, მას არც ფული და არც სურსათი მოეპოვება. დაკმაყოფილდით მოგერებით; თქვენი მტრის ძალ-ღონე თავისით დასუსტდება, სიღარიბე და სიმშილი მალე დაბადებს ჯარშიარეულობას; არა ლირს თქვენი ბედი ჩაგ-დოთ საფრთხეში და მიანდოთ ბრძოლას, რომელიც, შეიძ-ლება, თქვენ სასარგებლოდ არ გათავდეს. თუ იბრაჰიმმა რაიმე წარმატება მოიპოვა, თქვენ ყოველთვის შეგიძლიათ იმის წინაღმდევება და მისი განზრახვის ამოფხვრა; თქვენ დაულეველი სიმდიდრე გაქვთ და ჯარი გყავთ საქმაოდ მძლა-ვრი იმის დასამორჩილებლად, თუ ვინიცობაა, მან შესძლო დიდხანს ბრძოლის გაგრძელება, რომელსაც ფულის და სურ-სათის შემოკლების შემდეგ ის ვეღარ მოახერხებს.“ კეთილ გონიერი მინისტრი კარგდ უთათბირებდა მას. დიახაც, იბ-რაჰიმი დიდხანს ვერ შესძლებდა გაძლებას. მისი ჯარი შეგ-დგარი იყო სხვა და სხვა გროვებიდგან, რომელთ წინამძლოლე-ბთ, არა ნაკლებ მისა თავმოყვარეობით ოლსავსეთ, შეიძლება

იმნაირივე განზრახვა უღვიოდათ გულში, როგორც მას. ემირ-ასლან-ხანი ყველაზედ შესამჩნევი იმის მეკავშირეებთაგან, შეუერთდა მას მხოლოდ თვის ძალის გასაძლიერებლად და აღრე იქნებოდა თუ გვიან მოუხერხებდა გამოეყენებინა ის თვისის ინტერესების დასაცავად. აღილ-შაპიმ მიაწერა მინისტრის რყევა სიმხთალეს, რისთვისაც იგი შეარცხვინა, და დაიმედებული თვისის სპის ვაჟკაცობაზედ და თავისს სიმდიდრეზე, გაილაშქრა იბრაჰიმზე.

1748 წ. შუაგული იყო, როცა აღილ-შაპის დედამ ჩამოაფდო ზავი თავისს ორ ძეთა შორის, რომლითაც აღილ-შაპ უნდა დარჩენილიყო მშვიდობიან გვირგვინის მპყრობელად, ხოლო იბრაჰიმისთვის უნდა დაეთმო ზოგიერთი შეღავათი. ამ ზავმა მთელ სპარსეთში წარმოუთქმელი სიხარული გამოიწვია; აღებ-მიცემობა თავისუფლად სწარმოებდა. რაოდენიმე ქარავანი კიდეც გიოგზავნა და გზაში არავითარი დაბრკოლება არ შეხვედრიათ. მიუხედავად ამისა როგორც შაპი, ისე ბატონი-შვილი შეიარაღებულნი იყვნენ და ზავმა დიღხანს ვერ გასტანა. ემირი ასლან-ხანი ერთობ შორს გამჭვრეტი პოლიტიკოსი იყო, ის შიხვდა, რომ ორ ძმათა შეერთება აუცილებლად უქადის მას დაღუპვას და შეუდგა ისევ იმ ხერხს, - რომელსაც ის დიდი ხანია ხმარობდა, — და გააღვიძა ძმების გულში ერთმანეთის სიმძულვარე და ჩამოაფდო მათ შორის შულლი. მან ჩააგონა იბრაჰიმს, რომ ამ შერიგებით ის დიდ განსაცდელში ვარდება შემდეგ იმისა, როცა ასე აშეარად შაპს წინაღუდგა; რომ ეს უკანასკნელი მუდამ ეჭვის თვალით დაუწყებს მას ყურებას; ის უჩიჩინებდა იბრაჰიმს, რომ მისი ძმა ჯერ ხანობით არ შეუდგება • სამაგიეროს გარდახდას, მაგრამ შეურჩევს მას ქამს, როცა უფრო ხელ საყრელი იქნება მისთვის და მას დაღუპავს.

ერთი სიტყვით, აღრე თუ გვიან ის უნდა მოელოდეს ასაღუფლოთებელ ამბებს. იბრაჰიმს დიდი ხნის ჩიჩინი არ დასჭირვებია, მით უმეტეს, რომ იმის გრძნობასაც ეთანხმებოდა; ასლან-ხანის შეერ მიყვანილი დამტკიცებანი გულის სილრმეში ჩაწვდნენ

იბრაჰიმს და თან მისი თავმოყვარება აქტებდა. მან დაარღვია ზავი და ძმაზე ამხედრდა, თავის მხრით ადილ-შავ მოქმედა იმის შესაბრძოლებლათ. ორივე ჯარი შეხვდნენ ჰამადანს და კაზბინს შუა ერთ ადგილზე, სენკბარად წოდებულზე, სულ-თანის მინდორზე. მეფის ჯარის უდიდესმა ნაწილმა უდალატა მას და გადვიდა იბრაჰიმის მხარეზე, რომელსაც შესამჩნევი გა-მარჯვება დარჩა, თუმცა ადიდ-შავიმ ძლიერ მედვარი წინა-აღმდეგობა აღმოაჩინა და ამ შემთხვევაში საოცარი ვაჟკაცობის სახელი დაიმსახურა, მაგრამ ყოველი მისი ცდა ამაო შეიტანა; მან ვერ დაიშვა თავი მტრისაგან, დატყვევებული მიგვარეს იბრაჰიმს, რომელმაც სრულებით არ შეიწყნარა უბედურებაში ჩავარდნილი მეფე, განსაციფრებელი მამაცი მებრძოლე, დამარცხებული მტერი და საკუთარი ძმა, მის წინაშე წარმდგარი და მოლოდინე თავის სვე-ბედის გადაწყვეტისა. იბრაჰიმის თავმოყვარეობამ დაანახა მასში მხოლოდ მოსაფრთხილებული მოქიშვე, რომელიც უნდა დაიღუპოს იმისათვის, რომ თვითონ იბრაჰიმი მშვიდობით გამეფებულიყო. ამ თავმოყვარეობამ გაანელა იმის გულში, რომელიც ისედაც მოკლებული იყო დიდ-სულოვანებას, ყოველი ბუნებრივი გრძნობა; ადილ-შავ დააბრმა-ვეს და გაგზავნეს ერთ კოშკში ჰამაღისა. ახლოს, სადაც, როგორც ამბობენ, მან დააღამა თავისი დღენი. ადილ-შავიმ იცოდა, რა ცვალებადია ბრძოლის სვე-ბედი, და სანამ გაილაშქრებდა თავის ძმაზედ ყოველ შემთხვევისთვის ისურვა თავის დაცვი-სთვის შეერთო ქალი იმამული-ხანისა, საქართველოს მეფისა, რომელიც ეხლანდელ თეიმურაზის შვილის შვილი იყო. *) მან თავ შესაფარად მოიწადა იმისი სასახლე და შეუდგა ჩაებარებინა თეიმურაზისათვის ყველა ის საუნჯე, რაც კი იპოვებოდა შავ-ნადირის მექრ მოგროვილ განძში, ორი შეიარაღებული ქარავანით გაუგზავნა მას ეს ავეჯი და ნივთები. პირველი იმათვანი იბრაჰიმის მომხრეებმა მოიტაცეს, ხოლო თეიმურაზი, იმის მიღებისათვის ერთობ შორს დაწინაურებული, დატ-

*) თეიმურაზ, მამა ირაკლისა.

ყველაბული იქნა. მეორე ამაღლა უფრო ბეღნიერი იყო და მშვიდობით მიუვიდა ირაკლი მეფეს, რომელიც მართავდა ქართლს, სანამ მამა მისი იქიდან გასულიყო, და ამ ნივთებს შორის იპოვება გვირგვინი და სხვა სამეფო სამკაული, რომელთაც იხსენიებს ჩვენი მედროვე გაზეთი 1749 წ. სექტემბრის თვე. აქედან ცხადია, რომელ შემთხვევის გამო შეიძინა საქართველოს მეფემ ეს ძვირფასი გვირგვინი. აღილ-შავიმ ვერ ისარგებლა გონიერი სიფრთხილით და ველარ მოახერხა მისვლა თავ-შესაფარავში, რომელიც მან წინდახედულად დაიმზადა. მან დაამთავრა მეფობა, როცა ოცდა ათი წელი შეუსრულდა. დიდხანს აღარ უცხოვრია დაბრმავების და გვირგვინის დაკარგვის შემდეგ. იგი ახლაც ცოცხალია. მხიარული ჭკუის პატრონი იყო, მაგრამ ერთობ თავმოყვარე გული ჰქონდა, რომელიც, როგორც სიკეთეში, ისე ბოროტებაში, არც ერთს უკიდურესობას არ ერიდებოდა. ის უფრო მიმღები კაცი იყო, ვინემ კეთილი და შეწყნარებაც იცოდა, როცა მისი სახელის-თვის საჭირო იყო მაგალითი ეჩვენებინა; ამასთანავე სასტიკობასაც იჩენდა, როცა მისი თავმოყვარეობა მოსთხოვდა მას რაიმ მსხვერპლს. შეიძლება ითქვას, რომ ის ხმარობდა პოლიტიკაში სამეფო გულ-კეთილობას, ე. ი. მან ჩაიდინა მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში სიკვდილით დასჯა, რაცა მისი აზრით ხან საჭირო იყო. ტახტის დასაპყრობათ მან მოკვლევინა შაქ-ნაღირი და მთელი მისი ოჯახი. ის არწმუნებდა თავის ერს, როცა მას აპატივა სამის წლის გარდასახადი, რომ მხოლოდ თავის ქვეყნის ხსნა ჰსურდა და მოახერხა სამშობლოს განმათავისუფლებელი სახელის მოხვევა; მას უფრო შეეფერებოდა ავაზაკის კაცის მკვლელის სახელი.

აქ უნდა მოვიყვანო ერთი მცირე ნაამბობი შესახებ იმისა, თუ რანაირად დაიმსახურა ლიონელმა კაპუცინმა მისი ყურადღება, რის შემდეგ მან დაიახლოვა ის. ეს ბერი, რომელსაც მამა დამიანე ერქვა, განჯაში მისიონერად იყო და აქიმობდა; ერთხელ მიწვეული იყო მოსარჩენად რუსის ელჩისა, რომელიც მის ხელში გარდაიცვალა. აღილ-ხანი, მაშინ ალი-ყული-

ხანად წოდებული, აღტაცებული იყო იმის ნახვით: მისი მუნიციპალიტეტის ტანთსაცმელი, მისი მახვილ გონიერება და მოხერხებულობა მას ერთობ მოეწონა და გაართო იგი. ბატონის შვილი სიამოვნებით ესაუბრებოდა მას და ჩამოუგდო მუსაიფი გოჭის ხორცის ხმარებაზედ; კაპუცინი გამოექმაგა ამა ცხოველს, დაუმატა, რომ ხშირად გოჭზე უფრო უწმინდურ საქმელებს სჭამენო და გამოიწვია თვით შაპის ძის აქმი დასამოწმებლად იმისა, რომ მრავალ წამალში ურევია სხვა და სხვა პირუტყვების განავალი. მამა დამიანის ეს მცირე გამარჯვება ძლიერ მოეწონა ალი-ყული-ხანს და შემდეგ ისე დაიახლოვა, რომ გაანდო თავისი განზრახვა, მოსკოვში მინდა გარდავისევეწო. ეს იყო მაშინ, როცა მას ბრალს სდებდენ შაპ-ნადირის შვილის შეთქმულობაში მამის წინააღმდეგ მონაწილეობის მიღებაში და როცა მას ეშინოდა შაპ-ნადირის რისხვისა. ამ ბერს მოსწყინდა შაპის ძის ამაღლაში ყოფნა და სთხოვა ნება მიეცა მისთვის წასულიყო ბანაკიდან თავის მისიაში, ზოლო მიზეზად ის განაცხადა, რომ ჰსურს ღმერთს შეავედროს თავი, კოდვები შეინაოს და წმიდა საიდუმლოს მიღებისათვის აღსარების თქმა, რომლის მნიშვნელობა, დამყარებული ქრისტეს სარწმუნოების კანონებზე, მას აუხსნა. შაპის შვილმა ნება დართო თავისს სტუმრის თხოვნას,— რომლის ნუგეში და სარგებლობა მან კარგად შეიგნო,— ხოლო ნაცვლად იმისა, რომ თვითონ ბერი გაეშვა, მან გაგზავნა ისპაპანს ვინმე შიაუ, რომელსაც ფოსტით უნდა ამოეყვანა მამა კლემენტი. ეს უკანასკნელი ჩამოხსნებას მოელოდა და დიდად სასიხარულოდ დაურჩა, რომ მას ხედა მხოლოდ მამა დამიანისაგან აღსარების თქმა. ეს ბერი კარგად ცნობილია საფრანგეთში მის მიერ წარმოთქმულ აზრებით სპარსეთის თანამედროვე მდგომარეობაზე, რომლითაც ცდილობდა ესარგებლებინა. ჩვენი სარწმუნოების სიკეთისთვის.

თავი მასამი

ემირ არსლან-ხანის სიკვდილი; იბრაჰიმის გამეფება 1749 წ.
ის ირთავს თავისს ძმის ქვრივს; შაჰ-როკი ტახტს ეძებს;
იბრაჰიმის სიკვდილი; შაჰ-როკის დაბრუნება ხორასანს.

ახლა იბრაჰიმს თავისს ძმის შიში აღარა ჰქონდა, ამ
გამარჯვების შემდეგ კიდევ უფრო განამტკიცა თვისი ძლი-
ერება; მან განიზრახა ემირ არსლან-ხანის თავიდან მოცილება,
რომლის თავმოყვარება, ვაჟეაცობა და მოხერხებულება
კარგად იცოდა და ამიერიდან მას ისე უცქეროდა, როგორც
გასაფრთხილებელ მტერს. მან იწყო იმისი დაშორება მით,
რომ მიანდო მას გაღაშკრება მეზდიზე, ურუმის მმართველზე,
რომელიც კიდევ გარდაყენებულის მეფის მხარეს იჭერდა:
თვითონ იბრაჰიმი აღბულახს წავიდა, სადაც მისი ბრძანებით
გადაეტანათ აღილ შაჰის ყოველი განძი, რომელიც მას დარჩა
მაზანდარაში. ხოლო ემირ არსლან-ხანს არავითარი წილი მასში
არ დაუდვა. არსლან-ხანს, რასაკვირველია, ეს ეწყინა და შეუ-
რაცხებად მიიღო იბრაჰიმის მიერსიტყვის გატეხა და ამნაირი
დაფასება თავის სამსახურისა და მორჩილებისა. მინდობილების
ასრულების მაგიერ თავისი თავი აღერ-ბაჯანის მეფედ გამო-
აცხადა. ამბობენ, ვითომც ფულიც მოექრა. იბრაჰიმი საჩქა-
როდ დაეცა მას, გააქცია მისი ჯარი და აიძულა იგითავრის
უკაქცეულ იყო, სადაც მას თავი მოჰკვეთეს და ხალხის
საჩვენებლად გამოჰკიდეს. ასე მოელო ბოლო ყველაზე უფრო
მამაცს, უგამოცდილესს, უთავმოყვარეს და უსასტიკეს სარდალს,
რომლის მზგავსი დიდი ხანია სპარსეთში არ დაბადებულა. ომი-
ანობის და მტარვალობის ხელოვნება მან შეისწავლა შაჰ-ნადი-
რისაგან და დაიმსახურა პატივი ყველა იმ ჯარებისაც, რომელთაც
წინ მიუძღვდა — და ზიზლი ყველა იმ ერთა, რომელთაც მმართვი-
და. ამ მეორე წარმატების შემდეგ იბრაჰიმი სპარსეთის ბატონად
შეიქნა; ამიერიდან მეფედ აღიარა თავისი თავი. უპირველეს
ყოვლისა განიზრახა თავისი ხალხი დაეკმაყოფილებინა და

ზრუნვიდა სამეფოში ხელისხლად დაემყარებინა წეს-რიგი, რომელიც რევოლუციამ სრულიად შეარყია და გარდაატრიალა. მან განათავისუფლა ქარავნები, რომელიც ცრა თვის განმავლობაში თავრიზში დაკერილი იყვნენ; ილებ-მიცემობა ჩადგა თავის კალაპოტში; საზოგადოდ ახალ მეფემ თავის მართვა-გამგეობით გვარიანი სახელი დაიმსახურა და ბევრის გულში დაბადა ფრიად ღიღი იმედები, რომელიც მალე გაჰქრენ. ტახტზედ ასვლის უმაღლ იბრაჟიმშა შეირთო საქართველოს ბატონის ასული, ქვრივი ადილ-შავის, მისი ძმისა. ის ვითომც კაცურად ეპყრობოდა თემურაზს, რომელიც იმასთან ცხოვრობდა, ვითარცა საპატივო ტყვე, გარნა საიდუმლოდ მან განიზრახა თავიდგან მოეშორებინა ერთბაშათ ეს მეფეც და მისი შვილი ირაკლიც. მან მისწერა ამ უკანასკნელს, რომ პატივებს მას იმის ბიძა-შვილთან დაქორწინებაზე, რომელიც ჰსურს ბრწყინვალედ გარდაიხდოს. თემურაზიც იძულებული იყო ერჩია მისთვის შავის სურვილის ასრულება, ხოლო მან მოიპოვა საშუალება, რათა ეცნობებინა თავისს შვილისთვის, რომ იბრაჟიმი დასაჭრად ხაუანგს უკებს მას. ირაკლიმ ბოლიში მოხადა იქ გამგზავრებაზედ და მიზეზად ის დასდო, რომ ამისთანა საშიშ დროს კეთილ-გონიერება მოითხოვს მისგან უთავოდ საქართველო არ დასტოვოს. მან ისიც დასძინა, რომ თუ შეიძლებოდეს იმისი მამაც დააბრუნოს იმ შემთხვევაში, თუკი მოხერხდება მშეიდობით მოგზაურობა. იბრაჟიმი მიხვდა, როგორ მას ოინი გაუკეს და ძლიერ იწყინა. მან განიზრახა აშკარად დაეღუპა საქართველოს მეფე; მაგრამ შემდეგში არჩია გულში ჩაემარხა თავისი სურვილი და აღარ გადაემტერებია ქართველები იმ დროს, როცა ახალი მტრის შექნა მისთვის საშიში იყო. მან ნება მისცა თემურაზს წასულიყო და შეერთებოდა თავის შვილს, ირაკლის.

იბრაჟიმის თავზე დიდი უბედურება ტრიალებდა, ხოლო მან ერთობ გვიან შეიტყო. წინედ მოხსენებული ახალგაზრდა შავროკს ყველა ტახტის გაძიებლებზე უფრო სრული უფლება ჰქონდა. ეს წარმოსდგებოდა სეფის სისხლისგან დედით,

რომელიც შაპთამაზის, უკანასკნელი კანონიერი სპარსეთის მეფის, ასული იყო და შაპ-ნადირის შვილის-შვილი იყო თავის მამით, ნეზრალ-მირზით. აქამდი ცხოვრობდა მეშედში რიზა-ხანის მხედველობის ქვეშ, რომელსაც აღილ-შაპიშ ჩაბარა. სპარსეთის დიდებულებთ შეშურდათ იბრაჰიმის გაძლიერება და მოიწადინეს აღუდებინონ მას ახალი მტერი, რომელიც მით უფრო საშიში იყო, რომ ახალგაზდა იყო და ტახტზედ ასვლისთვის უფრო დიდი უფლებით იყო აღჭურვილი, ვინემ იბრაჰიმი. ეს გარემოება მიიზიდავდა ხალხს იმის მხრისაკენ. შაპ-როკი აღიარებულ იქმნა სპარსეთის მეფედ, ხოლო ჯარების უფროსებმა, რომელნიც ჩრდილოეთ მხარეში მათ წინა უძღვდენ, წინადადება მისცეს მას დახმარებისა და ტახტის მიტაცებულის გადაგდებისა. გაბრაზებულმა ახალი მეტოქის აჯანყებით იბრაჰიმმა შეუთვალია მას, რომ თუ მოსურვებს შაპის ჯარში შესვლას, ის მიანიჭებს ყოველ პატივს, რომელიც მას შეუერის. შაპ-როკმა უპასუხა, რომ ის მალე სადარბაზოდ მივა მასთან, ვითარცა ბატონი და შეაგნებინებს მას, რომ უფლება სპარსეთის გვირგვინზე მას, შაპ-როკს ეკუთვნის; ის უთვლიდა აგრეთვე იბრაჰიმს, რომ თავის ნებით დაეთმო და თუ წინააღმდეგობას ჩაიდენს, არავითარ შეწყნარებას მისგან აღარ უნდა მოელოდეს. ამ პასუხმა ვერ შეარყია იბრაჰიმის სიმწნევე, ის უფრო განრისხდა. ბედისგან გალადებული მას თავისი ფავი უძლეველად მიაჩნდა და სიჭაბუკის ცაცხლით აღზნებული ის სიფრთხილეზედ აღარ ფიქრობდა, ის გატაცებული იყო ცრუ წინაგრძნობით და თითქმის დარწმუნებული იყო, რომ ხელახლად გაიმარჯვებდა, და გაუძლევა თავის ჯარს საომრად. თავისს მხრით შაპ-როკი წამოუძლევა ძლიერ სპას, რომელიც შეაგროვა ხორესანში და მრავალ სხვა ხანების მაშველ ჯარების დახმარებით. ორივე ჯარი მალე შეხვდნენ ერთმანეთს; ხოლო აქ მოხდა ისეთივე ამბავი, როგორც აღილ-შაპის და იბრაჰიმის შებრძოლების დროს. უმჯობესი ნაწილი ჯარებისა უკმაყოფილო იყო რა თავისს ქვეყნის მდგომარეობით და სურსათის დაკლებით, უღალატა



იბრაჰიმს და მტრისაკენ გადვიდა. ბრძოლა იბრაჰიმის დამარცხებით დასრულდა. ზოგი ამბობს, რომ ის შეტაკების დროს მოკვდაო, სხვანი კი ირწმუნებიან, რომ ის ტყვედ წაიყვანეს და მისმა მტერმა მოკვლევინა ის. ამ მეფქს მოკლე ხნის განმავლობაში ბედმა გაუღიმა, ხოლო შემდეგში უმუხოლა მას და გარმოაგდო უმშერვალეს წერტილისაგან, რომელზედაც აიყვანა. მან ორი ძლიერი მტერი შემუსრა და დასძლია ყველა დაბრკოლება, რომელიც მას ტაზტედ ასვლაზედ ხელს უშლიდა და უცბათ შეიქმნა მსხვერპლად თავმოყვარეობისა და ერთი დღის განმავლობაში დაჰკარგა თავის ცხოვრების და გამარჯვების ნაყოფი.

იბრაჰიმის დამარცხების შემდეგ, რომელიც შუა 1749 წ. მოხდა, შავ-როკი დაეპატრონა სამეფო გვირჩვინს და სპარსეთის უველა დიდებულთა მიერ აღიარებული იქმნა მეფედ. თეიმურაზი ბატონობრდა საქართველოში და შირვანში, ხოლო ქოჯეია მესტაფა-ხანს ეჭირა ისპაპანი შავროკის მორჩილებაში, რომელსაც ის თავის კანონიერ მბრძანებლად აღიარებდა. ამ შავის მეფობის დასაწყისმა დიდი იმედები დაბადა; მან გამოსცალა თავრიზის, ერევნის და ნახევანის შეართველები და მათ შაგიერ თავისი ნებით გაამწესა ახალი გამგენი მშვიდობიანობის და კეთილ წეს-წყობილების დასამყარებლად; მთელი სომხობა განათავისუფლა ხარკისაგან შვიდი წლით; მოიწადინა ალებ-მიცემობისთვის მფარველობის აღმოჩენა; ქარავნებს თავისუფლად გარდაქონდათ საქონელი და შესამჩნევად გავრცელდა მოგოლის ფული ლევანტის*) ქვეყნებში, რომელთაც დიდი ვაჭრობა აქვთ გამართული სპარსეთთან. ამასთან ერთ გახარებულია მით, რომ მოიპოვა დამშვიდებული ცხოვრება, რადგან იმის აზრით გვირგვინით შემოსილი იყო იმისთანა პირი, რომელსაც სხვებზე უფრო კანონიერი უფლება ჰქონდა, მაგრამ ამბოხების დაწვეულმა დასმა, რომელმაც დიდიხანი ფესვი მოიკიდა ამ სახელმწიფოში, ხელ-

*) მცირე აზია.

ახლად წამოაყენა ახალ-ახლი ტახტის მაძიებელნი. შუღლს დაემატა სარწმუნოებაში ჩამოვარდნილი განხეთქილება და ამით ახალი არეულობა დაიწყო ამ მხარეში, რომელმაც ძლიერ იგემა მშვიდობიანობა, ამდენი წლის განმავლობაში მათთვის დაკარგული.

თუმცა უველა სპარსელები მაშმალიანები არიან, მაგრამ დაყოფილნი არიან ორ სექტად, კარგა ცნობილ ალიებათ და ოსმანებათ ანუ სუნნებათ; ალის მოძღვრება უფრო გავრცელებულია სპარსეთში და საძაგელ ზიზლით შეჰქონიებს სუნნებს. შაჰ-როკი აღზღიული იყო თავისს დედისაგან ალის მოძღვრებაში; ხოლო მას დასწამეს სუნიტობა იმიტომ, რომ მამა მისი ნეზრალ-მირზა და ნამეტურ იმისი პაპა შაჰ-ნადირი ორნივე სენიტერი იყვნენ. იქნება შაჰ-როკი ერთობ მიეკედლა ივლანელებს, რომელნიც უველა სუნიტები იყვნენ, დაუყვავა მათ და ჰსურდა მათი გადაბირება წინააღმდეგ მრავალთა უკამაყოფილო პირთა, რომელნიც აუტყდნენ მას. მე-შედ შეიხმა, მიუტეველმა, რომელიც იმამიიდის სამარხის მცველი იყო, კაცმა ძლიერ გონიერმა და თავმოყვარეობით და ბოროტებით აღვსილმა, განიზრახა სამეფო გვირგვინით შეემკო თავის შვილის თავი. ხოლო ამ მიზნის მისაღწევად მან არჩია ერის აღელვება სარწმუნოების საშუალებით; ის ფიქრობდა შაჰ-როკი ერისთვის შეეზიზლებინა, ვითარცა შეურიგებელი მტერი იმათი სარწმუნოებისა. იწყო მით, რომ მეფის და ერის შორის ჩამოაგო შუღლი; ერმა ჯერ შეიძულა იგი, ხოლო ბოლოს ხორასანში კედეც აჯანყებას მიჰყო ხელი. მან ისარგებლა ამ ამბოხებით თავის შვილის სასარგებლოდ, რომელიც მეშედის ხანად აღიარებულ იქმნა. ეს იყო მისი პირველი ნაბიჯი ტახტზე ასვლისათვის, რომელსაც მან ვეღარ მიაღწია. ეს ამბავი რომ მიუვიდა შაჰ-როკს, სწრაფად გაემართა ხორასნის მხარის დასამორჩილებლად.

ბ. ჰანვერი თავისს საუკეთევო ისტორიაში სპარსეთის რევოლიუციას, რომელიც მან ამ ეამად დასტამბა, მოგვითხრობს ვიღაც სალმანზე, რომელიც შაჰ-თამასპის ბიძა იყოო, ვითომც



იმასაც ელიარებინა თავი შეფედ და შაპ-როკს მისვლის უშალ მოკვლევინებინა ის. რაღანაც სრულიად არა ვიცი რა ამ ამბისა, მე დავემყარები გასზე, რასაც ამის შესახებ გადმოგვცემს ინგლისელი ავქსონი*). შაპ-როკმა დაამარცხა თავისი მეტოქე, შეიხის შვილი. გამარჯვებული შაპ-როკი შევიდა მე-შედში, მაგრამ სიმშილმა, რომელიც გავრცელდა ამ მხარე-ში, აიძულა ის იქ დარჩენილიყო და ხელი შეეშალა მას ახა-ლი რამ განეზრახა. მისი დაბრუნების შემდეგ ხორასანს, სპარსეთის შუა-გული უპატრონოდ დარჩა და ამის გამო ისევ ძველმა არეულობამ თავი იჩინა; ყველა ხანებმა ანუ მაზრე-ბის მხაროველებმა ისარგებლეს ამ აშლილობით და დამოუკი-დებელ მფლობელებად შეიქმნენ, ხოლო სამეფო ხელახლა ჩავარდა იმ უბედურებაში, რომელიც შაპ-როკის ტახტზე ასვლის დროს თითქო გაპერა. იღებ-მიცემობა, რომელიც მცირე სულის ჩამდგმელია ამ სახელმწიფოისა, სრულიად მოისმპო. მცირე ხნის თავისუფლებით, რომლითაც მან ისარგებლა, შეა-გროვა აზრუმში ყველა სავაჭრო საქონელი ლევანტისა. ახლა კი ველარ ბედაუნენ იმათ გარდატან-გარდმოტანას თავრიზში. ვაჭრებმა შინჯეს ბაიაზეთის გზით საქონლის გადატანა და იმდე ჰქონდათ ყაზბინს მივაღწევთო, მაგრამ როგორც კი ქარავნები მივიღენ ურუმს, ისინი გაძარცვეს ყაჩალებმა, რო-მელნიც დაუსჯელად თარეშობდნენ ამ მხარეში.

თავი გეოთხე

ავლანების დამყარება ადერბაიჯანში. ბაქტრიარის აჯანყება; ისმაილ-შაპის ტახტზე ასვლა 1750 წ. ირაკლიმ დაამარცხა ავლანები. მათ დაარბიეს გრიგონის და ნახიჩევნის მაზრები. შაპ-როკის დაბრმავება.

შაპ-ნადირის მოკვლის შემდეგ ისე წელი არ გასულა, რომ რაიმე შესანიშნავი ამბავი არ მომხდარიყოს. 1750 წ. მომხდარი არა ნაკლებ ღირს შესამჩნევია.

*) ჰანვერი პეისნელის თანამედროვე მწერალი იყო, რომელსაც ჩვენი ავტორი თავისს თხზულებას უძლენის. მას დაუწერია სპარსეთის რევო-

სპარსეთმა შეიცვალა პირისახე და იწყო დარღვევა. შეაგულ სამეფოს ხანებმა მიითვისეს თავიანთ სამფლობელოებში უზენაესი უფლება. საქართველოს მეფეებმა ოეიმურაზმა და ირაკლიმ დაიცყრეს ერევნის და ნახიჩევნის მხარეები, მიაღწიეს თავრიზამდი და ავლანები თავისს მხარეზე გარდაიბირეს. ცნობილის ამ ერის დასაბამი საკმაოდ მიმაჩნია მკონხველს მიუთითო მარიონერების ნაწერებზე და ნამეტურ ბ. ჰანვეის სპარსეთის რევოლუციის ისტორიაზე, რომელიც საუცხოვოდ და უნაკლოდ არის დაწერილი. უნდა აღვნიშნო მხოლოდ, რომ ზემოხსენებულნი და ყანდაღარელნი ავღანელები ერთმანეთში განსხვავდებიან. *სპარსეთში მყოფნი ავღანები შაპ-ნადირის გვარდიის გადარჩენილ ნაწილს წარმოადგენს. იმის სიკვდილის შემდეგ ვეღარ დაბრუნდენ სამშობლოში, ვინაიდგან ბევრი იმისთანა ქვეყნები უნდა გარდაევლოთ, სადაც მტრულად დახვდებოდნენ. მათ მიჰყვეს ხელი ყაჩალობას გრავნის და ნახიჩევნის მაზრებში, სადაც მით ჰსურდათ დაბინავება. ისინი სუნიტები არიან; თუმცა უფრო ნამდვილი იქნება რომ ვსოდვათ, რომ არაეითარ სჯულის წესს და მოძღვრებას არ ასრულებენ. ქართველებმა ადერბაიჯანში ისინი თვის მხარეზე გარდაიყვანეს, თეიმურაზი გაბატონდა და წინამძღოლად დაუყენა თვისივე ამორჩეული პირი, რომელსაც უნდა მორჩილება ში მოეყვანა ისინი და ეწინამძღვრა მათვების.

სამხრეთ სპარსეთში ახალმა ქირმა იჩინა თავი და შაპ-როკს ახალი მოქიშვე გაუჩნდა, რომელიც ბატიიზელებმა წარმოაყენეს. ეს ერი ლავრისტანის მაზრის ქურთები არიან და უმეფოდ ცხოვრობენ ისე, როგორც თურქმენები მცირე აზიაში. ამ აჯანყებულებმა წინამძღოლად მხცოვანი სარდალი ალიმერდან-ხანი აირჩიეს, რომელმაც მეფედ ბატონი შეიღი ისმა-

ლიუციის ისტორია 2 ტომი. ამ თხზულებას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ისტორიისათვის, რომლის მკვლევარნი ხშირად იხსენებენ მას. ინგლისურ ენის მცველნი დიდ მაღლობას დაიმსახურებენ, თუ იყისრებენ იმის თარგმანს და გააცნობენ მას ჩვენ მკითხველ საზოგადოებას.



ილი წამოაყენა და საჯაროდ გამოაცხადა, ვითომც ის სუფს სამეფო გვარის ყოფილიყოს, რისგამო ყველაზე უფრო კანონიერი უფლება აქვს ტახტზეო. ამ დროს შავ-როკი სიმშილის მიზეზისა გამო მეშედში უნდა დარჩენილიყო, მას აგრეთვე ჰესურდა შეეჩერებინა ხორასნის ამბოხება და ამასთანვე შიშიც ჰქონდა პაპის, შავ-ნადირის, გარდარჩენილი განძის ნაწილიც არ გაეტაცნათ, რომელიც კიდევ კალატის კოშკის სარდაფში იყო დაცული- იმნაირი იყო სპარსეთის მდგომარეობა 1750 წ. დასაწყისს.

ავღანები, ვითარცა სუნნიტი, რა საკვირველია, მტრები იყვნენ ყიზილბაშებისა ანუ ალის მწვალებლების სპარსებისა. თუმცა საარმწუნოებით დაყოფილნი იყვნენ, ხოლო მათ აწუხებდა ცხოვრებისთვის სახსარის მოპოვება მტაცებლობით და ყაჩალობით, და ბევრი იდერბაიჯანის ყიზილბაშნი მიემსრნენ მათ. წინეთ ისინი ათიათას კაცამდე იყვნენ, ხოლო სულ მალე მათ რიცხვმა შესამჩნევლად იმატა და გაძლიერდა მრავალ ყაჩალებით, რომელთაც დანარბევში წილი დაუდვეს. ავღანებს ჩეარა მოსწყინდათ მორჩილება და სამსახური, რომელიც აღუთვეს საქართველოს მეფეს, გააგდეს საჩდალი, რომელიც თემურაზეა მათ დაუნიშნა და წინამძღვრლად აირჩიეს ვინმე კასუმ-ხანი. ამაერიდან სრულებით აღვირი აიხსნეს და ხელახლად მოჰყვნენ ქვეყნის ძარცვა-გლეჯას.

თვისს შერით ბაგრტიასებლებშა რა შეამჩნიეს, რომ თვის სუფლად შეუძლიათ ნავარდობა, იწყეს თავდასხმა და ისპაპანამდე მიაღწიეს. ალი მერდან-ხანმა დაიპყრა ეს დედა-ქალაქი და ტახტზე აიყვანა ბატონი შვილი ისმაილი, რომლის მფარველად თავი აღიარა. ახალ მეფეს სარჩენად დიდი ფულის მობოჭვა დასჭირდა, რითაც ისპაპანის ხალხი შეავიწროვა და აგრძნობინა მას მტარვალობის უღელი. ისმაილმა საშინლად ასწია ხარკი, მოაკვლევინა მრავალი მდიდარი სოფდაგრები, რომელთ სიმდიდრეს დაეპატრონა; სხვათა შორის სიცოცხლეს გამოასალმა ერთი მათაგანი განთქმულ შერიმანებისა, სომხის მილლონერებისა, რომლის გვარმა წინეთაც შავ-ნადირის მეფობაში ყოველნაირი დარბევა გამოსცადა.

1751 წ. დასაწყისს თეიმურაზ და ირაკლი მეფეებმა, ავღანების ამბოხებით განრისხებულებმა, გაილაშკრნენ მათ და-სამორჩილებლად. სომხები შეუერთდნენ ქართველ ჯარს, რო-მლის ყველა მხედრებს თავიანთ დროშებზე და ტანსაცმელზე ჯვრები ეკიდათ. ეს ჯვაროსნები ეკვეთენ ავღანებს ქალაქ ოდისარის ახლოს, სძლიერ და უმეტესი მათთვის რიცხვი ამოკუ-წეს ნაწილ ნაწალებათ. ამ ბრძოლაში ირაკლიმ იმისთანა ვაჟ-კაცობა გამოიჩინა, რომ სრულიად ღირსია შედარებისა იმ გმირებთან, რომელნიც სახელგანთქმულნი არიან ძეელს ის-ტორიაში. ავღანელთ ერთს ბელადს დაეტრაბახნა, რომ ირა-კლის ცოცხალს თუ მკვდარს მოგვერითო. ვინმე ქართველი, რომელიც მტრის სარდალს ემსახურებოდა, გამოქცეოდა მას და მოახსენა მეფეს ავღანის დაკვეხნა. ირაკლი ქვეითათ უპი-რებდა მას დახვედრას. გაიმართა თუ არა ბრძოლა, ბელადი წრეს გარედ გამოვიდა და ხმა მაღლა იკითხა, „სად არის ირაკლიო.“ „აქ გახლავარო“, მიაძახა მეფემ და სწრაფად გა-ემართა იმისაკენ. ავღანელმა საჩქაროდ ცხენი გამოაჭენა და სატყორცნელად ისარი დაუშიზნა, ირაკლი მარდად გარდმო-ხტა ცხენიდან, აიცილა ისარი და თითონ დაახალა მტერს დამბახა და ცხენიდან მოკლული გადმოაგდო. ძნელი წარმო-სადგენია ის შთაბეჭდილება, რომელიც მეფის ქველობამ ჯარზე მოახდინა. ხშირად მომხდარა ხოლმე, რომ ამაზე ნა-კლებ ვაჟეკაცობასაც გარდაუშესვეტია ბრძოლის ბედი და გა-მარჯვება გაუტანია.

ოსმალები მით უფრო განრისხენ ამ ჯვაროსნების გა-ლაშკრებით, რომ ეკვი შეუვიდათ, ვაი თუ ისინი მოქმედე-ბენ რუსებთან შეთანხმებით, რომელთაც აშტრახნის მხრი-დან დასაზვერავი ჯარი წინ წამოსწიეს. მეც დავრწმუნდი ამ უცნაურ აზრზე, პორტაში გავრცელებულზე შემდეგი შემთხვევისა გამო. სმირნაში ჩემი ყოფნის დროს ქორ-ახმეტ-ფაშა, ყოფილი დიდი ვეზირი, მიმავალი თავის ადა-ნის ფაშალი უში, იქ ჩამოხტა და მე დავესწარი მის საუბარს, რომელშიაც ეს დიდებული დაბეჯითებით ამტკიცებდა,



რომ ნეპლუევი, რუსების ელჩი სტამბოლში,—რომლის სიკვდილის ხმა მაშინ გავრცელდა,— ცოცხალი არისო, ხოლო ის ამბავი, ვითომც მას წვეზი დასცემოდეს და დაუსაფლავებიათ, განგებ მოგონილია იმის გაპარვის დასაფარავალ; ვითომც მას შინებოდეს, რომ იმის ბრძანებელის მოლაპარაკების გაწყვეტას პორტასთან არ მოჰყვეს შედეგად ოსმალების სასახლის ჩვეულებისამებრ იმისი შვიდ კოშკიან ციხეში დამწყვდევა. ფაშის მიერ წარმოთქმულ აზრში ცხადად გამოიხატებოდა, რომ პორტა დარწმუნებული იყო, ვითომც რუსებს უნდათ ისარგებლონ სპარსეთის არეულობით და რაღაც საიდუმლო განზრახვა ამ სამეფოში შეისრულონ; შესაძლებელია, თითონ პორტას ჰსურდა ესარგებლებინა სპარსეთის მდგომარეობით. მართლაც, ყველა დარწმუნებული იყო, როცა ეს ფაშა სმირნიდამ წავიდა, რომ მას ხელახლად სერახკირად საზღვრებზე ნიშნავდენ.

ირაკლიმ ავლარების დამარცხების შემდეგ წინ წაიწია თავრიზამდი, რომელიც მან დაიპყრა. ის არ დაკმაყოფილდა ამ წარმატებით და გაილაშქრა ლეკებზე და განჯის და ურუმის ხანებზე, რომელთაც ავლანებმა დახმარება და მფარველობა აღმოუჩინეს. ისინი სრულიად დაამარცხა და განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში ის მოქმედებდა ვითარცა დევლეტ-შერიკი ანუ სპარსეთის მოკავშირე. ამბობენ, ვითომც ირაკლი იმიტომ ასე უწოდებდა თავისს თავს, რომ შავროკთან სამეფოს განაწილებაზე ხელშეკრულება დაედოს. ხოლო მე ვერ ვბედავ ამ ამბის, ვითარცა ნამდვილის, გარდაცემას.

თავისი ამხედრება ლავანებზე ირაკლიმ ისე გამარჯვებით ვეღარ დაასახელა, როგორც იწყო. ავლანები შეუერთდნენ ლეკებს და დაბინავდნენ ნახიჩევანის მაზრაში. სრულიად უმგზავსია ის სისასტიკე, რომელიც მათ იქ ჩაიდინეს. ამ შემთხვევაში მცხოვრებლებმა ომის უსაშინელესი შედეგები გამოსცადეს. აღვირ ახსნილმა ჯარებმა იწყეს მით, რომ გააწერეს მათ ოთხი ათასი თუმანი და ექვსი ათასი ურემი პური. წინანდელ ომებისა გამო ხალხი უკვე გაღატაკებული იყო;

მან, რასაკვირველია, ვერ შესძლო გარდახდა. და თვისს მტარ-
ვალებს სიხარისა და ბარბაროსობის მსხვერპლად შეიქმნა.
მამები იძულებულნი გახდნენ თვისი შვილები დაეყიდნათ და-
ბალ ფასში და მით დაეკმაყოფილებინათ მწვალებლების გაუ-
მაძღრობა, გააფორმებული ავლანები ჯერ პირუტყულ ვნებას
იქმაყოფილებდნენ ქალებთან და შემდეგ წითლად გახურებულ
შანთებს უყრიდნენ მათ ძუძუებში და ყველა სხვა სხეულის
ნაწილებში გამოსატეხად იმისა, თუ სად აქვთ გარდამალული
ფული. იმდენს აწვალებდნენ, სანამ არ დაახრჩობდნენ. როცა
დარწმუნდებოდნენ, რომ მათგან მეტს ვერას გამოიტანდნენ.
გადასწვეს ყველა სოფლები და ისეთი სისასტიკე ჩაიდინეს,
რომ მოსავალიც ცეცხლით გადაბუგეს და სრულიად დაარ-
ბიეს სოფლები. სიმშილმა ისიც მოსპო, რაც კი გაღურჩა
მტრის განადგურებას. ვისაც ღონე შესწევდა, ივლტოდა
მთებში თავის შესაფარებლად, მაგრამ იქაც გამოსაკვებავად
ვეღარც ბალახს და ვეღარც ფოთლებს შოულობდნენ და გზა-
ში იხოცებოდნენ. ამ მხარეში ბევრი კათოლიკების სოფლე-
ბი იყო და ისინი სრულიად აკლებულნი იქმნენ, მათ სახლე-
ბიც გაღურებეს და საყდრებიც დაუმტვრიეს. მამა იოსებ ვარ-
ტიკე, შიაუკის დომინიკანელების წინამძღვარს და ამა მხრის
ვიკარს, ჯერ ყველა ვაზები, ყველა სამკაული და ვერცხლეუ-
ლობა მონასტრისა გამოატანინეს, შემდეგ ავლანებშა შეიპყრეს
და ერთ ვიწრო საპყრობილებში ჩასვეს, სადაც დიდხანს იმყო-
ფებოდა, შემდეგ დიდი ცეცხლი განუმზადეს, რომ წამებით
რაიმე წარმოეთქმევინებინათ. საშინელ ტანჯვისაგან თავის დასა-
ღწევად მან აღუთქვა წერილის გაგზავნა და თავის დასახსნე-
ლიდ ფულის გამოთხვევა; ირ ვიცი, რა დაემართა ამ ბერს.
ერთის სიტყვით შეუძლებელია სურათის დახატვა ამა მხრის
აოხრებისა, რომელსაც აქამომდე ომის ცეცხლი მოდებული
აქვს.

ავლანები დაეცნენ და ააოხრეს მთელი მხარე აკული-
სამდე. ქართველები მედგრად შეებრძოლნენ მათ, მაგრამ ვერ
დაუშალეს შესვლა ქალაქში, რომელსაც მათ ცეცხლი
წაუკიდეს და სისხლით მორწყეს. აქ ორი ათასი ქრისტიანი

აღკვეთილ იყვნენ მათ მიერ და ათას ხუთასი ტყველ წაიყვანეს, დარბევა განაგრძეს ერივნამდის, ამ დროს მათი მოქავშირენი, ლეკები შირვანის მიდამოებში იყვნენ და ქართლში შესვლას იმუქრებოდნენ. ირაკლი იძულებული შეიქნა ამ აზლვავებულ ნიაღვრის შესახერებლად თავისს დედა-ქალაქში მიბრუნებულიყო.

ომა ვერ შეაფერხა აღებ-მიცემობა, გილანის ქარავნები საკმაოდ თავისუფლად გადადიოდა, ენ აზრუში, ხოლო თავ-რიზიდან ყაზბინამდე გზა კი სრულიად მიუვალი და დაკერილი იყო ურუმის მაზრის ქურთებსა და მრავალ სხვა ბოროტ-მომქმედთა მიერ. აგრეთვე სრულიად დახშული იყო გზა ისპაჰა-ნიდამ ბასსორამდე, ხოლო შესაძლებილი იყო მიმოსვლა ამ დედა ქალაქიდან ბალდადამდი, საიდამ სპარსელებს გადაჰ-ქონდათ სავაჭრო საქონელი.

ამ არეულობის დროს შაპ-როკი ხორასანს სცხოვრობდა. სიმშილმა გაუწყვიტა მას ჯარის უმჯობესი ნაწილი; უსაქ-ურობამ ნდობა დაუკარგა მას, ხალხში სახელი გაუტყდა და ლანძლვით იხსენიებდნენ მას. დაერთო ამას ის ეჭვი, რომელიც დიდიხანია მასზედ ჰქონდათ, ვითომც ის სუნნიტი ყოფილიყოს და მით ცეცხლზე მდუღარე გარდაასხეს. სპა-რსელებისთვის ის ამიერიდამ საზიზლარი შეიქმნა, სახსენე-ბლათაც შესძულდათ და ხმა მაღლა ახსენებდნენ, რომ ჰსურთ მეფედ ალი ასან ალის მოძღვრების აღმსარებელი. ხალხის სი-ძულვილით ისარგებლა მიუტეველლმა იმამრიზელმა და მთა-ხერხა სხვა და სხვა ოინების მეოხებით თვალები დაეთხარით მისთვის. მაგრამ მაღლე მოიბრუნა იმისაკენ ხალხმა გული, რო-მელიც ფანატიზმის მიერ წარტაცებული იქნა, ჯარისკაცებმა შეიბრალეს მეფე, უბედურებაში ჩავარდნილი ხელ ახლად იყვანეს ტახტზედ. ამბობენ რომ ის ახლაც მეფობსო, მაგ-რამ ნამდვილი არა ვიცი რა იმის შესახებ შემდეგ წინეთ მოყვა-ნილ ამბავისა.

(დასასრული იქნება)

წერილი სამართლოს სცენიტრი

I

მეფობის დასაწყისი

ყველა ერის ისტორიის დასაწყისი ბურუსით დაფარულია; ყოველი ერის ისტორია ზღაპარ-თქმულებითი გარდმოცემით და გაურკვეველ ცნობებით იწყება. მაგრამ ამ ბურუსში, ზღაპარ-თქმულებასა და გაურკვეველ ცნობებში, როგორც ზღვის ქვიშაში მარგალიტი, ხშირათ თვეს ითარავს წმინდა ისტორიული სინამდვილე; მხოლოდ საჭიროა—მცოდნე ხელმა ამ ისტორიულ მარგალიტს დროთა მსვლელობით ზედმიურილი შლამ-ტალახი მოაშოროს, თვით მარგალიტი კი გარეცხოს, გაასუფთაოს და ყველას დასანახავათ მზის შუქზე გამოიტანოს.

თუ ჩვენს ისტორიას დაუკვირდებით, აქაც იმავე საზოგადო მოვლენას შევამჩნევთ: ჩვენი ისტორიის დასაწყისიც იმავე სიბნელით და გაურკვევლობით მოცულია; აქაც პირველი ალაგი საისტორიო ზღაპარ-თქმულებას უჭირავს. ავიღოთ თუნდ ის ადგილი, სადაც ჩვენი ისტორიული პირველწყარონი საქართველოში ერთ-მთავრობის დასაწყისზე მოგვითხრობენ.

„ქართლის-ცხოვრება“ ამ საგნის შესახებ გადმოგვცემს, რომ პირველათ საქართველო აჯეშსანდრე-მაკედონელმა (336—323 წ.) გააერთიანა, როდესაც დაიპყრო იგი და უზენაეს გამგედ თავისი ნათესავი აზონ იარედოსის-ძე მაკედონელი დაუყენა; მაგრამ აზონმა უზომო სისასტიკით თავის ქვეშევრ-

დომებს მალე თავი შეაძულა და ქართველების მხრით აჯანყება გამოიწვია, რომლის მოთავებაც მცხეთის უკანასკნელი მამასახლისის სამარას ძმისწული ფარნავაზი შეიქმნა. იგი დედით სპარსელი იყო, ხოლო მამით ქართველი და მთებში მალულათ იზრდებოდა. აქ ერთხელ ნადირობის ღრას მან იპოვა დიდი განძი და მალე თვისი ქვეყნის განთავისუფლება-საც შეუდგა. ამ საქმეში ფარნავაზს მხარს უჭერდა ვიღაც ქუჯი „ნათესავი ქართლოსიანი“. რომელმაც შემდეგში ფარნავაზისაგან სამეცრელო და სვანეთი მიიღო საერისთაოდ. ოსებისა და ლეკების დახმარებით ფარნავაზმა და ქუჯიმ სამუდამოთ გაანთავისუფლეს საქართველო მაკედონელთა ბრძანებლობისაგან, ხოლო ფარნავაზმა, კერძოთ, თავის თავი მეუჯედ გამოაცხადა და შინაური რეფრიმების შემოღებას შეუდგაო, სახელდობრ: მთელი თვისი სამულობელო ცხრა საერისთათვე გაჰყო, ქართლოსის საფლავზე ამართა კერპი არმაზი, აზნაურთა წოდება დააარსა და „ქართული მწიგნობრობა შექმნაო“¹⁾.

ალექსანდრე მაკედონელის-მიერ საქართველოს გაერთიანებას არც მეორე ჩვენი ისტორიული პირველ-წყარო, ქართლის მოქმედების ქრონიკა, უარ-ჰყოფს, მხოლოდ ამასთანავე იგი იძლევა ფრიად საინტერესო და სრულიად ახალ ცნობას როგორც აზოს ვინაობის შესახებ, ისე მეფობის დასაწყისის შესახებაც ქართველთა შორის. მაგრამ აი თვით ქრონიკის სიტუვები:

„თანა ჰყვანდეს ალექსანდრე მეფესა აზოხ, ძე არან ქართლისა მეფისახ; და მას მიუბოძა მცხეთა საჯდომად, და სახლვარი დაუდევა მას: ჰერეთი და ევრის წყალი, და სომხითი და მთახ ცროლისახ, და წარვიდა. ხოლო ესე აზოხ წარვიდა არან ქართლიად მამისა თვისისა და წარმოიყვანა რვახ სახლი და ათნი სახლნი მამა-მძუძეთანი, და დაჯდა

¹⁾ ქართლის-ცხოვრება. გამოც. ზაქ. ჭიჭინაძისა. ტფილისი. 1897 წ. ტ. I, გვ. 32—40.

ძუელ მცხეთას, და თანა ჰყუანდეს კერპნი ღუთად გაიც და გაიმ. და ესე იყო პირველი მეუე მცხეთას შინა, აზოვ ძე არან ქართველთა მეფის, და მოკვდა. და შემდგომად მისა დაღვა ფარნავაზ. იმან აღმართა კერპი დიდი ცხვისა ზედა და დასდვა სახელი მისი არმაზი, და მოქმნა ზღუდე წყლით კერძო, და ჰრევიან არმაზ²⁾.

ამ-გვარათ, უუძველესი ქართული ქრონიკა გადაწრით გვეუბნება: როდესაც საქართველოს საზღვრებში ალექსანდრე მაკედონელი შემოვიდა, აქ მეფობა უკვე დაწყებული იყო, სახელდობრ „ქართლში“ იჯდა „მეუე“ არანით; საქართველოდან წასვლის დროსაც ალექსანდრე—მაკედონელს ამ ქვეყნის გამგედ „აზონ მაკედონელი“ როდი დაუნიშნავს, არმედ „აზონ, ძე არან ქართლის მეფისათ“; აზოს შემდევ გამეფდა ფარნავაზ, ფარნავაზს შემდევ—საურმავიო და სხვანი. ერთი სიტყვით, ნაციონალურ მონარქიის დაარსება ჩვენში გამოუწვევია არა მაკედონელთა საწინააღმდეგო მოძრაობას, როგორც ამას „ქართლის-ცხოვრება“ ამბობს, არმედ, პირიქით, ალექსანდრე მაკედონელს კიდევაც ხელი შეუწყვია ამ მონარქიის გავრცელებისა და გაძლიერებისათვის; ასე რომ ფარნავაზი, რომელსაც „ქართლის-ცხოვრება“ პირველ ნაციონალურ მონარქად აღიარებს, უკვე მზა-მზარეულ სამეფო ტახტზედ ასულა და ერთ-მთავრობის შექმნა და ქართველთა შეერთება თვითონ აღარ დასკირვებია. არავითარ ბრძოლას აზოსა და ფარნავაზის შორის ეს ქრონიკა არ იხსენიებს; არას ამბობს იგი არც აზნაურობის დაარსებასა და მწიგნობრობის შემოღბაზედ, თუმცა ქალაქების გამაგრებასა და ციხეების აშენებაზე კი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, იგი ბევრს ლაპარაკობს.

ასეთია ძირითადი განსხვავება ჩვენს ორ ისტორიულ პირველ-წყაროთა შორის იმ საგნის შესახებ, რომელიც ჩვენი შენიშვნების ტემად ავირჩიეთ. მაგრამ ამავე დროს მათ-შეა

²⁾ ე. თაყაიშვილი: „სამი ისტორ. ხრონიკა“. ტფილისი 1890 წ., გვ. 4—5.

ერთი თვალ-საჩინო მსგავსებაცაა, სახლდობრ, ორივე წყა-
რო თანაბრათ სკულპტობს—საქართველოს გაერთიანება და
შიდა-ქართლში სამთნარქით ცენტრის დამყარება აღექსანდრე მა-
კედონელის შირადს გაედენას და ინციატივას დაუკავშიროს, დი-
დებული საქმე ქართველ ტომის პოლიტიკურათ გაერთებისა
ამ დიდებულ „დამპყრობელის“ ნამოქმედარად წარმოადგინოს.

რა გვეთქმის აქ დასახელებულ მსგავსებისა და განსხვავე-
ბათა შესახებ? რომელ პირველ-წყაროს ცნობას უნდა მიეცეს
ისტორიულათ უპირატესობა, ან უფრო გარკვეულათ რომ
ვთქვათ, ამ წყაროთაგან რომლის ცნობა უფრო ადვილ-შესა-
თანხმებელია უცხო მწერალთა და მსოფლიო ისტორიის იმ დრო-
ნდელ ცნობებთან და რა სისით?

ჩვენ განვეძ ხაზს ვუსვამთ ამ სიტყვებს: „უფრო ადვილ-
შესათანხმებელია უცხო მწერალთა და მსოფლიო ისტორიის იმ
დროინდელ ცნობებთან“, რადგან ჩვენი ისტორიულ წყაროების
ცნობათა სინამდვილის თითქმის ერთად-ერთი საიმედო საზომი
ისაა, თუ ეს ცნობანი რამდენათ ეთანხმებიან, ყოველ შემ-
თხვევაში, არ ეწინააღმდეგებიან მაინც მსოფლიო ისტორიის,
მეცნიერებისაგან მტკიცეთ დადგენილ, იმდროინდელ ფაქტებს
და უუძველეს ბერძენ-რომაელ მწერალთა კრიტიკულათ. გა-
ცხრილულ ცნობებს ჩვენი ქვეყნის შესახებ.

მაგრამ სანამ ამ საგნის შესახებ ჩვენს აზრს გამოვთქვამდეთ,
საჭიროდ მიგვაჩნია ცოტა უკან დავიხიოთ და მოკლეთ თვალი
გადავავლოთ საქართველოს მდგომარეობას იმ დროს, რომელიც
შიდა-ქართლში ძლიერის სამონარქიო ცენტრის დაარსებას
წინაურბოდა.

ქვემოთ ჩვენ ვეცდებით დავისაბუთოთ, რომ შიდა-ქართ-
ლში სამონარქიო ცენტრის გადატანა და ქართველთა ტომის
ზოგიერთ თემების გაერთაინება დაახლოვებით იმ დროს
ეკუთვნის, როდესაც ალექსანდრე მაკელონელმა და მისმა
შხედართ-მთავრებმა თითქმის მთელი შუა და დასავლეთის აზია
თავის ძლიერს მახვილს დაუმორჩილეს, აზის დესპოტთა
ძლიერება ძირიანათ შეარყიეს და დასავლეთის აზიაში სრუ-



ლიად ახალ პოლიტიკურ ორგანიზმების აღმოცენებას ნიადაგუნდა მოუმზადეს, ე. ი. მე-IV საუკუნის დამლევს ქრისტეს დაბადებამდე.

რას წარმოადგენდა საქართველო ამ დრომდე ეტნოგრაფიულათ და პოლიტიკურათ?

საჭიროა ამ თავითვე შევნიშნოთ, რომ იმ დროს, რომელ-საც ჩვენ გვსურს შევეხოთ, არც ცნება საქართველო და არც ამ ცნების გამომხატველი სიტყვა კაცობრიობის ლექსიკონში არ მოიპოვოდა. არსებობდენ მხოლოდ ქართველ თესლ-მოდგმის პატარ-პატარა თემები, რომელიც ათხი მდინარის: არაქსისა, მტკვრისა, რიონისა და ჭოროხის აუზებში იყვნენ გაფანტულნი და უცხო ერებშიაც სხვა და სხვა სახელით იწოდებოდენ. აღმოსავლეთით მათ საზღვრავდა კასპის ზღვა და ქურთისტანის მთა, ჩრდილოეთით კავკასიონის მთაგრეხილი, დასავლეთით შავი ზღვა კაპეტისწყლიდან ქ. ამიზამდე, ხოლო სამხრეთით ის წყალ-გამყოფი ხაზი, რომელიც იწყება ქურთისტანის მთიდან (მთა „ორეთისა“*), გაივლის ვანისა და ურმიის ტბებ შორის და შემდეგ ჰყოფს არაქსისა, მტკვრისა და ჭოროხის აუზებს ევფრატისა დი ჰალისის ბასეინთაგან. ამ საზღვრებ შორის ქართველთა თესლ-მოდგმა შემდეგნაირათ იყო დასახლებული:

შავი ზღვის სამხრეთად, ამიზის აღმოსავლეთით, ცხოვრობდენ ტიარენები, მათ აღმოსავლეთით შავიზღვის-პირადვე—მთსინებები, ამათ სამხრეთ-აღმოსავლეთად, თითქმის ჭოროხის სათავემდე, მთებში—ქადიბები, ჩრდილო-აღმოსავლეთით ტრაპიზონის გამოსწრები—შავრონები; მაკრონებსა და მოსინეკებ შორის მთებში ბინადრობდნენ დრიღები, ხოლო მაკრონების ჩრდილოეთით ტრაპიზონიდან კაპეტის წყლამდე ჯერ შავიზღვის სანაპირო და შემდეგ მთელი რიონ-ყვირილის აუზი დაკერილი ჰქონდათ კოლხებს, რომელთაც კავკასიონის

*) ასე უწოდებს ამ მთას „ქ.-ცხოვრება“ (ტ. I, გვ. 16): „მთა ორეთისა, რომელ არს ქურთთა ქვეყანასა“.

მთებიდან თავს დასცემდენ სოანები; კოროხის მარჯვენა ნაპირი არსიანის მთებამდე ტაოხებისა და სასპირების ხელში იყო, ხოლო მისი მარცხენა ნაპირი, მაკრონებსა და ტაოხებ შუა, სკიფინებს ეჭირათ. ტაოხების სამხრეთიდ, არაქსისა, კოროხისა და ეფრატის სათავეთა შორის ფაზიანები ცხოვრობდენ, ხოლო არაქსის სათავე შატიენებს ეჭირათ. მტკვრის სათავეში არსიანის მთების აღმოსავლეთით ბორჯომის ხეობამდე და მესეხეთის მთების ჩრდილოეთის ფერდოებამდე (რომლის გაგრძელებასაც წარმოადგენს მთა არსიანისა, რისგამოც უცხოეთის მწერლები ხშირათ ამ უკანასკნელსაც „მესხების“ მთას ეძხოდენ) — ბინადრობდენ მოსხები, ომელენიც შეადგენდენ ნაწილს ივერიელებისას; ამ უკანასკნელთა მიწა-წყალი კი აღწევდა აღმოსავლეთით ალაზნამდე, ხოლო სამხრეთით მტკვრისა და არაქსის წყალ-გამყოფ ხაზამდე;**) ივერიელების აღმოსავლეთით კასპის ზღვამდე ალაზნელები ცხოვრობდენ, ხოლო არაქსის ბასეინი ალართდანებს ეჭირათ. ამათ გარდა, კასპის ზღვის სამხრეთ-დასავლეთის სანაპიროებში კადუსიანები ბინადროებდენ, ხოლო ამათ სამხრეთ-დასავლეთით თითქმის ტიგრამდე კარდუქები იყვნენ დასახლებული.

ამგვარათ: ტიბარენი, მთსინეგნა, ქალიბები, მაკრთნები, დროღები, ქოღები, სოანები, ტაოხები, სასპირები, სკიფინები, ფაზიანები, მატიენნი, მთსხებ-ივერიელნი, ალაზნელნი, ალართდანნი, კარდუქები და კადუსიანები³), აი ქართველთა თესლ-მო-

**) ასირიელები კი მთელს ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ თემს (ე. ი. როგორც საეუთრათ მოსხებს, ისე ივერიელებს) საერთო სახელით იცნობდნენ: იგინი მათ ეძახოდენ «მუსებს», რაც უდრის იმავე „მოსხებს“ ანუ „მესხებს“ (დ. ბაქრაძე: „ისტორია საქართველოსი“. თბილისი 1889 წ. გვ. 17).

³⁾ ამ თემების სახელები და მათი ადგილ-ბინადრობა ჩეენ ლავადგინეთ ჰეროდოტის (480—426 წ.) და ქენოფონტის (431—354 წ.) ცნობათა მიხედვით, რომელნიც შევავსეთ აპოლონ რომლსელის (250—200 წ.) და სტრაბონის (66 ქრ. წინ და 24 ქრ. შემდეგ) ცნობებით. იხ. გან्ध: „Извѣстія древн. греч. и римск. писателей о Кавказѣ“ ч. I. Тифлисъ.

დგმის უმთავრესი თემები, რომელნიც მე-VII საუკუნის და-
მლევს სპარსეთის მეფემ დარიოზ ჰისტასპა (521—486) თვის მონარქიის საერთო წეს-წყობილებას დაუმორჩილა. ამას შემდეგ აღნიშნული თემები აღექსანდრე მაკედონელის შემოსვამდე (330 წლამდე) სპარსეთის ხელიდან აღარ გამო-
სულან.

თვითეული ამ თემთაგანი, თავის მხრივ, დაყოფილი იყო რამდენსამე საგვარეულოდ, რომელთაც განაებდა გვარის (= „სახლის“) უფროსი წევრი მამაკაცი ანუ „მამასახლისი“, ხოლო მთელ თემში უუძლიერესი გვარის მამასახლისი იმავე დროს მთელი თემის უფროსადაც ითვლებოდა, ე. ი. იყო თემის მამასახლისი. უცხოეთის მწერლები ამ თემის უფროსებს „მეფეებს“ უწოდებენ, თუმცა იმავე დროს ამ „მეფეებზე“ ისეთ ცნობებს იძლევიან, რომ ყოვლად შეუძლებელია მათ ეს ღირსება მიეკუთხოსთ. მაგალითად, ქსენოფონტის მოწმო-
ბით (431—354 წ.), მასინებელი მრავალ დაბებად იყვნენ დასა-
ხლებულნი და ორ დიდ ჯგუფად განიყოფებოდენ, რომელ-
თაც თავთავისი „უფროსები“ ჰყავდათ, ხოლო ამ უფროსთა შორის პირველი ადგილი ეჭირა იმ გვარის უფროსს, რო-
მლის ხელშიაც სატახტო ქალაქი იმყოფებოდა. ამ გვარის უფროსს ქსენოფონტე „მეფეს“ უწოდებს, მაგრამ იქვე შენიშნავს, რომ იმ მეფეს უფლება არა ჰქონდა თავის ციხე-დარბაზიდან გამოსულიყო, და მთელ სამოსინეკოს მფლო-
ბელობაც ეკუთვნოდა არა მას, არამედ იმ გვარს, რომლის წევრადაც იგი ითვლებოდა; რაც შეეხება დანარჩენი გვა-
რების უფროსთა დანიშნას, როგორც ქსენოფონტეს სიტყვე-

1884 წ. ცტ. 12—22. 26—41. 44—52. 55—83.—ამათ გარდა სახეში გვერდა ფრანსუა ლენორმანის გამოკვლევანი აღაროდიელთა შესახებ (შეად. მ. ჯანაშვილის წინასიტყვაობა მის მიერ გამოცემულ „საქართვ-
ეოგრაფიისა“—ვახუშტი ბატონიშვილისა. ტფ. 1904 წ. გვ. 10—11). ხოლო ველმძღვანელობით იმავე ლენორმანის ატლასით, რომელიც მას თავის „Histoire ancienne de l'Orient“-ის მე-V ტომში აქვს. ჩართუ-
ლი. Paris 1887. ამ ატლასში ნაჩვენებია დარიოზის მონარქია.

ბიდან სჩანს, არც ეს საქმე ყოფილა მოსინეკების „მეფის“ ხელში.⁴⁾—მაგრამ ყველაზე უფრო გარკვეულ ცნობებს თე-
მისა და გვარის უფროსთა შესახებ სტრაბონის გეოგრაფიაში
ვპოულობთ. მართალია ამ გეოგრაფიაში შეტანილი მასალე-
ბის შეკრება, როგორც თვითონ სტრაბონი ამბობს, პირველ
საუკუნეს ეკუთვნის ქრ. დაბადებამდე, მაგრამ თვით იმ წყო-
ბილების სიმტკიცე და გარკვეულობა, რომელიც იქაა აწე-
რილი, და მოსინეკების წესწყობილებასთან მისი შედარება
ნათლად ამტკიცებს, რომ იმ წყობილების დასაწყისი ფრიად
შორეულ და უუძველეს დროს უნდა ჰკუთნებოდეს. მაგალი-
თად ივერიელების შესახებ სტრაბონი გადაჭრით ამბობს, რომ
ეს ხალხი პირველ საუკუნეშიაც კი „მეფეს“ ირჩევდა სამეფო.
საგვარეულოს უხუცეს წევრთა შორის, იქიდამვე ირჩევდა
მეორე პირს, რომლის ხელშიაც იყო უზენაესი სამართალი
და მხედართ-მთავრობა, ხოლო მეზობელ ერებთან ურთიერ-
თობის საქმეს სამღვდელოება განავებდათ. ცხადია, აქ ჩვეუ-
ლებრივს თემის უფროსზე ანუ „თემის-მამასახლისზეა“ ლაპა-
რაკი და არა სრულ უფლებიანს მეფეზე. სწორეთ ამისავე
მსგავსად თვითეული „გვარის“ შინაურ საქმეებსაც გვარის
უხუცესი წევრი ანუ „საგვარო მამასახლისი“ განავებდა;
ქონება იმ დროს არ შეაღენდა კერძო საკუთარებას, არა-
მედ მთელი გვარის საკუთრებად ითვლებოდა. ერთი სი-
ტყვით, მთელი ივერიის პოლიტიკურ-სოციალური ცხოვრე-
ბა, როგორც სტრაბონის დროს ისე მის წინედაც, მამასახლი-
სურ-გვართებითს წყობილებაზე იყო აგებული.⁵⁾—სტრაბო-
ნისავე მოწმობით, ადანელება ძველათ 26 ჯგუფად ყოფილან
დანაწილებული და თვითეულს მათგანს საკუთარი „მეფე“
ჰყოლია. ეს ჯგუფები იმდენათ დამოუკიდებელნი ყოფილან
ერთმანეთზე, რომ თითქმის საკუთარი კილოკავებიც კი შეუ-

⁴⁾ ამაზე იხ. И. Джаваховъ. Государств. стрей дровн. Грузія и
древн. Армопн. Спб. 1905 г. стр. 28—29. შეად. Ганъ, Извѣстія...
I, стр. 39.

⁵⁾ იხ. И. Джаваховъ, loc. cit. стр. 8—10.

ქმნიათ.⁶⁾) — სოანებშიაც „მეფის“ უფლება „სამასთა საბჭოთი“ ყოფილა შეზღუდული^{7).}

ერთი სიტყვით, დღეს უკვე საქართველოს დადგენილ ისტორიულ ფაქტად შევვიძლია ჩავთვალოთ ის გარემოება, რომ შიდა-ქართლში სამონარქიო ცენტრის გადმოტანამდე და მის ხელ-ქვეშ ქართველ თემთა გაერთებამდე — ყოველი თემი ცალკე ცხოვრობდა და საკუთარს უფროსს ანუ თემის-მამასახლისს ემორჩილებოდა; ამ სამამასახლისო უფლებიდან წარმოიშვა და მასთანვე მტკიცეთ შეკავშირებული დარჩა შემდეგ შიაც, — როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, — შიდა ქართლის მეფეთა უფლება; ეს ხასიათი არ დაუკარგავს მეფის უფლებას ჩვენში თვით მე-ვI საუკუნემდე ქრ. შემდეგ, როდესაც სასანიდებმა შიდა-ქართლში მეფობა გააუქმეს.

მართალია, როგორც საბერძნეთის მწერლები მოგვითხოვთ და ლინგვისტიური გამოკვლევანიც ამტკიცებს, ამ თემთა შორის დიდი მსგავსება და ნათესაობაც ყოფილა⁸⁾, მაგრამ ამ მსგავსებასა და ნათესაობას, როგორც სჩანს, მაინც

⁶⁾ გან. ივნესტია... I, ცტ. 71.

⁷⁾ Ibidem. ცტ. 66.

⁸⁾ მაგალითად მოსხებზე პეკატეი (550 წლის მახლ. ქრ. წინ) ამბობს: „მოსხება კოლხური მოდგმისანი არიან და მატიენების მოსამზღვრეთ ცხოვრობენ“ (გან. loc. cit. 8); მოსხები — ეს ხომ ჩვენი მესხებია ანუ იყოვე ქართლელები, მაშასადამე კოლხებიც ქართულის მოდგმისანი ყოფილან; როგორც ლენორმანი ამტკიცებს, ალაროლიანებიც ქართველთა მონათესავე თემი იყო; ივერიელებზე აღარას ვამბობთ, რადგან მათი, კოლხებისა, მოსხებისა და ალაროლიანების ნათესაური კავშირი, ვეონებთ, თავისთავადაც ცხადი უნდა იყოს. დანარჩენ თემებთან მათს ნათესაურს კავშირს კი მათი სოციალური ორგანიზაციისა, საომარი იარაღისა და ზნე-ჩვეულებათა საოცარი მსგავსება ამტკიცებს. მაგალითად, პერიოდოტეს მოწმობით მოსხები, ციბაქენები, მაკრონები და მოსინეკები ერთგვარს იარაღს ატარებდნენ, ხოლო კოლხები, სახპირები და ალაროლიანები — ერთგვარს (გან. loc. cit. I, 21). რაც შეეხება კალუსიანებსა და კარლუქებს, ამათი თვით სახელწოდების ეტიმოლოგიაც კი საბუთს გვაძლევს — იგინი ქართლისიანთა ანუ ქართველთა (= „ქარდუ“ იგივე მეტრული „ქორთუ“ და ქართული „ქართუ“ — არის) თანამოსახელედ და მონათესავედ ჩავთვალით.



ვერ მოუხერხებია აღნიშნულ თემთა განცალკევების შესუსტება და გაუქმება. ამის მიზეზი ჩვენის ფიქრით უნდა ყოფილიყო ის გარემოება, რომ ქართველი თესლ-მოდგმის თემები კულტურულ განვითარების ერთსა და იმავე საფეხურზე არ იდგენ, რადგან სხვა და სხვა გვარს გეოგრაფიულ პირობებში ცხოვრობდენ და წარმოების წესიც მოშევრებულ ნაწილათ გასწისება-გებული ქვეთად. მაგალითად ტიბარელები და ალბანელები რომ ჯერ ისევ მეჯოგობას მისდევდენ,⁹⁾ ივერიელთა შორის იმავე დროს წარმოების უმთავრეს ფორმას მიწის-მუშაობას შეადგენდა,¹⁰⁾ ქალიბები შადენებში მუშაობდენ,¹¹⁾ ხოლო კოლხები სელის-წარმოებითა და საკარეა ფაჭრობით იყვენ სახელგათქმული.¹²⁾ მართალია, როცა გარეშე მტერი შემოესეოდათ, რამოდენიმე თემი ერთებოდა დი ისე უხვდებოდა სამშობლოს მტერს,¹⁰⁾ მაგრამ ეს შეერთებაც იგითევე შემთხვევითი ხასიათისა და ხანმოკლე იყო, როგორც თვით მტრის შემოსევა. ამიტომ, დადგებოდა თუ არა მშვიდობიანობა, თემებიც დაიშლებოდენ და განკერძოებით იწყებდენ ცხოვრებას, ანდა ერთმანეთს სახლვრებისა და უფროსობის შესახებ დაუწყებდენ კინკლაობას; ზოგჯერ ამ კინკლაობას მტრის შემოსევის ღროსაც არ ივიწყებდენ.¹⁴⁾

ცხადია, ამგვარს პირობებში მყოფი ხალხი თავისთავად არც ისურვებდა და ვერც შესძლებდა საერთო ცირკულის შექმნას, ხანგრძლივ გაერთიანებას, თუ მას რაიმე გარეშე ძალა, გარედან მოქმედი ხანგრძლივი და ძლიერი გავლენა არ აძირდებდა განცალკევების სისუსტე ეგრძნო და შეერთების მნიშვნელობა შეეგნო. და აი, სწორეთ ამ შეგნების საფუძველი ჩაი-

⁹⁾ ტიბარენებზე აპოლონი როდოსელი (Ганъ, loc. cit. I, 44. შეად. 143), ხოლო ალბანელებზე—სტრაბონი (ibidem, стр. 68).

¹⁰⁾ Ганъ. Извѣстія... I, 67.

¹¹⁾ ibid. 41. 46. 83.

¹²⁾ ibid. 15. 65.

¹³⁾ Ганъ. Извѣстія... I, 21—22.

¹⁴⁾ ასე მოიქცნენ მოსინეკები. ibid. стр. 37—39.

ყარა მაშინ, როდესაც ყველა ქართველი თემები სპარსეთის ძლიერს მონარქიას დაუმორჩილეს და უცხო ტომთა ძლიერს მუხრუკში მოათავსეს.

როგორც ვიცით, დარიოზ ჰისტრიაპის მონარქია 20-ზე მეტ სასატრაპიდ (ოლქად) იყო დანაწილებული. თვითეულ ოლქს განაგებდა სატრაპი ანუ „მეფის-მოადგილე“, რომელიც უმეტესათ მეფის საგვარეულოდან ინიშნებოდა და რომლის ხელშიაც შეერთებული იყო როგორც სამოქალაქო ისე სამხედრო უფლება. როგორც მეფის მონათესავე, სატრაპი სრული მისი ნდობით იყო მთხოვდა და, როგორც სურდა, ისე განაგებდა, ან უკეთ რომ ვთქვათ ატევებდა და ავიწროებდა ქვეშევრდომებს, რომელნიც უიმისოდაც შეტათ მძიმე სარჯებითა და ბევრით იყვენ დატვირთულნი. მაგრამ ყველა ბეგარაზე უსასტიკესი და უმძიმესი იყო დიდალი სახელაწიფო ჭარის შენახვა, რომელიც მომეტებულ ნაწილათ დაქირავებული იყო. მართალია, სპარსეთი არ ერეოდა დაპყრობილ ხალხთა შინაურ ცხოვრებაში, ზოგჯერ მათ მამაპაპეულ წესებსა და გამგეობას უტოვებდა, მათს სარწმუნოებას არ ეხებოდა,—მაგრამ, მიუხედავად ამისა, პროვინციები მაინც სასტიკ გაჭირვებაში იყვენ, რადგან არავითარი კანონით განსაზღვრული წეს-რიგი არ იფარავდა მათ სატრაპებისა ან მათი აგენტების თვით-ნებობისაგან, ხოლო უზომო გადასახადები და ბეგარა სულსა ჰედიდა და აღატაკებდა დამონებულ ერებს.¹⁵⁾

აი ასეთი იყო ის სახელმწიფო, რომლის მძიმე ულელიც კისერზედ დაედგა ჩვენს ხალხს მე-VI საუკუნეში ქრ. დაბადებამდე. ლენორმანის რუქით ივერიელები, ალანები და კარჯუქები დარიოზის იმპერიის მე-XVIII სასატრაპოს შეადგენდენ, ხოლო ჰეროდოტის მოწმობით ამავე სასატრაპოს ეკუთვნოდენ, აგრეთვე: ალართდიანნი, მატიენები და სასპირები.¹⁶⁾ რაც შე-

¹⁵⁾ Веберъ. Всеобщая История. т. I, стр. 159—160. Москва. 1862 года.

¹⁶⁾ Ганъ. Извѣстія... I, стр. 15.

ეხება მოსხებს, ტიბარენებს, მაკრონებს, მოსინეკებსა და მარებს—ესენი, იმავე ისტორიკოსის მოწმობით, მე-XIX სა-სატრაპოში შედიოდენ და, ვგონებთ, ამავე ოლქის ნაწილი უნდა ყოფილიყო კოლხიდა და სეანეთიც, თუმცა ჰეროდო-ტი გვარწმუნებს, ვითომც კოლხებსა და მათ მეზობლებს მხო-ლოდ საკუთარი სურვილით გადაეწყვიტოსთ სპარსელებისა-თვის საჩუქრების მირთმევა. ეს ორი სასატრაპო ყოველწლიუ-რათ სპარსეთის სასარგებლოთ იხდიდა 500 ტალანტს ანუ ქანქარს, ხოლო კოლხები და მათი მთიელი მეზობლები (ალ-ბათ სოანები იგულისხმებიან), ამას გარდა, ხუთ წელში ერთ-ხელ სპარსეთის სასახლეში ძღვნად აგზავნიდენ 100-სს ჭაბუ-კსა და ამდენსავე გაუთხოვარ ქალს. თუ მხედველობაში მი-ვიღებთ იმ გარემოებას, რომ სპარსული ქანქარი ანუ ტალან-ტი ორ-ვგარი იყო, ოქროსი და ვერცხლისა, რომელთაგან უკანასკნელი 1512 მანეთს უდრიდა, ხოლო პირველი—ათ-ჯერ მეტათ ე. ი. 15,120 მანეთად ღირდა,¹⁷⁾ ადვილათ მი-ვხვდებით, თუ რამდენათ სამძიმო უნდა ყოფილიყო ყოველ-წლივ ამ დიდ-ძალი ხარკის, 500 ტალანტის, ე. ი. 7,560,000-ის ან, სულ მცირე, 756,000 მანეთის გადახდა მაშინდელი ქა-რთველებისათვის, რომელთაგან უფროს ერთი ნაწილი უბ-რალო მიწის მუშა და მეჯოგე იყო ე. ი. უფრო ნატურა-ლურ მეურნეობას მისდევდა, ვინემ ვაჭრობასა და მრეწვე-ლობას. ამას დავუმატოთ კოლხების სამარცხვინო ხარკი, სა-ტრაპებისა და მათი მოხელეების აღვირ-ახსნილი თვით-ნებობა, ადგილობრივ მრავალ-რიცხოვან სახელმწიფო ჯარის შენახვა —და მივიღებთ ქართველი ხალხის მაშინდელ პოლიტიკურ მდგომარეობის საზარელ სურათს. უეპველია, ასეთი გარეგა-ნი მდგომარეობა ხალხის შინაგან მსოფლიოზე, მის აზრებსა, გრძნობებსა და მისწრაფებაზედაც შესაფერს გავლენას იქო-ნიებდა, საკუთარ სისუსტეს დაანახვებდა, ამ სისუსტის მიზე-

¹⁷⁾ ნახ. ბროკვაუზისა და ეფრონის „Больш. Энциклоп. Словарь“—სიტუა „Талантъ“.

ზეზებზე დააფიქტებდა და მტარვალთადმი ზიზღასა და მტრობას დაუბადებდა, იმ ზიზღასა და მტრობას, რომელიც არის დედა ყოველ-გვარი პროტესტისა და განმათავისუფლებელ შორისობისა.

აი ასეთი უნდა ყოფილიყო ქართველი თემების პსიხოლოგია იმ დროს, როდესაც მაკედონის გმირმა ბერძენთა ძლევა-მოსილი მახვილი მცირე აზიაში გადმოიტანა, შემდეგ შეუა აზიას მიმართა და სპარსეთის ქედ-მალური ძლიერება მიწასთან გაასწორა. ყოველივე ქს მოხდა 333 და 330 წლებ შორის ქრ. დაბადებამდე.¹⁸⁾

ახლა ვიკითხოთ: ნუ თუ ამ უკანასკნელი ფაქტის შემდეგ ზემოთ აღნიშნული გაჭირვებული მდგომარეობა და სულის კვეთება ჩვენი ერისა სრულიად საკმაო არ უნდა ყოფილიყო, რათა უცხოთა ბატონობით ზიზღ-მორეულ ქართველ ხალხს დამოუკიდებლობის მოსაპოებლათ მახვილი ხელთ აეღო, მაკედონელთა ძლევა-მოსილ ლაშქრობით დამტრითხალი სპარსული გარნიზონები თავისი ქვეყნიდან განედევნა და თავის თავი დამოუკიდებელად გამოეცხადებია? ჩვენ გვვინია და ღრმათ დარწმუნებულიცა ვართ, რომ ამ კითხვაზე მხოლოდ დადებითი პასუხის მიცემა შეიძლება, სახელდობრ ჩვენ გვჯერა, რომ მაკედონელი გმირის პირდაპირი ჩარევა ან დახმარება ქართველებისათვის ამ შემთხვევაში სრულიად საჭირო არ უნდა ყოფილიყო.

მაგრამ ვინ არ იცის, რომ ის, რაც ლოლიკისთვის და თეორეტიული რწმენისთვის სავალდებულო არ არის, პრაქტიკულ ცხოვრებაში და განსაკუთრებით რთულ საერთაშორისო დამოკიდებულებათა სფერაში ხშირათ ჩვენი ლოლიკის დაუკითხავთ, სრულის აუცილებლობით მოხდება ხოლმე; მდაბიურათ რომ ვთქვათ, შესაძლებელია მას შემდეგ, რაც მაკედონელთა მხედრობამ სპარსეთის მონარქია დაამხო, ქართველ ხალხს დამოუკიდებლობის მოსაპოებლათ სრულები-

¹⁸⁾ Веберъ. Всеобщая История. т. I, стр. 369—372.

თაც არ დასკირვებოდეს მაკედონელთა დახმარება, მაგრამ ისიც ხომ არა ნაკლებ ადვილი წარმოსაღვენია, რომ აღმოსავლეთისაკენ გალაშქრების ან უკან გამობრუნების დროს აღექსანდრე მაკედონელს ჩვენს კავკასიაზედაც გადმოევლოს და, იმისდა მიუხედავათ -- საკირო იყო თუ არა ქართველებისათვის მისი დახმარება, მათს ქვეყანაში უუმაღლესი გამგე დაენიშნოს. მაშასადამე არ კმარა მარტო ლოლიკურ და თეორეტიულ დასკვნას დავემყაროთ, არამედ საკიროა იმ თქმულებათა ისტორიული სინამდვილეც შევამოწმოთ, რომელნიც აღექსანდრე მაკედონელს ჩვენი კავკასიის და კერძოთ შიდა-ქართლის დაპყრობას მიაწერს.

აღექსანდრე მაკედონელის ცხოვრებიდან ჩვენ გვაქვს შემდეგი მტკიცეთ დადგნილი ფაქტები.

აღექსანდრე ავიდა ტახტზე 336 წელს და გარდაიცვალა 323 წელს. ამ მოკლე ხნის განმავლობაში მან მოასწრო თითქმის მთელი მცირე აზიის, აფრიკისა და წინა-აზიის დაპყრობა. მცირე აზიაში აღექსანდრე მაკედონელს ყველაზე უმაღლილესი, პამფილელნი და კარიელები დაემორჩილენ. შემდეგ აღექსანდრემ გადაიარა კილიკის მაღლობები, დაიპყრო კილიკია და მისი დედა-ქალაქი ტარსი. აქ, მდინარე ისტს ნაპირებზე, მას პირველათ შეებრძოლა სპარსეთის მეფე დარიაზ III კოდრინი (333 წ.), რომელიც სასტიკათ დამარცხდა და სამარცხვინოთ გაიკიცა სპარსეთისკენ. ამას შემდეგ რაღაც ერთი წლის განმავლობაში, აღექსანდრემ დაიპყრო ფინიკია, პალესტინა და ეგვიპტე, სადაც მდ. ნილოსის ერთ-ერთ ჩასართავის პირად საფუძველი ჩაუყარა ახალს საზღვაო ქალაქს აღექსანდრიას, რომელიც, მისი დამფუძნებელის აზრით, ერთა-შორის სააღებმიცემო მიმოსვლათა ცენტრად და განათლების ახალ კერად უნდა გამხდარიყო. აღექსანდრემ მალე განაკარგულა ეგვიპტის საქმეები და 331 წელს, გამრავლებული მხედრობით, კვლავ დარიოზ კოდომანს მიმართა. მოხერხებულათ გავიდა ეფრატსა და ტიგრში, 24 სექტემბერს პირველათ შეებრძოლა დაროზ კოდომანის ჯარს, ხოლო იმავე

თვის დამლევს და ოქტომბრის დამდეგს სასტიკათ დაამარცხა იგი და გააქცია. შემდეგს წელში (330) ბედრული შაპი მისმავე სატრაპია ბესომ მოჰკულა. 333 წლის სეკტემბრიდან 329 წლის აპრილამდე ალექსანდრემ თითქმის უომრად მოიარა არა (ჰერატის სახანო), დრანგიანა (ავღანისტანის დასავლეთი) და არახოზია (ავღანისტანის აღმოსავლეთი). შემდეგ დაბრუნდა ბაქტრიანაში, სადაც დარიოზის მკვლელ სატრაპს ბესოს მეფედ გამოემცხადებია თავი. „ეტლანდელ ქაბულისტანიდან ალექსანდრემ საშინელის გაქირვებით გადაიარა ინდოედ კავკასიის (ჰინდუ-კუშის) მთები, მივიდა ბაქტრიაში (ბალკი), გავიდა ოქსუსზე (ამუ-დარია) და მივიდა სოფლიანაში (ბუხარა)¹⁹⁾. ბესოს უღალატეს და ალექსანდრეს გადასცეს, რომელმაც იგი სიკვდილით დასაჯა. შემდეგი წლები 326 წლის აგვისტომდე ალექსანდრემ ინდოეთისაკენ გალაშერებას მოაწყომა. აგვისტოში კი ბელუჯისტანის გზით ისევ სპარსეთს მოუბრუნდა, მაგრამ უზომო მოქანულობისა და ცუდი ჰავის გამო იგი უეცრათ ავად გახდა და 323 წლის 19 აგვისტოს, თვის საყვარელ ბაბილონში, სადაც სატახტო ქალაქის გამართვას აპირობდა, სამუდამოთ დახუჭა თვალი.¹⁹⁾

ასეთია ისტორიულ-მეცნიერულათ დადგენილი ცნობები ალექსანდრე მაკედონელის შესახებ. როგორც ვხედავთ, აქ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი იმაზე, ვითომც ალექსანდრეს შავ-ზღვასა და კასპის-ზღვას შუა მდებარე მიწები გადაელახოს ან დაეპყროს. მან განვლო „კავკასიის“ ქედები, მაგრამ ეს „კავკასიი“ ჩვენი კავკასია არ არის, არამედ შუაზიაში მდებარე ჰინდუ-კუშის მთები ანუ, ეგრეთ წოდებული, ინდოეთის კავკასია. ალექსანდრეს ცხოვრების აღმწერი არჩანი მოვითხოვთ, რომ მაკედონელმა გმირმა ის კავკასი გადავლო, საიდამაც იქსუსი და იაქსარტი, ე. ი. სირ-დარია და ამუ-

¹⁹⁾ ალექსანდრე მ—ის შესახებ ცნობები ამოკრებილი გვაქვს გ. ვე-ბერის ზემოთ დასახელებული წიგნიდან (ტ. I, გვ. 363—377) და შარლ-ნორმანის „საბერძნეთის ძეველი ისტორიიდან“ (ვ. ლორთქიფანიძის თარგ-მანი. გვ. 381—397).

დარია გამომდინარებსო. ცხადია, აქ ჩვენს კავკასზე არაა
ლაპარაკი, არამედ ინდუ-კუშის მთებზე, საიდანაც მართლაც
აღნიშნული ორი მდინარე გამოდის.²⁰⁾

რაც შეეხება იმ ცნობას, ვითომც ალექსანდრე-მაკე-
ლონელს ჩვენი კავკასია დაეპყროს, ამ ნაგვიანევი თქმულების
შექმნაში დიდი ღვაწლი მიუძლვის ცნობილს რომაელ გეო-
გრაფს სტრაბონს (66 ქრ. წინ და 24 წ. ქრ. შემდეგ), რო-
მელმაც თვისი უკიდურესი სკეპტიკიზმის წყალობით ნიადაგი
მოუმზადა აღნიშნული თქმულების წარმოშობას. სახელდობრ
მან პირველმა კრიტიკულათ შეხედა მის დრომდე არსებულ
ცნობებს იმის შესახებ, რომ ალექსანდრე მაკედონელმა ინდო-
ეთის კავკასი გადაიარა, და კათეგორიულათ, თუმცა უსა-
ბუთოთ კი, დაიწყო მტკიცება, ვითომც ძველ ისტორიკოსებს
მხოლოდ ალექსანდრეს სახელის გასაღილებლათ გადაეტანოსთ
შავია და კასპის ზღვებ შორის მდებარე კავკასის სახელი
ინდოეთის კავკასზე. „ალექსანდრესთვის უფრო სასახელო იყო
აზია ინდოეთის მთებამდე დაეპყრო, ვინემ შავიზღვის გვერდით
მდებარე კავკასამდეო...“, — და ამის გამო „მეფის პირ-საფეროდ
მწერლებმა ამ მთების სახელწოდება ინდოეთში გადაიტა-
ნესო“.²¹⁾ ამას შემდეგ დიდ ხან აღარ გაუვლია, რომ პლინი-
უსმა (29—79 წ. ქრ. შემდეგ) პირდაპირ დაიწყო მტკიცება,
ვითომც მაკედონელ მხედრობას „მთელი ქვეყანა“ დაეპყროს,
სხვათა შორის „აზია, არმენია, ივერია, ალანია, თავრი და
კავკასი“ და ვითომც, როცა ალექსანდრე ინდოეთისაკენ
გამგზავრებულა, ივერიის შეფექს მისთვის საჩუქრად მიერთმიოს
ისეთი ზორბა-ტანის ძალლი, რომელიც „ლომებსაც კი სწრაფად
აღრჩობდა“ და სპილოს ისე ღონივრად დასცემდა ხოლმე,
რომ, „მიწა ზანზარს იწყებდაო“.²²⁾ ესევე ზღაპარი გაიმეორა

20) ამაზე ნახეთ ალ. ხახანაშვილის „Очерки по истории грузинск. словесности“. выш. II, стр. 136, შენიშვნა, სადაც ნაჩვენებია ფრანც შარცის გამოკვლევის დასკვნა ამავე საგნის შესახებ.

21) Ганъ. Извѣстія... I, стр. 74—75.

22) ibidem, стр. 102, 111.

წერილები საქართველოს ისტორიადან

მე-IV საუკუნის დამდეგს (ქრ. შემდეგ) იულიუს სოლინუსმაც, მხოლოდ ივერიის მეფის ნაცვლად „ალბანიის“ მეფე მოისხენა.²²⁾

ამას შემდეგ სრულიად გასაკვირალი არ არის ის თქმულება, რომელსაც ამავე საგნის შესახებ ქართულ წყაროებში ვკითხულობთ. აი ეს თქმულება, რა სახითაც მას „ქართლის მოქცევა“ გადმოგვცემს:

„პირველ, ოდეს ალექსანდრე მეფემან ნათესავნი იგი ლოთის შვილთანი წარიქცინა და შეხადნა იგინი კედარსა მას ქვეყანასა, იხილნა ნათესავნი სასტიკნ ბუნთურქნი, მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა მიხუევით ოთხ ქალაქად, და დაბნები მათი: სარკინე ქალაქი, კასპი, ურბნისი და ოძრახე, და ციხენი მათნი: ციხე-დიდი, სარკინისაც, უფლის-ციხე, კასპისა, ურბნისისა და ოძრახისა“.²³⁾ აქ ჩამოთვლილი გეოგრაფიული სახელ-წოდებანი გვიჩვენებს, რომ ქრონიკის ავტორს სახეში აქვს მთელი ეხლანდელი ზემო და შიდა-ქართლი, მაშასადამე მისი წარმოდგენით ალექსანდრე მაკელონელს ეს პროვინციები გაუვლია; ეს პროვინციები კი სწორეთ ის აღილებია, რომელთაც ბერძნ-რომაელი მწერლები „ივერიის“ სახელით იცნობდენ და რომელთ შესახებაც პლინიუსი და იულიოს სოლინუსი გადაჭრით ამ ბობენ, ვითომც სხვა მეზობელ ქვეყნებთან ერთად ალექსანდრე მაკელონელს ეს პროვინციებიც გაევლოს და დაეპყროს. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს თქმულება ნაგვიანევათ შეთხულია,—და სრულიად სამართლიან მსჯავრსა სდებს დიმიტრი ბაქრაძე, როდესაც ამ თქმულების შესახებ ამბობს: „თუ ამგვარი სიცრუე ყოფილა გავრცელებული საქართველოს გარეშე, არ უნდა იყოს გასაკვირალი ისიც, რომ თვით ჩვენს მატიანეში შემთუტანიათ იგი, როგორც ისტორიული ფქრით“.²⁴⁾ პეტერმარიტათ, აღნიშნული თქმულება წმინდა ისტორიული

22) განხ. ივნესტია... I, გვ. 179—180.

23) სამი ისტორ. ხრონიკა. გვ. 1—2.

24) დ. ბაქრაძე: ისტ. საქართველოსი. გვ. 77. ხაზ-გასმული ჩვენია.

სიცრუფეა, რომელიც, როგორცა სჩანს, ბერძენ და რომაელ მწერალთაგან სიტყვის „კავკასის“ არეულათ ხმარებისაგან წარმომდგარა, ჩვენის ფიქრით, არა უადრეს I-ელის საუკუნისა ქრ. დაბადებამდე.

ამგვარათ, ალექსანდრე-მაკედონელი შირადათ კავკასიაში არ ყოფილა; ცხადია იგი ვერც ივერიაში ანუ მესხეთ-ქართლში იქნებოდა. ამიტომ ჩვენი პირველ-წყაროებიდან სამუდამოთ უნდა გამოირიცხოს ის ადგილი, სადაც ნაამბობია, ვითომც ალექსანდრეს შირადათ ენასთ საქართველო, დაუშერეს იგი და მცხეთის მეფედ აზო ანუ აზონი დაეჭირებითს.

მაგრამ ის, რაც არ გაუკეთებია ალექსანდრეს, შეეძლოთ მის მხედართ—შთავრებს აესრულებიათ. და მართლაც ჩვენ საისტორიო მწერლობაში გვხვდება აზრი, რომ საქართველოში მაკედონელების გაბატონება ალექსანდრეს მხედართ-შთავართა საქმე უნდა ყოფილიყო.²⁵⁾ ჩვენც გვვინია, ამ აზრს საკმაო საფუძველი აქვს. ამიტომ საჭიროთ მიგვაჩნია, ამ საგანზედაც შევჩერდეთ ცოტაოდენ ხანს და მკითხველს ჩვენი მოსაზრებანი გავუზიაროთ.

როგორც ისტორიიდან ვიცით, ალექსანდრეს შემდეგ მისი ვრცელი მონარქია ოთხ უმთავრეს ნაწილათ დიყოც, რომელთაგან ყველაზე უფრცელესი ნაწილი,—სახელდობრ სირია, სასომხეთი, ბაბილონია, პართია და ბაქტრია,— მისსავე მხედართ-შთავარს სედეგგ-ნიკატორს ერგო, რომელმაც 312 წლიდან სირიაში მტკიცეთ მოიკიდა ფეხი და სელევკიდების დინასტია დააარსა. როგორც პლინიუსი გადმოგვცემს, იმპერატორის კლავდიუსის დრომდე დაცული ყოფილი გარდამოცემა, ვითომც სელევკ-ნიკატორს აზრად ჰქონებოდეს, კასპია და შავ ზღვას შეა შემაერთებელი არხი გაეჭრა, მაგრამ სიკვდილის გამო აღარ დასცალებოდეს.²⁶⁾ ცხადია, ამ ორ ზღვას შეა მდებარე მიწები სელევკოსის ხელში ყოფილა, თორემ უამისოდ ხომ ვერც ასეთს გაბედულ გეგმას

²⁵⁾ დ. ბაქრაძე. ისტ. საქართველოსი. გვ. 78.

²⁶⁾ განხ. Извѣстія... I, стр. 108.

Ցեալցենք. մացրամ հռուս շնճա դաքպիրո մաս յև վայսանա? առ զոյօյիրոծտ յև տայբո 312 թյուղ ալրց մոմեջարուցն. հագան, սանամ ալյեյսանդրյ լուսեալո ոյս (328-թլամլյ), սյուլյայուսուց մուժամ մաստան ոյս դա կյրհո յշիքըուոյենսատցուս առ լուսալո; եռլու հռուս ալյեյսանդրյ գաճակուալո, սյուլյայ-նոյաբուրո տացուս մոյնիշյեցետան ծհմուլամ հաստրուա դա, հա տյմա շնճա, մաս ալար թյուղլո գարուշ վայսանցենս դա-չյրոծանց զոյօյիրն. մեռլու 312 թյուղ գամահաջա ման տա-ցուս մոյնիշյեցենց դա թյոյնա ճամուսյուցեցելու մտյուղ ալմո-սացլութն.՝²⁷⁾ մանասացամյ սածուտո ցայցիլուց ճացասկցնատ, հռոմ մաս թյմլց, հաւ ալյեյսանդրյ մակըւոնելմա սկարսետուս ձլո-յրեց ճաամեռ (330 թ յի. ճածալցեամլյ), 312 թլամլյ յա-րտցըլո տյմեց ուակբուրատ տացուսուցալո շնճա ճարհիենուո-նցեն. մեռլու յրտ տյմից, սաելուոծի յարջյայինց թյցու-մուս ճաճակընուտ վստյատ, հռոմ ոցո, տյ մտլատ առա, տացուս սամերյտուս նաթուլմո մանը 330 թլուան սկցը ալյեյսանդրյ մոնարքյան շնճա մուկուլուց, հագան մուս սանցարո սամ-երյտուտ յուրտուսիւնուս մտամլյ ալիշըլա, եռլու ճասացլութուտ տուտյմուս մլ. բոցրուսամլյ. մանասացամյ, 312 թյուղ, հռու-սաւ սյուլյայու-նոյաբուրո ալմուսացլութուս սրուլու մէհմանեց-լու թյոյնա, յարդույյեց վայսանաւ մուս եյլշո շնճա ճաճասու-լուցն. մացրամ, հա տյմա շնճա, ձլուրո սյուլյայուու մարտը ամ նացլույտ ցեր ճակմապուուուլցեծուց; հռուրու սկրաբյ-ցուլուս, ույ սաալցեմուցմո մուսանցեցուտ ոցո ճասույնեցլուց թյուլցընուց իրուուլութուսայցն տացուս սամցլուցելուս ցանցի-ցունաս թացսա դա յասկու նկազ թյու յացյասունուս յեցամլյ. դա առ, իցըն ցեցացտ, հռոմ սույցուունուս թին (282 թլուս մաս-լունուուտ յի. ճածալցեամլյ) ոցո սկցը ցացմաս ճացին—յասկու նկազ թաց նկազ արեւու թյուրտուս դա ամուտ պատրակուրո անու դա ցուրու յուրտմանցտ ցաճաճակցուս.

տյմուլուս թյմլց, ցցունեցտ, նաալրյա առ ոյնեց յա-րտլուս մոյւցուսուս պնունաս անու ճացլցն մասանց ամցարո

²⁷⁾ Վեբեր. Վեսօպ. Աշուայ. I, ստր. 380. 391.

განმარტება მივსცეთ: როდესაც ალექსანდრე მაკედონელმა სპარსეთის ძლიერება შემუსრა (330 წ.), ერთი ქართველი თემის, სახელდობრ კარდუქების მიწა-წყალი, რომელიც ალექსანდრეს სალაშქრო გზის მახლობლათ მდებარეობდა, სასომხეთთან ერთათ, მაკედონელთა მფლობელობაში გადავიდა, დანარჩენი თემები კი ფაქტიურათ დამოუკიდებელნი გახდენ. მაგრამ, როდესაც ალექსანდრეს მონარქიის ნანგრევებზე 312 წელს სელევკიდებმა სირიასა და ბაბილონში ძლიერი სამეფო დაარსეს, პირველი სელევკიდი, სელევკ-ნიკატორი, შეუდგა დანარჩენ ქართველ თემების შემოერთებასაც. მან თან იახლა კარდუქების (= „ქართუ“-ების ანუ „ქორთუ“-ების) „მეფე“-მამასახლისის არანის შვილი აზო, გადაიარა არაქსი, შეესია იმ ადგილებს, რომელსაც დღეს ქართლ-კახეთს ვეძახით, ძველი ასირიელები კი „მუსკების“ ანუ შესხების ქვეყანას ეძახოდენ და რომელიც თვით ქართლის-მოქცავაში „მცხეთად“ არის წოდებული; აქ მან დაიპყრო ყველა სიმაგრეები, შემდეგ გადავიდა კოლხიდაში, შემოიერთა იგიც და ყველა ამ პროვინციების უზენაესი გამგეობა ჩააბარა აზოს, რომელსაც საცხოვრებელ ცენტრად „მცხეთის“ პროვინცია დაუნიშნა. ამ რიგათ აზო შეიქნა პირველი „მეუფე“ (= „მეფე“) დანარჩენი სათემო „მამასახლისებისა“. იგია ჩვენი პირველი ნაციონალური მონარქი მას შემდეგ, რაც ჩვენი ხალხის პოლიტიკური ცხოვრების ცენტრი სამხრეთიდან ჩრდილოეთში გადმოვიდა.

ასე გვესმის ჩვენ „ქართლის-მოქცევის“ ის სიტყვები, რომელნიც ამ წერილის თავში ამოვწერეთ. და ჩვენს ასეთს განმარტებას შემდეგს საბუთებზე ვამყარებთ:

1) ალექსმნდრე მაკედონელი, როგორც ისტორიული წყაროების კრიტიკული შესწავლა გვიჩვენებს, პირადათ ჩვენს ჩრდილო პროვინციებში არ ყოფილა. მაგრამ ძნელი დასაჯერებელია მის ძლევა-მოსილ ლაშქარს ის ქართველი თემი დაუპყრობელი დაეტოვებიოს, რომლის მიწა-წყალიც თითქმის ტიგროსამდე აღწევდა. ეს თემია—კარდუქი.

2) 312 წლამდე სელევკ-ნიკატორს არ ეცალა თავისი სამეცნიერო სისტემის ქედამდე განევრუო; ამ წლიდან კი მისმა პოლიტიკურმა ძლიერებამ იმ ზომამდე მიაღწია, რომ არ შეეძლო ეს გეგმა სისრულეში არ მოეყვანა; მხოლოდ პოლიტიკური სიბრძნე მოითხოვდა ახლად შემოსავერთებელ ქართველ თემთა უუმაღლეს გამგედ ისეთი ვინჩე აერჩია, ვინც მათთან ენითა და ზნე-ჩვეულებით იყო დაახლოვებული. მაგრამ საამისოთ კარდუქების მამასახლისის შვილზე უფრო გამოსადეგს ვის-ლა აირჩევდა; მით უმეტეს, რომ ეს პირი იმავე დროს ქართველ თემების დაპყრობაშიაც გაუწევდა მას ხელმძღვანელობას.*)

3) რომ ეს პირი, „ქართლის-მოქცევაში“ აზოთ-არანის-ძე წოდებული, „ქარდუ“-ელა, — ამის საბუთს გვაძლევს, როგორც თვით სიტყვის „ქართუელის“ ეტიმოლოგია, ისე ქრონიკაში დაცულ გარდამოცემის ზოგიერთი ხარაქტერული ადგილები. რომ სიტყვა „კარდუ“ იგივე „ქართუ“ და მეგრული „ქორთუ“ — ა („ქორთუ“ — ს მეგრულით ქართველს ეძახიან), ეს ჩვენ ზემოთაც შევნიშენ; „კარდუ — ქი“ იგივეა რაც „ქართუ — ეთი“ (როგორც მაგალ. თრიალეთს სომხურ წყაროებში უდრის სიტყვა „თრელ — ქი“, ბეჭარ ეთს — „გუგარ-ქი“, ჯავახეთს — „ჯავახ-ქი“ და სხვ.) ე. ი. თანამედროვე გამოთქმით — „ქართ-ლი“; მაშასადმე კთიმოდაგიურათ სრული უფლება გვაქს ქ. მოქცევის სიტყვები: „აზო

*) კავკასიონის ქედის ძირში ძლიერი მონარქიის დაარსებას სელევკიდების პირდაპირი ინტერესი მოითხოვდა: კავკასიის ჩრდილოეთით უხსოვარის დროიდნ აუარებელი ეული ხალხი ცხოვრობდა, რომელიც ძლიერ საშიში მტრები იყვნენ განებივრებულ შუა-მდინარელებისათვის; საჭირო იყო სელევკიდების სამეფოს ამ მხრიდან ზურგი გამაგრებული პქნოდა. მოვიგონოთ თუნდ ის შესევა, რომელიც კავკასიის ჩრდილოეთით მცხოვრება სკვითებმა მოახინეს მიღიაში კიაქსარის მეფობის დროს (633—593 წ.) ნახ. ამაზე ვხევრუ. ვხიით. ისტ. I, ცტ. 149. ამ სკვითებმა 28 წლის განმავლობაში იბატონეს და ითარეშეს სირიასა და ეგვიპტემდე. მსგავსივე ამბავი მოსალოდნელი იყო სელევკიდების დროსაც.



ძე არან ქართლისა მეფისა“ ასე გადავაკეთოთ: „აზო ძე პორტ
ქარდუ-ქისა მეფისა“.

4) მაგრამ, როგორც ვთქვით, ეთიმოლოგიურ მოსაზრებას ზედ ერთეის თვით გარდამოცემის ზოგიერთი ხარაქეტერული აღგილებიც. მაგალითად, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ქრონიკის იმ აღგილის პირველ-დამწერი, რომელიც ჩვენს საგანს შეეხება, თვითონაც იმ რაიონში ცხოვრობს, სადაც მის დროს „კასპი, ურბნისი და ოძრახე“ იმყოფებოდა ანუ სადაც იყო პროვინცია „მცხეთა“, რაიგან ამ აღგილების შესახებ იგი ამბობს: „შემდგომად რომელისამე უამისა მოვიდა ალექსანდრე მეფე ყოვლისა ქვეყნისათ, და დალეწნა სამნი ესე ქალაქნი (ე. ი. კასპი, ურბნისი და ოძრახე)“;²²⁾ მაგრამ როდესაც „არან ქართლის მეფეზე“ იწყებს დაპარაკს, იქ კი ამბობს: „ხოლო ესე აზო (რომელიც ალექსანდრეს თანა ჰყვანდა „მცხეთის“ პროვინციაში) წარვიდა არან ქართლად მიმისა თვისისა და წარმოდევგანა რვათ სახლი და ათნი სახლი მამამძურეთანი და დაჯდა ძუელ მცხეთას“.²⁰⁾ ცხადია, ის „ქართლი“, რომელზედაც ამ უკანასკნელ ნაწყვეტშია ლაპარიკი, იმ რაიონში არ უნდა ყოფილიყო, სადაც თვით მწერალი იმყოფებოდა ან სადაც მისივე სიტყვით მდებარეობს ქალაქი ურბნისი, კასპი და ოძრახე, ე. ი. ეს არ არის არც ქვემო და არც ზემო აწინდელი ქართლი. მაშ რომელი ქვეყანაა იგი? ჩვენ ღრმათ დარწმუნებული ვართ, რომ ეს არის „კარდუ-ქი“=„ქართუ-ეთი“ ანუ ჩვენი ძველი სამშობლო „ორეთის“ მთის ძირის, „რომელ არს ქურთთა ქვეყანასა“, კასპის ზღვის სიმხრეთ-დასავლეთით და ტიგროსის აღმოსავლეთით.

5) რომ ის „მცხეთა“ რომელიც ქრონიკის სიტყვით ალექსანდრემ აზოს „მიუბოძა საჯდომად“, არის მთელი პროგნოზია და არა ქალაქი მცხეთა, ეს სჩანს თვით იმავე ქრონიკიდან, რომელიც 16-სტრიქონის ქვემოლ გადაჭრით ამბობს,

²²⁾ სამი ისტ. ხრონიკა. გვ. 3.

²⁹⁾ იქვე გვ. 4.

რომ მცხეთის „ქალაქის“ შენება მე-8 მეტის ბრატეანის დროს დაიწყო და მირვან II-ის დროს დასრულდა;³⁰⁾ აპასთანვე ძველი რომაელი მწერლები, როცა ივერიის ქალაქებს ჩამოთვლიან, არმაზ-ქალაქსა და სევსამორას (=წიწამურას) იხსენიებენ, თანაც დასძენენ რომ ეს ქალაქები ერთი მტკვარზედ ძევს, მეორე—არაგვზე და ორივე მიუდგომელ კლდეებშია გამაგრებულიო, მაგრამ „მცხეთაზე“ კი ერთ სიტყვასაც არ ამბობენ. ასე იქცევა, მაგალით. სტრაბონი (66 წ. ქ. წინ და 24 ქ. შემდეგ)³¹⁾ და კლავდიუს პტოლომეი (120—170 წ. ქ. შემდეგ)³²⁾. როგორც სხანს, ჩვენი ქრონიკის შემდგენელს ხელთ ჰქონებია კარგი ძველი წყარო, მაგრამ მისს მგრძნობიარე და მცხეთის-მოყვარულ გულს ვერ შეუგუებია ის უცნაური ცნობა, თითქოს მცხეთა ხნოვანებით სხვა ქალაქებზე უმცროსი ყოფილიყოს,—და ალბათ ამით უნდა აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ სიტყვას „მცხეთას“ ერთს აღავს იგი წინიდან ეპიტეტს „ძველ“. ს უმატებს („ძველ მცხეთა“)³³⁾, ალბათ, ამითი სურს, მკითხველს უთხარს: მართალია ის ახალი „მცხეთა, რომელსაც მე და შენ ვიცნობთ, შემდეგშია აშენებული, მაგრამ მის მიღამოებში (სად?!). წინეთ კიდევ მეორე (ან უკეთ პირველი) „ძველი მცხეთა“ იმყოფებოდა, ასე რომ ნუ გგონია ეს ჩვენი „ქრისტიანული“ მცხეთა ხნოვნობით იმ „წარმართულ“ არქაზს ჩამოუვარდებოდეს, რომელიც ფარნავაზ-მეფებ და მისმა მემკვიდრეებმა ააშენესო. ყოველ ეჭვს გარეშე, რომ იმ დროს, როდესაც აზოს ეხლანდელ მცხეთის არემარები ფეხი შემოუდგამს, იქ არავითარი ქალაქი-მცხეთა

³⁰⁾ სამი ისტ. ხრონიკა. გვ. 8. შეად. Н. Марръ. Боги языч. Грузин по древне-груз. источникамъ. Спб. 1901 г. стр. 24, примѣчаніе—1-ое.

³¹⁾ განъ. Извѣстія... I, стр. 68

³²⁾ ibidem стр. 169. მცხეთის აშენებაზე ჩვენ თვის დროზე გვექნება საუბარი. იქვე გავარჩევთ ჩვენი ქრონიკის თქმულებასაც ამავე საგნის შესახებ.

³³⁾ სამი ისტ. ხრონიკა. გვ. 4, სტრიქონი—8. შესაძლოა ეს დამატება ქრონიკის შემდგნელს კი არა, გადამწერს ეკუთნოდეს.



არ უნდა ყოფილიყო; ასე რომ სიტყვა „მცხეთა“ აქ უნდა გავიგოთ როგორც პროვინცია და არა როგორც ქალაქი. ხოლო რომ ამ პროვინციას შეეძლო ეს სახელი რქმეოდა, ამას ჩვენ გვიმტკიცებს თვით სიტყვის „მცხეთა“-ს ეტიმოლო- გიური ანალიზი და ძველი ასურული ნომენკლატურა ჩვენი პროვინციებისა. ჩვენ გვაქვს ორი სიტყვა: სამცხე და მცხეთა, რომელნიც ერთისა და იმავე ძირისანი არიან და ერთისა და იმავ აზრს გამოხატავენ. პირველი სიტყვა: „სა-მცხე-ე“ არის ჩეარა გამოთქმასა და ხშირ ხმარებაში ფონეტიკურათ შემოკლებული „სა—მცხე—ე“ ესე იგი მესხების სამყოფი ანუ სამფლობელო („სხ“ ქართულ ენაში ხშირად გადაკეთ- დება ხოლმე „ტხ“—დ; მაგალითად მთიულები ნაცვლად სიტყვისა „სხეა“ ამბობენ „ტხო“, აქედანვე უნდა წარმომდგა- რიყო ქართული სიტყვა „უ—ცხო“—შედარებითი ხარის- ხია სიტყვისაგან „ცხო“=„სხეა“). სწორეთ ასევე სიტყვა „მცხეთა“ უნდა წარმომდგარიყოს „მესხის“ მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვისაგან: „მესხ-თა“, სწორეთ ისე, როგორც მოკვების საცხოვრებელ აღაგს ქალაქ მცხეთაში მაგიზების გაძლიერების დროს „მოგვ-თა“ დარქმევია;³⁴⁾ მხო- ლოდ სიტყვა „მესხია“-ში, როგორც სიტყვა — „სამრეცხე“-ში თანხმოვანთა ჯგუფი „სხთ“ ფონეტიკურათ „ცხ-თ“-ად შეცვლილა (= „მე-ცხთა“) და გამოთქმის გასაადგილებლათ „ხ“-ანსა და „თ“-ანს შეა „ე“-ნი ჩამატებია, ე. ი. სიტყვა: „მეცხთა“ — „მეცხეთა“-დ გადაკეთებულა, სწორეთ ისი რო- გორც სიტყვის „მოგვთა“-ს უუძველესი ფორმა „მოგვეთა“-³⁵⁾ ე. ი. „ვ“-სა (= „უ“) და „თ“-ანს შეა „ე“-ნი აქვს ჩამატე- ბული უკანასკნელ, ხშირათ ხმარებისა გამო სიტყვა „მეცხ- თა“-შიაც პირველი „ე“-ნი დაკარგულა და დარჩენილა ეხლან- დელი სიტყვა „მცხეთა“, რომელიც იმ დროს აღნიშნავდა

³⁴⁾ შეად. „სამი ისტ. ხრონიკა“ გვ. 27 და „ქ.-ცხოვრება“ I, გვ. 48: „ადგილსა მას, რომელსა აწ ჰქვიან მოგვთა“.

³⁵⁾ სამი ისტ. ხრონიკა, გვ. 27: „მოგენი მოგუეთას მოგობდეს ცეცხლისა მსახურებასა ზედა“.

„მესხთა“ (=მესხების) ქვეყანას, საერთო მიწა-წყალს ანუ სამფლობელოს. შემდევში კი ესევე სახელი საუთრაო იმავე პროვინციის ქალაქს დარჩენია.*) ჩვენს ნარკვევს საესებით ეთანხმება ძველი ასურული სახელწოდებანიც ჩვენი პროვინციებისა ანუ თემებისა. ამ ნომენკლატურით მე-VII საუკუნეში ქრ. წინ ზავი ზღვის სა-მხრეთით მცხოვრებ თემს რქმევია თაბალი (ბერძნ მწერალთა „ტიბარ-ნი“), კოროხის ხეობაში მ ხოვრებლებს— მასნავი (იგივე ბერძნთა „მოსინეკი“), ხოლო ეხლანდელ ქართლ-სა და კახეთში მცხოვრებთ— „მესე ი“ (ანუ იგივე „მესეი“).³⁶⁾ ამ ცნობას ვერ არღვევს ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი ცნობა „ივერიელების“ შესახებ, რადგან ამ სიტყვას არც ძველი ბერძნის მწერლები იცნობენ, ასე რომ სიტყვა „ივერია“ პირველათ შემოდის ხმარებაში არა უაღრეს I-ელი საუკუნისა ქრ. წინ, რადგან რომაელებმა მხოლოდ ამ საუკუნეში გაიცვეს ივერია და აღბანია. და პირველის სახელი აღბათ სომხებისაგან შეითვისეს („ვირ-ქ“-ს სომხები საქართველოს და კერძოთ ქართლ-კახეთს ეძახიან).—ყოველ ეჭვს გარეშე, რომ მთელს იმ მხარეს, რომელიც არსიანის მთასა, ბორჯომის ხეობასა და ალაზანს შეა მდებარეობს, უუძველეს დროში

*) საყურადღებოა, რომ მთელს ამ პროვინციას ჩვენი მატიანეც შცხოთისის სამფლობელოდ სთვლის („ქ.-ცხოვრ.“ I, გვ. 22). ყველამ ვიცით, თუ რას ნიშნავს და როგორ უნდა წარმომდგარიყო ხალხურ ზეპირ-გარდამოცუმე. ში სიტყვა „მცხეთოსი“; სამართლიანად შენიშნავს ვივინ დე-სენ-მარტინი, რომ ეს სიტყვა მომასწავებელია ექონგრაფიული უფრისი ანუ ფრინფორის ნაწილისათ.—ხოლო რაც შეეხება თვით სიტყვის „მცხეთ“-ის წარმოებას, ესევე მეცნიერი გადაჭრით გვეუბნება, რომ აღნიშნული სიტყვა წარმომდგარია ძირისაგან „მცხ“ ანუ ბიბლიის „მსხ“-ისა და სატერიტორიო დაბოლოებისაგან— „ეთ“; თანაც დასძენს, რომ იმ დროს, რომელსაც ბიბლიაში მოხსენებული ეთნოლოგიური საბუთი („მოსოხ“ ანუ „მესეხ“) კუთვნის, სახელი „მცხეთი“ მტკვრის ბასენის უმეტეს ნაწილს ნიშნავდათ (თითქმის თფილის-მცხეთამდეო).—იხ. Vivien de S-t Martin—Recherches sur les populations du Caucase (ნახ. ალ. ჭყალინა— „ისტორიული ნარკვევი“. ტფილისი. 1890 წ. გვ. 98—100).

³⁶⁾ დ. ბაქრაძეს ეს ცნობა ამოულია მასპეროსა და ლენორმანის ატლასებიდან („ისტ. საქართველოსი“ გვ. 17).



„მესხთა“ ქვეყანა ანუ „მცხეთა“ რქმევია; ამ სახელიდამ ჩვენამდე მოუღწევია მხოლოდ ქალაქისა („მცხეთის“) და აწევამაჰადიანებულ საქართველოს, ამ ჩვენი ქვეყნის ავანგარდის, ერთი პროვინციის სახელს — „სამცხე“-ს.

6) რომ აზოს ხელქვეშ შეერთებულა არა მარტო „მცხეთის“ პროვინცია (ე. ი. ქართლ-კახეთი), არამედ კოლხებიდაც, ამას თვითონ ქრონიკა ამტკიცებს, როცა ამბობს, ვითომც ალექსანდრე მაკედონელს აზოსათვის საზღვრად დაედოს სხვათა შორის „ეგრის წყალი“.³⁷⁾ თ. უორდანის განმარტებით „ეგრის — წყალი“ ეხლანდელი ენგურია,³⁸⁾ ცრადია, მაშასადამე, რომ აზოს დროს თუ მთელი კოლხებიდა არა, მისი უუდიდესი ნაწილი მაინც უნდა გადმოსულიყო „კარდუ-ელ“ მეფის ხელში. ამ ცნობას „ქართლის-ცხოვრებაც“ ეთანხმება, თანაც დასძენს, რომ „აზონის“ (= „აზო“) სამფლობელო დასავლეთით „სპერის ზღვამდე“ ანუ შავ-ზღვამდე უწევდათ.³⁹⁾ თუ ეს ცნობა მართალია, შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ აზოს მონარქიაში სხვა თემებთან ერთათ, თუ მოსინკეცია, ქალიბები და ტიბარენები არა, მაკრონები, ტაოსელები და ისპირელები მაინც უსათუოდ უნდა შესულიყვენ. რაც შეეხება ამ ახალი სამეცნის აღმოსავლეთის საზღვარს, „ქართლის-მოქცევა“ იმას „ერთამდე“ ანუ რომაელ მწერალთა ალბანიამდე უჩვენებს. შესაძლებელია, მართლაც ეს ნახევრათ ეული „თემი“ (ალბანელები), რომელიც სტრაბონის მოწმობით ქრ. წინ პირველ საუკუნეშიაც კი 26 დამოუკიდებელ ჯგუფად იყო დაყოფილი, ახლათ დაარსებულ „ქართულ“ (= „კარდუ-ლი“) მონარქიაში შემადგენელ ნაწილად არ შესულიყოს, მაგრამ იმასვე ვერ ვიტვით „ალაროდიანებზე“, რომელთაც არაქსის ხეობა ეჭირათ და კულტურულ განვითარებით უკელა ქართველ თემებზე მაღლა იდგენ. მართალია, ქართლის-ცხოვრება გვარწმუნებს, ვითომც ახლად დაარსებული მონარქიის სამხრეთ-აღმოსავლეთის

37) სამი ისტ. ხრონიკა. გვ. 4.

38) „ქრონიკები“ I, გვ. 13—შენიშვნა.

39) ქ.-ცხოვრება I, გვ. 34.

საზღვარი „ბერლუჯის“ მდინარე ყოფილი ყოს; მაგრამ, ჩვენ გვ- გონია, მატიანი, იმ თქმულებაში უფრო იმ დროის გამოძხილი უნდა ისმოდეს, როდესაც ქართველი ოქსლ—მოდგმის საზღვრები სამხრეთით სომხებმა თანდათან შეავიწროვეს; იმ დროს კი, რომ- ელსაც ჩვენში მეფობის დასაწყისი ეკუთვნის, ქართველების მოსახლეობა გაცილებით უფრო შორს უნდა ყოფილიყო გავრცელებული. ამიტომ უფრო სარწმუნოდ „ქართლის— მოქცევის“ ცნობა მიგვაჩნია, რომელიც აზოს მონარქიის სა- მხრეთის საზღვრად „სომხითს“ უჩვენებს, ე. ი. როგორც ჩვენ გვვინია, არა ჩვენს პატარა სომხითს (=სომხების . გუგარქს“), არამედ დიდ სომხითს, სასომხეთს ანუ არმენიას, რომლის ჩრდილოეთის საზღვარი იმ დროს არავს ბევრით არ უნდა ყოფილიყო გადმოშორებული.*)

ამ რიგად: 312 წლის მახლობლად ქჩ. დაბადებამდე „მცხეთის“ პროვინციაში დაარსდა „კარილუ-ელთა“ (= „ჯარ-თვეელთა“) მონარქია, რომლის ჩრდილოეთის საზღვაოს შეა-დგენდა კავკასიონის ქედი, დასავლეთისას — შავი ზღვა ეგრის-წყალსა და ტრაპიზონამდე (სადაც მაკანები ცხოვრობდნენ), აღმოსავლეთისას მდ. ალაზანი და მტკვარი (ალაზანს ქვემოთ) კასპის ზღვამდე, ხოლო სამხრეთისას — მდ. არაქსი. ამ მონარ-

*) 328—150 წლებ შეა სახომხეთი ჯერ ალექსანდრე-მაკედონე-ლისა და მერე სელეუკიდების საგასსალო შეიქნა. იგინი ნიშავდნ აქ გამგებებს. ეს ხანა თვით მოსე ქორქენელის მოწმობით ისეთი არეული ხანა ჰოფილა სომხეთის ისტორიაში, რომ სომხის ისტორიკოსი პირდაპირ უარს აცხადებს მის შესახებ დაბეჯითებით სთქვას რამე (История Армении. Монс. Хоренского. Перев. Эмина. 1893 г. Москва, стр. 46.—შეადარეთ M. Saint-Martin. Mémoires hist. et géograph. sur l'Arménie. Paris. 1818. t. I, p. 286—288. 409).—სტრაბონის სიტყვით „არმენია თავდაპირველად პატარა იყო“, ასე რომ მისი გავრცელება დაიწყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც ანტიოქია დიდის მიერ იქ დაგდგნილმა მმართველებმა არტაქსიათა და ზარითადმა თავი გაითავისუფლეს და მეზობელ ერებს, სხვათა შორის ივერიელებსაც, მიწები ჩამოაცალეს. (Страбонъ. География. перев. Мищенко. Москва 1879 г. стр. 539). სენ-მარტენის ქრისტიანით არტაქსიას სომხეთში მეტობდა 189—159 წ. ქ. დაბადებამდე.

ჭიის მეფედ დაინიშნა აზო „კარდუ-ელი“, რომელსაც მფარ-
ველად და შემწედ ჰყავდა სურასტანის მეფე სელევკოს I
ნიკატორი (312—282 წ.).

ასეთია ზემოთ თქმულის მოკლე ჩრეზიუმები. როგორც
„ქართლის შოქცევა“, ისე „ქართლის-ცხოვრება“ გვარწმუნებს, ვი
თომც აზოს ღრმა ჩვენს ქვეყანაში პირველით შემოტანილ-
იყოს ორი კერპი „გაცი და გა“ ანუ, როგორც „ქართლის
ცხოვრება“ ამბობს, „გაცი და გაიმ“⁴⁰). მაგრამ მას შემდეგ,
რაც ამ თქმულებას ბ-ნ ნ. მარტიმა საფუძვლიანი კრიტიკა
უყო, ყოვლად შეუძლებელია ვიუკროთ, ვითომც ამ ორი
ღვთაების კულტი ჩვენში ნამდვიალათ არსებულიყოს. როგორც
სჩანს, მათი სახელები ჩვენს წყაროებში მწიგნობრიბის საშუა-
ლებით გადმოუტანიათ სირიული მწერლობიდან და შემდეგ
ნაციონალურ ღმერთებად გაუსალებიათ.⁴¹⁾

ბ-ნ ი. ჯავახიშვილის გამოკვლევით, ძველი პერიოდის
ქართული სამეფო უფლება აღმოცნებული იყო საკვარვენთ
წყობილების ნიადაგზე და შემდეგ შიაც დიდხანს ამავე ხასია-
თს ატარებდა.⁴²⁾ ამ დასკვნას სავსებით ეთანხმება ქრისტიან-
მოქცევაში დაცული გარდამოცემა აზო — ს ჩაომავლობის შე-
სახებ. ეს ქრონიკა ამბობს „ეს აზო წარვიდა არან ქართ-
ლად მამისა თვისისა და წარმოიყვანა რვად სახლი და ათხა
სახლი შამა-მძუძუთანი“. („სამ. ისტ. ხრონ.“ გვ. 4). სჩანს,
აზოს მამის მოსახლეობა ფრიად რიცხვ-მრავალი ყოფილა,
რადგან მარტო „ათნი სახლნი მამა-მძუძეთანი“ ჰყოლია და

⁴⁰⁾ ქ.-ცხოვრება I, გვ. 35. შეად. „სამი ისტ. ხრონ.“ გვ. 4.

⁴¹⁾ Н. Марть. Боги языческ. Грузии по др.-груз. источникамъ. Спб. 1901 г. стр. 17—24.

⁴²⁾ И. Джаваховъ. Государств. строй древн. Грузии и древн. Ар-
мении. т. I, Спб. 1905 г. стр. 9: „Царская власть въ Грузии (во
время Страбона) была организованана подобие власти старейшаго
въ любомъ отдельномъ родѣ... Родъ и родовой строй должны
считаться основой не только социальной жизни, но и основой
царской власти въ Грузии“.

ამას გარდა კიდევ „რვაჯ სახლი“ თავის საკუთარი საგვარეულო. ვგონებთ, 18 სახლი საკმაო უნდა ყოფილიყო ერთი „გვარის“ შესაღებად, და ამიტომ გადაჭრით ვამბობთ, რომ აზო გამეფებამდე ყოფილა მემკვიდრე მრავალრიცხოვანი „საგვარეულოსი“, ხოლო მისი მამა გვარის-უფროსი ანუ „მამა სახლისი“ უნდა ყოფილიყო. ამ უკანასკნელი დასკვნის მცირეოდენს ანალოგიას „ქართლის-ცხოვრების“ იმ თქმულება-შიაც ვპოებთ, რომელიც პირველ მეფეს (რომლადაც მას ფარნავაზი მიაჩნია) მცხეთის „შამასახლისის“ ძმისწულად აღიარებს და საზოგადოთ შენიშნავს, რომ იმ პირებს, რომელიც მეფობის დაარსებამდე ჩვენი ხალხის ცხოვრებას მართავდენ, არც „მეფე“ ერქვათ, არც „ერისთავი“, „რამედ მამა სახლისი ეწდებოდათო“.⁴³⁾ მართლია, ქართლის-მოქცევაში არანი „მეფედ“ არის წოდებული, მაგრამ ეს უნდა იჩისნებოდეს, ალბათ, იმითი, რომ ისტორიულ გარდმოცემას ქრონიკის შემდგენლამდის თავისი პირვანდელი სიწმინდით ვერ მოულწევია ან თვითვე ავტორს თავისი დროის მიხედვით მოუნათლავს არანი „მეფის“ სახელით, ააც სრულებითაც არაა გასაკვირველი, რაღვან, როგორც ვიცით, მე-V საუკუნის ბერძნის მწერლებიც კი ქართველ სათემო მმართველებს „მეფის“ სახელით იცნობდენ, თუმცა ეს მმართველი სხვა საგვარეულო მამასახლისთა შორის იყვნენ „primi inter pares“ და არა მათი „მეუფე“.

უკანასკნელ, საჭიროდ ვთვლით, რამდენათაც მასალა ნებას გვაძლევს, აზოს მეფობის დასასრულის ქრონილოგია გავარკვიოთ. ვგონებთ, თქმაც არ უნდა იყოს საჭირო, რომ ჩვენი ქრონოლოგია მხოლოდ დაახლოებითი იქნება და არა სრული სინამდვილის გამომხატველი. სხვა მასალის უქონლობისა გამო იძულებული ვართ ქართლის ცხოვრების იმ აღვიუს დავემყაროთ, სადაც ნათქვამია, რომ გამეფებისთანავე ფარნავაზმა ასურასტანის მეფეს ანტიოქიას მოციქული გაუგზვაო.⁴⁴⁾

⁴³⁾ ქ.-ცხოვრება. I, გვ. 35. 24.

⁴⁴⁾ ქ.-ცხოვრება. I, გვ. 38. შეად. 41.

თუ ამ სიტყვებში მცირეოდენი ისტორიული სიმართლე მაინც მოიპოვება, მაშინ უფლება გვექნება აქედან ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ აზოს შემკვიდრე ფარნავაზი ასურასტანის მეფის ანტიოქია-სელევკიდის თანამედროვე ყოფილა. მაგრამ სირიაში სელევკ ნიკატორის შემდეგ ზედი-ზედ ორი ანტიოქიის მეფობდა: ანტიქოს I სოტერი (282—262 წ.) და ანტიოქის II თეოსი (262—247 წ.)⁴⁵⁾ რომელ ამათგანის თანამედროვე უნდა ყოფილიყო ფარნავაზი? ამ კითხვის კათეგორიულათ გადაქრა ყოვლად შეუძლებელი საქმეა. მაგრამ ჰიპოტეტიკურათ კი შეგვიძლია ასე მოვიტუეთ: ფარნავაზი ორივე ანტიოქიის თანამედროვედ ჩავთვალოთ, ე. ი. მისი მეფობის დასაწყისი ანტიოქის I-ლის მეფობის მეორე ნახევარს მივაკუთნოთ. ანტიოქის I-ლის მეფობის მეორე ნახევარი იწყება 272 წლიდან;⁴⁶⁾ მაშასადამე ძლიერ დაშორებული არ ვიქნებით სინამდევილეზე, უკეთუ ფარნავაზის მეფობის დასაწყისს 272 წლის მახლობლათ დავსდებთ, — და ესევე წელი იქნება ფარნავაზის წინამოადგილის, ე. ი. აზოს მეფობის დასასრულის დახლოვებითი თარიღიც.

ამ რიგათ, ჩვენი პირველი მეფე იყო აზო, რომელმაც დაახლოვებით 312-იდან 272 წლამდე იმეფა და ამ ხნის განმავლობაში, ასურასტანის მეფის სელევკია-ნიკატორის მფარველობის ქვეშ, მთასწრო ქართველ თემთა უმეტესი ნაწილის შეერთება. იგი თვითონ ჩამომავლობით „ქართუ-ლის“ ანუ „ქართველის“ თემისა იყო, გამეფებისითანავე მთელი თვისი საგვარეულოთი „მცხოვის“ პროვონციაში გაუმოსახლდა და მთელს ამ მხარეს თავისი სათემო სახელი („ქართ-ლი“) გადასცა სწორეთ ისე, როგორც ვარანგების თავადებმა „რესის“ თემი-დან თავისი საგვარეულო სახელი მთელს რუსეთის სახელმწიფოს დაუმკვიდრეს.

⁴⁵⁾ ვებერъ. Всебоцк. История. I, стр. 392.

⁴⁶⁾ ეს რიცხვი ჩვენ მივიღეთ ამნაირათ: $282 - 262 = 20$; $20:2 = 10$; $282 - 10 = 272$ წელი.

ამით ვათავებთ ჩვენს პირველს წერილს საქართველოს ისტორიიდან. დარწმუნებული ვართ, რომ ამ ნარკვევს ცოტა სუსტი მხარე არა აქვს და აღძრული კითხვის საბოლოოთ გადაწყვეტამდე ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია. მაგრამ იმ მასალის მიმხედველთ, რომელიც დღეს ამ საგნის შესახებ მოგვეპოება, მიზნად არც გვქონია — სრული ისტორიული სიმართლე გამოგვერკვია. ჩვენ აზრად გვქონდა მხოლოდ ის გზა გვეჩვენებია, რომლითაც შესაძლო ხდება „ქართლის-მოქცევისა“ და „ქართლის-ცხოვრების“ თქმულებათა ერთმანეთთან, უცხოეთის მწერალთა ცნობებთან და მსოფლიო ისტორიის ფაქტებთან შეთანხმება, რადგან ყველაფერზე უმაღლ ჩვენს ისტორიოგრაფიას სწორეთ ამგვარი შეთანხმება ეჭირვება: საღაც ამგვარი შეთანხმება არ ხერხდება, იქ ჩვენთა პირველ წყაროთა ცნობანი ფრიად საეჭვო ღირსების მასალად უნდა ჩაიათვალონ და, როგორც აგეთნი, კრიტიკულის მეთოდით დაწერილ ისტორიიდან ჯერ-ჯერობით მაინც უსათუოთ უნდა გამოირიცხონ. მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ამგვარი შეთანხმება ყველა-სათვის ცხადი შეიქმნება, ჩვენ მოგვეცემა შეძლება, ერთმანეთთანა და მსოფლიო ისტორიის ფაქტებთან შეთანხმებულ ცნობების ნამდებარებული ისტორიულ დირსებაზე ვიქონიოთ მსჯელობა და მათში აღნუსხული ამბები დაახლოებით მაინც ისტორიულ ფაქტებად მივიღოთ. თუ ჩვენმა წერილმა ამ მიზანს მცირეოდნათ მაინც მიაღწია, ჩვენს თავს სრულიად დაკმაყოფილებულათ ჩავთვლით; მხოლოდ ვთხოვთ მცოდნე პირებს ჩვენი საკვლევი მეთოდის და იმ დასკვნათა შესახებ, რომელთაც ამ წერილში მივაღწიეთ. თავისი მიუკერძებელი არზრი გამოსთქვან. ეს ჩვენთვის ძლიერ საჭიროა, რადგან ამ მოკლე დროში აზრად გვაქვს — ჩვენი ისტორიის სახელმძღვანელოს შეღგნას შევუდგეთ და ამ „წერილების“ უმთავრესი დასკვნანი მეფეთა ვინაობისა,

მათი მოღვაწეობისა და ქრონოლოგიის შესახებ იმ სახელმძღვანელოში უცვლელათ შევიტანოთ (რასაკვირველია, უკეთუ მცოდნე პირები დროიანათ არ გვიჩვენებენ ჩვენთ დასკვნათა სუსტს მხარეებს.). ყოველ დასაბუთებულ შენიშვნას დიდის მაღლობით შევიღებთ.

b. የወጪዎች

Б І м 0 З Н

- 1) როდის უფრო მეტს კითხულობს აღამიანი.
- 2) სახალხო თეატრი.
- 3) ებრაული ენციკლოპედია,
- 4) ჩინური სკოლა.
- 5) იაპონური კულტურა.
- 6) საწუთოს გამოხატულობა.
- 7) ახალი საწვავი მასალა.
- 8) მოგზაური გამოფენა.
- 9) ჭლექის განკურნება.
- 10) ალიუმინი.
- 11) ჟიულ ოპერატორი.
- 12) ჩვენი ქურნალ-გაზეთების საყურადღებოდ.

როდის უფრო მეტს კითხულობს ადამიანი. კემბრიჯის
სახალხო ბიბლიოთეკაშ მოინდომა გაევო, როდის რამდენს
კითხულობს ადამიანი და ამ განზრახვით მრავალი და რთული
სტატისტიკური ცნობები შეკრიბა. დასკვნა ამ ცნობათაგან
შემდეგი იყო:

14 წლისა კითხულობს წელიწადში 43 წიგნს.

30	"	174
40	"	59
50	"	27

სამოცი წლის ადამიანი წელიშადში თხუთმეტს და სა-
მოცია-ათისა თხუთმეტსაც ვეღარ ერვა.

სასაფლაო თეატრი. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც
პრესა ერთხმივ ამტკიცებდა, სახალხო თეატრს თავისი გან-
საკუთრებული რეპერტუარი უნდა ჰქონდეს, გაუნათლებელ
ხალხისათვის ადვილად გასაგებიო. ამ აზრის უსაფუძვლობა
უკვე დამტკიცებულია და სხვათა შორის პარიზის სახალხო
თეატრმაც თვალსაჩინო ჰყო მისი სიყალბე: როდესაც სახალ-
ხოდ შეთითხნილ პიესებს თამაშობდნენ, თეატრი ცარიელი

იყო და გამოაცხადებდნენ თუ არა დღევანდელი დრამატიული მწერლობის საუკეთესო ნაწარმოებს, ხალხით იცხებოდა თეატრი და მრავალი უალაგოდ რჩებოდა. უმთავრესი უურადლება ხალხისა მიიპყრო შემდეგმა პიესებმა: ფეიქრები—ჰაპუტმანისა,—„პოლონელი ურია“—ერკმან-შატრიანისა,—„დელის ნაცვალი“—ბრიესი,—„მეეტლე ჰენშელი“—ჰაუპტმანისა. ცნობილ სარდუს პიესათაგანი მარტო ერთი მოწონა ხალხმა, „მოურიდებელი ქალბატონი“. თეატრში უმთავრესად მუშა ხალხი დაიძება; ადგილის ფასი ორი შაურია და უძვირფასესი, პირველ რიგში, სამი აბაზი.

ცოტა ხანი კი ჯევ და, იმედია, გახშირდება დიდრონი სახალხო თეატრები, რომელნიც უფრო მრავალ ხალხს დაიტევენ, ვიდრე დღევანდელი შეძლებულთათვის აგებული შენობები. ჯერჯერობით საუკეთესო სახალხო თეატრად ითვლება კალიფორნიისა, რომელშიც ოცი ათასი მაყურებელი ეტევა. ეს თეატრი აგებულია ათინის ძველებურ სახალხო თეატრის გეგმაზედ და ქალაქ გარედ არის აშენებული.

**

ებრაული ენციკლოპედია, რომელიც ნიუ-იორკში იძექდებოდა, უკვე დამთავრდა და დაუფასებელ განძს შეადგენს მეცნიერებისათვის. უკანასკნელ ტომში მოქცეულია დროს კოპლერის წერილი ახალი აღთქმის შესახებ. კოპლერი სახელ განთქმულია როგორც სპეციალურად მცოდნე იქსო ქრისტეს ცხოვრების და მისი დროისა და ყოველი მისი გამოკვლევა ახალს რასმე შეიტანს ხოლმე მეცნიერებაში. ქრისტეს სარწმუნოებას იერემია წინასწარმეტყველის წინგში აქვს თავისი საფუძველით, ამტკიცებს დრო კოპლერი; იქ ბრძანებს ღმერთი, ახალ კავშირს დავდებ ჩემსა და ისრაელ-იუდეელთა შორისო. კოპლერის აზრით იქსო ქრისტეს აზრადაც არ მოსვლია ახალი სარწმუნოების დაფუძნება და სრულიადაც არ დაუთმია თავისი ძეველი სარწმუნოება; ქრისტე უარპყოფდა სადუკეველთ, ხალხმა მისი მხარი დაიკირა და ამიტომ რომაელთა მსხვერპლად გახდა.

იმავე ტომში არის დაბეჭდილი სტატია ებრაელთა წინა-
პართა შესახებ; სტატია ამტკიცებს, ებრაელნი სემიტის მო-
დგმისა არ არიან, რადგან არაბებივით გრძელ-თავიანი (დოლი-
კოცეფალი) არ არიან; ავტორის აზრით ებრაელნი ხატა-
ველთა შთამომავალნი უნდა იყვნენ, რომელთაც ისეთივე
შუბლის კუთხე ჰქონდათ, როგორიც ახლანდელს ებრაელებს.

**

ჩანური სარდა. „განახლების საზოგადოებამ“ ჩინეთისამ
ამ უკანასკნელ დროს ნიუ-იორკში დაარსა ჩინელ ბავშთა-
თვის სკოლა, რომლის ხარჯი იქ მკონვრებმა მდიდარმა ჩინე-
ლებმა იტვირთეს. ამერიკაში სპეციალურად ჩინელთათვის ეს
პირველი სკოლა! აქამდე ამერიკულ სკოლებში არსებობდა
განყოფილებანი ჩინელთათვის, მაგ. სანფრანცისკოში. სკოლას
განაგებს საგანგებოდ ჩინეთიდგან დაბარებული, კანტონელი
პროფესორი ბ. ლეონგ-მონ-ჰენი; მის თანაშემწედ ითვლება
ნიუ-იორკელ ჩინურ გაზეთის რედაქტორი ბ. ფონგ-შევი.
სკოლაში ჯერ ოცდა ხუთი ბავშვია, შუაღლემდე ჩინურს სწა-
ვლობენ, ზუადლის შემდეგ კი ინგლისურს. საყურადღებო ამ
სკოლაში ის არის, რომ ჩინურს ბავშვები ყველანი ერთად
სწავლობენ და ყურებში თით-დაცულნი საშინელი ხმით გაი-
ძიან თავიანთ გაკვეთილებს, რომ ზეპირად ისწავლონ. უმთა-
ვრესი ყურადღება მესიერებაზედ არის მიქცეული და ამ მხრივ
იმისთანა ნაყოფი აქვს ჩინურსისტებას, რომ ამერიკელებს აკვი
რვებს. მეორე გარემოება, ირა ნაკლებ შესანიშნავი ის არის,
რომ ბავშვები სრული შეგნებით დაიარებიან სკოლაში და,
სადაც კი ჩინელები და თეთრკანიანები ერთად სწავლობენ,
ჩინელები ყოველთვის სჯობნიან ცოდნითაც და ბეჭითობითაც.

**

იაპონური კულტურა. ინგლისელი უურნალისტი ამტკი-
ცებს, იაპონელებმა იმიტომ აჯობეს თავიანთ მძლავრს მტერს,
რომ ჩვენსავით ერთხმრივი კი არა, ხელოვნებაზედა აქვთ დამყა-
რებული თავიანთი ძევლის-ძევლი კულტურა... მართლაც
იაპონიაში ხელოვნებას, მეტადრე მუსიკას და პოეზიას იმო-

დენივე მნიშვნელობა აქვს ხალხის განათლებაში, რამოდენიც მეცნიერებას და ზეობრივ განვითარებას. კავასუ ოკაცურა, გამოჩენილი იაპონელი მწერალი, თავის თხზულებაში „აღმოსავლეთის იდეალი“ ამბობს, უზენაესი დებულება ჩვენის ცხოვრებისა საზოგადოებისთვის თავგანწირვა იყო და ამისთვის კი უმთავრესად საჭირო იყო ხელოვნება, — პოეზია, მუსიკა, დრამა. ზეობრივ სისრულეს ადამიანის და საზოგადოებისას ის ხალხი მიაღწევს, რომელიც ქადაგებას თავს დაანებებს და ხელოვნებას განავითარებსო. მართლაც დიდი მნიშვნელობა აქვს ხელოვნებას იაპონიაში და უმუსიკოდ, უსიმღეროდ არავითარი საქმე არა კეთდება. თვით ოშმიც კი, ერთწამს რომ დაისვენოს ჯარმა, ჯარის-კაცები მაშინვე უბის წიგნს იღებენ და თავიანთ შთაბეჭდილებას, ან რაიმე შენიშვნას სწერენ შიგ ლექსად. პოეზიას, სიმღერას უკანასკნელ ხანამდე ჩვენშიც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა; ჩვენშიც არავითარი საქმე არ კეთდებოდა უსიმღეროდ, გლეხიკაცის ყოველგვარ მუშაობას თავისი შესაფერი სიმღერა ჰქონდა... მაგრამ სული ამოხუთა ამ საუკუნის განმავლობაში ჩვენს ხალხს რუსეთის ბიუროკრატიამ; გააღარიბა, გააღატაკა, ყოველივე წმინდა შეულახა და ჩააჩუმა. დღეს კი იცვლება ცხოვრება, ჩვენთა გამარტინებელთა პოლიტიკას ბოლო მოედო, ბოლო მოედო აგრეთვე იმ პოლიტიკას, რომელიც რუსეთის გაძლიერებას ჩვენს გადატაკებაში ხდეავდა და, იმედია კვლავ დასძახებს ქართველი ხალხი ძველებურზედ უფრო მძლავრად თავის სიმღერებს. ბევრი მტერი ჰყოლია საქართველოს, ბევრს განუძრახავს მისი მიწისპირიდგან აღგვა, — სპარსელებს, ოსმალელთ, მონგოლებს, ბერძნებს, რომაელებს, არაბებს... სამი ათასი წელიწადი გაატარა დაუდგრომელ ბრძოლაში; ბოლოს დაიღალა, მიჩუმდა, მაგრამ ეს მტრის გამარჯვებას არა ნიშნავდა და აკაკისა არ იყოს, მხოლოდ ეძინა.

**

საწუთოს გამოხატულობა. სენ-ლუის მსოფლიო გამოფენისთვის ამერიკელებმა გააკეთეს ესრედ წოდებული საწუ-

თროს გამოხატულობა, რომლის სიმაღლე 265 მეტრი არის, ესე იგი 371 არშინი და დღეს უდიდეს შენობად ითვლება არა თუ ამერიკაში, მთელ დედამიწის ზურგზედაც. შენობა დედა-მიწასავით რვალია, ფოლადისაა და ისეა მოწყობილი, რომ შიგ ოცდა-ხუთი ათასი კაცი ეტევა. ძირს, დედამიწის პირად რკინის გზის სტანცია გამართული, რომლილანაც ათ რიგად მიღის ლიანდაგი. თითო ლიანდაგის სიგრძე 154 არშინი არის. რკინის გზა გარეშემო უვლის რგოლს; შიგ რგოლში რვა მანქანაა მსურველთა ზეეით ასაყვანად, და თითოზე სამოც-სამოცი კაცი ეტევა. ეს მანქანები ისე აღიან მწვერვალამდე, რომ არსად ჩერდებიან წუთში 180 არშინის სისწრაფით. მიწიდან 73 არშინის სიმაღლეზე გამართულია პირველი ბაქანი, რომელზედ ხუთი ათასი კაცი ეტევა რესტორანში და თეატრში დროს გასატარებლად; სამზარეულო და სანოვაგის საწყობიც ამავე ბაქანზედ არის გამართული. ამ ბაქანის ზემოდგან, 171 არშინის სიმაღლეზედ, მეორე ბაქანია, ისიც ხუთი ათასი კაცისთვის; ამ ბაქანზედ დოლია ხალხის გასართობად. დოლის გარშემო მაყურებელთათვის ადგილები სამ სართულად არის გამართული და მეორე კიდევ, სიგანით 7 არშინი, სასეიროდ არის დატოვებული; სასეირო გალერიის ფანჯრებიდგან მშვენიერი სურათი მოჩანს ირგვლივ, სადამდეც კი თვალი მისწვდება. დოლის ზემოთ 23 არშინზედ, მაშასადამე მიწიდგან 194 არშინის სიმაღლეზედ, მესამე სართულში საცეკვავო დარბაზია, ორკესტრით და მოძრავ რესტორანით; საცეკვავო დარბაზს სამსართულად ახვევია გარშემო მაყურებელთა ადგილები; მოძრავი რესტორანი კი გარედ არის მოწყობილი ისე, რომ სუფრაზედ მჯდომი საზოგადოება თან სადილს შვეიცევა და თან გარშემო უვლის „მთელს დედამიწას“.

შემდეგ სართულში 210 არშინის სიმაღლეზედ ტროპიკულ მცენარეთა ელექტრონით განათებული ბალია მთებით, ტბებით, ჩახრუელებით. სულ ზევით კი მიწყობილია მაღალი, სამ სართულიანი კოშკი მეცნიერულ გამოკვლევათა მოსაწყობად.

ახალი საწევი მასალა. ბაზელში ერთს ქარხნის ლაბორატორიაში ნავთის საპნის შემზადებას ცდილობდნენ და შემთხვევით მიაგნეს ახალს საწვავ მასალას, რომელიც ოთხი წილით ნავთია და ერთი წილით კი ჯერეთ საიდუმლო რაღაც ნივთიერება. ახალი საწვავი მასალა აგურებად არის შემზადებული და თითო აგური სულ გირვანქა-ნახევარს იწონს. გამოცდამ დაამტკიცა შემდეგი ლირსებანი ამ აგურისა: მეტად მაგარია, ისე, რომ ხუთი-ექვსი ფუთის სიმძიმეს უძლებს; ხეხვისა და ცემისაგან არ ზიანდება და არც ცეცხლი ეკიდება; ცეცხლმოკიდებულს რომ წყალი გაღაასხან და მერჩე ხელმეორედ აანთონ, წინანდებურად კარგად იწვის... სითბოთი და სიიაფით იმოდენი ლირსება აქვს ამ ახალს შეშა-ნახშირს, რომ დიდი გასავალი ექნება უშეშო ქვეყნებში.

**

მოგზაური-გამოფენა. რად უნდა იმართებოდეს მსოფლიო გამოფენა უთუოდ პარიზში, ჩიკაგოში, მარტოდ-მარტო შემძლებელთათვის? განა არ შეიძლება თვითონ გამოფენა ამოძრავდეს, დაიაროს მთელი ქვეყანა და გაუადვილოს ხალხს მეცნიერების ცხოველ-მყოფელი ნაყოფის ნახვა? შეიძლებაო, სთქვეს ამერიკელებმა, და გამართეს კიდეც მუურავი გამოფენა, ოღონდ ჯერჯერობით მარტო ამერიკის ნაწარმოები იქნება გამოფენილი. ნიუ-იორკში შესდგა ამხანაგობა, რომელიც იქინავებს ერთს უდიდესს ხომალდთაგანს და მაზედ გამართავს გამოფენას. აზრადა აქვთ ისე მოაწყონ საქმე, რომ 15 მარტს უკვე მზად იყოს ყველაფერი და ხომალდი გზას გაუდგეს. გამოფენა იმგზავრებს 15 თვეს და შევა 75 ნავთსადგურში 46 სხვადასხვა ქვეყანაში. ხომალდი ნიუ-იორკიდგან გლასგოში მივა, დუბლინში, ლივერპულში, ლონდონში, ჰამბურგში, როტერდამში, ანტვერპენში, მერმე ჩაეთ ჰავრში და გიბრალტარის სრუტით შევა ხმელთაშუა, აღრიატიის და შავზლვაში; სუეცის არხით გავა ინდოეთში, ჩინეთში, იაპონიაში, ახალ-ზელანდიაში და ავსტრიაში; იქიდგან ამერიკას მივა და ჰავანით ნიუ-იორკში დაბრუნდება. გამოფენის მოსვლა ყველა

ქალაქში წინადვე გამოცხადდება განცხადებებით და ადგი-
ლობრივ გაზეობებით. გამოფენის კატალოგი წინადვე დაბე-
ჭდილი იქნება იმ ქვეყნის ენაზედ, სადაც ხომალდი გაჩერდება,
მოგზაურ-გამოფენის მოსაწყობად გადადებულია 1.640.000
მანეთი.

**

ჰელენის განჯურნება. გამოჩენილმა ბერინგმა გამოაცხადა,
ჰლექის წამალს მივაგენიო, და სმენად გადაიქცა იმედათ
აღფრთოვანებული ჰლექისაგან ტანჯული კაცობრიობა. ბე-
რინგი ფრიად სახელოვანი მეცნიერია, ცნობილი მრავალ გამო-
კვლევით, სხვათა შორის ხუნაგის წამლის შეზავებით, და მით
უფრო საინტერესო იყო მისი სიტყვა. ბერინგი პარიზში მი-
ვიდა ჰლექთან მებრძოლ ექიმთა კონგრესსზედ და, ვიდრე
ამ კრებულს მოახსენებდა თავის გამოკვლევას, ერთი გაზეთის
საუკლებით გამოაქვეყნა შემდეგი ცნობანი: მარბურგის ახლო
დოქტორ ბერინგსა ჰქონია ოთხას დესეტინამდე მიწა და მრა-
ვალს საქონელს—ცხენს, ძროხას, ხარს ინახავს თავის მა-
მულში. ამ საქონელს შეჰყრის ხოლმე ჰლექს და სინჯავს
სნეულების გავლენას საქონელზედ და წამლის გავლენას საქო-
ნელზედ. მარიამობისთვეში გამოვაცხადებო, ბრძანებს ბერინგი,
ახლად შეზავებულს ჩემს წამალს, რომელიც დაიფარავს ადა-
მიანს ამ საშინელ სნეულებისგან და გარდა ამისა განკურნავს
კიდეც უკვე დასნეულებულს. მეჩნიკოვის სიტყვით ჰლექის
წამალი რაღაც ფხვნილი უნდა იყოს; ეს წამალი მართლა და
რეგბს ჰლექიან საქონელს, მაგრამ ადამიანზეც კი ჯერ არ
უნდა იყოს ნაცადი: მაგრამ ბერინგი იმისთანა დაულალავი
მუშა არის, იმისთანა ჭეკისა და ცოდნის პატრონი, რომ რაკი
საქვეყნოდ გამოაცხადა, მხადაც ექნება წამალი. რამდე-
ნიმე დღის შემდეგ თვით კონგრესსზედ წაიკითხა ბერინგმა
თავისი მოხსენება, გამოარკვია, რომ მის მიერ შედეგის
წამალი უებარია და ნაცადი ჰლექიან თხებზედ, ცხვრებზედ,
ცხენებზედ, ხარებზედ. საბოლოოდ ჩემს გამოკვლევას მაშინ
გამოვაქვეყნებო, სთვა ბერინგმა, როცა მეცნიერთა დახმა-
რებით დავრწმუნდები მის უებრობასა და სარგებლობაშით.

**

ადიუშმინდ. პირველად 1855 წელს სულ ხუთ გირვანქამდე იქმნა მომზადებული და გირვანქა 600 მანებად ღირდა. მას შემდეგ დღითი დღე მატულობდა მის შემზადება და თან მცირდებოდა საჭირო ხარჯი: 1900 წელს უკვე 4 მილიონი ფუთი მომზადდა და გირვანქა ორ აბაზადდა ღირდა. ალიუშმინს დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხოვრებაში და დღეს თითქმის ყველა ნივთი ალიუშმინისა კეთდება — ყოველგვარი სამკაული, კურქელი, საელოქტრონო, სადოსტაქტო და საფოტოგრაფიო იარაღი, ნავები, ტელეფონის და ტელეგრაფის ნაწილები და სხ. ალიუშმინმა ჟანგი არ იცის და ამიტომ ამ უკანასკნელ დროს მანქანების იმ ნაწილს, რომელნიც ნოტიოში იძყოდებიან, ერთობ ამ ლოთონისას აკეთებენ. ამას წინად კიდევ დაკვირვებით და გამოცდით დამტკიცდა, რომ საუკეთესო კრუპის მიერ ჩამოსხმულ ფოლადის ზარბაზანს გაცილებით სჯობიან ალიუშმინისა და ამ გარემოებამ ძალიან ასწია ალიუშმინის ფასი. საინტერესოა გადავსინჯოთ რაოდენობა ალიუშმინისა და მისი ფასი ამ ოცდახუთის წლის განმავლობაში.

1878 წელს მომზადებულ იქმნა 2000 კილო. კილო ფასობდა 100 ფრანკად*)

1886	16,000	100
1889	70,000	50
1891	333,000	5
1894	1,240 000	5
1897	3,400 000	4,40
1899	5,300 000	3,80
1900	7,300 000	2,50

**

უკიდ ღისპერტი. ახლად გარდაცვალებული უიულ ოპპერტი მეტად გამოჩენილი სწავლული იყო და ტოლი არა ჰყავდა ასსურეთის ძველი ენის და ისტორიის კვლევაში. რაფლისონი, ფოქს ტალბოტი, ჰინქსი და ოპპერტი სათავეში

*) კილო 2, 4 გირვანქა და ფრანკი 40 კაპეიკი.

უდგნენ ასსურეთის წარსულის აღდგენას. ვინც კი ოღმოსაჭიდვების უძველესი ისტორიის კონგრესებს დასწრებია, სიამოვნებით მოიგონებს პატარა ტანის მოხუცს, მოუსვენარს, დაუდგრომელს, რომელიც გესლიანი შენიშვნებით საქმეს უკირებდა თავის მოწინააღმდეგეთ. დიდი რამ განსხვავება კი არ გეგონოთ მე და ბატონ X-ს შორისო, სთქვა ერთხელ ოპერატმა შესახებ ურთის ორიენტალისტისა (ოღმოსავლეთის მკელევარისა): ის ბევრსა სწერს, თუმცა არა იცის რა, მე კი ბევრი ვიცი, თუმცა არაფერსა ესწერო.


**

ჩვენი უურნალ-გაზეთის საყურადღებოდ. შტუტგარტელმა გამომცემელმა ლუცმა ერთს უურნალს ახლად დაბეჭდილი წიგნი გაუგზავნა და, რადგან უურნალმა ამ წიგნის შესახებ არავითარი ცნობა არ დაბეჭდა, უკანვე მოსთხოვა თავისი წიგნი. უურნალმა უარი უთხრა. გამომცემელმა ეს ამბავი საზოგადოებას აცნობა და ამტკიცებდა, რაკი წიგნი მიიღო, უურნალს კიდევ უნდა ეთქვა რამ მის შესახებ და თუ არა სთქვა რა, თავის მოვალეობას უმტყუფნაო.

შერცხვენილმა უურნალმა იმით იმართლა თავი, რომ მეტის მეტად ბევრი წიგნები მოგვდის და ყველაზედ რომ რამე დავწეროთ, უურნალი ვერც კი ეყოფაო... ჩვენს უურნალ გაზეთებსაც მეტი, მეტად ბევრი მისდით, ნეტავი, ახალი წიგნები, რომ თავის დღეში ხმას არ იღებენ, თითქო ჩვენს მწერლობას ახალი წიგნი არა გააჩნდეს რა...

რაც შეეხება წიგნის დაბრუნებას, გერმანულმა უურნალმა იგივე პასუხი სთქვა, რასაც ჩვენი უურნალ გაზეთები იტყიან:

— დიალ, მოგვივიდა... აქ ეგდო.. ვინ იცის, ვინ წაილო? იქნება თაგვებმა დალრონეს.



მინაური მიმღებლები

სარევოლიუციო ენერგია ოქტომბრის შუა რიცხვებში ისე განვითარდა, ისე მოედო მთელს რუსეთს, რომ მეფის მთავრობამ ძალა-უნებურათ უარპყო 6 ავგვისტოს გამოცხა-დებული კანონი ორიგინალურ რუსულ პარლამენტის შესა-ხებ და ევროპიული წირმომაღევნელობითი მმართველობის საჭიროება აღიარა. 12 ოქტომბერს მოსკოვში დაწყებული გაფიცვა რკინის გზის მოსამსახურეთა კავშირისა სწრაფათ გადაიქცა საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვად, შეაჩერა მთელ იმპერიის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯის ცემა, შეარყია ბიუროკრატიულ მანქანის ჩვეულებრივი მოძრაობა და თვითმშეკრობელ მეფე, უარი ათვევენა თავის თვითმშეკრობელობაზე.

ნიადაგი საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვისთვის და იმის ნაყოფიერებასთვის სისტემატიურად მზადდებოდა მთელის წლის განმავლობაში რუსეთის ხალხის თითქმის ყველა წრე-ებში; იაპონიის ომმა დააუძლიურა, დაჰქანცა ხაზინა, თითქმის გაკოტრა იგი, აუწენ-დაუწენა ფინანსები, რომელთა გამო-საბრუნებლადაც დროებით მაინც სახელმწიფოში მყუდროების და მშვიდობიანობის დამკაიდრება იყო საჭირო. სისტემატიურმა და სამარცხინო დამარცხებამ ამ უაზრო და უგზოუკვლო ამში გამოაფხიზლა ბიუროკრატიის მეცადინეობით თითქოს მიძინებული ხალხის გონება, გააძლიერა კრიტიკა და გამოიწვია საერთო სურვილი ცხოვრების წესრიგის შეცვლისა. მთავრობის წინანდელ და ახალ ცოდვათა წყალობით გლეხობა, ეს უდი-დესი ნაწილ რუსეთისი მცხოვრებლებისა და ამასთანცე



უმთავრესი წყარო სახელმწიფო უმოსავლებისა, დაიმშა და, რასაკირველია, რომ წინანდელივით ვეღარ ჰქვებავდა უძიროდ ქცეულს სახელმწიფო ბიუჯეტს. მუშა ხალხის, პრო-ლეტარიატის განვირებულმა გაფიცვებმა შეარყის მრეწვე-ლობის სიმკვიდრე და იმასთან ერთად თვითმპურობელობაც, რომელიც მკიდროდ იყო დაკავშირებული რუსეთის ახალ-გაზრდა კაპიტალისმთან. არა ლეგალური კავშირები, რომელ-თა ქსელითაც მთელი რუსეთის იმჯერია შეიკრა, და კავშირთა კავშირი, რომელიც ერთსულოვანებას და სოლიდარობას ძლიერდა მრავალ საზოგადოებრივ წრეს, ბუნებრივად გადა-იქცნენ თვითმპურობელობის მუქარად. მოკლეთ რომ ვთქვათ, ერთის წლის რევოლუციონურმა დუღილმა სულერთიან დაუ-კარგა მთავრობას ზნეობრივი ავტორიტეტი და შეუნარჩუნა მხოლოდ ძალა და თვითმპურობელობის ფორმები.

ექვს აგვისტოს კანონით განძრახული სახელმწიფო სათა-თბირო სწორედ იმ მხრივ არის საინტერესო, რომ ამ საკა-ნონმდებლო აქტით ზნეობრივი ავტორიტეტი ხალხის წარმო-მადგენელთა საკუთრებად არის აღიარებული, ხოლო სახელ-მწიფოებრივ ბრძანებლობის უფლება კი თვითმპურობელ მეფის კუთნილებად. ცხადია, მთავრობა ჯერ ისევ აგვისტოში ჰერძნობდა, რომ იმას ზნეობრივი ძალა აღარა აქვს და ამიტომ სცდილობდა დაკანონებინა ისეთი წესი ქვეყნის მართვა გამგე-ობისა, რომელიც სახელმწიფო უფლობის ორს ელემენტს, ორს ნაწილს: მორიალურს და ფიზიკურს, ერთი მეორისაგან გააცალკევებდა, ერთიერთმანეთისაგან გამოსდევნიდა, მორია-ლურს მხარეს ხალხს მიანდობდა, ფიზიკურს კი თითონ შეირჩენდა. ეს აზრი ედო საფუძვლად ექვს აგვისტოს სახელ-მწიფო სათათბიროს; სწორედ ამიტომ იყო საჭირო ხალხის წარმომადგენელთა მოწვევა და იმათი აღჭურვა რჩევის და არა გადამწყვეტის ხმით.

ამაოდ სცდილობდნენ თვითმპურობელობის დამცველნი დაემტკიცებინათ, რომ პარლამენტი ერთად ერთი შესაწყნარე-ბელი ფორმა არ არის უფლებრივ წესწყობილებისთვის, რომ

რუსეთის ხალხს საკმაო ღონე აქვს სხვა რამ ისეთი ახალი ფორმა გამოიგონოს, რომელიც უფლებრივ პრინციპს განახორციელებს, მაგრამ თვითმშეყრობელობას კი არ უარ-ჰყოფს. ერთად ერთი ცდა ასეთის „რუსულის“ წესწყობილების შესაქმნელად იყო ექვს აგვისტოს სახელმწიფო სათათბირო, რომელიც თვითმშეყრობელობას პირდაპირ უპირისპირებდა მორალურ მომენტს და ამ გვარიდ საუკეთესოდ ამტკიცებდა, რომ თვითმშეყრობელობა პრინციპიალურად შეუთანხმებელია უფლებრივ წესრიგთან.

ექვს აგვისტოს კანონმა ვერ დააკმაყოფილა და ან კი როგორ დააკმაყოფილებდა განახლების მოტრფიალე რუსეთს! ეს კანონი მხოლოდ ემბლემა იყო რევოლუციის გამარჯვების დღის მოახლოვებისა და რევოლუციონურ ენერგიას უფრო ძლიერებდა. ოქტომბრის შუა რიცხვებში რევოლუციამ საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვით მიიტანა მედგარი იერიში თვითმშეყრობელობაზე და გაიმარჯვა კიდევ: 17 ოქტომბერს მთავრობამ უარპყო თვითმშეყრობელობა, სახელმწიფო სათათბიროს გადამწყვეტი ხმა მისცა, რუსეთის ქვეშევრდომთ მიანიჭა სამოქალაქო თავისუფლება, ესე იგი სიტყვის, კრების, სინიდისის და კავშირების თავისუფლება, და გააფართოვა საარჩევნო უფლება. ამ გვარად ოქტომბერში რევოლუციამ ნამდვილად გაიმარჯვა, თუმცა კი ეს გამარჯვება მაინც სრული არ არის.

17 ოქტომბრის მანიფესტი სახელმწიფო უფლობას ანაწილებს მეფის და ხალხის შუა. მეფეს არ შეუძლიან ახალი კანონი გამოსცეს, თუ იგი ხალხის წარმომადგენლებმა არ მოიწონეს, მაგრამ ხალხის წარმომადგენლებს არავითარი კანონიერი გზა არა აქვთ, საკანონმდებლო მოქმედების საგნად გადააქციონ სწორედ ის, რაც მათის შეხედულებით აუცილებლად მოითხოვს კანონმდებლობითს გადაწყვეტას: ხალხის წარმომადგენლებს უფლება არ აქვთ თითონ შეადგინონ კანონ-პროექტი, თითონ წამოაყენონ საკითხი ახალ კანონის გამოცემის ან ძველის გაუქმების შესახებ; კანონ-პროექტები

წინანდელივით ისევ ბიუროკრატიულმა დაწესებულებებმა უნდა შეიმუშავონ, ისევ მინისტრებმა უნდა იზრუნონ ამის შესახებ, ასე რომ თუ მეფეის მთავრობამ მოისურვა ხალხის წარმომადგენლები სახელმწიფო სათათბიროში ისხლებიან, მაგრამ საქმის კეთების გზა კი მუდამ დახშული ექნებათ. სახელმწიფო სათათბარო 17 ოქტომბრის შემდეგ ისევე მოკლებულია საკანონმდებლო ინიციატივას, როგორც წინად. ეს ერთ-ერთი თვალსაჩინო ნაკლია ახალის რუსულის პარლამენტისა, მაგრამ ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს სხვა ნაკლულევანებებს.

კანონი მკვდარია, თუ იგი ასრულებულ არ იქმნა. ამიტომ საკანონმდებლო მოღვაწეობას სრულიად ეკარგება ფასი, თუ არ არსებობს რეალური გარანტია, რომ აღმასრულებელი ორგანოები ნამდვილად შეასრულებენ კანონის ბრძანებას. 17 ოქტომბრის მანიფესტი ხალხის წარმომადგენლებს უფლებას აძლევს, თვალ-ური დაიჭირონ მმართველობის აღმასრულებელ ორგანოთა მოქმედებაზე, უფლებას აძლევს, შეეკითხონ მინისტრებს სხვა და სხვა მიმდინარე საქმეთა შესახებ, მაგრამ ეს უფლება თავის თავად სახელმწიფო სათათბიროს შენობაში ღაპარაკზე მეტს არაფერს მოასწავებს; შესაძლოა მინისტრმა დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მისცეს ხალხის წარმომადგენელს, შესაძლოა სახელმწიფო სათათბირომ აშკარად დაინახოს, რომ მინისტრი არ ასრულებს კანონს, არღვევს იმას ან თავისებურად ასრულებს, მაგრამ ხალხის წარმომადგენლებს არავითარი კანონიერი საშუალება არ ექნებათ ხელთ, აღადგინონ კანონიერება და შემდეგისთვინ მაინც უზრუნველ ჰყონ კანონის სრული ძალა. ევროპის სახელმწიფოთა გამოცდილებამ დაანახვა ქვეყანას, რომ წარმომადგენლობითი სისტემა მმართველობისა ფუჭი სიტყვაა იმ დრომდე, ვიდრე პარლამენტის უმრავლესობისა და მინისტრთა კაბინეტის შუა პრინციპიალური თანხმობა არ იქნება ქვეყნის მართვა გამგეობის პოლიტიკის შესახებ. ამ თანხმობის დასამყარებლად საკიროა, რომ მინისტრებად მხოლოდ პარლამენტის წევრები ჰქოდებოდნენ და ამასთან სწორედ ის წევრები, რომელნიც პარლა-

მენტის უმრავლესობის პარტიის უდგანან სათავეში; იგივე თანხმობას საჭიროება მოითხოვს, რომ მინისტრები დაუყოვნებლივ ანებებდნენ თავს მინისტრობას, როდესაც გამოირკვევა, რომ პარლამენტის უმრავლესობა არ იწონებს მინისტრთა კაბინეტის მოქმედებას ან განხრახვას. ასეთი წესი მმართველობისა, რომელიც ჰქონდა უზრუნველ ჰყოფს აღმასრულებელ ორგანოთა პოლიტიკის თანხმობას ხალხის წარმომადგენელთა უმრავლესობასთან, იწოდება პარლამენტარიზმად და მთლად განხორციელებულია ინგლისში. პარლამენტარისმი მოასწავებს ხალხის სრულს მმართველობის, ხალხის ჰქონდარიტს თვითმკურობელ ბატონობას. უპარლამენტარისმო ხალხის უფლებები კულ-შეკვეცილია, პირიქით სადაც პარლამენტარისმია შემოღებული, იქ მეფე მხოლოდ მეფობს და არკი მმართველობს, იქ მეფე დარჩენილია, მხოლოდ როგორც ისტორიული ნაშთი ძველის ჩემიმისა, მეფეს ხალხი ინახავს, პატივსა სცემს, მაგრამ სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობა კი სრულიად ჩამორთმეული აქვს იმას. სადაც პარლამენტარისმი მშვიდობიან და თანდათან განვითარებამ შეიტანა, იქ მეფე დღევანდლამდე მეფობს, პირიქით სადაც პარლამენტარისმი რევოლუციონურად იქნა დაპყრობილი, იქ მეფე სრულიად უაღმყვეს, მონარქია გააუქმეს და სამაგიეროდ შემოიღეს რესპუბლიკანური ფორმა მმართველობისა. რევოლუცია უნდოა, ხალხის მეტს იგი ვერავის ენდობა, იგი შიშობს, რომ მეფე გულწრფელი არასოდეს არ მოისურვებს, იგი მხოლოდ მეფე იყოს და არა მმართველი; ამიტომ რევოლუცია სცდილობს, სულერთიან აღმოფხვრას მართვა-გამგეობის წესრიგიდამ მეფობა, ერხთელ და სამუდამოდ მოსპობს ყოველი საშუალება ძველი რეფიმის რესტავრაციისა (აღდგენისა), და თხოულობს არა მარტო პარლამენტარისმს, არამედ ამასთან ერთად რესპუბლიკასაც. ახლანდელ რუსეთის რევოლუციის მოთხოვნაც სწორედ რესპუბლიკაა.

პარლამენტის მნიშვნელობა დამოკიდებულია იმის შედგენილებაზე. თუ პარლამენტში წარმომადგენლები მხოლოდ

შეძლებულმა კლასსებმა გაგზავნენს, ცხადია ასეთი პარლამენტის ტი მშრომელ ხალხის ინტერესებს არ დაიცავს, რადგან მათი ინტერესები პირდაპირ ეწინააღმდევებიან მდიდართა ინტერესებს, ცხადია აქედამ, რომ მშრომელი ხალხი წინააღმდევია ცენზიან საარჩევნო სისტემისა. მშრომელი ხალხი როგორც რუსეთში, აგრეთვე სხვა სახელმწიფოებშიაც მცხოვრებთა დიდს უმრავლესობას შეადგენს, ამიტომ იგი თავის ინტერესების დასაცველად თხოულობს საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და ფარულ არჩევნების სისტემას. 17 ოქტომბრის მანიფესტი პირდება მშრომელ ხალხს, თქვენი წრიდამაც იქნება. არჩეული რამდენიმე წარმომადგენელი პირველის სესიისთვისვე და შემდეგისთვის არჩევნების უფლებას თვით სახელმწიფო სათაობირო განავითარებსო. რევოლუცია არ კმაყოფილდება დაპირებით, იგი ეხლავე თხოულობს საყოველთავო არჩევნების განხორციელებას. რესპუბლიკა, რომლის საკანონმდებლო დაწესებულებაც ხალხისაგან საყოველთაო არჩევნების სისტემით არჩეულ წარმომადგენლობისაგან შესდგება, სრული განხორციელებაა ხალხის (დემოსის) პოლიტიკურ ბატონობისა; ამიტომ ეხლანდელ რევოლუციის პოლიტიკური იდეალი გამოიხატება ორის სიტყვით: დემოკრატიული რესპუბლიკა.

დემოკრატიული რესპუბლიკა სრული უარყოფა მონარქიულ დესპოტიზმისა. რესპუბლიკანიზმის შემოღება აუკილებლად მოითხოვს, რომ ნაცვლად წინანდელ ძირითად სახელმწიფოებრივ კანონებისა შემუშავებულ იქმნას ახალი ძირითადი კანონები, რისთვისაც საკიროა ახალ კანონების შემუშავებელი კრება ანუ დამფუძნებელი კრება. აი სწორედ ამ დამფუძნებელ კრებას ითხოვენ სარევოლუციო პარტიები რუსეთში.

ჩვენ მოკლეთ გადავავლეთ თვალი ერთის მხრივ რევოლუციის პირველ გამარჯვების ნაყოფს და მეორის მხრივ რევოლუციის საბოლოო მისწრაფებას; ესეც საკმარისია იმ აზრის დასასკვნელად, რომ ჯერ-ჯერობით მხოლოდ დაიწყო რევოლუცია და როდის მიაღწევს იგი ცველა თავის მიზანს,—

შეუძლებელია კაცმა გამოიცნოს. ცხადია მხოლოდ ის, რომ სარევოლიუციო ბრძოლა დიდს ხანს გავრჩელდება და რაც ხანი გავა, უფრო და უფრო მეტის სიმკაცრის და სისასტიკის ხასიათს მიიღებს. ის პროგრესიული საზოგადოებრივი წრეები, რომელიც დღემდე გამოურკვეველის თანხმობით და თითქოს ბინდ გადაკრულის ერთსულოვანებით მიიწევდნენ წინ, უფლებრივ წესწყობილებისკენ, თან და თან გამოარკვევენ თავის მისწრაფების რეალურს შინაარსს და ამასთანავე თანდათან დაიყოფიან ერთი მეორის მოწინააღმდეგე პოლიტიკურ პარტიებად. ასეთის დანაწილების ნიშნებს უკვე ნათლად ვხედავთ საერობო მოღვაწეთა ნოემბრის კრებაზე, რომელმაც წინად ერთ ხაზზე მიმდინარე საზოგადო მოღვაწეები უკვე ორ ნაწილად გაჰყო: ერთის მხრივ გუჩქოვმა და იმისმა თანამოაზრებმა უკვე უკანასკნელი წერტილი დაუსვეს თავის სარევოლიუციო მოქმედებას „17 ოქტომბრის კავშირის“ დაარსებით და მეორის მხრივ კოვალევსკიმ, პეტრენკვეიჩმა და სხვებმა უარ ჰყვეს დამუუძნებელ კრების საჭიროება, ორთავემ კი პრინციპიალურად დაპგმეს რესპუბლიკა და საბოლოოდ ჩამოშორდნენ მუშათა და გლეხთა ორგანიზაციებს.

ამ უამად პირდაპირ, შეუყოყმანებლივ დამფუძნებელ კრებას და დემოკრატიულ რესპუბლიკას მოითხოვენ მხოლოდ სოციალისტური პარტიები და იმათს ძლიერს ხმას ბანს აძლევს მარტო ოდენ რადიკალთა პარტია, რომლის ძალ-ლონეც ჯერ-ჯერობით გამორკვეული არ არის. ლიბერალური და კონსერვატიული პარტიები თან-და-თან უახლოვდებიან ერთმანეთს და მოსალოდნელია, რომ რევოლიუციის განვითარებასთან ერთად მათ შორის თანხმობა უფრო და უფრო განმტკიცდება, რათა შეერთებულის ძალ-ლონით უკეთ გაუმკლავდნენ სოციალისტების იერიშებს. ჯერ ხანად რუსეთის ლიბერალებს თითქოს ვერ გაუბედნიათ პირდაპირ გაუწოდონ ხელი თავის წინანდელ მტრებს, კონსერვატორებს, მექეჩისკის და კომპანიას, მაგრამ ცხადია, თუ ლიბერალთა ყველა წრეები არა, მომეტებული ნაწილი მაინც მალე სრულიად შეურიცდება

17 ოქტომბრის კონსტიტუციის, ისე როგორც შეურიგდა იმას ცნობილი რეაქციონერი მეშჩერსკი და მაშინ მათს სულიერ შესაერთოებლადაც გაიწინდგა ნიადაგი. ჩეენ კარგად გვესმის, რომ ეს კავშირი ხანგრძლივი და საბოლოვო არ იქნება, რადგან პოლიტიკურ იდეალების გარდა კიდევ ბევრი სხვა რამ არის საკირო მოპირდაპირე პარტიების შესაერთოებლად, მაგრამ ვიდრე რუსეთში რევოლუციის ცეცხლი ტრიალებს და პოლიტიკურს იდეალს უპირველესი მნიშვნელობა აქვს, უკველია კონსერვატორების და ლიბერალების დაახლოვების პროცესი თან-და-თან წინ წაიწევს.

თუმცა 17 ოქტომბრის მანიფესტი მხოლოდ რევოლუციის სუსტს გამარჯვებას პნიშნავს, მაგრამ თვითმპყრობელობის ერთგულს მონებს ისიც კუვაში არ დაუჯდათ და რუსეთის იმპერიის მთელს ტერრიტორიაზე თავი წამოჰყევს საჩქაროდ შემდგარმა ძევლი რეუიმის დამცველთა ჯგუფებმა, ევრედ წოდებულმა ხულიგანებმა, რომელნიც ნაციონალურ ღრმუშით დაიარებოდნენ ქუჩა-ქუჩა და თავს ესხმოდნენ ერთის მხრივ რევოლუციის მომხრე ჯგუფებს და მეორის მხრივ სრულიად მშვიდს, პოლიტიკურ ბრძოლის გარეშე მყოფ მცხოვრებლებს. ზოგან ადგილობრივი აღმინისტრაცია პირდაპირ ხულიგანების მხარეზე გადადიოდა, ჯარს და პოლიციელებს აშველებდა მათ და თვით ხულიგანებს იარაღს აძლევდა, ზოგან კი აღმინისტრაცია თითქო ნეიტრალიტეტს იცავდა და საქმეში მხოლოდ მაშინ ერეოდა, როდესაც უკვე სისხლის ღვრა იწყებოდა. ხულიგანებს ეს ჭავისებური პატრიოტული მოძრაობა კონტრ-რევოლუციიდ იქნა წოდებული და იმის წინააღმდეგ ერთხმივ ამხედრდნენ როგორც ყველა პროგრესიული პარტიები, აგრეთვე პრესა, თვითმმართველობის ორგანოები და საზოგადოებრივი აზრი. პეტერბურგის და მოსკოვის გაზეთები პირდაპირ ამტკიცებდნენ, ეს კონტრ-რევოლუციონური მოძრაობა ერთის ხელით არის ყველვან მოწყობილი ცენტრიდამო, და მედგრად თხოულობდნენ პოლიციის მინისტრის

ტრეპოვის გადაყენებას. გენერალი ტრეპოვი მართლა გადაყენებულ იქმნა სამსახურიდამ და ხულიგანთა მოძრაობამაც თანდა-თან იკლო. საზოგადოება და განსაკუთრებით კი სოციალისტური პარტიის მაინც გულდამშვიდებულნი არ არიან და თხოულობენ, მილიციების დაუყონებლივ დაარსებას. ტფილისში მღვდლის გოროდულვის და მის დამქაშების პირდაპირ გავლენით შეადგინეს ხულიგანთა ბრძო, გაუღვიძეს ბნელ ხალხს, უმთავრესად რუსებს, ქვენა გრძნობები და 21 ოქტომბერს ჯარის და პოლიციის მფარველობით გაამართვინეს პატრიოტული მანიფესტაცია. 22 ოქტომბერს ამ ბრძომი იერიში მიიტანა პირველ გიმნაზიის მოწაფეებზე, ასტეხა ალიაქოთი და ცემა-ტყება. პატრიოტების მცველად მიჩემებულმა ჯარებმა თოფები დაახალეს გიმნაზიის შენობას და ამ სროლის ხმაზე გოლოვინის პროსპექტზე უეცრივ გამოიფინა ახალი რაზმები სალდათების და ყაზახებისა. თითქმის მთელი საათის განმავლობაში განუწყვეტელის სროლის ხმა ისმოდა; სროლის მოჰყვა სახლებში შესევა და იქ ოთახებში მრმალულ ხალხის ხოცვა-ულეტა. ხულიგანებმა და ჯარმა 22 ოქტომბერს ასამდე კაცი და ქალი იმსხვერპლეს. როგორც შემდეგ გამოირკვა, პატრიოტულ მანიფესტაციის გმირებს არც აწიოკებულ ხალხის ქონება დაჰკიტყებიათ: რაც წასაღები ყოფილა, წაუდიათ, რაც არა—გაუფუჭებიათ, მარტო პირველ გიმნაზიას 18 ათას მანათაშიდე ზარალი მოჰკვდია.

22 ოქტომბრის შემდეგ, ცხადია, ტფილისის მცხოვრებლებს არ შეუძლიანთ გულდაჯერებული იყვნენ, რომ ხელის ახლა არ გაისტუმრებენ საიქიოს ახალს ასეულს, მით უმეტეს რომ კავკასიის ნამესტნიკი გრ. ვორონცოვ-დაშვილი მადლობასაც კი უცხადებს იმ ჯარებს, იუნკრებს და კადეტებს, რომელთაც ხულიგანებთან ერთად გაიმარჯვეს 22 ოქტომბერს უიარალო ხალხზე. 22 ოქტომბრის ინციდენტი აუცილებელ საჭიროებად ჰქონდის ხალხის შეიარაღებას და მილიციის დაარსებას. სწორედ ამ შეიარაღებას და მილიციის მოწყობას ითხოვს ტფილისის საზოგადოება იტფლისის თვითმარ-

თველობისაგან, როგორც ისეთ დაწესებულებისაგან, რომელ-
საც საშუალებაცა აქვს და მოვალეობაც აწევს ამ საქმეს
გაუძლვეს.

სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ ერთი მეტად საინტერე-
სო აზრია გავრცელებული ინტელლიგენტთა სხვა და სხვა
წრეებში. სახელმწიფოს პოლიტიკა ანუ სახელმწიფოე-
ბრივი უფლობა მუდამ სხვა და სხვა მხრისაკენ გამწევ
ძალთა შუა ხაზზე იმყოფება და ამ საშუალო ხაზის მიმარ-
თულებას მისდევს, ამბობენ და ამ შეხედულებას უწო-
დებენ რეალურ პოლიტიკის პრინციპს. თანახმად ამ შე-
ხედულებისა, სახელმწიფოებრივი უფლობა საერთო მიზანია
მოწინააღმდევე საზოგადოებრივი ძალებისა, თითოეული
ძალა სცდილობს ეს უფლება თავისკენ გაიტაცოს, თავის
ხელში ჩაიგდოს, მაგრამ რადგან იმას მოწინააღმდევე საზო-
გადოებრივი წრეები სხვა და სხვა მიმართულებაზე ეწევიან,
ამიტომ იგი არც ერთს მათგანს ხელში არ უვარდება და
ისეთს ადგილას ჩერდება, რომელსაც შეიძლება თანასწორ-
ძალიანობის ცენტრი ვუწოდოთ. გამეცნიერებული პოლიტი-
კოსები ფუჭის და უაზრო ფანატისმის სახელით იხსენიებენ
ისეთს საზოგადოებრივ წრეებს, რომელთაც მოქმედების სა-
გნად სახელმწიფო უფლების სრულიად თავის ხელში ჩაგდე-
ბა გაუხდიათ: ეს შეუძლებელია, ამაოდ ისწრაფიან იქითკენო,
ბრძნულად ამბობენ რეალურ პოლიტიკის მიმდევარნი და იმა-
ვე დროს სცდილობენ წინასწარ გამოიცნონ, სად იმყოფება
ამ უამად თანასწორ-ძალიანობის ცენტრი, რომ სწორედ იქ
გაჩერდნენ და ამ გვარად ხელი შეუწყონ, დააჩქარონ სახელმ-
წიფო უფლობის ჩაგდება „ნორმალურს“ კალაპოტში. აქ ჩვენ
ამ პოლიტიკის პრინციპების გარჩევას არ გამოუდგებით, აღვ-
ნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ ნიადაგზე იდგნენ და სდგანან
დღესაც საერთო მოღვაწეები.

რუსეთის სახელმწიფოებრივ უფლობის ორგანიზაციაში
17 აქტომბრის მანიფესტით შეტანილი ცვლილება, როგორც

გრაფ ვიტტეს მოხსენებიდან სჩანს, სწორედ რეალურ პოლიტიკის პრინციპის თანახმად მოხდა. გრაფი ვიტტე აღნიშვნავს თავის მოხსენებაში საზოგადოებრივ ძალთა განვითარებას, სახელმწიფო მექანისმის უკან ჩამორჩომას და საჭიროდ მიაჩნია იმდენად იქმნას იგი წინ წაწეული, რომ მტკიცე საფუძველზე დაემყაროს, მოსპოტის ბრძოლა მოწინააღმდეგე წრეებისა ერთი-ერთმანეთთან და მშვიდობიანობა ჩამოაგდოს. როგორც ზემოდ აღვნიშვნეთ, მანიფესტი სახელმწიფო უფლებას ხალხისა და მეფის შუა ანაწილებს, მაშასადამე სახელმწიფო უფლება მოპირდაპირე ძალთა შუა ჩერდება. ამ გვარად რუსეთის ახალი წეს-წყობილება რეალურ პოლიტიკის პრინციპზეა გამოქრილი და ეს გარემოება სულიერს კავშირს ამყარებს ეხლანდელ დროებით მთავრობის, გრაფ ვიტტეს მმართველობის, და საერობო მოღვაწეთა ორგანიზაციის შორის—ცხადია, 17 ოქტომბრის შემდეგ მთლად ჩამოიქცა ის კედელი, რომელიც წინად მთავრობისა და საერობო მოღვაწეთა შუა იყო აშენებული, და ამიტომ ერთის მხრივ ვიტტე და მეორის მხრივ საერობო მოღვაწენი სცდილობენ ურთიერთთან დაახლოვებას, ურთიერთის გამაგრებას.

ტენდენცია დაახლოვებისა ყოველსავე ექვს გარეშეა, მაგრამ ოპოზიციის წრიდამ უეცრად მთავრობის მოკავშირთა რიგში გადასვლა საერობო მოღვაწეებს ცოტა უძნელდებათ. მიზეზი მეტად მარტივი და ადვილად გასაგებია: აქამდე ე. ი. 17 ოქტომბრიამდე საერობო მოღვაწეები, როგორც ოპოზიციანისტები, თავის მოქმედებას სარევოლიუციო სოციალისტურ პარტიის მოქმედებას უთანაბებდნენ, და რაღაც იმათი მოქმედება კრებებზე რეზოლუციების შემუშავებაში გამოიხატებოდა, ამიტომ მთლად ეს მოქმედება გადაიქცა პრინციპების გამოცხადებად; ამ გვარად საერობო მოღვაწეები ერთის წლის განმავლობაში ყოველს ახალს კრებაზე უფრუ და უფრო რადიკალურ რეზოლუციებს ამტკიცებდნენ, რათა უფრო კაფიოდ და ნათლად გამოეთქვათ თავისი ოპოზიციონური მდგომარეობა და უკიდურეს პარტიებთან

თანხმობა; სექტემბრის კრებაზე საერობო მოღვაწეებმა სხვათა შორის მოითხოვეს დამფუძნებელ კრების მოწვევა, რომელიც უკიდურეს პარტიათა ჩრდილით სრულიად უარ-ჰყოფს მონარქიას და გამოაცხადებს რესპუბლიკას; საერობო მოღვაწეებმა ამ დადგნილებით ცოტა შორს შესტოპეს და ეხლა უძნელდებათ უკან გამობრუნება, რადგან უკან-დახვეით ისინი ცხად ჰყოფენ თავის უპრინციპობას ერთის მხრივ და უკიდურეს პარტიებიან კავშირის სრულ მოსპობას მეორის მხრივ. როგორც აქედან სჩანს, მთავრობის და საერობო ორგანიზიციის დაახლოვებას ხელს უშლის უმთავრესად პსიხოლოგიური, ან, თუ გნებავთ, მორალური მოსაზრება. ვიდრე საერობო მოღვაწენი პირდაპირ გაუწვდიდნენ ხელს ეხლანდელ მთავრობას, საჭიროა წინანდელ რეზოლუციებას გადაშინჯვა და პრინციპიალური უარყოფა ისეთის დადგენილებებისა, რომელთა განხორციელებაც შეურიგებელია 17 ოქტომბერს გამოცხადებულ საკონსტიტუციით მთავარ საფუძვლებთან. საერობო მოღვაწეები სწორედ ამ გზას დაადგნენ და ნოემბერში, მოსკოვის კრებაზე, უკვე უარ ჰყვეს დამფუძნებელ კრების საჭიროება, მაგრამ ცხადად კი არა, ისე — ფარულად. პირველ საკანონმდებლო კრებულს, სახელმწიფო სათათბიროს, ფორმალურად უნდა მიეცეს დამფუძნებელ კრების ფუნქციებით — დაადგინეს საერობო მოღვაწეებმა: ეს არც დამფუძნებელ კრების მოთხოვნაა და არც იმის უარ ყოფაა, ერთიც არის და მეორეც; ამ ფორმულით საერობო ორგანიზაცია ერთს ხელს გრაფ ვიტრეს აძლევს, მეორეს სარევოლიუციო სოციალისტურ პარტიებს. ამ გვარად რეალურ პოლიტიკის მიმდევრობამ პატივცემული და დინჯი საერობო მოღვაწენი უპრინციპო პარტიულისტებად გადააკცია.

ჩვენ უკვე იღვნიშნეთ, რომ ერთის თვალსაჩინო საერობო მოღვაწის, ბ-ნ გუჩიოვის, მეთაურობით უკვე დაარსდა „17 ოქტომბრის კავშირი“, ე. ი. ისეთი პოლიტიკური პარტია, რომელიც პირდაპირ სოლიდარობას უცხადებს გრაფ ვიტრეს მმართველობას და ჰყიცხავს საერობო ორგანიზაციის

ორქოფს პოლიტიკას. ასეთივე ხასიათი აქვს „უფლებრივ წეს-რიგის პარტიის“, რომლის ორგანოდაც გაზეთი „სლოვო“ გადაიქცა და ერთ-ერთ სულის ჩამდგმელად პეტერბურ-გელი პროფესორი ლატკინი. ცხადია ეს პარტიები ეცდე-ბიან გრაფ ვიტრეს გაძლიერებას, სახელმწიფო სათათბიროს მოწვევას და იქ ისინი ცენტრის პარტიის შეადგენენ. საერო-ბო თრგანიზაცია კი ძალა-უნებურად დაიშლება და სხვა პარ-ტიებში გაილესება: ნაწილი რადიკალების და კონსტიტუციო-ნალ-დემოკრატების პარტიაში გაიღვა და ნაწილი წესრიგის პარტიაში; ორთავ შემთხვევაში, საერობო მოღვაწენი პარლა-მენტის ცენტრში მოჰყვებიან; გამოურკვეველი მხოლოდ ის-ლაა, ცენტრის მარჯვენა ფრთას უფრო დაუახლოედებიან თუ მარცხენას.

საერობო მოღვაწეებმა თავისი ისტორიული როლი ეხ-ლანდელს რევოლუციაში უკვე შეასრულეს და საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე როგორც პროგრესიული ელე-მენტები, თანდათან უთმობენ აღილს სხვა საზოგადოე-ბრივ წრეებს. ამ ახალ საზოგადოებრივ წრეებში, რომელ-ნიც მხოლოდ ეხლა გამოდიან საქვეყნო სარბიელზე გადამ-წყვეტ სიტყვის სათქმელად, პირველი აღილი უჭირავს რუ-სეთის გლეხობას. დღემდე გლეხობა თითქოს ჩუმად იყო, იგი თითქოს აპატიურად აღევნებდა თვალ-ყურს პოლიტიკურს ბრძოლას თავის მიყრუებულ ბინიდამ და პირდაპირ მონაწი-ლეობას არ იღებდა რუსეთის ბედ-ილბლის გადაწყვეტის სა-ქმეში. გლეხობის ყრუ სიჩუმე ზოგის თვალში სახიფათო, საფათერაკო მომავლის ნიშანი იყო, ზოგი კი კითხვის ნიშნად გადაქცეული გაოცებული იდგა 10-მილიონიან გლეხობის წი-ნაშე და ვერ გამოეცნო, რა აზრი, რა გულისთქმა პეტენდა ამ უცნაურ არსებას.— რუსეთის რევოლუციამ უეცრივ აპხადა ფარდა რუსეთის გლეხობას და ეს მძლეთა მძლე საზოგადო-ებრივი ძალა ეხლა-კი ნამდვილად გამოიყვანა აპატიურ მდგომა-რეობიდამ რუსეთის მომავლის გადასაწყვეტად.

სწორედ იმ დროს, როდესაც მოსკოვში საერობო მოღვაწეები ანდერძს უგებდნენ თავის რევოლუციონერობას და გზას იყაფავდნენ გრაფ ვიტტესთან შესაკვშირებლად, გაიხსნა რუსეთის გლეხთა წარმომადგენლების კრება. ამ კრებამ რევოლუციის ცენტრი ერთბაშად გადიტანა პოლიტიკის სფერიდამ სოციალურ ურთიერთობის სფერაში და რუსეთის 70 მილიონ მცხოვრებთა სახელით მოითხოვა გაუქმება კერძო საკუთრების მიწაზე: მიწა მშრომელ ხალხის საერთო საკუთრება უნდა იყოსო. გლეხობას სრული იმედი აქვს, რომ მიწის გასაზოგადობრივობა აუცილებლად დაკანონებულ იქმნება დამფუძნებელ კრებისაგან და ამიტომ იგი მოითხოვს იმის დაუყონებლივ მოწვევას. დამფუძნებელ კრებას, საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და ფარულ სისტემით არჩეულს, როფორც ვიცით კაი ხანია თხოულობენ მუშათა პარტიები და რადიკალური დემოკრატები, მაგრამ იმათთვის საყოველთაო არჩევნების ნაყოფი გამოუცნობელი იყო, რადგან ასინი რუსეთის ხალხის მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენენ. სულ სხვაა გლეხები, ისინი ყველა სხვა კლასზებზე მეტს ძალას წარმოადგენენ თავის რიცხვით და ამიტომ ის მიზანი, რომლის განსახორციელებლად გლეხობა დამფუძნებელ კრებას ითხოვს, კიდეც უთუოდ განხორციელებულ იქნება, თუ კი დამფუძნებელი კრება შესდგა. მუშებს და მათს წარმომადგენლებს, სოციალ-დემოკრატებს, ლიბერალები უუბნებიან, ჩვენ ისე დიდად ვაფასებთ თავისუფლებას, რომ არ გვინდა იგი განსაცდელში ჩავაგდოთ და დამფუძნებელ კრებას მივანდოთ ხელში იმის არსებობის გადაწყვეტი; ვინ იცის რას მოისურვებს დამფუძნებელი კრება, იქ ხომ მუშები მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენენ? ასეთს ლიბერალურის ფრაზებით ლიბერალები გლეხებს ვერ მიჰმართავენ: რაც გლეხობის სურვილი იქნება დამფუძნებელ კრების უმრავლესობაც სწორედ იმას დაკანონებს; გლეხობის სურვილი კი—მიწა და თავისუფლებაა.

გლეხობის გიმოსვლას აქტივურ პოლიტიკის ასპარეზზე იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, იმდენად ღრმა ცვლილება შეაქვს ამ ფაქტის ეხლანდელ რევოლუციის შინაარსში, რომ ჩვენ არ ძალ გვიძს, ვიწინასწარმეტყველოთ იმისი გავლენა და გამოვიკნობთ, რა მიმართულებას მიიღებს შემდეგისთვის განმათავისუფლებელი მოძრაობა. გლეხთა მოთხოვნის გულ-ცივად უარყოფა ყოვლად შეუძლებელია: თუ მთავრობა არ აასრულებს მათს მოთხოვნას, ისინი თითონ მოახერხებენ და-მფუძნებელ კრების მოწვევას. საგლეხო მოძრაობა, რომელ-მაც უკვე იფეოქა ზოგიერთს გუბერნიებში, ელვის სისწრა-ფით მოედება მთელს რუსეთს და ისეთი საშინელი ცეცხლი და მახვილი დატრიალდება, რომ საფიქრებელია, აიტანს თუ ვერა ამ მოძრაობას რუსეთი. გლეხობას კარგად ესმის თავისი ძლიერება და არც ჰმალავს იგი ამას: ათ ნოებრის შემდეგ ვიდრე დამფუძნებელ კრების მოწვევამდე რუსეთის მთავრო-ბისაგან სესხად აღებულს ვალს რუსის ხალხი არა სთავდე-ბობსო, გამოაცხადა გლეხთა კრებამ და ამით დაუმტკიცა გრაფ ვიტტეს და მის დამქაშებს, რომ გლეხობა პერ-ნობს თავის სიძლიერეს. დამფუძნებელი კრება, მაშასადამე, აუცილებლად უნდა შესდგეს და ეს კრება პირველად დასცემს მუქიკის მაგარ მუშტს კერძო საკუთრებას, ამ ფოკუსს აწინდელ ფერადოვან მონობისას. ცხადია, დამფუძნე-ბელი კრება სამუდამოდ გაუთხრის სამარეს რუსის პომეში-კებს, რომელთაგანაც შესდგება უმთავრესად საკუთრებო ორგა-ნიზაცია, საკონსტიტუციო დემოკრატიული პარტია, 17 აქტომბრის კავშირი, უფლებრივ წესრიგის პარტია და სხვე-ბი. ცხადია, არც ერთი ლიბერალურ-ბურეუაზიული პარტია არ მოისურვებს დამფუძნებელ კრების მოწვევას, რაკი შეიგ-ნებს, რა განსაცდელი მოელის ამ კრებისაგან იმის კლასსიურ ინტერესებს, ცხადია, — მაშასადამე — რომ საშინელი ბრძოლა უნდა ასტყდეს კერძო საკუთრების დამცველთა და მის მტერთა შორის. ვინ გაიმარჯვებს — ამას მომავალი გვაჩვენებს, დღეს კი ნათლად ვხედავთ, რომ ბრძოლა უკვე დაიწყო, ბრძოლა

სოციალურ ურთიერთობის საფუძველთა შესაცვლელად და არა მხოლოდ მმართველობის ახალ ფორმის დასაწესებლად.


გრაფ ვიტტეს მთავრობამ იგრძნო, საიდან მოელის იმის ლიბერალიზმს განსაცდელი, და მიუხედავად კრების, სიტყვის და კავშირის თავისუფლებისა საჩქაროდ დატუსალა გლეხთა კავშირის ბიურო. მთავრობამ იცის, გამოცდილებით იცის, რომ ციხე აზრს ვერა ჰქონდა, და ამიტომ ბიუროს დაპატიმრებასთან ერთად გამოაცხადა კანონი, შესახებ გლეხების განთავისუფლებისა გამოსასყიდ გადასახადებისაგან, რომელთაც გლეხობა უიმისოდაც არ იხდიდა. ამასთანავე იმ ადგილებში, სადაც უკვე საგლეხო მოძრაობა დაიწყო, მთავრობამ გენერალ-ადიუტანტები დაგზავნა მშვიდობიანობის დასამყარებლად და ამ მინდობილების ასასრულებლად ამ ახლად გამოჩეკილს მოხელეებს განსაზღვრელი უფლებები მიანიჭა. მთავრობის განკარგულებანი ორ ვერას ხასიათისაა: ერთის მხრივ სისასტეკით და მეორის მხრივ ლმობიერის კანონებით იგი სცდილობს გლეხებს ხმა ჩაკერძინოს, რადგან ჰქონდავს, რომ მეტაც კრიტიკული მდგომარეობაა და ამიტომ უკელა საშუალება სამართლიანია, რომელიც კი არსებულ სოციალურ ურთიერთობის გაამაგრებს და დაიცავს.

გლეხობამ წარმომადგენლების პირით ერთხმივ გამოუცხადეს თავისი სალიდარობა მუშებს, რომელთა პარტიული ორგანიზაციები დღემდე პრინციპიალურად წინააღმდევნი იყვნენ მიწის გასაზოგადოებრივობისა, მაგრამ ეხლა კი აქა-იქ აცხადებენ, რომ მიწა მთლად გლეხობას უნდა გადაეცეს. გლეხობის გამოსვლამ პოლიტიკის ასპარეზზე განსაზღვრულის პროგრამით აამოძრავა ერთის მხრივ მთავრობა და მეორის მხრივ მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიები: მთავრობა როგორც თავისი მოწინააღმდევე, სოციალ-დემოკრატია—როგორც მოკავშირე. მომავალში გლეხობის გავლენა უფრო ცხადი გახდება, როგორც სხვა და სხვა პარტიების მიერ თავიანთ პროგრამების გადაშინჯვის მხრივ, ეგრეთვე ლიბერალურ წრეებისაგან მათ შესაფერ პოზიციის გამოძებნის მჩრივ.

გლეხობა ლიბერალებს აიძულებს არაზროვანი პირბადე აიხ-
სნან და გულაზღიულად ჩიდგნენ რეაქციონერების წრეებში,
ისე როგორც თავის ერთგულ მეგობრებს აიძულებს იგი,
შესწყვიტონ ყოველივე კავშირი ლიბერალებთან და პირდაპირ
გადავიდნენ რევოლუციონერთა ბანაკში. გლეხობის სარევო-
ლიუციონობრივი უნდა გაუწიოს დღეიდამ პირდაპირი ანგარიში.


გ. ၄.

უერთდება შემდეგის თანასწორობით ესრედ, წოდებულ ნიტ-
როზილ გოგირდის სიმჟავის წარმოშობით: $\text{SO}_2 + \text{HNO}_3 =$
 $\text{SO}_2 - \text{NO}_2 - \text{HO}$ ^{*)}). ამ მოლეკულში გოგირდი ექვს მიმზიდველოვან
 ელემენტად უნდა ჩაითვალოს: ის ოთხიმზიდველობით მეავმბა-
 დის ორ ატომთან არის შეერთებული, ერთმიმზიდველობით
 ერთლიდროქსილთან (HO)-სთან და ერთითაც ესრედ წოდებულ
 ნატროჯგუფთან; ნიტროჯგუფში კი ორ მეავმბადის ატომებთან
 შეერთებულია აზოტის ატომი ხუთმიმზიდველოვანად უნდა ჩაი-
 თვალოს, ასე რომ გოგირდის სიმჟავის მოლეკულში მას ერთ
 თავისუფალ მიმზიდველობით შეუძლიან ერთმიმზიდველოვანი-
 სავე ლიდროქსილის აღგილი დაიკიროს. ამ თანასწორობით
 გაჩენილი ნიტროზილ გოგირდის სიმჟავე არა მჴიდრო ნივთიე-
 რებას წარმოადგენს და ამიტომ გაჩენისთანავე კამერაში შემა-
 ვალ მდუღარე წყლის ორთქლის ზედგავლენით ის წყალთან
 ერთად გოგირდის სიმჟავის, აზოტუსნგის და აზოტორეანგის
 წარმოშობით იშლება შემდეგის თანასწორობით:




გაჩენილი გოგირდის სიმჟავე, როგორც ძნელად ასაორ-
 თქლებელი სითხე კამერის ძირზედ გროვდება, გაზოვანი აზოტ-
 განგი, აზოტორეანგი კი კამერაში შემავალ გოგირდოვან გაზ-
 თან, წყლის ორთქლთან და ჰაერის მეავმბადთან ერთად ისევ
 ნიტროზილ გოგირდის სიმჟავედ იქცევა შემდეგის თანასწო-
 რობით:

*) ნიტროზილ გოგირდის სიმჟავე თავისუფალ მდგომარეობაში თავე-
 ლივით თეთრ კრისტალლიურ ნივთიერებას წარმოადგენს.



ეს უკანასკნელი წყლის ზედ გავლენით კიდევ და ისევ გოგირდის სიმუავედ და აზოტის უანგეულობებად იქცევა.

კანკერულ წესის დემონსტრაციისათვის ლაბორატორიებში დიდ ჭიქის კოლბას ხმარიბენ, რომლის თავსაცავში გაზების შესაშვებად და გამოსაშვებად ჩამაგრებულია ოთხი გრძელი და ერთი მოკლე ჭიქის მილები. ოთხ გრძელ მილების შემწეობით კოლბაში გოგირდოვანი გაზი, აზოტეანგი, ჰაერი და წყლის ორთქლი უნდა შედიოდეს, მეხუთე მოკლე მილი-კი ზედ მეტ გაზების გამოსაშვებად არის თავსაცავში ჩამაგრებული. (იხილე სურათი). ჩვენ სურათზედ პატარა კოლბა ა-ში გოგირდის სიმ-



გავის ლითონ სპილენძზედ ზეღმოშედებით გოგირდოვანი გა. ზი SO_2 მზადდება შემდეგის თანასწორობებით 1) $\text{SO}_4\text{H}^2 + \text{Cu} = \text{SO}_4\text{Cu} + \text{H}^2$ და 2) $\text{SO}_4\text{H}^2 + \text{H}^2 = \text{SO}_2 + 2 \text{H}_2\text{O}$; კოლბაში ბ-ში აზოტეანგი NO წყალსნილ აზოტის სიმუავის სპილენძზედ ზედმოშედებით შემდეგის თანასწორობებით: 1) $2 \text{NO}_3\text{H} + \text{Cu} = (\text{NO}_3)^2\text{Cu} + \text{H}^2$ და $\text{NO}_3\text{H} + 3 \text{H} = \text{NO} + 2 \text{H}_2\text{O}$. ბოლოსაც კო-

ლბა C-ზი წყლის დუღილის შემწეობით წყლის ორთქლი მჩადდება. ყველა ამ კოლბებიდგან გაზები ჭიქის და კაუჩუკის მცლების შემწეობით დიდ კოლბაში ჩადიან. აქ აზოტეანგი გრძელ მიღ ძაბან შემავალ ჰაერის მეავმბადის ზედავლენით აზოტორეანგად იქცევა; ეს უკანასკნელი წყლის ორთქლში გახსნილ გოგირდორეანგს თავის მეავმბადი ნაწილს უთმობს, მას გოგირდის სიმეავეთ აქცევს და თავათ კი ისევ აზოტეანგად და შემდეგ ისევ აზოტორეანგად იქცევა ახალ გოგირდოვან სიმეავის გასაუანგავად, მის გოგირდის სიმეავედ გარდასაქცევად. გამოცდილება დიდ კოლბაში წყლის ორთქლის შესვებით იწყება, ამას შემდეგ კი კოლბაში სხვა გაზებსაც შეუშვებენ ხოლმე. თუ თავიდგანვე გოგირდოვანი-გაზი და აზოტეანგი ერთად უწყლოდ შეუშვეს, ეს უკანასკნელები ნიტროზილ გოგირდის სიმეავედ გარდაქცეულნი კრისტალლიურ მდგომარეობაში კოლბის კედლებზედ მოიყრის თავს. საზოგადოდ კამერაში ან, მაგალითად, ჩვენ კოლბაში კრისტალლიურ ნიტროზილ გოგირდის სიმეავის გაჩენა იმის მაჩვენებელია, რომ მათში გოგირდის სიმეავის გასაჩენად არ შედის წყლის ორთქლის ხაკარისი რაოდენობა.

კამერულ წე'ით დამზადებული გოგირდის სიმეავე შეიცავს $670/_{\text{o}}$ წმინდა სიმეავის ას. ერედ წოდებულ საბაზრო ანუ სავაჭრო გოგირდი, სიმეავის და ამზადებლად კამერებში მიღებულ სიმეავეს ტყვიის აპპარატები შემწეობით $78/_{\text{o}}$ პროცენტად შეა ქველებენ ე. ი. წყლი: ორთქლებით მას უფრო კონცენტრიულ სიმეავედ გარდააქცევენ; ამის შემდეგ კი სიმეავის შესქელება პლატინის აპპარატებში განვითარდება, რადგან $78/_{\text{o}}$ პროცენტანი სიმეავე ტყვიაზედ მოქმედებას იწყებს. პლატინის ასაორთქლებელ კურკელში სიმეავეს




96—98%, Յհուցենքամած ակտելեց և այդ ցար Լուսին ուղարկեց ։
 Անցլո՛ ու գոցորդու և սօմշացու Լաելու ծանրեցն պահպան ։
 Անցլո՛ ու գոցորդու Լոմշաց առ առու յիմուրած թմոնդա և սօմ-
 շաց: Ու լուրած և ամու ցամ լու մոխացու ցըրուսա; ցարդա ամուս Ծպացու
 ազարաւրեցն ցանուրեցն: Ըստ մասն լուրած գոցորդու և սօմշացու Ծպաց
 մարուլու և սինդրեծ և ամա տաճաց մաս գոցոր-
 դու ցանուրան պահուալու լուրած առ յնույնու պահուա-
 յիմուրած ցանուրեցն կամերու և սօմշաց թպալն պահուա-
 եալու համ ամնարած թպալնենու և սօմշաց մելու ցանու-
 րան ցոցորմաց Ծպաց մացար մջամարեռնամ մուռոն.
 Եսնուն ճարիցնու լուրած Ծպացու մարուլու և ահենո-
 յումուն թաւարտեցն կո և սօմշաց լուրած ցոցորդ ծանում-
 ԲաՏ-ս մուռմարեցն, ոյանաւյն լուրած ցոցորդու միմյաց էց է թուրմով-
 թեցնու և սօմշաց և սրուրու ցայսենել ցոցորդ միմյացու ծա-
 ռում մարուլու և ցոցորդ թպալնենու ահեն պահուացու տաճանու-
 րանիտ: $\text{SO}_4\text{H}_2 + \text{BaS} = \text{SO}_4\text{Ba} + \text{H}_2\text{O}$. Ամ հյայլու լուրած ցանց-
 նու ցոցորդ թպալնենու կո և սօմշաց լուրած և ահենու և ցանունու
 ցոցորդ մաց Ծպաց էց մոյմեգուն և սօմշաց լուրած շաց նել մա-
 ցոցորդ Ծպացու և տաճուսուալ ցոցորդու և սօմշաց, թարմուն-
 նու պահուաց տաճանուրունու $\text{PBSO}_4 + \text{H}_2\text{S} = \text{SO}_4\text{H}_2 + \text{PBS}$.
 Եսաց ցոցորդ թպալնենու և սօմշաց լուրած պահուաց ահե-
 նույնու մայու մոյմեգուն և մաս և սօմշաց լուրած ցայսենել ցոցորդ
 ահենույնու պահուաց: Ամա պահուաց թպալնենու ցոցորդ և սօմ-
 շաց հալույու Ծպացու և ահենույնու: Մարուլեցնու ցանուրան
 մուռմայն և մաս ուսց կանցեն բրաւուս և ու ու լուրած պահուաց
 պահուաց և սինդրեց, ամացրեց:

Թմոնդա ցոցորդու և սօմշաց նուրայրեցն ցանուրան
 մատցան թպալու մուսանուրեցն եմարուն: Ամ մունուսաւուս յի-

სიკატორში ჩაასხამენ ხოლმე წმინდა სიმუავეს, შემდეგ მას შეასულოთ შესაფერად მოწყობილ საღველის შემწეობით გასაშრობ ნივთიერებას მოათავსებენ და ექსიკატორს ჭიქის სახურავით გერმეტიულად დაჰკეტენ, დახურავენ. (იხ. სურ.) სხვა და სხვა მიზნე-



პატარა ექსიკატორი..




დიდი ექსიკატორი.

ბისათვის საჭირო არის ხოლმე ვიცოდეთ, თუ რამოდენ პროცენტ წმინდა სიმუავისას შეიტავს ესა თუ ის გოგირდის სიმუავე. ასეთ შემთხვევებში ხმარობენ ესრედ წოდებულ არეომეტრებს ანუ სიმჭირხნის გასაგებ ხელსაწყოებს. ყველაზედ უფრო გავრცელებული ამ მიხნისათვის ბომეს არეომეტრი არის, რომლის 1° გრადუსი წყლის სიმჭირხნეს უდრის, 10° -კი $100/0$ პროცენტიან საჭმელ მარილის წყალხსნილს. ასეთი არეომეტრი $1000/0$ გოგირდის სიმუავეში $66,6^{\circ}$ გრადუსს აჩვენებენ.

ხლორიანი გოგირდის სიმჟავეები ანუ გოგირდის სიმჟავის ხლორიდები.


გოგირდის სიმჟავის და ხუთხლორ ფოსფორის ურთიერთ-შორის ზედოქმედებით სჩნდება ერსრელშოდებული ხლორ-სულფონის სიმჟავე შემდეგის თანასწორობით:




ხლორსულფო- ფოსფორის
ნის სისფერი. ხლორფინგი

ესავე სიმყავე სჩნდება სამეუნგვოგირდის და მარილის სიმ-
ჟავის ურთიერთშორისი ზედ მოქმედებითაც. ხლორსულფონის სიმჟავე წარმოადგენს გამსქრიახ, უფერულ სითხეს, რომელიც ჰაერზედ ძალიან ინისლება და წყლის ზედმოქმედებით დიდის ენერგიის წარმოშობით გოგირდის და მარილის სიმჟავეებად იქცევა შემდეგის თანასწორობით $\text{SO}_3\text{HCl} + \text{H}_2\text{O} = \text{H}\cdot\text{SO}_4 + \text{HCl}$. ხლორსულფონის სიმჟავე სდულს 150° გრადუსიან ტემპერა-
ტურაში და მისი სიმჭიდრე 18° გრადუსიან ტემპერატურაში უდრის $1,766$.


გოგირდის სიმჟავის მეორე ხლორიანი შენაერთი არის ესრედ წოდებული სულფურილ ხლორიდი შემდეგის მოლე-
კულიარულ ფორმულით SO_2CL_2 . ეს ნივთიერება სჩნდება პირ-
დაპირ ორგანგვირდის და ხლორის ურთიერთშორის ზედ-
მოქმედებით სულფურილხლორიდი უფერულ, გამსქრიახ სით-
ხეს წარმოადგენს; მას მწვავე სუნი აქვს და ჰაერზედ ესეც ძა-
ლიან ინისლება. ეს ნივთიერება სდულს $69,1^{\circ}$ გრადუსიან ტემ-
პერატურაში და მისი ს მჭიდრე 20° გრადუსიან ტემპერატუ-
რაში გამოანგარიშებული უდრის $1,6674\cdot\text{s}$. ცოტაოდენ წყლის
ზედგავლენით სულფურილხლორიდი ხლორსულფონის და მა-
რილის სიმჟავეებად იქცევა შემდეგის თანასწორობით:



ბევრ წყლის ზედმოქმედებით კი სულფურილ ხლორი-
დიდგან გოგირდის და მარილის სიმჟავეები სჩნდებიან შემდე-
გის თანასწორობით:



უკანასკნელ რეაქციაში გოგირდის სიმჟავის გასაჩენად სულფურილხლორიდის მოლეკულში ორ ატომხლორის აღვილს ორ მოლეკულ წყლის ღიდროქსილები იქცერენ ამრიგად:



აქედგან გამომდინარეობს გოგირდის სიმჟავის გაცნობის დროს აღნიშნული დასკვნა, რომ ამ სიმჟავის მოლეკულში ორი წყალმბადის ატომები შეაგმბადის ატომების შემწებით არიან გოგირდის ატომთან შეერთებულნი ესრედ წოდებულ ღიდროქსილურ მდგომარეობაში. ასეთნაირად აღნიშნულ გოგირდის სიმჟავის მოლეკულში ატომთა ჯგუფს „ SO_2 “-ს სულფურილს ეძახიან და აქედან წარმოსდგა უკანასკნელ ნივთიერების სახელიც სულფურილხლორიდი. ცნობილია იგრეთვე ამგვარივე ფლუორის შენაერთნიკ ესრედ წოდებული სულფურილ ფლუორიდი SO_2FL_2 , რომელიც სულფურილხლორიდივით პირდაპირ ფლუორის და ორჟანგგოგირდისაგან მზადდება.


ეს ნივთიერება გასაკვირველი არის თავის სრულიად მოულოდნელ სიმჟიდროვით ანუ, უკეთ რომ ვსოჭვათ, ქიმიურ ენდიფერენტიზმით, მაშინ როდესაც თვით ელემენტი ფლუორი მეტის მცტ ენერგიულ ნივთიერებად არის ცნობილი, სულფურილფლორიდი უფერულ, გამსჭრიას და სურნელოვან ნივთიერებას წარმოადგენს, რომელიც -52° გრადუსიან ტემპერატურაში სითხეულ და -120° გრადუსიანში კი მაგარ მდგომარეობასაც იძენს. ეს ნივთიერება წყალზედ 150° გრადუსიან ტემპერატურაშიაც კი არ მოქმედობს. ლითონი ნატრიუმი სულაც არ მოქმედობს ან ნივთიერებაზედ, ისე რომ ეს ელემენტი შეიძლება სრულიად შეუცვლელი კიდეც გავალდოთ გაზოვან სულფურილფლორიდში.

პერგოვირდის სიმჟავე $H_2 S_2 O_8$.

ცნობილია ამ სიმჟავის სხვა და სხვა მარილები. უკანასკნელების დასამზადებლად შესაფერ სულფატებს გახსნიან ხოლმე გოგირდის სიმჟავეში, რომლის სიმჭირენე 1,3 უნდა უდრიდეს და ასეთ ხსნილს ელექტრონის შემწეობით ქიმიურად დაშლიან. სულფატები ამ მიზნისათვის გაუხურებლად, ცივს სიმჟავეში უნდა გაიხსნას და იმდენი, რამოდენის გახსნაც კაცივს სიმჟავეს შეუძლიან. შემდეგ სულფატების ასეთ მაგარ და ცივ ხსნილზედ შესაფერად მოწყობილ ხელსაწყოში ელექტრონის ძალით მოქმედობენ და ამრიგად ანოდზედ თეთრ, კრისტალლიურ ნივთიერებას ესრედ წოდებულ პერგოვირდის სიმჟავის მარილს ვსთქვათ $K_2 S_2 O_8$ -ს მიღებენ.

ასეთ პირობებში, სხვათა შორის, ანოდზედ ერთმიმ-
ზიდველოვანი ატომთა ჯგუფებიც $\left\{ \begin{array}{l} =OK \\ =O \\ S=O \\ -O \end{array} \right.$

იყრიან თავს და აი ეს უკანასკნელები ერთი მეორესთან შეერთებით აჩენენ ზევით ონიშნულ მარილის მოლეკულებს შემდეგის ფორმულით $K_2 S_2 O_8$. კალიუმ პერგოვირდის სიაჟავის მარილი 100° გრადუსიან ტემპერატურაში ქიმიურად იშლება კალიუმ პიროსულფატის და მჟავმბალის წარმოშობით შემდეგის თანასწორობით:



უმეტესი ნაწილი პერგოვირდის. სიმჟავის მარილებისა წყალში ადვილად იხსნებიან, გოგირდის სიმჟავეში გახსნილ პერგოვირდის სიმჟავის კალიუმ მარილს კაროს სითხეს ესახიან. ასეთი სითხე მეტად ენერგიულ გამჟანგველ ნივთიერებას წარმოადგენს.



პოლიტიონისიმჟავეები.

პოლიტიონ ანუ ბევრ გოგირდიან სიმჟავეების ზოგადი მოლეკულიარული ფორმულა იქნება $H_2 Sn O_6$, საცა გოგირ-

დის ატომთა რიცხვი ი უნდა უდრიდეს ორს, სამს, ოთხს ანუ
ხუთს.


დიტიონსიმეუვე $H_2S_2O_6$. ამ სიმეუვის მისაღებად კარგად
დანაყულ, მტვრად ქსეულ მანგანუმის გადაეანგს წყალში აუ-
რევენ და ასეთ ჩარევზედ გაზოვან გოგირდ არ უანგით მოქ-
მედობენ შემდევგის თანასწორობით $2H_2O_2 + MnO_2 = MnS_2O_6$.
ამ ჭრაქციის დროს დიტიონსიმეუვის მანგანუმის მარილთან
ერთად ცოტა გოგირდის სიმეუვეც სჩნდება. გოგირდორევანგის
ზეღმოქმედების შემდევ წყალსნილ მანგანუმის მარილის და
გოგირდის სიმეუვის ნარევს ბარიუმტუტეს უმატებენ, რომ ამ-
ნაირად თავისუფალი გოგირდის სიმეუვე და დიტიონსიმეუვის
მანგანუმ მარილი წყალში გაუხსნელ ბარიუმმარილებად გარ-
დაიქცნენ შემდევგის თანასწორობებით:

$H_2SO_4 + Ba(OH)_2 = SO_4Ba + 2H_2O$ და $MnS_2O_6 + Ba(OH)_2 =$
 $BaS_2O_6 + Mn(OH)_2$. ბოლოსაც მიღებულ ბარიუმმარილებს სხვა
და სხვა საშუალებით მანგანუმის ღილარს მოაშორებენ, დი-
ტიონსიმეუვის ბარიუმმარილზედ გოგირდის სიმეუვით იმოქმედე-
ბენ სიმეუვის გასანთავისუფლებლად და წყალში გაუხსნელ გო-
გირდის სიმეუვის მარილებს საწურავ ქალალის შემწეობით სუ-
ლაც მოაშორებენ წყალსნილ დიტიონსიმეუვეს. უკანასკნელს
ვაკუუმის შემწეობით გოგირდის სიმეუვზედ შეასქელებენ, უფ-
რო კონცენტრიულ სითხეთ აქცივენ და ამნაირად მიიღებენ
სითხეს, რომლის სიმჟირხნე არ უნდა აღემატებოდეს 1,247-ს.
ასეთნაირად შესქელებულ წყალსნილ დიტიონსიმეუვას უფრო
კონცენტრიულ სიმეუვედ გარდაქცევა შეუძლებელია, რადგან
ზევით აღნიშნულ კონცენტრაციის შემდევ ეს ნივთიერება ქი-
მიურად დაშლას იწყებს შემდევგის თანასწორობით:





ამ სიმეუვის კალიუმმარილის მასაღებად წყალსნილ კა-
ლიუმტიონს ულფატში იმოდენ ორჟანგგოგირდს გახსნიან, რა-

მოდენის გახსნაც-კა მას შეეძლება, ასეთ პირობებში სჩნდება ტრიტიონსიმუავის კალიუმმარილი და თავისუფალი გოგირდი შემდეგის თანასწორობით:




თავისუფალი ტრიტიონსიმუავე შეტაც არა მჴიდრო ნივთიერებას წარმოადგენს, ის ჩეეულებრივ ტემპერატურაში სუსტკონცენტრიულ მდგომარეობაშიაც კა ქიმიურად იშლება გოგირდის სიმუავის, გოგირდორეანგის და თავისუფალ გოგირდის წარმოშობით შემდეგის თანასწორობით:



ამ სიმუავის მარილები სჩნდება იოდის ზედმოქმედებით ტიოსულფატის წყალსნილზედ შემდეგის თანასწორობით:

$$2 \text{ K}_2\text{S}_2\text{O}_8 + 2 \text{ J} = 2 \text{ KJ} + \text{K}_2\text{S}_4\text{O}_6.$$

აქაც როგორც ტრიტიონსიმუავის მიღების დროს შესაფერ წყალსნილ მარილებიდან წყალში გაუხსნელ ბარიუმმარილს ამზადებენ და ამ უკანასკნელიდან, ესე იგი ტეტრატიონსიმუავის ბარიუმმარილიდან გოგირდის სიმუავის ზედმოქმედებით ტეტრატიონსიმუავეს სულაც ანთავისუფლებენ. ეს სიმუავე არაკონცენტრიულ წყალსნილ მდგომარეობაში უფრო მჴიდრო ნივთიერებას წარმოადგენს, ვიდრე კონცენტრიულ მდგომარეობაში, როდესაც ის ადვილად იშლება ქიმიურად გოგირდის, გოგირდორეანგის და გოგირდის სიმუავის წარმოშობით.




ეს სიმუავე სხვა ტიონსიმუავეებთან ერთად წყალსნილ ორეანგოვირდის და გოგირდწყალმშბადის ურთიერთშორის ზედმოქმედებით სჩნდება, ასეთ პირობებში ერთსა და იმავე დროს ორგვარ ქიმიურ პროცესებს აქვს ადგილი, გაუანგვას და

გამოუანგვასაც, რომლების დროს თავისუფალი გოგირდაც სჩნდება. წყალხსნილ ორჟანგვოგრძის და გოგირდწყალმბადის ხსნილს ვაკენროდის სითხეს ეძინან. ცნობილია სხვა და სხვა პენტანტიომეტავე მარილები.

სელენი SL.


ელემენტი სელენი (ბერძნულად σελήνη—ქვეყანა) პირველად 1817 წელში აღმოაჩინა ბერცელიუსმა. ეს ელემენტი გარდა ზოგიერთი ძვირ მინერალებისა, პირიტშიც იმყოფება და ამ უკანასკნელიდგან გოგირდის სიმებავის მზადების დროს ტყვიის კამერებში ესრედ წოდებულ სელენის ლაფში გროვდება. ასეთ ლაფიდგან აზოტის სიმებავის ზედმოქმედებით, უკანასკნელის მეავმბადის შემწეობით სელენის სიმებავეს $H_2 SL$ O₄-ს ამზადებენ. უკანასკნელს ხლორწყალმბადის სიმებავესთან დუღილით სელენოვან სიმებავეთ აქცევენ შემდეგის თანასწორობით:



ლენისესავე ლითონისებური ფორმა სწოდება გამღვალ აშორ-
ფიულ სელენის. სწრაფად და ძლიერად გაცივებით, სახელ-
დობრ 210° გრადუსზედ გალღობის ტემპერატურიდან მოკი-
დებული. ლითონისებური სელენი ლითონსავით ბრკვეიალმბს,
გოგირდნახშირმბადში არ იხსნება და მას ელექტრონიც ძა-
ლიან ადვილად გაჰყავს. სელენი სდულს 680° გრადუსიან ტემ-
პერატურაში, 1400° გრადუსიან ტემპერატურაში სელენის
ორთქლის სიმჭირხნე უდრის 81,5 და აქედგან კი მისი მოლე-
კულიარული წონა ასეთ ორთქლოვან მდგომარეობაში უდრის
163-ს. სხვა და სხვა გაზოვან სელენის ნივთიერებების სიმ-
ჭირხნის გამოანგარიშებისა და მიხედვით ამ ელემენტის ატო-
მიური წონა უდრის 78,9-ს; ასე რომ მისი მოლეკული ორ
ატომ სელენისაგან უნდა შესდგებოდეს.

სელენწყლმისადი H₂ SL.

ეს ნივთიერება სწოდება პირდაპირ ელემენტ სელენის და
წყალმბადის ურთიერთშორის ზედმოქმედებით 400° გრადუ-
სიან ტემპერატურაში. ლაბორატორიებში გოგირდწყალმბადით
მასაც სელენ რკინისაგან ამზადებენ მარილის სიმუავის ზედმოქ-
მედებით შემდეგის თანასწორობით:



შალალ ტემპერატურებში სელენწყალმბადი ადვილად ეძლე-
ვა დასოციაციას თავისუფალ ელემენტების წარმოშობით. წყალხსნილი სელენწყალმბადი გოგირდწყალმბადივით ჰაერის
მევამბადის ზედგავლენით წყლად და თავისუფალ სელენად იქ-
ცევა შემდეგის თანასწორობით: $\text{SeH}_2 + \text{O} = \text{H}_2\text{O} + \text{Se}$. ეს
ნივთიერებაც სხვა და სხვა წყალხსნილლითონ მარილებზედ
ზედმოქმედებით შესაფერ სულფიდებისებურ ნივთიერებებს
ესრედ წოდებულ სელენიდებს აჩენს. სელენწყალმბადი გო-
გირდწყალმბადზედ უფრო ძლიერად მომქმედი საწამლავია.

სდომსედუნქბი.

ცნობილია ორი ხლორსელენტი SL_2CL_2 და SLCL_4 . უკანასკნელი უფრო მჭიდრო შენაერთს წარმოადგენს, ვიდრე ანალოგური ოთხლორგოგირდი. სელენოთხლორი მაგარ ნივთიერებას წარმოადგენს, რომელიც მხოლოდ 200° გრადუსაან ტემპერატურიდან იწყებს დასსოციაციას.

სელენორუნგი SLO_2 .

მხოლოდ ეს ერთი ეანგეული არის ცნობილი, რომელიც სელენის ჰაერზედ დაწვის დროს სჩნდება და თავისუფალ მდგომარეობაში გრძელ და თეთრ ნევსების სებურ კრისტალლებს წარმოადგენს. ეს ნივთერება 310° გრადუსაან ტემპერატურაში დაუშლელად ეძლევა სუბლიმაციას. სელენორუნგი წყლის ზედგავლენ თ სელენოვან ს-მეუვეთ იქცევა, რომელიც გოგრდოვან სიმჟავესთან შედარებით სულაც მჭიდრო ნივთიერება არის და დიდ, გამჭრიას პრიზმატიულ კრისტალლებს წარმოადგენს. გახურებისა და მრხედვით სელენოვანი სიმჟავე წყლად და ორეანგ სელენად რშლება. ორეანგვოგირდის ზედმოქმედებით წყალსხნილი სელენოვანი სიმჟავე თავის მჟავებადს გოგირდოვან გაზს უთმოს გასაუნგავად, თავათ კი სულაც ნთავისუფლდება წითელ ნაფლეთების სებურ პდგომარეობაში შემდეგის თანასწორობით $\text{H}_2\text{SLO}_3 + 2 \text{SO}_2 + \text{H}_2\text{O} = 2\text{H}_2\text{SO}_4 + \text{SL}$. წყალსხნილი სელენოვანი სიმჟავე ხლორის ან ბრომის ზედმოქმედებით სელენის ს-მეუვეთ იქცევა შემდეგის მოლეკულიარულ ფორმულით H_2SLO_4 . თავისუფალ მდგომარეობაში ეს სიმჟავე მაგარ, კრისტალლიურ ნივთიერებას წარმოადგენს და ლდვება 580 გრადუსიან ტემპერატურაში. $950/0$ პროცენტანი სელენის სიმჟავე კონცენტრატულ გოგრდის სიმჟავესავით სქელ, ზეთისებურ სითხეს წარმოადგენს.

ტელლური TL.*)

თავისუფალ მდგომარეობაში, ტელლური ძალიან ძვირად მოიპოვება ბუნებაში, უფრო კი ოქროსთან ან ვერცხლთან შეერთებულ მდგომარეობაში არის გავრცელებული. ტელლურის მაღნეულობები ყველაზედ უფრო გავრცელებულია ტრანსილვანიის და ალტაის ოქრო-ვერცხლის შაღნებში. ამორფულ მდგომარეობაში ტელლური შავს ფხვნილს წარმოადგენს, რომელიც გალოობის შემდეგ ვერცხლავით ბრჭყვინავ, სითხის და ელექტრონის კარგად გამყვან ნივთიერებად იქცევა. ამ ელემენტის მოლეკული მისი სიმჭიდრენისადა მიხედვით ორთქლოვან, მჭიდრო არა ცვალებად მდგომარეობაში, რასაც ადგილი აქვს 1400° გრადუსიან ტემპერატურაში, ორ ატომ სელენისაგან შესდგება.

ტელლურ წყალშადი TLH_2 .

ტელლურწყალმბადის დასამზადებლად ტელლურცინკზედ მარილის სიმჟავათ მოქმედებენ ისე, როგორც სელენ და ვოგირდწყალმბადების მიღების დროს. ტელლურწყალმბადი მეტად ძლიერი საწამლავია. ეს ნივთიერება ადვილად ეძლევა დისსოციაციას და მძიმე ლითონ მაკილების ხსნილებზედ ზედმოქმედებით შესაფერ ტელლურ ლითონებს, ესრულ წოდებულ ტელლურიდებს იძლევა.

ტელლურ ორჟანგი TL_2O_2 , სხვა თავის ანალოგების დაგვარად ტელლურის ჰაერზედ დაწვის დროს სწნდება და წყალშა მეტად ძნელად იხსნება.

ტელლურთვანი სიმჟავე $\text{H}_2\text{TL}_2\text{O}_3$.

ეს სიმჟავე ტელლურის აზოტის სიმჟავეში გახსნის დროს სწნდება. თავისუფალ მდგომარეობაში ეს სიმჟავე წყალში ძნელად იხსნება და განურებისადა მიხედვით ტელლურ ორჟანგად და წყლიდ იშლება. ტელლურის სიმჟავე $\text{H}_2\text{TL}_2\text{O}_4$ მზადდება ტელლურის ან ორჟანგტელლურის გვარჯილასთან შელლობით.

*.) ტელლური წარმოსდგა სიტყვა „tellus“-იდგან, რაც ლათინურად მიწას ნიშნავს.

ასეთ პირობებებში ტელლურის სიმჟავის კალიუმმარილი სწნდება და უკანასკნელიდგან კი თავისუფალ ს-მჟავესაც ამზადებენ. წყალხსნილ ტელლურის სიმჟავე კრისტალლიზაციის შემწეობით კრისტალლიურ ტელლურის სიმჟავის ღიღრატს იძლევა შემდეგის მოლეკულიაზულ ფორმულით $H_2TLO_4 \cdot 2H_2O$, რომელიც 1000 გრადუსიან ტემპერატურაში სულაც ჰკარგავს თავის კრისტალლიზაციურ წყალს. თავისუფალი უწყლო ტელლურის სიმჟავე თეთრამორფიულ ფხვნილს წარმოადგენს და მას სუსტი მჟავუ თვისებები აქვს.

მჟავმბადის ჯგუფის ელემენტებთა საზოგადო განხილვა. მჟავმბადი, გოგირდი, სულენი და ტელური გალლოგენ-ელემენტებსავით ცალკე ჯგუფს შეადგენენ, ესენიც ატომიურ წონის ცვალებადობისადა მიხედვით თან და თანობით ოცვლიან თავიანთ ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებს; საზოგადოდ კი ამ ჯგუფის ელემენტები ბევრში წააგავენ ერთი ერთმანეთს, მათი წყალმბადიან შენაერთნის ზოგადი ფორმულა იქნება RH_2 , მჟავმბადიან შენაერთნის და სიმჟავეებს ზოგადი ფორმულები—კი RO_2 , RO_3 , H_2RO_3 და H_2RO_4 . ამ ფორმულებში R ნიშნავს რომელიმე მჟავმბადის ჯგუფის ელემენტს.

აღნიშნულ ელემენტების თვისებათა ცვალებადობა ატომიურ წონის ცვალებადობისა და მიხედვით ნათლად სჩანს შემდეგს შედარებით სიახედ:

	O.	S.	SL.	FL.
ატომიური წონა.	16,00	32,06	79,07	127
სიმჭირხნე	1,124	1,95—2,07	4,2--4,8	6,2
(—181 ^o გრადუსი- ან ტემპე- რატ.).				
გალლობის ტემპერატურა. .	—	114,05	2170	4520
დუღილის ტემპერატურა. .	—181,05	450,0	6800	თეთრფერამდე გახურ. ტემპ.
ფერი	ღია ცის ფერი.	ყვითელი.	წითელი.	შავი.

ამ სიიდგან სჩანს, რომ ატომიურ წონის მომატებისა და მიხედვით ელემენტების სიმჭირხეები, გალლობის და დუღილის ტემპერატურები თან და თან იზრდებიან; მეცნიერებადიდგან მოკიდებული ელემენტები უფრო და უფრო ლითონების ხასიათს იქნენ. ამ ჯგუფის ელემენტების შენაერთთა სიმჭიდროვე ატომიურ წონის მომატებისა და მიხედვით თან და თან სუსტდება. ბოლოსაც აღსანიშნავია ერთი საზოგადო ხასიათის თვისებაც, სახელდობრი ის, რომ ყველა ეს ოთხი ელემენტის პირობებისა და მიხედვით სხვა და სხვა ალლოტროპიულ ფორმებს იძლევიან.

ტერმინებია.

ყოველი ქიმიური შეერთება ან დაშლა-დარღვევა სითბოს წარმოშობით ან სითბოს შეთვისებით მიმდინარეობს. ბერტელოს და ტომსონის გამოკვლევათა შემწეობით დღეს უმეტეს შემთხვევებში ადვილად გამოსაანგარიშებელია, თუ რამოდენი სითბო სჩნდება ან იხარჯება ქიმიურ რეაქციის დროს. როგორც ჩვენ უკვე ვიცით, ამ მიზნისათვის ესრედ წოდებულ კალორიმეტრებს ხმარობენ და სითბოს რაოდენობის საანგარიშებლად კი ჰატარა და დიდი კალორიიები არის მიღებული: ქიმიის იმ ნაწილს, რომელიც რეაქციიების დროს წარმოშობილ ან შეთვისებულ სითბოს რაოდენობას, ესრედ წოდებულ კალორიულ ანუ ტერმიულ ეფექტს განიხილავს, სახელად ტერმოქიმიას ეძახიან. ტერმოქიმიაში ტერმიულ ეფექტს მოქმედ ნივთიერებათა მოლეკულიარულ ან ატომიურ წონის მიხედვით ანგარიშობენ; მაგალითად წყლის გაჩენის დროს ტერმიულ ეფექტის რაოდენობა უდრის 69 Kal (კალორი)-ს. ეს იმას ნიშნავს, რომ 2 გრამ ანუ ორ ატომ წყალმბალის და 16 გრამ ანუ ერთ ატომ მეცნიერების შეერთებით 18 გრამი ანუ ერთი მოლეკული წყალი და 69 კალორი სითბო სჩნდება შემდეგის თანასწორობით: